



ესეების კრებული გენდერული
თანასწორობის საკითხებზე

ესეების კრებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე



სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

2025

შინაარსი

ადამიან მარიანა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	5
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
ანანიან მარინე (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	9
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
არაქელიან ლარისა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	13
გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა – ემოციური კეთილდღეობა და სოციალური სტიგმები	
ბათმანაშვილი ლიკა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	16
გენდერი და თანამედროვე საზოგადოება	
ბალახაშვილი მართა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	19
გენდერი და თანასწორობა	
ბართაია ჯულიეტა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	20
განათლება და გენდერული სენსიტიურობა - სწავლების მეთოდები და როლები სკოლასა და უნივერსიტეტში	
ბერიძე ანა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	25
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში - ქალთა მონაწილეობა და ბარიერები რეალურისა და ირეალურის ზღვარზე...	
ბერიძე ნონა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	28
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
ბუაძე ლიზი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	32
გენდერული (უ)თანასწორობა და ოჯახი	
ბუჩუკური თეა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	33
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
გაფრინდაშვილი მერი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	35
გენდერული (უ)თანასწორობა სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ კონტექსტში	
გუბელაძე ანანო (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	37
გენდერული უთანასწორობა და სოციალური სამართლიანობა-თანასწორობა, როგორც დემოკრატიის საფუძველი	
დიღბარიან სუსანა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	40
გენდერი და ყოველდღიური ცხოვრება – ენა, კულტურული ნორმები და ოჯახური როლები	
ზედგინიძე სოფო (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	43
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
თოდუა მარიამ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	46
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში	
თოფურია სალომე (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	49
როგორ მივიღოთ განათლება და კარიერული განვითარება	
ინჯოიან სუზანა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	52
ქალების ჩართულობა პოლიტიკაში	
კარაპეტაიანი გოჰარინე (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	58
ორი ფესვის ტრიუმფი	
კარაპეტაიანი ლილით (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	61
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში: ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
კარიან ასთიკ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	64
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში: ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
კილაძე ლიზი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	67
პოლიტიკა ქალების სფერო	

კოპალეიშვილი მარიამ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	69
გენდერი და ყოველდღიური ცხოვრება	
კოტოვა მარია (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	72
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
კობია ნინო (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	73
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ კონტექსტში.	
მანასიან ანი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	75
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
მალაქელიძე ნათია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	80
გენდერი და მწვანე ტრანსფორმაცია - ეკოლოგია, კლიმატის ცვლილება და გენდერული სამართლიანობა	
მეირაბიან ჰასმიკ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	85
გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა – ემოციური კეთილდღეობა და სოციალური სტიგმები მსხალაია თეონა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	87
ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში	
მსხვილიძე მირანდა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	90
ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ - ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში.	
მუზაშვილი მარიამ (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	93
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ- ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში	
მურადიან ნადია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	97
როგორ ყალიბდება თანასწორობის გაკვეთილები: გენდერული სენსიტიურობა განათლებაში მურჯიკნელი ანა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	99
გენდერი და სამართალი-სამართლებრივი ბარიერები, დაცვის მექანიზმები, საერთაშორისო სტანდარტები	
პოდოსიან ანა ლუის (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	110
გენდერული (უ)თანასწორობა	
საგინაძე ნატო (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	114
გენდერი და სამართალი - სამართლებრივი ბარიერები, დაცვის მექანიზმები, საერთაშორისო სტანდარტები	
სამხარაძე ოლიკო (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	116
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ- ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში	
სანიკიძე მარიამ (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	119
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
სარკისიან ნაზენი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	122
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
სარუხანიან მარიამ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	124
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
სუხაშვილი სოფიო (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	127
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში-ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
ქათამაძე თამარ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	129
ფემინიზმის ისტორია და თანამედროვეობა – ტალღები და გავლენა ქართულ საზოგადოებაზე ქუთათელაძე თაკო (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	133
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	
შაქარიან რიმა (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	134
გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა – ემოციური კეთილდღეობა და სოციალური სტიგმები ჩახოიან სირანუშ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	137
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები	

ცხვარაძე ნათია (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში	
ცხოვრებად მარიამი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	143
ქალების წვლილი ისტორიის ფორმირებაში	
ხარაბაძე ეკა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	146
განათლება და გენდერული სენსიტიურობა: სწავლების მეთოდები და როლები სკოლასა და უნივერსიტეტში	
ხარაიძე მარიამ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	149
ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში	
ხაჭაპურიძე ნინო (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	152
გენდერი და ყოველდღიური ცხოვრება - ენა, კულტურული ნორმები და ოჯახური როლები	
ხინგავა მარიამ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	155
რა უხილავი ბარიერები აქვთ ქალებს ქართულ პოლიტიკაში?!	
ჯინჯოლავა მარიამ (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	158
გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში: ქალთა მონაწილეობა და არსებული ბარიერები	

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

მაღალმთიანი რეგიონების სოციალური და კულტურული გარემო ხშირად განსხვავდება დიდი ქალაქებისგან, სადაც გენდერული სტერეოტიპების დაძლევა შედარებით სწრაფად მიმდინარეობს. ახალქალაქი — ვიწრო და ჩაკეტილი სივრცე — ამის მკაფიო დასტურია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის თვითმმართველ სტრუქტურებში ქალები მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებენ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლი კვლავაც შეზღუდულია, ხოლო განათლებისა და პროფესიული განვითარების გზა ხშირად ბარიერებით იწყება. გენდერული თანასწორობის შეფასება მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკით შეუძლებელია. საჭიროა იმ სოციალური იმპულსების დანახვა, რომლებიც ყოველდღიურობაში ქმნიან ერთგვარ უხილავ კედლებს ქალებისთვის.

ერთი შეხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალქალაქში გენდერული თანასწორობა მეტწილად მიღწეულია: მერიაში წამყვანი პოზიციების უმრავლესობა ქალებს უჭირავთ — კულტურის, შესყიდვების, იურიდიული და სხვა მნიშვნელოვანი სამსახურების ხელმძღვანელები ქალები არიან. თუმცა, თავისთავად, ეს ფაქტი ვერ ქმნის თანასწორ საზოგადოებრივ გარემოს. პირიქით, იგი ხშირად უფრო გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე დამკვიდრებულ ტენდენციას.

ქალი ლიდერები თვითმმართველობაში პროფესიონალები არიან, რომლებმაც ინდივიდუალური ძალისხმევით დაძლიეს სისტემური ბარიერები, მაგრამ ამ წარმატებებისთვის დამახასიათებელია ერთი გარემოება: ქალის კარიერული წინსვლა ქალაქის სოციალურ სივრცეში ჯერ კიდევ მძაფრად და მოკიდებული მის უნარზე, „დამატკიცოს“, რომ იგი საკმარისად კონკურენტუნარიანი და კარგია. ასეთ გარემოში ქალის წარმატება აღარ არის სისტემის დამსახურება — ეს არის მისი პირადი ძალის, შრომისა და გამძლეობის შედეგი.

ახალქალაქში ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის / ფაკულტეტის არჩევა ხშირ შემთხვევაში არ არის მარტივი გადაწყვეტილება. განსაკუთრებით სოფლებში, მდებრობით სქესს ხშირად განსაზღვრავს არა მისი სურვილები და ინტერესები, არამედ ის, თუ „სახლიდან რამდენად შორს არ იქნება“ ან „არის თუ არა მისთვის სწავლის გაგრძელება საჭირო“. განათლება კვლავაც აღიქმება, როგორც დროებითი ეპიზოდი, რომელსაც საბოლოოდ აუცილებლად ჩაანაცვლებს ქორწინება, ოჯახი და საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობები, დიპლომი კი მხოლოდ ბონუსია - კარგი რძლის სტატუსისთვის.

გოგონების უმეტესობას ჯერ ოჯახთან უწევს შეთანხმება, რომ უნივერსიტეტში ჩაბარება მნიშვნელოვანია. მშობლების ნაწილი დღესაც მიიჩნევს, რომ „ქალის მთავარი საქმე ოჯახის შექმნაა“, ხოლო განათლება შესაძლოა, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც შეიძლება საჭირო არც იყოს. ამ მიზეზით ახალქალაქში, სტუდენტთა ნაკადის წლიური რაოდენობა დაახლოებით, 50-იდან 60-მდე მერყეობს, რაიონის მასშტაბით სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია. კვლევებით დასრულდება, რომ რეგიონულ სივრცეებში გენდერული ასიმეტრია უფრო მაღალია — სტერეოტიპები ჯერ კიდევ ამარცხებენ

განათლების მნიშვნელობას.

გენდერული უთანასწორობა ახალქალაქში მხოლოდ ოჯახური ურთიერთობებით არ განისაზღვრება. მას მნიშვნელოვნად აძლიერებს გარემო, სადაც საზოგადოებრივი და კულტურული სივრცეები პრაქტიკულად არ არსებობს. ქალაქში არ ფუნქციონირებს თეატრი, კინო, თანამედროვე ახალგაზრდული ცენტრი ან სივრცე, სადაც მოზარდებს შეეძლებათ შეხვედრები, კულტურული აქტივობები და ა.შ.

თანასწორობის გააზრებისა და ყოველდღიური ცხოვრების ჩვევად ქცევისთვის საჭიროა შესაბამისი სივრცისა და გარემოს შექმნა, რომელიც მკვეთრად შეცვლიდა არსებულ მძიმე სურათს. რომელიც მკვეთრად აისახება საზოგადოების. მენტალურ ჯანმრთელობასა და ცნობიერებაზე. მათ არ აქვთ საკმარისი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან ქალაქში, სადაც ყოველ ნაბიჯზე სათამაშო ბიზნესისთვის განკუთვნილი ობიექტებია, არსად არ ჩანს არც კინოაფიშა, არც თეატრი, რაც ადამიანის კულტურული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კერაა, ან თუნდაც სხვა ტიპის საზოგადოებრივი სივრცეები, რომლებიც თვითგანვითარების შესაძლებლობასა და სოციალური ჩართულობის ალტერნატივა იქნება. ქალი, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას ცდილობს, ოჯახისა და სამსახურს შორის, შეიძლება არჩევანის წინაშე დადგეს (თუ საერთოდ არსებობს შესაბამისი სამუშაო). სოფლებიდან ქალაქში გადაადგილება დამატებით ბარიერებს ქმნის — საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა, უსაფრთხოების რისკები და ფინანსური სირთულეები ქალების საზოგადოებრივ აქტიურობას კიდევ უფრო ზღუდავს.

ზუსტად ეს გარემო უწყობს ხელს, ქალებისა და გოგონების ცხოვრება გახდეს შეუმჩნეველი, პასიური და „უხილავი“. მათთვის არ არის ხელმისაწვდომი საკუთარი თავის მიების, აღმოჩენისა და საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა... იქ, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ვიწრო ჭრილშია მოქცეული და მამაკაცთა ინტერესებზე ორიენტირებული, ქალის ხმა ბუნებრივია, შედარებით ნაკლებად ან საერთოდ არ ისმის.

ახალქალაქში ტრადიციების სიმყარემ განსაკუთრებული ფორმით შეინარჩუნა გენდერული როლები. ამის სიმბოლური მაგალითია ქელეხის ტრადიცია, სადაც ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე სხედან და ეს მკაცრად არის განსაზღვრული ღრმა წარსულიდან და დღემდე ინარჩუნებს. აქტუალობას. ასეთი ყოველდღიურობა არა მხოლოდ სივრცეებს ყოფს, არამედ აზროვნების ჩარჩოს აყალიბებს და ამყარებს — თითქმის სქესი თვითონ განსაზღვრავს ადამიანის ადგილს, პასუხისმგებლობასა და მის „შესაფერის“ ქცევას.

როცა სოციალიზაცია ასე მკაფიოდ კოდიფიცირებულ ჩარჩოშია მოქცეული, ძნელია მოზარდმა გოგომ დაიჯეროს, რომ შეუძლია იყოს ლიდერი, მეცნიერი, პოლიტიკოსი ან პროფესიონალი, ისეთივე თავისუფლებითა და განვითარების მოტივაციით, როგორც ეს ბებიის შემთხვევაშია " ნებადართული".

რატომ არის ქალის როლი ნაკლებად აქტუალური?

ახალქალაქში გენდერული დისბალანსი მრავალი მიზეზით არის განპირობებული:

- **ეკონომიკური შესაძლებლობების სიმწირე:** სამუშაო ადგილების შეზღუდულობა და არსებული პოზიციების ტრადიციული განაწილება, რომელიც ხშირად სტერეოტიპული წარმოდგენებით იმართება, ქალების პროფესიულ არჩევანს მნიშვნელოვნად ავიწროებს.
- **ტრანსპორტის არარსებობა სოფლებში:** გადაადგილების სირთულე ქალებისთვის თითქმის გამორიცხავს ქალაქის საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში სრულფასოვან

ჩართულობას.

- **კულტურული ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დეფიციტი:** თეატრის, კინოსა და ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა ქალებს ზღუდავს, რადგან მათ არ აქვთ გარემო, სადაც საზოგადოებრივ აქტივობასა და თვითგანვითარებაზე იზრუნებენ, უფრო მეტიც, ამის საჭიროებას მკვეთრად იგრძნობენ.
- **ოჯახში დამკვიდრებული სტერეოტიპები:** გოგოს განათლებასთან დაკავშირებით კვლავ აქტუალურია, სადაც ხშირია შეხედულებები, რომ „სწავლა ქალის საქმე არაა“, საჭირო არც არის“, რაც მის გადაწყვეტილებას პირდაპირ ზღუდავს.
- **სოციალური წნეხი და მოლოდინები:** ქალები ხშირად იზრდებიან წესებით, რომლებიც „სწორ“, „მორალურად მისაღებ“ და „ფრთხილ“ ქცევას ითხოვს, რაც მათ საზოგადოებრივ აქტიურობას და გამოცდილების გაფართოებას აფერხებს.

ეს ყოველივე ქმნის გარემოს, სადაც ქალისთვის საზოგადოებრივი აქტიურობა არა მხოლოდ რთულია, არამედ ხშირად დამატებით ბარიერებთან ასოცირდება.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ცვლილებები უკვე შეინიშნება. გოგონები, რომლებიც სწავლას ასრულებენ, ხშირად ცდილობენ უნივერსიტეტის არჩევას სხვა ქალაქებში. ოჯახები უფრო გახსნილები ხდებიან განათლების მიმართ, ხოლო ქალთა წარმატება საჯარო სექტორში შთააგონებს სხვა ახალგაზრდა გოგონებსაც.

თუმცა, მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, პროცესები მაღალმთიან რეგიონებში კვლავ ძალიან ნელა ვითარდება. მაღალმთიან რეგიონში სტერეოტიპები ძნელად ქრება, მით უფრო მაშინ, როცა ყოველდღიური გარემო — ოჯახი და სოციალური წნეხი — ამ სტერეოტიპებს კვლავ ამყარებს.

ახალქალაქის მსგავს რეგიონებში გენდერული თანასწორობის მიმართულებით რეალური წინსვლისთვის აუცილებელია კომპლექსური სტრატეგია, რომელიც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე საგანმანათლებლო და კულტურულ ცვლილებებს.

1. კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნა

- თეატრის, კინოთეატრის, ახალგაზრდული კულტურის ცენტრების გახსნა;
- თანამედროვე საჯარო სივრცეების განვითარება, სადაც ახალგაზრდა ქალებს ექნებათ თვითგამოხატვის საშუალება;

2. საგანმანათლებლო ხელმისაწვდომობის ზრდა

- სტიპენდიები მაღალმთიანი სოფლების სტუდენტთათვის;
- საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო მულტი ცენტრების შექმნა სოფლებში.

3. ტრანსპორტის გაუმჯობესება

- რეგულარული სატრანსპორტო ხაზები სოფლებიდან ქალაქის ცენტრამდე;
- უსაფრთხო გადაადგილების სისტემა.

4. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

- კამპანიები ოჯახებისთვის, რომ ქალის განათლება საზოგადოებრივი ღირებულებაა;
- მასწავლებლებისა და მშობლების ტრენინგები გენდერული სენსიტიურობის მიმართულებით.

5. ახალგაზრდების ჩართულობა

- დებატების კლუბები, ლიდერობის ბანაკები, არაფორმალური განათლების თუ სამოქალაქო განათლების პროექტები;
- ქალ ლიდერებთან შეხვედრები, მათ შორის ადგილობრივ საზოგადოებაში.

ახალქალაქი მაღალმთიანი რეგიონია, რომლის გეოგრაფიული და სოციალური თავისებურებები ცვლილებების ტემპს ბუნებრივად ანელებს. აქ გენდერული თანასწორობისკენ გზა ჯერ კიდევ მეტ სიღრმის, ძალისხმევას და სისტემურ მხარდაჭერას საჭიროებს. მაგრამ ამავე დროს, ეს ქალაქი იმ ქალების წყალობით იცვლება, რომლებიც ყოველდღე ამტკიცებენ, რომ განათლება არჩევანია, შესაძლებლობაა და უფლებაა.

გენდერული თანასწორობა ახალქალაქში შეიძლება ნელა ყალიბდება, თუმცა, თითოეული გოგო, რომელიც სწავლას აგრძელებს, თითოეული ქალი, რომელიც საჯარო სამსახურში ლიდერი ხდება, თითოეული ოჯახი, რომელიც სტერეოტიპებზე მაღლა დგება — ქმნის ახალ რეალობას.

როცა ქალებს ეძლევათ სივრცე, ხმა და შესაძლებლობა, ქალაქის განვითარებაც აუცილებლად მათ კვალს მიჰყვება და ბოლოს, გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ მიზანი, არამედ განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

გენდერული თანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ საფუძველს. იგი არა მხოლოდ ადამიანის უფლებების საკითხია, არამედ პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, ეკონომიკურ წინსვლას, განათლების ხარისხს, კულტურულ ნარატივებსა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას. გენდერული უთანასწორობა აზიანებს არა მხოლოდ ქალებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას, რადგან დაბალანსებული გადაწყვეტილებები და ინკლუზიური პოლიტიკა შეუძლებელია მაშინ, როცა ერთი გენდერული ჯგუფი სრულად ვერ მონაწილეობს ქვეყნის ცხოვრების პროცესებში. თანასწორობა არ გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების სრულ იდენტურობას, არამედ იმას, რომ მათ ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, თავისუფლება არჩევანის განხორციელებაში და წვდომა რესურსებზე.

პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის საკითხი გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ქალების რაოდენობა პარლამენტებში, ადგილობრივ სამმართველოებსა და პოლიტიკურ პარტიებში, მათი წარმომადგენლობა კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცების რაოდენობას. ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალები პარლამენტში საშუალოდ 30%-ზე ნაკლებ ადგილს იკავებენ, ხოლო საქართველოში ეს პროცენტი კიდევ უფრო დაბალია, რაც ქმნის უხილავ ბარიერს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ქალთა საჭიროებების ასახვისათვის. კვლევები აჩვენებს, რომ ქალების აქტიური ჩართულობა პოლიტიკაში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სოციალური საკითხების, ჯანდაცვის, განათლებისა და გარემოს დაცვის სფეროებში მიღებულ გადაწყვეტილებებს. ქალები პოლიტიკაში ხშირად უფრო მეტად ფოკუსირდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ ეხება ოჯახს, ბავშვის აღზრდას, საზოგადოებრივ სერვისებს და საზოგადოების სიღრმისეულ საჭიროებებს. თუმცა კულტურული სტერეოტიპები, პოლიტიკური ბარიერები და კორუფცია ხშირად აფერხებს ქალების სრულ ჩართულობას, რაც პირდაპირ კავშირშია გენდერული უთანასწორობის გამყარებასთან.

გენდერული უთანასწორობის განხილვისას ადამიანები, როგორც წესი, გულისხმობენ ქალების არახელსაყრელ მდგომარეობას სხვადასხვა სფეროში: ხელფასები, ანაზღაურებადი საოჯახო საქმეები, ოჯახში ძალადობა და ა.შ. მკვლევრები აჩვენებენ, რომ კულტურების უმეტესობაში მამაკაცები სტანდარტულად აღიქმებიან მამაკაცებად და ქალების მახასიათებლებისა და საჭიროებების შესახებ გენდერული მონაცემები მნიშვნელოვნად ნაკლებია ხელმისაწვდომი. თუმცა, გენდერული უთანასწორობის პრობლემა ხშირად მამაკაცებზეც მოქმედებს: მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, „წარმატების“ სტერეოტიპული მოლოდინები, საპენსიო ასაკი, სასამართლოს გადაწყვეტილებები განქორწინების შესახებ და ა.შ.

ეკონომიკაში გენდერული უთანასწორობა ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი პრობლემაა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითი არის „მინის ჭერი“ (glass ceiling) ანუ უხილავი ბარიერი, რომელიც ზღუდავს ქალებს კარიერულ წინსვლაში, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობების დაკავების

შემთხვევაში. ქალები ხშირად იკავებენ დაბალ ან საშუალო პოზიციებს, მიუხედავად მათი განათლებისა და გამოცდილებისა, მაშინ როცა მამაკაცები ადვილად აღწევენ მაღალ თანამდებობებს. კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალების საშუალო ხელფასი 20–30%-ით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა, მაშინ, როცა სამუშაოს დონე, განათლება და გამოცდილება იგივეა. ეკონომიკური უთანასწორობა არა მხოლოდ სოციალური პრობლემაა, არამედ ქვეყნის განვითარებასაც აჩერებს, რადგან ნიჭიერი ქალები ვერ ავლენენ საკუთარ პოტენციალს. ოჯახური ვალდებულებების არათანაბარი განაწილება კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას – ქალები ხშირად იტვირთებიან ბავშვის აღზრდას, საოჯახო საქმეებს და დროის კონტროლს, რაც აფერხებს პროფესიულ განვითარებას.

განათლება გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. სკოლებში და უნივერსიტეტებში გენდერული სენსიტიურობის დანერგვა აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლეებმა თავიდან აიცილონ სტერეოტიპები. ხშირად გოგონებს ურჩევენ პროფესიებს, რომლებიც ტრადიციულად ქალებს უკავშირდება, ხოლო ბიჭებს – ტექნიკურ, სამრეწველო ან ფინანსურ სფეროებში. ასეთი პრაქტიკა ზღუდავს ახალგაზრდების თავისუფალ არჩევანს და ხელს უშლის მათ სრული პოტენციალის რეალიზებაში. განათლება უნდა იყოს ინკლუზიური, სადაც ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა განავითაროს საკუთარი უნარები და ინტერესები ნებისმიერ სფეროში, მათ შორის STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) სფეროებში. კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვები, რომლებიც იზრდებიან გენდერულად თანასწორ გარემოში, უფრო მეტად ავითარებენ კრიტიკულ აზროვნებას, გუნდურ მუშაობის უნარს, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებების მიღების უნარს და მეტს ცდილობენ საკუთარი ინტერესების განვითარებას.

კულტურული სტერეოტიპები და მედიის გავლენა ძლიერად მოქმედებს გენდერულ აღქმაზე. რეკლამები, ფილმები, სატელევიზიო შოუები ხშირად აძლიერებენ წარმოდგენას, რომ ქალები სუსტები, ემოციურები და ნაკლებად დამოუკიდებელნი არიან, მაშინ როცა მამაკაცები ძლიერები, მამაცი და პასუხისმგებელიანები არიან. მედია ქმნის ნარატივს, რომელიც ბავშვებსა და ახალგაზრდებს აძლიერებს სტერეოტიპებს, ზრდასრულებს კი ართულებს ცვლილებების პროცესში ჩართვას. ამიტომ მნიშვნელოვანია მედიის პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად, სტერეოტიპების შემცირებისა და ინკლუზიური კულტურის წარმოსადგენად.

ფემინიზმის ისტორია საქართველოში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერული საკითხების გააზრებაში. ფემინისტური მოძრაობა სხვადასხვა ტალღით ცდილობდა ქალთა უფლებების გაფართოებას, მათ შორის - პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის თვალსაზრისით. საქართველოში ფემინისტური აქტივობები ხელს უწყობს ქალთა უფლებების აღქმას, თუმცა გენდერული უთანასწორობა კვლავ დიდწილად არის კულტურული ნორმებისა და ტრადიციების შედეგი. ქალები ხშირად განიცდიან როგორც სექსუალურ, ისე სოციალურ დისკრიმინაციას, რაც ართულებს მათ პირადი და პროფესიული პოტენციალის რეალიზებას.

სამართლებრივი თვალსაზრისით, გენდერული თანასწორობა ხშირად პრაქტიკაში ირღვევა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა იცავს თანაბარ უფლებებს, ქალები ხშირად ხვდებიან დისკრიმინაციას დასაქმებისა და კარიერული წინსვლის პროცესში. საერთაშორისო სტანდარტები, როგორიცაა გაეროს გენდერული თანასწორობის კონვენციები, უზრუნველყოფს რეკომენდაციებს სახელმწიფოსთვის, რათა შეზღუდვები აღმოიფხვრას და რეალური თანასწორობა დამკვიდრდეს. გენდერული უთანასწორობა პირდაპირ უკავშირდება სოციალურ სამართლიანობას, რადგან ეს ხელს

უმლის დემოკრატიული პრინციპების სრულყოფილად განხორციელებას და ზრდის სოციალური დამაბულობის ალბათობას.

STEM სფეროებში ქალთა ჩართულობა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. ქალები ხშირად შეზღუდულნი არიან სტერეოტიპებისა და საზოგადოებრივი წნეხის გამო, რაც აფერხებს მათ ტექნიკურ დარგებში შესვლასა და განვითარებაში. თანასწორობის უზრუნველყოფა ამ სფეროებში ზრდის ქალთა შესაძლებლობებს, აძლიერებს ინოვაციურობასა და კრეატიულობას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე.

გენდერი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანია. ენა, კულტურული ნორმები და ოჯახური სტრუქტურები განსაზღვრავს, რა არის „ქალის“ ან „მამაკაცის“ საქმე. ქალებს ხშირად აკისრია პასუხისმგებლობა ბავშვების აღზრდასა და საოჯახო საქმეებზე, მაშინ როცა მამაკაცები იღებენ ეკონომიკურ ვალდებულებებს. ეს უთანასწორობა ზღუდავს ქალებს კარიერული წინსვლისა და განათლების პროცესში ჩართვის შესაძლებლობებს.

მამაკაცების ჩართულობა გენდერული თანასწორობის პროცესში აუცილებელია. ისინი პასუხისმგებელნი არიან სტერეოტიპების გადალახვაზე, ოჯახური ვალდებულებების თანაბარ განაწილებაზე და გენდერული თანასწორობის მხარდაჭერაზე. თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ქალთა აქტიურობით; საჭიროა ორივე გენდერის აქტიური ჩართულობა.

ინტერსექციულობა აღნიშნავს, რომ გენდერული გამოცდილება განსხვავებულია ასაკის, ეთნოსის, სოციალური სტატუსისა და რეგიონული მდებარეობის მიხედვით. მაგალითად, რეგიონებში მცხოვრები ქალები ხშირად განიცდიან განათლების, დასაქმებისა და სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობას, ვიდრე ქალაქებში მცხოვრები ქალები, რაც ქმნის დამატებით სოციალურ უთანასწორობას.

ეკოლოგიური და ციფრული სფეროებიც დაკავშირებულია გენდერულ საკითხებთან. ქალები ხშირად განიცდიან კლიმატის ცვლილების შედეგებს, ხოლო ციფრულ სივრცეში – სექსუალური შევიწროებისა და უსაფრთხოების პრობლემებს. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ამ სფეროებში აუცილებელია, რათა ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდეთ გადაწყვეტილებების მიღებაში.

გენდერული თანასწორობის მიღწევა ასევე მნიშვნელოვანია მენტალური ჯანმრთელობისთვის. სტერეოტიპები ქმნიან ფსიქოლოგიურ წნეხს, რაც აიძულებს ქალებსა და მამაკაცებს აკონტროლონ ემოციები ან დაიმალონ პრობლემები. ეს ნეგატიურად მოქმედებს პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე და ზღუდავს სრულ პოტენციალს.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ცნობილი სომეხი მწერლისა და აქტივისტის, ზაბელ ესაიანის ციტირებით, „ქალი ამ ქვეყნად ყველას მოსაწონებლად არ იბადება. ქალი იბადება თავისი გონებრივი, მორალური და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის“.

ისტორიის განმავლობაში, ბევრი ქალი დაადგა თვითრეალიზაციის გზას ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ზოგი ფართოდ არის ცნობილი, ზოგი ნაკლებად, მაგრამ თითოეულმა მათგანმა წვლილი შეიტანა გლობალურ პროგრესში, იქნება ეს ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის უზრუნველყოფით, მეცნიერების განვითარებით თუ სიცოცხლის გადასარჩენად და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად ბრძოლის წინა ხაზზე მსახურებით.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტებში არის ძირითადი საკითხი, რომელიც

განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებას, დემოკრატias და ინკლუზიურობას. გენდერული თანასწორობის მიღწევა მოითხოვს განათლებას, სამართალს, მედიის პასუხისმგებლობას, ოჯახური როლების გადაფასებას და საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ისეთი საზოგადოება, სადაც თითოეული მოქალაქე აღიარებული იქნება, მის ხმას მოისმენენ და შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების სრულ რეალიზებას. თანასწორობა ასევე ასწავლის ადამიანს პატივისცემასა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, ხელს უწყობს ინოვაციას, ეკონომიკურ წინსვლასა და სტაბილურობას, აძლიერებს კრიტიკულ აზროვნებას და შესაძლებლობას, თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს პირადი და პროფესიული წარმატების რეალური გზები. თანასწორობისკენ გადადგმული ნაბიჯები ქმნის უფრო სამართლიან, ინკლუზიურ და მდგრად საზოგადოებას, სადაც თითოეული წევრი (მიუხედავად გენდერული სხვაობისა) ითვისებს ღირსების, თავისუფლებისა და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას.

გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა – ემოციური კეთილდღეობა და სოციალური სტიგმები

ბოლო წლებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე და სრულფასოვანი ზრდასრულობის გზაზე დავდექი, ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რამდენად ძლიერად მოქმედებს გენდერი არა მხოლოდ ჩვენს ქცევებზე, არჩევანებზე ან სოციალურ როლებზე, არამედ ჩვენს შინაგან სამყაროზე, ემოციურ მდგომარეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. თითქოს სამყაროსთვის უხილავი, მაგრამ ჩემთვის მეტად ნაცნობი სქესთან დაკავშირებული მოლოდინები ყოველდღიურად ხვდება ჩვენს ცხოვრებას, ხშირად შეუმჩნევლად, ხშირად კი მძიმე, თითქმის გადაუტანელ ტვირთად.

ბავშვობიდანვე მახსოვს, როგორ გვიყვებოდნენ, რომ გოგონები უფრო ემოციურები და უფრო მგრძნობიარენი ვართ. ამას მაშინ, პატარა ასაკში, უბრალოდ, ფაქტად ვიღებდი — როგორც რაღაც ბუნებრივად მოცემულს. თუმცა, როცა სკოლის უფროს კლასებში გადავედი და თანატოლებისგან, მასწავლებლებისგან ან ნათესავებისგან მიღებული დამოკიდებულებები უფრო გააზრებული გახდა, თავი დავიჭირე იმ აზრზე, რომ ეს “ბუნებრივი მოცემულობა” ხშირად ჩემი საკუთარი ემოციების დაკნინებისა და შეცდომით გაგების მიზეზად იქცეოდა. თითქოს იმ დროს, როცა რაღაც მიჭირდა ან ვნერვიულობდი, ადამიანები ამ ყველაფერს მხოლოდ “გოგოს ხასიათში” წერდნენ და არარეალურ პრობლემებში, რომლებიც სერიოზულად უნდა შეეფასებინათ.

უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ეს განცდა კიდევ უფრო გამძაფრდა. სტუდენტური ცხოვრება თავისუფლების სიმბოლოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ რეალობაში ეს თავისუფლება სრულიად ახალ სტრესებიც მოაქვს — პასუხისმგებლობა, საკუთარი შესაძლებლობებისადმი ექვები, დავალებები, ფინანსური საკითხები და ურთიერთობები. ამას ემატება გენდერული მოლოდინები, რომლებიც თითქოს უხილავი ძაფებივით გმართავენ: უნდა იყო ძლიერი, მაგრამ ზედმეტად არა; უნდა იყო ემპათიური და მზრუნველი, მაგრამ არა იმდენად, რომ საკუთარი თავი დაივიწყო; უნდა გამოიჩინო გონიერება, მაგრამ “ზედმეტად ამბიციური” აღარ გახდე; უნდა გეჩვენებოდეს თავდაჯერებული, თუმცა ზედმეტი თავდაჯერებაც არ არის “ქალური”.

ჩემი ახლო მეგობრების წრეშიც მსგავს განცდებს ვხვდებოდი. მახსოვს, ერთ-ერთი გოგონა ხშირად მეუბნებოდა, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებით უჭირდა ხმამაღლა საუბარი საკუთარი სტრესის შესახებ, რადგან ეშინოდა, რომ ამის გამო სხვები მეტისმეტად “სუსტი” ან “დრამატული” ეგონებოდათ. პირიქით კი, ბიჭ სტუდენტებს შორის ხშირად იგრძნობოდა, რომ მათ თითქოს არ ჰქონდათ უფლება, საერთოდ დაეფიქრებინათ საკუთარ ემოციებზე, რადგან საზოგადოებაში მამაკაცური ძალა ხშირად ემოციური დუმილით განისაზღვრებოდა. ამ განსხვავებებზე დაკვირვებისას მივხვდი, რომ გენდერი ორივე მხარეს სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიურ კედლებს უქმნის — უბრალოდ, ჩვენ, გოგონებს, ჩვენს ემოციებს ხშირად ზედმეტად ადვილად აბუჩად გვაგდებენ, მაშინ როცა ბიჭებს, პირიქით, საერთოდ არ აძლევენ საშუალებას, ემოციებზე საუბარი კი არა, თავად განცდა აღიარონ.

საკუთარ თავთან ბრძოლა უნივერსიტეტში განსაკუთრებით იმ პერიოდში გამიმწვავდა, როცა სემესტრი რთული აღმოჩნდა და მასთან ერთად პირად ცხოვრებაშიც არეულობა დაიწყო. გვიან ღამეს

მახსოვს, როგორ ვიჯექი საწერ მაგიდასთან გაბნეული კონსპექტებითა და ლექტოპით, არადა, ისეთი დაქანცული ვიყავი, თითქოს ყოველი ამოსუნთქვა ენერგიის დაკარგვას ნიშნავდა. მაშინ პირველად ვადიარე საკუთარი თავი, რომ ჩემს განცდებს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს აღიარება მართლა არაფერს მოიტანდა, თუ მაინც ვერ გავბედავდი ვინმესთვის დახმარების თხოვნას. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით მახსოვს, როგორი შიში მქონდა — შიში იმისა, თუ ხმამაღლა ვიტყოდი, რომ ფსიქოლოგთან მისვლა მჭირდებოდა, შესაძლოა სხვებს “ტკივილიანი” ან ზედმეტად ემოციური გოგოს იარლიყი მოეკერებინათ.

სწორედ ეს სტიგმა — სოციალური სტიგმა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ ჯერ კიდევ მყარად არის დამკვიდრებული — ყველაზე დამღლევი აღმოჩნდა. განსაკუთრებით იგრძნობოდა გენდერული „მოტივები“: გოგოს ფსიქოლოგთან მისვლა თითქოს უფრო “მისაღები”, მაგრამ მაინც “გასაკრიტიკებელი” იქნებოდა, ბიჭისთვის კი თითქმის ტაბუ — თითქმის საკუთარი სქესის ღალატის ტოლფასი. მაგრამ, ამავე დროს, კარგად მესმოდა, რომ ის, რაც ჩემთვის “უფრო მისაღები” ჩანდა, რეალურად უბრალოდ შელამაზებული ფორმა იყო იმის, რომ ჩემი ემოციების იოლად გაუფასურება ბევრად უფრო მარტივი იყო, ვიდრე ბიჭების შემთხვევაში.

ერთ დღესაც, როცა შინ დაბრუნებული იმის ფიქრში ვიყავი, რომ საერთოდ არაფერი გამომდიოდა და ალბათ არც რამის უნარი მქონდა, დედაჩემმა მითხრა: “სწორედ იმიტომ, რომ გოგო ხარ, ზედმეტად ბევრს განიცდი.” მაშინ პირველად დავინახე, როგორ ღრმად ფესვგადგმული იყო ეს შეხედულება ჩვენს ოჯახშიც კი — ადამიანებში, რომლებიც ყველაზე მეტად მიყვარს და რომლებსგანაც ყველაზე მეტად მიწოდდა მხარდაჭერა. მაგრამ, ამავე დროს, მივხვდი, რომ ეს მათი ბრალიც არ იყო. ასე იყვნენ გაზრდილნი.

მათთვის ემოციური გადატვირთვა ქალის ბუნებრივი, “ნატურალური” ნაწილი იყო, რომელიც თითქოს მოლოდინების ფარგლებში ჯდებოდა და სათანადო ყურადღებას არც იმსახურებდა.

მერე, ერთ-ერთ სემინარზე, ფსიქოლოგიის ლექტორმა საინტერესო აზრი გამოთქვა: რომ ემოციური კეთილდღეობა არ არის ლაქა, რომელიც, თუ გაჩნდა, უნდა დამალო. პირიქით — ეს არის სიგნალი, რომელიც გვაჩვენებს, სად გვტკივა და რის შესწორება გვჭირდება. სწორედ ამ სიტყვებმა მაიძულა დაფიქრება: იქნებ საკუთარ სტრესზე, შფოთვაზე ან დეპრესიულ ფიქრებზე საუბარი სისუსტე კი არა, პირიქით — ძალაა! ძალა იმის აღიარებისა, რომ ადამიანის ბუნება პოლარიზებული არ არის. რომ ქალიც შეიძლება იყოს ძლიერი ისე, რომ ამ ძალას არ მოეთხოვოს ემოციური დუმილი. და რომ ბიჭიც შეიძლება იყოს სუსტი ისე, რომ ამის გამო არ დაკარგოს თავისი “მამაკაცურობა”.

ჩემს კურსზე ერთ-ერთმა სტუდენტმა ბიჭმა ერთ დღეს გახედა და ჯგუფში ხმამაღლა თქვა, რომ ფსიქოლოგთან დადიოდა და რომ ეს მისთვის ყველაზე სალი გადაწყვეტილება იყო. მაშინ გამეცინა, არა ირონიულად, არამედ იმის გამო, რომ ჩემთვის მაინც წარმოუდგენლად დარჩა, როგორ გაუძლო იმ უხილავ სტიგმას, რომელიც მამაკაცებისთვის ასეთ ნაბიჯს თითქმის გმირობას ხდის. შემდეგ კი მივხვდი: ჩვენ, გოგოებს, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ემოციების გამოხატვას მეტწილად გვპატიობენ, თუმცა ხშირად ამის გამო სერიოზულად არ გვექცევიან,² მათ კი საერთოდ არ აქვთ უფლება, ეს გამოხატონ. ორივე მიმართულებით სტიგმა აზიანებს ადამიანებს, უბრალოდ სხვადასხვა დოზითა და ფორმით.

სწორედ ამ დაკვირვებებმა მიბიძგა, საკუთარ ცხოვრებაში დამღეულ სტიგმაზე უფრო თამამად მესაუბრა. საბოლოოდ ფსიქოლოგთან წასვლა გადაწყვიტე, და იმ დღეს, როცა პირველად შევადე კაბინეტის კარი, პირველად ვიგრძენი, თითქოს საკუთარ თავთან მშვიდობა დამიდგა. ეს არ ყოფილა

სწრაფი პროცესი — არ ყოფილა წუთიერი შვება ან ერთბაშად ნათელი გახსნა. მაგრამ ის იყო ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარე გზა, რომელმაც დამანახა, რომ ემოციური კეთილდღეობა ისევე მოითხოვს ზრუნვას, როგორც ფიზიკური ჯანმრთელობა — და რომ ეს ზრუნვა არ უნდა მოვარგოთ გენდერს. ემოცია ხომ გენდერს არ იცნობს — ისინი უბრალოდ არიან.

მოგვიანებით მივხვდი, რომ საკუთარი ცხოვრებისადმი პასუხისმგებლობა სწორედ იმ ადგილიდან იწყება, სადაც ვადიარებთ, რომ გრძნობებს მნიშვნელობა აქვთ და რომ ჩვენ არ ვართ ვალდებული, ჩავეტოთ იმ გენდერულ ჩარჩოებში, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გვახვევენ თავს. იმის აღიარება, რომ გოგონასთვისაც შეიძლება მძიმე იყოს, რომ სუსტი გახდე, რომ დაიღალო მარტოობისგან, პასუხისმგებლობისგან, სწავლისგან, ურთიერთობებისგან — ეს არ არის ნაკლი, არც “ძალიან ემოციურობა”: ეს უბრალოდ ადამიანობაა.

დღეს, როცა უნივერსიტეტის ბოლო კურსზე ვარ და უკვე მეტი გამოცდილებაც დამიგროვდა, ხშირად ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ შევცვალე ეს პატარა გენდერული მოლოდინები ჩემს ცხოვრებაში მაინც. ვცდილობ, როდესაც უცხო გოგო ან მეგობარი მეუბნება, რომ ცუდად არის, არ გავაკეთო სწრაფი დასკვნები, როგორც ამას სხვები ჩემთან აკეთებდნენ. ვცდილობ, არ ვუთხრა: “ეჰ, გოგოები ხომ ასეთები ვართ.” და არც იმას — “შენ ზედმეტად განიცდი.” პირიქით, ვცდილობ გავუსვა ხაზი, რომ მისი გრძნობები რეალურია. შეიძლება ამით მხოლოდ ერთ ადამიანს დავეხმარო, მაგრამ ყოველ ასეთ პატარა ნაბიჯს შეუძლია სტიგმის ბზარები კიდევ უფრო გააღრმავოს.

ასე რომ, გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა ჩემთვის დღეს უკვე ერთმანეთთან გადაჯაჭვული თემებია, თუმცა არა იმ ბუნებრივი კავშირის გამო, რომელსაც საზოგადოება გვახვევს თავს, არამედ იმის გამო, როგორ გვასწავლეს რომ აღვიქვათ საკუთარი ემოციები, საკუთარი სხეული და საკუთარი გამოცდილება. მე ვერ შევცვლი მსოფლიოს ერთიანად, მაგრამ შემიძლია შევცვალე ჩემი საკუთარი დამოკიდებულება და იმ ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, რომლებიც ჩემ გარშემო არიან.

და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — შევძელი და თავადაც გავარღვიე ის უხილავი სტიგმა, რომლის გამოც წლების განმავლობაში საკუთარი გრძნობების გამოხატვის კი არა, აღიარებაც კი მიჭირდა. ახლა ვიცი, რომ ემოციური კეთილდღეობა არ არის “გოგოს ამბავი” ან “სუსტი ადამიანის” პრობლემა — ეს არის ადამიანის უფლებაც და საჭიროებაც. და თუ ოდესმე შევძლებ ჩემი გამოცდილების გაზიარებით ვინმეს თუნდაც ერთი ნაბიჯით მივუახლოვდე, რომ საკუთარი თავის აღიარების არ ეშინოდეს, მაშინ ჩემი საკუთარი ბრძოლაც თავისი მნიშვნელობით გამართლდება.

გენდერი და თანამედროვე საზოგადოება

გენდერი წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც განსაზღვრავს, როგორ აღიქმება და ფუნქციონირებს სქესი საზოგადოებაში. იგი არ არის მხოლოდ ინდივიდის ფენომენი — გენდერი კვეთს ინსტიტუტებს, კულტურას, სამართალს, ეკონომიკასა და ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ესეში განვიხილავთ გენდერის მრავალგვარ ასპექტს: მედიის როლს, სამართლებრივ სივრცეს, სოციალური სამართლიანობის თემებს, განათლებასა და მეცნიერებებში თანასწორობის გამოწვევებს, ასევე, ყოველდღიურ პირდაპირ პრაქტიკებს, როგორებიცაა ენა და სილამაზის სტანდარტები. ესეს მიზანია არსებული პრობლემების ანალიზი, მიზეზების გამოყოფა და პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზება.

მედიის გავლენა და სტერეოტიპები

მედია არის თვითმყოფადი სოციალური ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია სტერეოტიპების გაძლიერება ან ჩაშლა. სატელევიზიო სერიალები, ფილმები, რეკლამები და დღის პრესა ქმნიან იმ როლების მოდელს, რომელსაც საზოგადოება ნორმად აქცევს. ტრადიციულმა მედიამ ხშირად ქალები წარმოაჩინა ემოციურ, მომხიბლავ და დაცვის მოყვარე პერსონაჟებად, მამაკაცები ძლიერ, გადაწყვეტილების მიმღებ და კომერციულად წარმატებულ ადამიანებად. სოციალური მედია და პლატფორმები Instagram, TikTok, Facebook და სხვ. ერთდროულად ქმნის შესაძლებლობებსა და საფრთხეებსაც.

პოზიტიური მხარე: მსხვერპლებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუძლიათ ხმა მისცენ (#MeToo-ს მსგავსი კამპანიები), გახდნენ ხმის გამაძლიერებლები. ნეგატიური მხარე: ალგორითმული რეკომენდაციები, ვიზუალური იდენტობები და კომერციული ინტერესი ხშირად ამწვავებს სტანდარტებს და აძლიერებს ტოქსიკურ ტენდენციებს.

სექსიზმი რეკლამასა და ფილმებში

რეკლამები ხშირად იყენებენ გენდერულ სექსიზმს მარკეტინგული მიზნების მისაღწევად... ქალს ამახინჯებენ, როგორც „გასაყიდ“ ობიექტს ან ოჯახის დიასახლისს, მამაკაცს — როგორც ფინანსური სტაბილურობის სიმბოლოს. ფილმებში ქალთა როლები ხშირად შემოიფარგლება ერთგანზომილებიანი არქეტიპებით. შედეგი არის არა მხოლოდ არასწორი წარმოდგენები რეალობაზე, არამედ მოტივაციისა და კარიერული არჩევანის შეცვლა, განსაკუთრებით - ახალგაზრდობაში.

სამართლებრივი ბაზა

კანონმდებლობა უზრუნველყოფს ფორმალურ გარანტიებს გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ: ხელშეკრულებები, ანტიდისკრიმინაციული ნორმები, კონვენციები. თუმცა კანონი მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მნიშვნელოვანია მისი ეფექტიანი განხორციელება. დაბრკოლებები მოიცავს რესურსების ნაკლებობას და სოციალური სტიგმებს.

ხშირია შემთხვევები, როცა მსხვერპლი არ მიმართავს უფლებადამცავ ორგანოებს სოციალური ან ეკონომიკური დამოკიდებულების გამო. სხვა პრობლემაა სამართლის აღსრულების არაერთგვაროვანი პრაქტიკა რეგიონებსა და ქალაქებს შორის.

ოჯახური ძალადობა და დაცვის მექანიზმები

ოჯახური და გენდერული ძალადობა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. დაცვის მექანიზმები - შემაკავებელი ორდერები, კრიზისული ცენტრები, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება, რა საკვირველია, არსებობს, მაგრამ ხშირად არასაკმარისია ან მიუწვდომელი. ეფექტური პოლიტიკა მოითხოვს პრევენციას (განათლება, საზოგადოების საქმიანობის შეცვლა), დაცვის ეფექტურ მოხმარებას და მსხვერპლისათვის ხანგრძლივ სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას. საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია საქართველოში მნიშვნელოვან ჩარჩოს იძლევა, თუმცა მათი ადგილობრივი დანერგვა მოითხოვს პოლიტიკურ, ფინანსურ რესურსებს და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. საქართველოში დღის წესრიგშია შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებები, თუმცა გამოწვევად რჩება რეგიონალური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

გენდერული თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა - დემოკრატიის მაჩვენებელია; სამართლიანი საზოგადოება - ეს არის ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი, სქესის მიუხედავად, იღებს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს. გენდერული თანასწორობა აძლიერებს დემოკრატიას, მამაკაცთა როლის გადაფასება მამაკაცების ჩართვა გენდერული თანასწორობის დინამიკაში აუცილებელია. თანასწორობა არ ნიშნავს „ქალთა გამორჩეულობას“, არამედ ქმნის პარტნიორულ პასუხისმგებლობას: ოჯახური მოვალეობების თანაბარი გადანაწილება, კაცების ჩართულობა საოჯახო პრობლემებში და აქტიური თანამონაწილეობა - ეს არის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობა. გენდერი ვერ გაემიჯნება სხვა იდენტობებს: ასაკს, ეთნოსს, სოციალურ კლასს, რეგიონალურ კუთვნილებას... მაგალითად, ეთნიკური უმცირესობის ქალი შეიძლება შეხვდეს როგორც გენდერულ, იმავდროულად - ეთნიკურ დისკრიმინაციას, რაც ქმნის დამატებით დაბრკოლებებს.

პოლიტიკის დაგეგმვისას ინტერსექციური მიდგომა მოითხოვს სპეციფიკურ და ადგილობრივად ადაპტირებულ ღონისძიებებს: თანასწორობა განათლებაში, მეცნიერებასა და ინოვაციებში, ქალები STEM-ში და ა.შ. ეს არის მრავალშრიანი პრობლემა: დაწყებული ბავშვობის სტერეოტიპებით („მათემატიკა ბიჭებისთვისაა“), გაგრძელებული მენტორობისა და ნორმატიული მხარდაჭერის ნაკლებობით უნივერსიტეტსა ან დასაქმებაში. სამუშაო ბაზარზე ეს იწვევს ინოვაციების უკმარისობას და შეზღუდულობას სქესის მიხედვით.

ქალთა პოლიტიკური ჩართულობა დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. თუმცა, რეალობა ხშირად განსხვავებულია: ქალებს პოლიტიკური კარიერის დაწყებისა და წინსვლისას ხვდებათ სტერეოტიპები, რომლებიც „ტრადიციულ“ როლებს დაუსაბუთებლად აკავშირებს. ხშირად პოლიტიკა წარმოჩენილია, როგორც „კაცების საქმე“, რაც ამცირებს ქალების მოტივაციასა და შესაძლებლობებს. გარდა ამისა, არსებობს სტრუქტურული ბარიერები, ფინანსური რესურსების ნაკლებობა, პარტიების შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში შეზღუდული მონაწილეობა, საზოგადოებრივი წნეხი და, ხშირ შემთხვევაში, სექსისტური დამოკიდებულებები.

პოლიტიკაში ქალების გააქტიურება აუცილებელია, რადგან მრავალფეროვანი წარმომადგენლობა უზრუნველყოფს უფრო სამართლიან პოლიტიკას, რომელიც ასახავს მთელი საზოგადოების ინტერესებს და არა მხოლოდ ერთი ჯგუფისას ქალები ხშირად აწყდებიან ეკონომიკურ დაბრკოლებებს, რომლებიც გამოხატულია: ხელფასების გენდერულ სხვაობაში, კარიერულ სტაგნაციაში, გადაუნაწილებელ საოჯახო შრომაში, ლიდერის პოზიციებზე ნაკლებ წარმომადგენლობაში. სტერეოტიპი, რომ „კაცი ოჯახის მარჩენალია“ ხოლო ქალი — მზრუნველი ზღუდავს ორივე სქესის შესაძლებლობებს. ქალები ხშირად

ჩარჩენილი არიან დაბალანაზღაურებად და გადატვირთულ თანამდებობებში, ხოლო კაცები — სოციალური წნეხის ქვეშ, რომ მთელ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისინი იღებენ მიუხედავად იმისა, რომ განათლებაში თანასწორობისკენ დიდი ნაბიჯებია გადადგმული, ზოგიერთი სფერო კვლავ გენდერულად დათქმულია. STEM დარგები (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) ხშირად ასოცირდება მამაკაცურ პროფესიებთან. ეს განპირობებულია ბავშვობიდან დამკვიდრებული სტერეოტიპებით „ქალებს უფრო ჰუმანიტარული სფეროები გამოსდით“ აკადემიურ სივრცეში უხილავი ბარიერებით, ქალების წარმატებების არასათანადო წარმოჩენით. სექსიზმი ხშირად შეუმჩნევლად მოქმედებს: ქალები წარმოდგენილი არიან, როგორც ემოციური, სუსტი ან მეორეხარისხოვანი ჯგუფი, მამაკაცები - როგორც მთავარი მოქმედი პირებისა.

გენდერული უთანასწორობა ოჯახში

გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოვლინება ოჯახურ სივრცეშია. ქალს ხშირად დაეკისრება საოჯახო საქმეების ძირითადი ნაწილი: ბავშვის მოვლა, სამზარეულო, ყოველდღიური საქმიანობები - რაც დაუფასებელი შრომაა და ქალის კარიერულ პოტენციალს მკვეთრად ამცირებს.

მამაკაცებიც ზარალდებიან სტერეოტიპებით: მათგან მოითხოვენ, იყვნენ ყოველთვის ძლიერი, ემოციურად შეკავებული და ფინანსურად პასუხისმგებელი.

თანასწორობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სქესს ჰქონდეს უფლება და, შესაბამისად, გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ ქალების, არამედ მთელი საზოგადოების საკითხია. ეს ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები პოლიტიკაში, სამუშაოზე, განათლებაში, ოჯახში და საზოგადო ცხოვრებაში.

სანამ კულტურული სტერეოტიპები - მედიის გავლენა, სამართლებრივი ბარიერები და ეკონომიკური უთანასწორობა არსებობს, სრულფასოვანი დემოკრატია შეუძლებელია.

საჭიროა განათლების სისტემაში თანასწორობის გაღრმავება, მედიის პასუხისმგებლობა და სექსიზმის აღმოფხვრა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა გაძლიერება, ოჯახში როლების სამართლიანი გადანაწილება.

თანასწორობა არის გზა ისეთი საზოგადოებისკენ, სადაც თითოეული ადამიანი აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, არ არსებობს სტერეოტიპული შეზღუდვები და ყველა სქესის წარმომადგენელი ქმნის სამართლიან, მშვიდობიან და განვითარებულ მომავალს ამიტომ მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უნდა იყვნენ თანასწორნი, რომ გაუგონ ერთმანეთს და გქონდეს წესიერი ოჯახი ყველა პრობლემის მიუხედავად უნდა იყვნენ ერთმანეთს მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალულნი.

გენდერი და თანასწორობა

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ჩვენს დროში იურიდიულად გარანტირებული, მაგრამ პრაქტიკულად განუხორციელებელი ფაქტია. პრობლემები უნდა ვეძებოთ და აღმოვაჩინოთ საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში, მაგალითად, კაცს ხშირად ეპატიება ის, რაც ქალს არ ეპატიება, და ა.შ.

”გენდერი არ განსაზღვრავს შენი შესაძლებლობების საზღვრებს”. დღეს, როდესაც სამყაროს ტექნოლოგიური პროგრესი სწრაფად ვითარდება, ადამიანებს მაინც აბრკოლებთ უხილავი კედელი - სტერეოტიპები. ეს უხილავი ომია საზოგადოების განვითარების წინააღმდეგ მიმართული. ესაა ბრძოლა ადამიანობისთვის, რათა თითოეულმა ჩვენგანმა შეძლოს თავის დამკვიდრება საზოგადოებაში, საკუთარი შესაძლებლობებით ცხოვრება და არა წინასწარი განაჩენებით. სტერეოტიპები თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია და განათლება მაქსიმალურად ხელმისაწვდომია, ადამიანთა ნაწილი მაინც რჩება თავისი დამოკიდებულებებითა და ქცევით ძველად დამკვიდრებულ წარმოდგენებში. სწორედ ეს მიდგომა საკითხისადმი ზღუდავს როგორც ქალს, ასევე მამაკაცს სხვადასხვა სფეროში. ადამიანური ქცევის ანალიზში მნიშვნელოვანია გენდერული მგრძნობელობა. ეს არის უნარი დაინახო სხვების გამოცდილება, საჭიროებები და გამოწვევები სწორედ მათი გენდერული იდენტობის კონტექსტში. ამ უნარის გარეშე ადამიანს გაუჭირდება სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება, თანასწორობის აღქმა.

რა გვინდა ჩვენ, როგორც საზოგადოებას? რომ დავდგეთ „ერთად სხვა ერთა შორის“, რათა საზოგადოებაში იყოს თანასწორი, უსაფრთხო და განვითარებადი გარემო.

უპირველესად, უნდა მოვიშოროთ სტერეოტიპები და ჩამოვყალიბდეთ ღირსეულ, განათლებულ, სამართლიან საზოგადოებად. თითოეული ადამიანის უნიკალურობის დაფასება მნიშვნელოვანია, არა მათი სქესის განსაზღვრით, არამედ უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ყველა მოქალაქემ ქვეყნის წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი ყველა უნარი უნდა გაითავისოს. უნდა იცოდნენ, რომ სტერეოტიპები შეზღუდვას, ხოლო ემპათია და გენდერული თანასწორობა – წინსვლის გზა. ეს გზაა სწორედ ჰუმანური, განვითარებული და სამართლიანი.

გენდერული სამართლიანობის თემა საუკუნეების განმავლობაში არ კარგავდა აქტუალურობას. ამ სტერეოტიპთან ბრძოლა არაერთ სფეროში აისახა, განსაკუთრებით ლიტერატურაში. შემდეგ ლიტერატურის ნიმუშებს სწორედ ეს პრობლემა აერთიანებს – ჰარიეტი ბიჩერ სტოუს „ტომის ქოხი“; ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“; ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“ და სხვა. ამ წიგნების მთავარი თემატიკა სწორედ უთანასწორობა, ძალაუფლება და უსამართლობაა. ეს ნიმუშებიც გვაჩვენებს, რომ სტერეოტიპები ხშირად ხდება კონფლიქტის, უთანასწორობის, ძალადობის მიზეზი.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოების პროგრესისათვის აუცილებელია თავისუფალი, სამართლიანი და სტერეოტიპებისგან დაცლილი გარემო. იმისათვის, რომ მშვიდობა იყოს თითოეულ ადამიანსა და საზოგადოებაში, ძალას უნდა განსაზღვრავდეს ადამიანთა უნარები და არა გენდერული უთანასწორობა, უსამართლობა. სტერეოტიპებს უნდა გადავავიჯოთ, რადგან, როგორც ბრძენი ამბობს - „გენდერი სიბრძნით და არა სტერეოტიპებით განისაზღვრება.“..

განათლება და გენდერული სენსიტიურობა - სწავლების მეთოდები და როლები სკოლასა და უნივერსიტეტში

განათლება - ეს არის საზოგადოების ცვლილებების კატალიზატორი, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ფუნქცია სრულად არ ან ვერ განხორციელდება, თუკი სასწავლო პროცესი არ იქნება გენდერულად სენსიტიური, რაც თავის თავში გულისხმობს, რომ გენდერული ნორმები და სტერეოტიპები გავლენას ახდენს როგორც მოსწავლეების, ასევე სტუდენტების გამოცდილებაზე, სწავლებაზე და მის შედეგზე, ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე. ამიტომაც არის სკოლის და უნივერსიტეტის მაღალი პასუხისმგებლობა, რომ შექმნან ინკლუზიური გარემო მკაფიო, კონკრეტული მეთოდებითა და როლების გადანაწილებით.

სკოლები და უნივერსიტეტები წარმოადგენენ მიკრო საზოგადოებებს, სადაც მოსწავლეები და სტუდენტები ეცნობიან საზოგადოებრივი ნორმების მრავალფეროვნებას. გენდერული სენსიტიურობის დანერგვა სწავლების მეთოდებში მაგალითად, მასალის ანალიზი გენდერული პერსპექტივით ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის გაცნობიერებას და კრიტიკულ შეფასებას. მასწავლებლისა და პროფესორის როლი ამ პროცესში არის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ კრიტიკული დიალოგისა და ემპათიის კულტურის შექმნა.

გენდერულად სენსიტიური სწავლების მეთოდები (როგორებიცაა: დისკუსია/დებატები, როლური თამაშები, შემთხვევის ანალიზი) ქმნის საკლასო გარემოს, რომელიც ასახავს დემოკრატიულ პრინციპებს - თანასწორობა! - ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სქესისა, ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა, გამოთქვას აზრი და იყოს მოსმენილი. პლურალიზმი წახალისებულია განსხვავებული გენდერული გამოცდილებისა და შეხედულებების გაზიარება.

ამ მიდგომებით, საგანმანათლებლო დაწესებულებები ასრულებენ „დემოკრატიის ლაბორატორიის“ ფუნქციას, სადაც სტუდენტები სწავლობენ გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს.

ჩემი პრაქტიკული მაგალითი ასეთია:

ჩემი, როგორც მომავალი მასწავლებლის, როლი „დემოკრატიის ლაბორატორიის“ ფასილიტატორობას გულისხმობს. სწორედ ამიტომ, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კურსის ფარგლებში, სკოლაში პრაქტიკისას გადაწყვიტე, შემესწავლა, რამდენად უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობა ჩემს საკლასო ოთახში დისკუსიების დროს.

1. პრობლემის იდენტიფიცირება (საზოგადოება და დემოკრატია)

პირველადი დაკვირვებით აღმოვაჩინე, რომ, მიუხედავად იმისა, კლასში დაცული იყო დემოკრატიული წესები, ბიჭების მონაწილეობა საერთო დისკუსიაში უფრო აქტიური და დომინანტი იყო. ეს ნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი უთანასწორობის ნორმები უნებლიედ ხდებოდა რეპროდუცირებული ჩემს პრაქტიკაში.

2. სამოქმედო ინტერვენცია (სწავლების მეთოდი)

ამ პრობლემის გადასაჭრელად, როგორც ჩემი მცირე სამოქმედო კვლევის ნაწილი, დავნერგე

გენდერულად სენსიტიური სწავლების მეთოდი – „იფიქრე-დაწყვილდი-გააზიარე“

კომპლექსური შეკითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვდი, ინდივიდუალურად ეფიქრათ, შემდეგ კი შერეული გენდერული წყვილები შეექმნათ.

ამ მეთოდით ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სქესისა, მიეცა ხმის ამოღებისა და აზრის განვითარების საშუალება და გაიზარდა პლურალიზმი დიალოგში.

3. შედეგი და რეფლექსია (მონაწილეობა და მდგრადი განვითარება)

ინტერვენციის შემდეგ ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ გოგონების მონაწილეობის მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო მათი პასუხების ხარისხი გაუმჯობესდა. ამ გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ჩემი, როგორც მასწავლებლის, გენდერულად სენსიტიური მიდგომა უშუალოდ უწყობს ხელს არა მხოლოდ საკლასო ოთახში თანასწორობის მიღწევას, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი განვითარების მთავარი მიზნის, გენდერული თანასწორობის, მხარდაჭერას.

ამგვარად, მე ვაქციე ჩემი პრაქტიკა დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულ სასწავლო სივრცედ. მასწავლებლის როლი ტრადიციული ცოდნის მიმწოდებლის ფუნქციიდან გადადის ფასილიტატორის და კატალიზატორის ფუნქციაზე, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინკლუზიურ გარემოს.

სტუდენტების მონაწილეობა გენდერული საკითხების გადაჭრაზე ორიენტირებულ პროექტებში მაგალითად, სკოლის/უნივერსიტეტის პოლიტიკის შეცვლა პირდაპირ ავითარებს აქტიური მოქალაქეობის უნარებს და აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება თეორიული ცოდნის პრაქტიკულ, დემოკრატიულ მონაწილეობად გარდაქმნა.

როგორც პედაგოგიური პრაქტიკის მკვლევარი, მე არ შემოვიფარგლე მხოლოდ საკლასო ოთახში ცოდნის გადაცემით. ჩემი მიზანი იყო, გამომეყენებინა თეორიული ცოდნა პრაქტიკულ, დემოკრატიულ მონაწილეობად გარდაქმნისთვის და გავმხდარიყავი კატალიზატორი საგანმანათლებლო გარემოში.

1. პრობლემის იდენტიფიცირება (ფასილიტატორის როლი)

სკოლის პრაქტიკის დროს შევისწავლე სასკოლო სივრცეში არსებული გენდერული სტერეოტიპები და საზოგადოებრივი ნორმები. დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე, რომ სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა და აქტივობები დომინანტურად მიმართული იყო ბიჭებისკენ მაგალითად, ეზოში მხოლოდ ფეხბურთის მოედანი იყო. ამან გოგონების ფიზიკური მონაწილეობის შესაძლებლობები შეზღუდა, რაც არღვევდა დემოკრატიული თანასწორობის პრინციპებს.

2. სამოქმედო პროექტი (დემოკრატიული მონაწილეობა)

გადავწყვიტე, ჩემი, როგორც ფასილიტატორის/კატალიზატორის როლით, წამომეწყო სამოქმედო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლის პოლიტიკაში ცვლილების შეტანას გენდერული სენსიტიურობის მიმართულებით:

ჩავატარე მცირე კვლევა (ფოკუს-ჯგუფები და გამოკითხვები) მოსწავლეებთან და მშობლებთან, რათა დავადგინე, რა სახის ფიზიკური აქტივობების ინიცირება სურდათ გოგონებსა და ბიჭებს. ამან უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა.

სტუდენტებთან ერთად შევიმუშავე წინადადება სკოლის ადმინისტრაციისთვის. წინადადება მოიცავდა სპორტის საათებში როტაციის პრინციპის დანერგვას და ეზოს სივრცის მოდიფიცირებას, რათა გოგონებსა და ბიჭებს თანაბრად ჰქონოდათ წვდომა მრავალფეროვან აქტივობებზე.

3. შედეგი და რეფლექსია (მდგრადი განვითარება)

სკოლის ადმინისტრაციამ მიიღო ჩვენი წინადადება. ეს იყო ჩემი თეორიული ცოდნის პრაქტიკული

განხორციელების შესაძლებლობა, რამაც აჩვენა, რომ მასწავლებლის როლი არის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ საზოგადოების ინსტიტუციურ დონეზე პოზიტიური ცვლილებების ინიცირება. ამ პროექტმა უშუალოდ შეუწყო ხელი გენდერული თანასწორობის მიღწევას სკოლაში, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

გენდერული სენსიტიურობა არის საფუძველი იმისა, რომ მდგრადი განვითარების მიზნები რეალობად იქცეს. როდესაც განათლების სისტემა არ უშვებს გენდერულ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ წვდომას და წარმატებას, ის ზრდის ადამიანურ კაპიტალს საზოგადოება სრულად იყენებს მოსახლეობის მთელ პოტენციალს. უზრუნველყოფს სამართლიანობას- გენდერული თანასწორობის პრინციპები ხდება ნორმა, რაც აუცილებელია მდგრადი და მშვიდობიანი საზოგადოებისათვის.

გენდერული სენსიტიურობა არის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედი, რადგან ის უზრუნველყოფს სამართლიანობას და ზრდის ადამიანურ კაპიტალს. ჩემი პრაქტიკული კვლევის ფარგლებში, ვეცადე ამ პრინციპის დანერგვას ტრადიციულად სტერეოტიპულ საგანში – მათემატიკაში/მეცნიერებაში (STEM).

1. პრობლემის იდენტიფიცირება (თანაბარი წვდომა და წარმატება)

პირველადი დაკვირვებით აღმოვაჩინე, რომ, მიუხედავად მაღალი აკადემიური მოსწრებისა, გოგონები ნაკლებად იჩენდნენ ინტერესს და არიდებდნენ თავს კომპლექსური ტექნიკური პრობლემების საჯარო პრეზენტაციას, რაც მომავალში შეზღუდავდა მათ მონაწილეობას STEM სფეროებში. ეს მიუთითებდა საზოგადოებაში არსებულ გენდერულ მოლოდინებზე.

2. სამოქმედო ინტერვენცია (გენდერული სენსიტიურობის მეთოდები)

როგორც ფასილიტატორმა, დავნერგე გენდერულად სენსიტიური სასწავლო მეთოდი, რომელიც მიმართული იყო თანაბარი წარმატების უზრუნველყოფაზე.

გავზარდე გაკვეთილებზე იმ ცნობილი ქალი მეცნიერების/ინჟინერების შესახებ მასალის ინტეგრაცია, რომლებმაც წვლილი შეიტანეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში რითაც ვაჩვენე, რომ საზოგადოება სრულად იყენებს ქალების პოტენციალს.

დავალელების ფორმულირებისას გამოვიყენე გენდერულად ნეიტრალური კონტექსტი და მაგალითები, რომლებიც თანაბრად მიმზიდველი იყო ორივე სქესისთვის.

3. შედეგი და მნიშვნელობა (ადამიანური კაპიტალი და სამართლიანობა)

ამ მიდგომის შედეგად, გოგონების ნდობა და აქტიური მონაწილეობა რთული საკითხების გადაწყვეტაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ პრაქტიკით, მე უზრუნველყავი სამართლიანობა ჩემს საკლასო ოთახში და წავახალისე მოსწავლეები, განევითარებინათ თავიანთი სრული პოტენციალი, რაც აუცილებელია ადამიანური კაპიტალის ზრდისთვის. ეს პირდაპირ ადასტურებს, რომ დემოკრატიულად სამართლიანი განათლების სისტემა არის მდგრადი და მშვიდობიანი საზოგადოების საწინდარი.

გენდერულად სენსიტიური სწავლების პროგრამები, რომლებიც იყენებენ აქტიურ მეთოდებს, სტუდენტებს ამზადებს, გახდნენ მდგრადი განვითარების აქტიური აგენტები და ლიდერები, რომლებიც შეძლებენ პრობლემების ჰოლისტიკურად, მათ შორის გენდერული პერსპექტივით დანახვას.

როგორც უკვე აღვნიშნე, განათლება ეს არის საზოგადოების ცვლილებების კატალიზატორი, სადაც სკოლის და უნივერსიტეტის მაღალი პასუხისმგებლობაა, რომ შექმნან ინკლუზიური გარემო მკაფიო, კონკრეტული მეთოდებითა და როლების გადანაწილებით.

გენდერულად სენსიტიური სწავლების უმთავრესი მიზანია სტერეოტიპების დეკონსტრუქცია, რაც

მოითხოვს როგორც მასალების ადაპტირებას, გადახედვას, კურიკულუმმა უნდა შეძლოს თანაბრად წარმოაჩინოს როგორც ქალების, ასევე მამაკაცების წვლილი ნებისმიერ სფეროში, ისტორიაში, მეცნიერებაში თუ სხვა.. დიდ ბრიტანეთსა და ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი.- იმისთვის რომ მივიღოთ ეფექტური შედეგი გენდერული სენსიტიურობა საჭიროა ინტერაქტიული პედაგოგიური მეთოდები, მასწავლებელმა და ლექტორმა უნდა გამოიყენონ დისკუსიები, დებატები გენდერულ საკითხებზე, რათა მოსწავლეებს და სტუდენტებს გამოუმუშავდეთ კრიტიკული აზროვნების უნარი, როლური თამაშები და გუნდური განხილვები საშუალებას მისცემს მათ, გააცნობიერონ დისკრიმინაციის და უთანასწორობის გავლენა ნებისმიერ სფეროზე და ნებისმიერ დროში. მასწავლებლის მუდმივი კონტროლი, თვითრეფლექსია საკუთარ ქცევაზე, ნებით ან უნებლიედ რომ არ შექმნას დისკრიმინაციული გარემო სასწავლო სივრცეში, რომელიმე სქესის მიმართ ყურადღების მიკერძოებით.

გენდერულად სენსიტიური სწავლების უმთავრესი მიზანია სტერეოტიპების დეკონსტრუქცია, რაც მოითხოვს როგორც მასალების ადაპტირებას, გადახედვას, ასევე, კურიკულუმმა უნდა შეძლოს თანაბრად წარმოაჩინოს როგორც ქალების, ასევე მამაკაცების წვლილი ნებისმიერ სფეროში, ისტორიაში, მეცნიერებაში თუ სხვა. დიდ ბრიტანეთსა და ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი.

იმისთვის, რომ მივიღოთ ეფექტური შედეგი გენდერული სენსიტიურობა საჭიროა ინტერაქტიული პედაგოგიური მეთოდები, მასწავლებელმა და ლექტორმა უნდა გამოიყენონ დისკუსიები, დებატები გენდერულ საკითხებზე, რათა მოსწავლეებს და სტუდენტებს გამოუმუშავდეთ კრიტიკული აზროვნების უნარი, როლური თამაშები და გუნდური განხილვები საშუალებას მისცემს მათ, გააცნობიერონ დისკრიმინაციის და უთანასწორობის გავლენა ნებისმიერ სფეროზე და ნებისმიერ დროში. მასწავლებლის მუდმივი კონტროლი, თვითრეფლექსია საკუთარ ქცევაზე, ნებით ან უნებლიედ რომ არ შექმნას დისკრიმინაციული გარემო სასწავლო სივრცეში, რომელიმე სქესის მიმართ ყურადღების მიკერძოებით.

მასწავლებლები და ლექტორები არ არიან მხოლოდ ცოდნის გადამცემნი, არამედ ისინი არიან შუამავლები და შეუძლიათ შექმნან უსაფრთხო სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო სივრცე, სადაც არავინ იგრძნობს თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად. ამ როლის შესრულება მოითხოვს ტრენინგებს, შეხვედრებს გენდერული ცნობიერების ამაღლების შესახებ.

აქვე დავძენ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, პირველსაწყის გარემოს, სადაც შვილები ხდებიან ხოლმე დისკრიმინაციის და სტიგმატიზაციის მსხვერპლნი არასასურველი გენდერის გამო. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკა გენდერული დისკრიმინაციის რადიკალური გამოვლინებაა. ის ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგრადობაზე, უსაფრთხოებაზე, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ვიღებთ ძალადობის გაზრდას, ეკონომიკურ რეგრესს და შობადობის შემცირებას. ამ პროცესის შესაჩერებლად უპირველესად უნდა ვაღიაროთ ჯერ მოცემული პრობლემა, შემდეგ კი დავიწყოთ საზოგადოებრივი დისკუსიები იმ ნორმებისა და ქცევების შესაცვლელად, რომლებსაც მივყავართ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევამდე. ამისთვის აუცილებელია მეტი განათლება და ინფორმაციის სწორად მიწოდება, საჭიროებების გაანალიზება.

თანასწორობისათვის გადამწყვეტია თვით სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართულობა, სტუდენტური კლუბები, ინიციატივები და თანატოლთა განათლების პროგრამები შეუწყობს ხელს

თანასწორობის კულტურის ჩამოყალიბებას და სტერეოტიპების დაძლევას.

გენდერული თანასწორობა არის მიზანი, გენდერული ნეიტრალიტეტი და გენდერული სამართლიანობა კი არის პრაქტიკა და აზროვნების მეთოდები, რომელთაც მივყავართ მიზნის მიღწევისაკენ.

გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადებაში გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ „ქალები და მამაკაცები, გოგონები და ბიჭები ერთნაირი უფლებებით, შესაძლებლობებით და დაცვით სარგებლობენ. არ მოითხოვს იმას, რომ გოგონები და ბიჭები, ან ქალები და კაცები, ერთნაირები იყვნენ, ან რომ მათ ზუსტად ერთნაირად მოეპყრონ.“

გენდერული სენსიტიურობა არის გზა გენდერული თანასწორობის მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს არ შეეზღუდოს ადამიანს ნებისმიერ საქმიანობაში მონაწილეობა გენდერის გამო. სენსიტიური მიდგომები იწვევს უკეთეს შედეგებს, რადგან პრობლემების გადაწყვეტა ხდება უფრო სრულყოფილად, ის უწყობს ხელს ინკლუზიურობას და საზოგადოებაში სამართლიანობისა და თანასწორობის კულტურის დამკვიდრებას.

გენდერული სენსიტიურობა არის პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ინდივიდებს და ინსტიტუტებს, იმოქმედონ ისე, რომ ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას და სოციალურ სამართლიანობას.

და ბოლოს, განათლებაში გენდერული სენსიტიურობის დანერგვა არ არის დროებითი პროცესი, ეს არის განგრძობითი ხასიათისა, რომელიც ეხება ყველა დონეს: კურიკულუმს, პედაგოგიურ მეთოდებსა თუ ორგანიზაციულ საკითხებს.. მაშინ, როდესაც სკოლა და უნივერსიტეტი შეგნებულად, გათვითცნობიერებულად და მხარდამხარ დგომით უპირისპირდებიან გენდერულ მიკერძოებას, დისკრიმინაციას, მათ ნამდვილად შეუძლიათ შეცვალონ არსებული მოცემულობა პროგრესულად, შეუძლიათ აღზარდონ ისეთი ახალი თაობა, რომლებიც დააფუძნებენ თანასწორ, სამართლიან და ინკლუზიურ საზოგადოებას, სადაც არ იქნება დისკრიმინაცია და გენდერული უთანასწორობა.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში - ქალთა მონაწილეობა და ბარიერები რეალურისა და ირეალურის ზღვარზე...

ვსწავლობ სამართლის სპეციალობაზე. მზიანი გაზაფხულის ერთ თბილ დღეს უნივერსიტეტში გავემურე. აღმოჩნდა, რომ განსახილველი თემა საკანონმდებლო ორგანოს ისტორია და ფუნქციონირება გახლდათ. ლექციაზე ვმსჯელობდით საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორიული განვითარების შესახებ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ლექტორის სიტყვებმა; „1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრებაში შედიოდა 130 დეპუტატი, მათ შორის 5 ქალი იყო. 1919 წელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, მაგრამ ამავე დროს, მძიმე ეპოქის ნაპერწკლად დარჩა.“ დავიწყე ფიქრი იმაზე, ახლად დაბადებული დემოკრატიული რესპუბლიკა როგორ ცდილობდა, თავისი ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიო რუკაზე — არა ძალითა და ხმლით, არამედ გონივრული გადაწყვეტილებებით, პროგრესითა და ადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკით. სწორედ ამ ფონზე შეიქმნა საქართველოს დამფუძნებელთა კრება, რომელიც 130 დეპუტატისგან შედგებოდა. ეს იყო ხალხის ნებით არჩეული ორგანო, ქვეყნის უკეთესი მომავლის სიმბოლო. მაგრამ ამ 130 ადამიანს შორის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი, გამორჩეულია 5 ქალი! პირველად ჩვენს ისტორიაში, ან თუნდაც იმ დროის მსოფლიო მასშტაბით არსებულ ბევრ სახელმწიფოსთან შედარებით, ეს იყო წარმოდგენილად თამამი ნაბიჯი. ეს ხუთი ქალი არ იყო მხოლოდ სტატისტიკა. ისინი იყვნენ ხმა იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არა მხოლოდ ქვეყნის გათავისუფლებას, არამედ აზროვნების გათავისუფლებას ცდილობდა. ეს იყო ქვეყნის სურვილი, ეთქვა: „ქალი მოქალაქეა, ქალი პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, ქალი გადაწყვეტილებებს იღებს და მისი ხმა მნიშვნელოვნად ჟღერს.“ სამართლიანად უნდა ითქვას რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა მთელ მსოფლიოში მისაბამ, გამორჩეულ და განსხვავებულ პრაქტიკას ამკვიდრებდა, ბევრი მიზეზის გამო. მათ შორის იმიტომ, რომ ქალებს პოლიტიკაში მონაწილეობა შეეძლოთ. 1919 წლის თებერვალში ჩატარებული საყოველთაო, ფარული, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების შედეგად 5 დეპუტატი ქალი გახლდათ: ანა სოლოდაშვილი, ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ქრისტინე შარაშიძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ელენორა ტერ-ფასეგოვა-მახვილაძე.

ბევრს ვფიქრობდი მათ შესახებ. ვეცადე, გონების თვალთ წარმომედგინა პირველი საერთო სხდომის დროს მათი ემოციები, თავი ერთ-ერთი ქალი დეპუტატის, ანა სოლოდაშვილის ადგილას წარმოვიდგინე... წარმოსახვაში გაჩნდა კადრები, როგორ მივდივარ ტრიბუნისკენ, როგორ მესმის საკუთარი გულისცემა, როგორ ვიწყებ საუბარს აკანკალებული ხმით: მე, ანას, მეჯვრისხველ გოგოს, სახლში ოლასაც მეძახიან. განათლება ხარკოვში მივიღე. ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ძალ-ღონეს არ ვიშურებ მის საკეთილდღეოდ. სწორედ ამიტომ ქალთა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლავართ, სტუდენტობიდანვე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გავხდი და რევოლუციური მოძრაობების ერთ-ერთ გავლენიან წევრად ვიქეცი, მაგრამ 1919 წლის დამფუძნებელი კრების დეპუტატად, თუ ამირჩევდნენ, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. საკანონმდებლო ორგანოს

დღევანდელ, პირველ სხდომაზე მოვიჩქაროდი, მაგრამ, როცა პარლამენტის კართან მივედი, ფეხები ამიკანკალდა. მეფიქრება, შევძლებ თუ არა ღირებული საქმის გაკეთებას. რამდენი ღირსეული ქალბატონია ჩვენს ქვეყანაში, რამდენი მათგანი ოცნებობს აქამდე მოსვლაზე, თუმცა მათი ოცნება ოცნებადვე რჩება. მე კი იმ ქალებიდან ერთ-ერთი ვარ, ვინც ამ ოცნებისკენ ნაბიჯი გადადგა. როცა დარბაზში შემოვედი, არაფერი მესმოდა ჩემი გულის ფეთქვის გარდა, შინაგანი ხმა, ჩემი გულის ხმა კიოდა: „აქ ხარ... მართლა აქ ხარ...“;

ისევ დავაბიჯებ წარმოდგენების სამყაროში. ვაგრძელებ „ანაობას“. მესმის მისი ფიქრები: „მე ვიცოდი, რომ ეს ადგილი მხოლოდ ჩემთვის არ იყო გამზადებული. ეს იყო ადგილი ყველა იმ ქალისთვის, რომელიც წლების განმავლობაში უხილავ კედლებს ეჯახებოდა, ვისაც უსმენდნენ, მაგრამ არ ესმოდათ, ვინც ფიქრს მალავდა, რადგან გამოხატვის უფლება არ ჰქონდა.“

პარლამენტში ყოფნისას ჩემ ირგვლივ მამაკაცების ხმები ირეოდა – თავდაჯერებული, გამოცდილი, ხანდახან მკაცრი. მე, ქალი, რომელიც ჯერ კიდევ გაუბედავად დავაბიჯებდი ამ სამყაროში, ვეუბნებოდი ჩემს თავს: „ნუ შეშინდები. შენი ხმა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი.“ ხანდახან საკუთარ თითებს ვუყურებდი – უბრალო, ჩვეულებრივ ხელებს – და ვერ ვიჯერებდი, რომ ამ ხელებით შეიძლებოდა კანონზე კომენტარი დამეწერა, გადაწყვეტილება მიმეღო, ქვეყნის მომავალი გადამეწყვიტა. ვიცოდი, რომ იმ დროს ბევრ ქვეყანაში ქალი არც არჩევნებში მონაწილეობდა, არც პარლამენტთან მიახლოების უფლება ჰქონდა, მაგრამ ეს არ ბადებდა ჩემში განცდას, რომ განსაკუთრებული ვიყავი. პირიქით – აძლიერებდა განცდას, რომ მოქალაქის ვალდებულებას ვასრულებდი. ამეკვიატა ფრაზა: „თუ მე დღეს შევძლებ ხმამაღლა საუბარს, ხვალ სხვა ქალიც გაბედავს.“

გონებაში გაკრთა კადრი, როგორ გადაურბინა ანას სახეზე ღიმილმა. რას შეიძლება გაემხიარულებინა ერთ-ერთი პირველი პარლამენტარი ქალბატონი? ისევ სასწაულებრივად გახმაურდა ანას ფიქრები: „პარლამენტში პირველი ნაბიჯების შიშს კი დავძლე, მაგრამ დედაჩემის საყვედურს ვერაფერს ვუბერებ. ვერაფრით დავარწმუნე, რომ პარლამენტარობა ქალის საქმეა. 37 წლის ქალს ბავშვივით მტუქსავს და მსაყვედურობს: შენი პარლამენტი ოჯახია, გერჩივნა შვილები გაგეჩინა და გაგეზარდაო. ვუმტკიცებ, დედა, 37 წლის ვარ, თვითონ შემიძლია არჩევანი გავაკეთო მეოქი, მაგრამ დედაჩემს ეს არგუმენტი არაფერს ეუბნება, არც დედაჩემს, არც მამაჩემს, არც ნათესავებს. მოკლედ, ერთადერთი ვისთანაც ბრძოლა ვერ მოვიგე ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანები არიან... ამამიც თავისებური ხიბლია, ქართული ოჯახური ურთიერთობების ხიბლი - არ სრულდება მშობლების საზრუნავი, სიცოცხლის ბოლომდე შვილების ცხოვრებით ცხოვრობენ, როცა საქმე შვილს ეხება, მშობლებისთვის თითქოს დრო ჩერდება, შვილი რამდენი წლისაც არ უნდა იყოს, „ბავშვია“, ბავშვს კი ზრუნვა და დარიგება სჭირდება“,

ანას ფიქრებმა სული გამიბოო. ერთადერთი, ავბედიტად გაკრთა „37“. უცნაურია, მის ცხოვრებაში 37 საკრალური რიცხვი აღმოჩნდა. 37 წლის ასაკში გახდა პარლამენტარი ქალი, 37-ე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა შორის და (19)37 წელს დახვრიტეს...

21-ე საუკუნის გადმოსახედიდან ნამდვილად საამაყოა 5 ქალი პარლამენტარი, ამავდროულად, იოლია იმის წარმოდგენა, თუ როგორი რთული იყო მათთვის იმ დარბაზის კარის გაღება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი. ქალებმა შეაბიჯეს არა როგორც სტუმრებმა, არამედ როგორც მომავლის შემოქმედებმა. მათ თითოეულ ნაბიჯს წინ საქართველოს ისტორიაში ბევრი ცნობილი ქალის გამბედაობა, ჭკუა, სიბრძნე და დიპლომატია ედგა. კრავაისა და ხუაშაქის ისტორია გრძელდებოდა საუკუნეების მერე, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველ

ქალ მეფეებსა და დედოფლებზე.

ხუთი ქალის პარლამენტში ყოფნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ისტორიის გვერდზე დატანილი სახელებით. ისინი გახდნენ მაგალითი იმისა, როგორ ირჩევდა ქართველი ერი ყოველთვის პროგრესს, თანასწორობასა და სამართლიანობას. მათი არსებობა პარლამენტში იყო გზავნილი — ხმამაღალი, მკაფიო და ღირსეული: ქალი პოლიტიკაში შემთხვევითობა კი არა, კანონზომიერება და საჭიროებაა.

აქამდე თუ ანა სოლოლაშვილი 100-ზე მეტი წლის ისტორიის სიღრმიდან მელაპარაკებოდა, ახლა მე გამიჩნდა სურვილი მისთვის ჩემი სათქმელი გამეზიარებინა, ერთგვარად თავი მომეწონებინა და სიამაყით მეთქვა, რომ დღეს ვაფასებთ მის ღვაწლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ვაგრძელებთ მის სულისკვეთებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს ქალებისა და მამაკაცების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ამგვარად, საქართველოში ისევე, როგორ დემოკრატიული ქვეყნებში სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას და უზრუნველყოს თანასწორობის უფლება, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საკუთარი შესაძლებლობებისა და ნიჭის სათანადოდ წარმოჩენის შესაძლებლობა. თანასწორობის უფლება ერთ-ერთი იმ უფლებათაგანია, რომლებიც ისტორიის განმავლობაში ირღვეოდა და იზღუდებოდა, რაც გამოწვეული გახლდათ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და სახელმწიფოთა არასამართლიანი პოლიტიკის გამო, ბევრი ქალი დარჩა პროფესიის გარეშე, ბევრმა მიღებული ცოდნა ვერ გამოიყენა, ბევრმა დაკარგა შესაძლებლობა, განეითარებინა საკუთარი შესაძლებლობა, იმიტომ რომ ქალი იყო, მაგრამ მუდამ ცდილობდნენ ქმედითი ნაბიჯის გადადგმას, ხდებოდნენ თვალნათელი მაგალითი გამბედაობისა და არ უშინდებოდნენ სირთულეებს. ქალების როლი პოლიტიკაში არსებითია, ისინი ქვეყნის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, შეუძლიათ იქცნენ გარდამტეხი ცვლილებების ინიციატორებად, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თანასწორ გარემოში იცხოვრონ.

მე მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტი ვარ და უკვე ვიცი, რომ ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. იმასაც ვხედავ, რომ ბოლო ათწლეულებში ქალების პოლიტიკური აქტიურობის მნიშვნელოვნად გაზრდის მიუხედავად, გენდერული ბარიერები კვლავაც ხელს უშლის მათ სრულფასოვან მონაწილეობას. ეს ბარიერები ხშირად უხილავია, თუმცა ძლიერი გავლენა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოზე, გადაწყვეტილებების ხარისხზე და ზოგადად, საზოგადოებრივ განვითარებაზე. როგორ დავძლიოთ გენდერული ბარიერები? ეს ჩემი თაობის წინაშე დასმული კითხვა და გამოწვევაა. ჩემი აზრით, განათლება და ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საზოგადოების განვითარებისთვის, ასევე პოლიტიკური გარემოს რეფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს მეტი ქალის დასაქმებას ლიდერულ პოზიციებზე, გარდა ამისა მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ასევე მნიშვნელოვანია ოჯახისა და სამუშაოს შეთავსების პოლიტიკა, რაც ქალს საშუალებას მისცემს ბავშვზე ზრუნვის სერვისების პირობებში, მოქნილი გრაფიკების შემთხვევაში დაინტერესდეს პოლიტიკური ცხოვრებით ასე ვფიქრობ დღეს, თუმცა წინ საუნივერსიტეტო ცხოვრების მინიმუმ ნახევარია.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

ნებისმიერი ადამიანი იზადება არა იმისთვის, რომ უბრალოდ იცოცხლოს, არამედ იმისთვის, რომ თავისი დანიშნულება, როლი შეასრულოს. არ აქვს მნიშვნელობა იმას ის კაცი იქნება, თუ ქალი, ორივეს აქვს თავისი მისია და ეს მისია სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლაა. ღმერთმა, შესაქმის ბოლო დღეს, როცა გადახედა მის შექმნილ სამყაროს დაინახა, რომ ამ სამყაროს სჭირდებოდა ადამიანი და შექმნა თავის ხატად და მსგავსად კაცი, რომელსაც უწოდა ადამი. მაგრამ ადამის სჭირდებოდა გვერდით სხვა მისი მსგავსი, ამიტომ შექმნა ღმერთმა ქალი სახელად ევა. ორივე თანასწორები იყვნენ ღვთის წინაშე. ქალი და კაცი ერთმანეთის გვერდით იდგნენ და არა ერთმანეთის უკან. თანასწორობა არის ის უხილავი სიმძიმე, რომელიც ბალანს აძლევს სამყაროს. როცა ერთ მხარეს უპირატესობა ენიჭება მეორის ხარჯზე, ეს ბალანსი ირღვევა და სამყარო თავის არსს კარგავს.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა მხოლოდ სოციალური პრინციპი არ არის, ეს ადამიანის შინაგანი ღირებულებაა, რომელსაც ერი აღიარებს, როცა სულიერად მწიფდება. საქართველომ კი ამ სიმწიფეს ჯერ კიდევ საუკუნეების წინ მიაღწია. ჩვენი ხალხის სულიერ კულტურაში ქალი არასდროს ყოფილა ჩრდილში იგი იყო თანამებრძოლი, თანამგრძნობი, აღმზრდელი და შემოქმედი სწორედ ამიტომ ქართული ცნობიერება თანასწორობის იდეითაა გაჟღენთილი.

ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში. წმინდა ილია მართალი წერს:

„ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა- ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს, - „დედა-ქალაქს,“ - მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას, - „დედა- ბოძს,“ უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს, „დედა-ბურჯს,“ სამთავრო აზრს, - „დედა-აზრს,“ გუთნის განმგებელ მამაკაცს კი - „გუთნის-დედას“. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა!” (ილია).

ილია აქ გვაჩვენებს, რომ ქართველებისთვის ქალი და დედობა მხოლოდ ოჯახის ნაწილი კი არა, არამედ მთელი ეროვნული აზროვნების საყრდენია. სიტყვა „დედა“ სიძლიერეს, საწყისს, საფუძველს და მთავარ ღირებულებას ნიშნავს. ამიტომაც ქართველები ყველაზე მნიშვნელოვან საგნებსა და ცნებებს „დედას“ ასოცირებენ. ეს ხაზს უსვამს, რამდენად ღრმად არის ქალის როლი დამკვიდრებული ჩვენს კულტურაში, როგორც ეროვნული ცხოვრების ძალა, საყრდენი და გეზის მიმცემი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ქართული ენა, რომელიც თავად არის თანასწორობის ერთ-ერთი უძველესი გამოხატულება. ბესიკ ხარანაული თავის ლექსში „სიტყვა არტიკულაციულ ენებს“ წერს:

„ძველისძველზე იმდენად, რომ სქესიც კი არ გააჩნია“

ეს ფრაზა ჩვენს ენას აღწერს, როგორც სუფთა, ადამიანზე ორიენტირებულ ისეთ ენას, სადაც გრამატიკულადაც კი არ არსებობს გარჩევა მამრობითისა და მდედრობითს შორის. ენის ეს ნიშანი არ არის მხოლოდ ლინგვისტური თავისებურება ეს კულტურული სიმბოლოა. ქართველი ერი სიტყვიდანვე აღიარებდა სქესთა თანასწორობას. სწორედ ამიტომ ქართულ ლიტერატურაში ქალი და მამაკაცი

თანასწორი გმირები არიან სულიერად, ზნეობრივად და გონებრივად.

შოთა რუსთველის „ვეფხისტათაჲსანი“ ამ იდეის ერთ-ერთი უძლიერესი დადასტურებაა. რუსთველი ხაზგასმით ამბობს: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდაც ხვადია.“

ამ სიტყვებში ქალი ისევე ძლიერია, როგორც მამაკაცი. თინათინი და ნესტარ-დარეჯანი არ ემორჩილებიან გარემოს წნეხს, ისინი თავად განსაზღვრავენ საკუთარ ბედს, იღებენ რთულ გადაწყვეტილებებს და იბრძვიან სიყვარულისთვის და ღირსებისთვის. რუსთველის სამყაროში სქესობრივი განსხვავება ძალაუფლების საზომი არ არის, სწორედ ამიტომაც ტარიელი თინათინის გამეფებას ამაყად ემორჩილება. ამავე იდეას განავრცობს ილია ჭავჭავაძეც მოთხრობაში „ოთარანთ ქვრივი“. გმირი ქალი არა მხოლოდ დედაა, არამედ ღირსების, ნებისყოფისა და მორალური სიმტკიცის სიმბოლო. მისი ქცევა ამხელს საზოგადოებაში არსებულ უსამართლობას და აჩვენებს, რომ ქალის გონიერება და სიძლიერე მამაკაცისას არ ჩამოუვარდება. ილიასეული ქვრივი არ ემორჩილება უსამართლობას, არ იხრება ძალაუფლების წინაშე, ის სამართლიანობისთვის იბრძვის. აქ სწორედ თანასწორობის იდეაა წარმოჩენილი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ მოქმედებით.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ერთ-ერთი უძველესი ფორმულირება მოდის მეხუთე საუკუნიდან. წმინდა შუშანიკი ამბობს: „განვისაჯეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყვაი ვთქვათ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.“ ამ სიტყვებით შუშანიკი ამტკიცებს, რომ ღმერთის წინაშე არ არსებობს გენდერული ბარიერი, მხოლოდ სიმართლე და რწმენაა მთავარი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ხმამაღალი განცხადება ქალის სულიერი თანასწორობის შესახებ ქართულ ისტორიაში.

მახსენდება წმინდა ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის სიტყვები, რომელიც ამბობდ: ქრისტიანობა ქალისგან გონიერებასა და მხნეობას მოითხოვს, იგი ვერ მოითმენს, რომ მას მამაკაცთან მონური დამოკიდებულება ჰქონდეს, როგორც ეს გაუნათლებელსა და უსჯულო ქვეყნებში ხდება, სადაც ქალი მხოლოდ მამაკაცის პირუტყვულ ვნებათა მსახურად ითვლება. ქრისტიანულ საზოგადოებაში ქალს დიდი პატივი და დანიშნულება აქვს, რადგან ღმერთმა იგი მრავალი განსხვავებული თვისებითა და ნიჭით შეამკო. სამწუხაროდ, გონიერებისა და მხნეობის გამოყენება ბოროტი საქმეებისთვისაც შეიძლება, ქალი კი თავის დანიშნულებას მაშინ შეასრულებს, თუ ამ თვისებებთან ერთად სიმშვიდითა და სიმდაბლითაც იქნება შემკული და თავის ჭკუას და სულიერ სიმტკიცეს ოჯახსა და მახლობლებს მოახმარს. ჩვენ, ქართველებს ძალიან გაგვიმართლა (განსაკუთრებით ჩვენ, ქალებს), რადგან ქრისტიანულ ქვეყანაში დავიბადეთ და გავიზარდეთ. წმინდა ეპისკოპოსი ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანობა ქალს მხოლოდ მორჩილებისა და სისუსტის სიმბოლოდ არ აღიქვამს. პირიქით, ის ითხოვს გონიერებას, სიძლიერესა და სულიერ სიმტკიცეს. ტექსტი ეწინააღმდეგება იმ გარემოებებს, სადაც ქალი დამორჩილებულად და უსამართლოდ არის ჩაკეტილი მამაკაცის სურვილებში, და აჩვენებს, რომ ქრისტიანულ საზოგადოებაში ქალს მნიშვნელოვანი ადგილი და პატივი აქვს. ასევე აღნიშნავს, რომ სიმხდალე და გონიერება შეიძლება ბოროტებაშიც გამოიყენებოდეს, ამიტომ აუცილებელია, რომ ეს ძალა შემკული იყოს სიმშვიდითა და სიმდაბლით. ამ გზით ქალი თავისი ნიჭისა და სიბრძნის გამოყენებას ოჯახისა და სამეგობროს კეთილდღეობას მოახმარებს. ანუ მთავარი იდეაა: ჭკუა, სიძლიერე და კეთილი ხასიათი ერთად ქმნის იმ ნამდვილი დანიშნულებას, რომელსაც ქალი ასრულებს საზოგადოებაში.

აუცილებელია ვისაუბროთ გენდერული (უ)თანასწორობა პოლიტიკურ კონტექსტში. პოლიტიკური სფერო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად თანასწორია საზოგადოება.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა პოლიტიკის მასკულიზური (გაცნობიერებულად მამაკაცზე მორგებული) სივრცედ რჩება. მართალია, ქალების რაოდენობა სახელმწიფო მმართველობაში წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა მათი წარმომადგენლობა ჯერ კიდევ შეზღუდულია. ქალთა რეგისტრაცია, კენჭისყრა, საკანონმდებლო ორგანოებში მოხვედრა და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე წვდომა ბევრ ქვეყანაში კვლავ დაბალია. ამის მთავარი მიზეზებია:

- პოლიტიკური სისტემების ტრადიციული სტრუქტურა
- პარტიული სახელმძღვანელო ორგანოების მიერ მამაკაცების უპირატესად არჩევა
- ფინანსური და რესურსების შეზღუდვა ქალებისთვის
- საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი, რომ პოლიტიკა „მამაკაცის საქმეა“.

ქალების დაბალი წარმომადგენლობა პოლიტიკაში ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი იქმნება მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისი ჩართულობის გარეშე.

შედეგად, პოლიტიკაში ხშირად უგულებელყოფილია ისეთი თემები, როგორიცაა:

- ოჯახური პოლიტიკა
- სოციალური დაცვა
- ძალადობა ქალთა მიმართ
- ბავშვებზე და განათლებაზე ორიენტირებული ინიციატივები

სწორედ ამიტომ, გენდერული ბალანსი მმართველობაში არა მხოლოდ სამართლიანობის, არამედ ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობადაც ითვლება.

გენდერული უთანასწორობა განსაკუთრებულად ძლიერად ვლინდება ეკონომიკურ სფეროში, სადაც ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობა რესურსებზე, შემოსავლებზე და კარიერულ შესაძლებლობებზე განსხვავდება. ქალები ხშირად უფრო დაბალანაზღაურებად სფეროებში არიან დასაქმებულნი, როგორიცაა: განათლება, ზრუნვის სფერო, სოციალური მომსახურება, მომსახურების სექტორი. მამაკაცები კი მეტწილად იკავებენ მაღალანაზღაურებად პოზიციებს ტექნოლოგიებში, ბიზნესში და პოლიტიკაში. ამ განსხვავებას „გენდერული სახელფასო სხვაობა“ ეწოდება.

ქალების მიერ შესრულებული შრომის დიდი ნაწილი – საოჯახო საქმეები, ბავშვებზე ზრუნვა, მოხუცთა მოვლა – ეკონომიკურად ფასდაუდებელი, მაგრამ ფორმალურად დაუფასებელი რჩება. უხილავი შრომა ქალებს აწევს როგორც დამატებითი ტვირთი, რაც ხელს უშლის მათ პროფესიულ ზრდაში.

კარიერულ სივრცეს ხშირად ახასიათებს „მინის ჭერის“ ეფექტი – უხილავი ბარიერი, რომლის გამოც ქალები ვერ აღწევენ უმაღლეს პოზიციებამდე, მიუხედავად კვალიფიკაციისა და გამოცდილებისა.

ქალები პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში შემსრულებელ ინსტრუმენტს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ხელმძღვანელს, ლიდერს, მაშინ, როცა მათი კომპეტენტურობის დონე ანდა ლიდერის უნარ-ჩვევები სულაც არ ჩამოუვარდება მამაკაცისას. ზოგჯერ ქალი თავად უქმნის საკუთარ თავს ბარიერებს, რადგანაც საზოგადოების ნეგატიური შეფასების ემინია. გენდერული ცენზურა „მინის ჭერის“ წარმოქმნის ერთ-ერთი პირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ქალებს ნაკლებად აქვთ. ბევრ ქვეყანაში ქალებს ისევ ნაკლები წვდომა აქვთ: ფინანსურ რესურსებზე, მიწასა და საკუთრებაზე, ბიზნესის დაწყების შესაძლებლობებზე. თუმცა დღეს ყველაფერი იცვლება ქალები იწყებენ საკუთარ ბიზნესებს და ავითარებენ საკუთარ შესაძლებლობებს. სწორედ ეკონომიკური დამოუკიდებლობაა ქალისთვის

მნიშვნელოვანი, რადგან ამის გარეშე ქალებს რთულად შეუძლიათ პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვა.

ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ კულტურული ნორმები, ტრადიციები და სტერეოტიპები მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერული უთანასწორობის შენარჩუნებაში. სამწუხაროდ საზოგადოება ქალსა და მამაკაცს ხშირად კონკრეტულ როლებში მოიაზრებს:

ქალი უნდა იყოს ნაზი, სახლის საქმეებში ჩართული, მზრუნველი; მამაკაცი უნდა იყოს ძლიერი, ლიდერი და ოჯახის მარჩენალი.

ამ სტერეოტიპებმა შეიძლება დამაბრკოლებლად იმოქმედოს ორივე სქესზე, განსაკუთრებით კი ქალებზე, რადგან მათ ხშირად უზღუდავს პირადი განვითარების შესაძლებლობებს. კულტურულმა სტერეოტიპებმა შეიძლება ბავშვობიდანვე განსაზღვროს პროფესიული მიმართულება. მაგალითად, გოგონებს ხშირად „ურჩევენ“ ჰუმანიტარულ სფეროებს, ხოლო ბიჭებს – ტექნიკურ პროფესიებს. შედეგად, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ქალების რაოდენობა კვლავ დაბალია. თუმცა დღესდღეობით ეს სტერეოტიპები ინგრევა. ჩემს ოჯახში ქალს პატივს სცემენ. მამაჩემი ყოველთვის მიწყოფს ხელს, რომ კარგად ვისწავლო და მეუბნება რომ საკუთარი თავი განვავითარო. მე მართალია ჰუმანიტარული სფერო ავირჩიე და არც ვნანობ, მაგრამ მამაჩემს ჩემგან უფრო მეტი უნდა, მან იცის ჩემი შესაძლებლობები. დედაჩემს რომელსაც სამედიცინოზე სწავლაა უნდოდა და გარკვეული მიზეზების გამო ვერ დაამთავრა მამა ყოველთვის ეუბნება, რომ ახლაც არა არის გვიანი და სწავლა გააგრძელოს. ბავშვობიდან ბაბუა ყველაფერს მასწავლიდა: ტრაქტორის მართვას, ელექტრობერხის ხმარება, ცხენის გახედვას, სახლის დახურვას და კიდევ ათასი რამ. სულ გვერდით მიყენებდა და მასწავლიდა ყველა იმ საქმეს რასაც კაცს მიაწერენ. ოჯახში ერთი არასდროს იღებს გადაწყვეტილებას, ყველა ერთად ვსაუბრობთ, აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს და ისე ვიღებთ გადაწყვეტილებას. ბაბუა ყოველთვის სცემდა ბეზიას პატივს, ზოგჯერ ზედმეტადაც კი, ისინი ერთად მიუძღოდნენ ოჯახს და ამიტომაც ვართ ძლიერი ოჯახი და იმედია ასე იქნება სულ. მადლობა ღმერთს რომ ასეთი ოჯახი შემახვედრა, ოჯახი სადაც ქალი დაფასებულია და ცდილობენ ყველა პირობა შეუქმნან მას განვითარებისთვის.

თანასწორობა არ არის მხოლოდ ქალების საკითხი – ეს არის ადამიანის ძირითადი უფლება და დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი. მის მისაღწევად აუცილებელია სისტემური ცვლილებები: განათლებაში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში და საზოგადოების ცნობიერებაში. გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ სამართლიანობის პრინციპს უზრუნველყოფს, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებრივი განვითარების, ეკონომიკური ზრდისა და მშვიდობის გაძლიერებას.

მომავალი, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბარ შესაძლებლობებს ისარგებლებენ, არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელია - ეს არის წინაპირობა უფრო ჰარმონიული, სტაბილური და სამართლიანი სამყაროს ასაშენებლად. ჩვენი ენა, ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი რწმენა გვასწავლის, რომ ადამიანი ყოველთვის მეტია ვიდრე მისი სქესი. ქალი და კაცი - ორი სახე ერთი არსებისაა, ორი ხმა ერთი სიმღერისა.

გენდერული (უ)თანასწორობა და ოჯახი

გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ის არის პრინციპი, რომელიც არც კომპრომისს ეკუთვნის და არც განხილვას, ის არის ადამიანური ღირსების ბუნებრივი სამართალი. როცა ქალი და მამაკაცი ერთნაირი წესებით მონაწილეობენ განათლებაში, შრომაში და გადაწყვეტილებების მიღებაში იქ იბადება ნამდვილი სამართლიანობა. გენდერული თანასწორობა არ არის თემა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, ეს არის ვალდებულება, რომელიც განსაზღვრავს რამდენად თავისუფლები ვართ სინამდვილეში სამართლიან სამყაროში სქესი არასდროს უნდა იყოს საზღვარი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანის შესაძლებლობა ამ საზღვრებს გაცილებით სცდება.

საუკუნეების განმავლობაში ქალებსა და მამაკაცებს სხვადასხვა როლი ენიჭებოდათ, რაც ხშირად უსამართლო ბალანსს ქმნიდა, ქალებისთვის დახშული იყო განათლების მიღების, წინსვლისა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის გზები, ხოლო მამაკაცებს ევალეზებოდათ მხოლოდ ძლიერი მომთხოვნი და ყოველთვის შეურყეველი როლის შესრულება. ორივე შემთხვევაში ზიანდებოდა ადამიანი, ისევე როგორც თავისუფლება. სწორედ ამიტომ, რომ გენდერული თანასწორობა არასდროს არის მხოლოდ „ქალთა პრობლემა“ ან მხოლოდ „მამაკაცთა პრობლემა“, „ეს არის საერთო ბრძოლა ყველასთვის, ვისაც სურს ცხოვრება სამართლიან ქვეყანაში“.

ოჯახი არის პირველი სივრცე, სადაც ადამიანი სწავლობს, რას ნიშნავს სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა. თუ ოჯახში გოგოს და ბიჭს ერთნაირად ექცევიან, ორივეს აძლევენ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას, ორივეს უმსუბუქებენ და ამავე დროს ასწავლიან პასუხისმგებლობას. თანასწორობა არ ნიშნავს ერთნაირად ცხოვრებას, ის ნიშნავს ერთნაირ შესაძლებლობებს, ერთნაირ უფლებებს და არჩევნის გაკეთების თავისუფლებას. გენდერული თანასწორობა. ნიშნავს სამართლიან გარემოს, სადაც ადამიანს სქესი არ ზღუდავს, ოჯახიდან დაწყებული სკოლამდე და საზოგადოებამდე, თანასწორი დამოკიდებულება აძლიერებს ყველას და იძლევა პროგრესის საფუძველს. ამიტომ თანასწორობა უბრალოდ თემა არ არის, ეს არის აუცილებელი პირობა, იმისთვის, რომ ყველას ჰქონდეს სამართლიანი შანსი საკუთარ მომავალზე.

გენდერული უთანასწორობა არის მოვლენა, როცა ადამიანს შესაძლებლობები, არჩევანი ან უფლებები ეზღუდება მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი ან მამაკაცია. ეს არის პრობლემა, რომელიც ზეგავლენას ახდენს განათლებაზე, სამუშაოზე, სოციალურ მდგომარეობაზე და ზოგჯერ ოჯახურ გარემოზეც კი. თანამედროვე სამყაროში, მიუხედავად პროგრესისა, უთანასწორობა მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად. გენდერული უთანასწორობა ხშირად ჩნდება მაშინ, როცა საზოგადოება ადამიანზე წარსულში გაჩენილი სტერეოტიპებით მსჯელობს. განათლებასა და დასაქმებაში უთანასწორობა ჩანს იმით, რომ ხშირად კაცს მეტი მხარდაჭერა აქვს, ვიდრე ქალს.

მამასადამე, უთანასწორობის პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია თანასწორი გარემო ოჯახში განათლებასა და დასაქმებაში. სტერეოტიპების ჩახშობა, თანაბარი უფლებები და არჩევნის თავისუფლება ყველასთვის. მხოლოდ ასე შეიქმნება სამართლიანი საზოგადოება.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

თანასწორობა ერთ-ერთი იმ იშვიათი იდეალთაგანია, რომელიც თითქოს ყველას ესმის, მაგრამ რეალურად მის მიღწევამდე გზა ყოველთვის რთულია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პოლიტიკას ეხება — სივრცეს, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება, ძალაუფლება და პასუხისმგებლობა თანაბრად არის გადანაწილებული, მაგრამ არა ადამიანებს შორის. პოლიტიკური პროცესი თითქოს ყველასთვის ღიაა, მაგრამ ქალებისთვის ეს „ღიაობა“ ჯერ კიდევ გარკვეული დანაკლისებით, უხილავი ბარიერებითა და ხშირად — უხილავი ბრძოლის ველით არის შეფუთული.

ბავშვობაში პოლიტიკა ჩემთვის ხმაურიანი სივრცე იყო, სადაც ადამიანები კამათობდნენ, ტელევიზორიდან გამოსული ხმები ერთმანეთს ფარავდნენ, ხოლო პარლამენტში ძირითადად მამაკაცები ჩანდნენ. თვითონაც გაკვირვებული ვიყავი — ნუთუ ასე ცოტა არიან ქალები, რომ კამერებშიც არ ჩანან, მოგვიანებით მივხვდი, რომ პრობლემა კამერაში არ იყო. პრობლემა იყო იმ რეალობაში, რომელსაც დღემდე მივუბნეინებოვართ: პოლიტიკა კაცების საქმეა — ასე გვასწავლიდა საზოგადოებრივი წარმოდგენა, ტრადიცია და უცნაური ჩუმი შეთანხმება, რომელიც თითქოს არავინ გამოაცხადა, მაგრამ ყველამ იცოდა.

ქალები პოლიტიკაში: სტატისტიკის მიღმა მდგარი რეალობა

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ბოლო ათწლეულში გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა ზედაპირულია და ხშირად მხოლოდ რაოდენობრივ შედეგებს ეყრდნობა. საკანონმდებლო ორგანოში ქალები წარმოდგენილია, მაგრამ მათი როლი, ხილვადობა და გავლენა კვლავ შეზღუდულია. კვოტირების სისტემა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, თუმცა ის ვერ ცვლის იმ კულტურულ ნარატივს, რომელიც ქალს პოლიტიკაში ჯერ კიდევ „სტუმრად“ აღიქვამს და არასრულფასოვან მონაწილედ.

გამორჩეულად მძიმეა ის, რომ ქალებს არა მხოლოდ კარიერული ბარიერები ხვდებათ, არამედ სტერეოტიპული წნეხიც — „ქალი ძალიან ემოციურია პოლიტიკისთვის“, „ოჯახი გაქვს, როგორ მოასწრებ?“, „ამ პოზიციას უფრო ძლიერი ხელი უნდა“. ეს ფრაზები ბევრჯერ მომისმენია სულ სხვაგან — უნივერსიტეტის დერეფნებში, ოჯახურ საუბრებში, ხანდახან კი ახალგაზრდულ ჯგუფებში, სადაც თითქოს თანამედროვე ხედვები უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს მაფიქრებს: პრობლემა მხოლოდ კანონებში არ არის. პრობლემა საზოგადოებაშია, რომელსაც ჯერ კიდევ უჭირს ქალის ძალაუფლებასთან შეგუება.

უხილავი ბარიერები: თითქოს არ არსებობს, მაგრამ ყველაფერს ცვლის

პოლიტიკაში მოხვედრა მხოლოდ კვალიფიკაციას არ საჭიროებს — ის მოითხოვს ქსელებს, სოციალურ კაპიტალს, ფინანსურ რესურსებს და თვითდაჯერებულობას, რომელიც ხშირად წლების განმავლობაში იზრდება. ჩვენს რეალობაში მამაკაცებს ეს რესურსები იოლად ეძლევათ, ქალებს კი უფრო დიდ ძალისხმევად უჯდებათ.

ერთი ჩემი კურსელი ამბობდა: „პოლიტიკა მაინტერესებს, მაგრამ მგონია, რომ ძალიან ბევრჯერ

მომიწევდა საკუთარი შესაძლებლობის მტკიცება, ვიდრე კაცს დაჭირდებოდა“. სწორედ ეს განსხვავებაა, რომელიც ქალებს ჩრდილში ტოვებს — მუდმივი საჭიროება იმისა, რომ დაამტკიცონ, რაც სხვას თავისთავად აქვს ამასთან, ქალ პოლიტიკოსებზე ხშირად განცხადებები არა პროფესიული, არამედ პირადი მიმართულებით კეთდება — გარეგნობაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, „ქალური“ და „არაკანონიერი“ ქცევების შეფასებით. კრიტიკა კი აუცილებელია, მაგრამ არა სქესით განპირობებული. პოლიტიკური დისკურსი ხშირად უფრო ემოციუზზეა აგებული, ვიდრე არგუმენტებზე, და ქალები ამ ველზე ორმაგად დაუცველები რჩებიან...

რატომ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში?

ქალები პოლიტიკაში ცვლიან არა მხოლოდ წარმომადგენლობითობას, არამედ დღის წესრიგსაც. დამკვიდრებულია, რომ ქალ პოლიტიკოსებს უფრო ხშირად მოაქვთ დღის წესრიგში სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, სიღარიბის, ოჯახური პოლიტიკის საკითხები — თემები, რომლებიც ზოგჯერ ნაკლებად „პოპულარულად“ ითვლება, მაგრამ ქვეყნის სოციალურ კეთილდღეობაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს.

ასევე, ქალების მონაწილეობა ზრდის ინსტიტუტების მიმართ ნდობას, ამცირებს პოლარიზაციას და აძლიერებს თანამშრომლობის კულტურას. როცა გადაწყვეტილებებს სხვადასხვა გამოცდილებისა და ხედვის მქონე ადამიანები იღებენ, სახელმწიფო პოლიტიკაც უფრო სამართლიანი და მდგრადი ხდება.

ბარიერების დანგრევა: რა შეიძლება შეცვალოთ?

გენდერული თანასწორობა ვერ მიიღწევა მხოლოდ კანონით — საჭიროა განათლების, კულტურისა და მედიის ერთობლივი ძალისხმევა.

1. გენდერულად სენსიტიური განათლება — ახალგაზრდობა უნდა ეჩვეოდეს პოლიტიკაში ქალების ხედვებს და ლიდერობის მაგალითებს.

2. მედიის პასუხისმგებლობა — ჟურნალისტებმა ქალ პოლიტიკოსებს პროფესიულ კითხვები უნდა დაუსვან და არა სქესობრივად დამაკნინებელი კომენტარები.

3. პოლიტიკურ პარტიებში შიდა კულტურის შეცვლა — ქალები არ უნდა დარჩნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გარეთ.

4. საზოგადოებრივი მხარდაჭერა — ეს ბრძოლა მხოლოდ ქალების არ არის; მამაკაცებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

სად ვდგავართ ჩვენ, როგორც ახალგაზრდები?

ახალგაზრდებს გვაქვს უნარი, უფრო მკაცრად და თამამად ვთქვათ, როცა უსამართლობას ვხედავთ. თუ მომავალში გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც გადაწყვეტილებების ავტორები საზოგადოების ყველა ნაწილის წარმომადგენლები არიან, ცვლილება სწორედ აქ იწყება — ჩვენი ხედვებითა და აქტიურობით.

დასკვნა: გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში არ არის მხოლოდ სტატისტიკა — ეს არის სამართლიანობის, დემოკრატიისა და მოტივირებული საზოგადოების ინტერესების დაცვის საკითხი. სანამ ქალის ადგილი პოლიტიკაში კვლავ „გასარკვევი“ თემაა, გზა ბოლომდე გავლილი ვერ იქნება. სწორედ ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ, ვწეროთ და ვიმოქმედოთ.

გენდერული (უ)თანასწორობა სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს რესურსების, უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ განაწილებას, სქესის მიუხედავად, განსხვავებული ქცევის, მისწრაფებების და საჭიროებების თანაბრად დაფასებას.

ვფიქრობ, გენდერული თანასწორობა წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას დღესდღეობით გენდერული უთანასწორობა ადამიანის უფლებების ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა მსოფლიოში. თანასწორობა იცავს გენდერული საზოგადოებას ძალადობისგან, ის აუცილებელია ეკონომიკური აღმავლობისთვისაც. ჯანსაღი საზოგადოებისათვის ქალთა და მამაკაცთა უფლებები თანაბრად ღირებულია.

ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახების კეთილდღეობასა და პროდუქტიულობას და შემდეგი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას. მაგრამ, მიუხედავად სანდო მტკიცებულებებისა, რომლებიც ცხადყოფს ქალთა გაძლიერების მნიშვნელობას სიღარიბის აღმოსაფხვრისთვის, განვითარების ხელშეწყობისთვის და მსოფლიოს ყველაზე გადაუდებელ გამოწვევებთან გამკლავებისთვის, გენდერული თანასწორობა მიუღწეველ პირობად რჩება.

ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაცია - მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობა, ეკონომიკური დისკრიმინაცია, უთანასწორობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და საზიანო ტრადიციული პრაქტიკა - უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული და მდგრადი ფორმაა. ჰუმანიტარული კრიზისების, განსაკუთრებით კი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ქალები და გოგონები საშინელ სირთულეებს და გაჭირვებას განიცდიან.

გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მრავალი პროგრამა არსებობს. მათ შორისაა გაეროს მოსახლეობის ფონდი, რომელიც საქართველოში რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- ადვოკატირება და პოლიტიკის შესახებ დიალოგი გენდერული თანასწორობისა და რეპროდუქციულ უფლებათა პრიორიტეტების სახელმწიფო პოლიტიკასა და ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ინტეგრაციის მიზნით;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის გაძლიერება რეპროდუქციული უფლებების ჩართვის მიზნით ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მონიტორინგის ჩარჩოში;

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეუძლებელია გენდერული თანასწორობის მიღწევა მამაკაცებისა და ბიჭების ჩართულობის გარეშე. ცვლილებებს დიდი დრო სჭირდება, თუმცა ბოლო დროს მამაკაცები სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს ქალებისა და გოგონების გაძლიერებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ამ მიზნით გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი 2010 წლიდან მუშაობს მამაკაცებთან და ბიჭებთან გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად - რაც ყველა ადამიანს და მთლიანად, საზოგადოებას მოუტანს სარგებელს. სხვადასხვა პროექტი, მათ შორის ტრენინგები „მამაკაცური საუბრები“, მიზნად ისახავს წახალისოს მამაკაცები და ბიჭები, რათა დაძლიონ საზიანო

სტერეოტიპები, დაამყარონ ჯანსაღი, პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები და ხელი შეუწყონ ყველა ადამიანის უფლებების განხორციელებას.

გენდერული უთანასწორობის პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს მავნე ტრადიციული წეს-ჩვეულებები, რომლებსაც იმდენად ხშირად ჩადიან გარკვეულ საზოგადოებებში, რომ კულტურულ პრაქტიკად ყალიბდებოდა და, ამ მიზეზით, საზოგადოებაში მიღებული ხდება. ასეთი ქმედებების მთავარი მსხვერპლი ახალგაზრდა ქალები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცებიც შესაძლოა დაზარალებულნი. ხშირია ვაჭებისთვის უპირატესობის მინიჭება ქალიშვილებთან შედარებით, და ვლინდება ისეთი პრაქტიკებით, როგორიცაა აბორტის სქესობრივი ნიშნით შერჩევითობა, მდედრობითი სქესის ჩვილთა მკვლელობა, ან მიტოვება; უყურადღებობა ან ქალიშვილების მიმართ ცუდად მოპყრობა ჯერ კიდევ მსოფლიოს მრავალ ნაწილში შეზღუდულია გოგონების წვდომა განათლებაზე. განვითარებად ქვეყნებში ქალების საგანმანათლებლო შესაძლებლობებს ხშირად უარყოფენ, რის შედეგადაც ქალები და გოგონები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან, როგორიცაა: ადრეული და იძულებითი ქორწინება; ცრურწმენები, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებზეა დაფუძნებული სახლში, სკოლაში და საზოგადოებაში; ძალადობა სკოლის გზაზე.

მსოფლიოს გაუნათლებელ ზრდასრულთა დაახლოებით ორი მესამედი ქალია. განათლების ნაკლებობა უკიდურესად ზღუდავს ქალთა წვდომას ინფორმაციებსა და შესაძლებლობებთან. ამის საპირისპიროდ, ქალებისა და გოგონების საგანმანათლებლო მიღწევების ზრდა სარგებელს მოუტანს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე მთელს მომავალ თაობებს. ქალთა განათლების უმაღლესი საფეხურები ძლიერ ასოცირდება ახალშობილთა სიკვდილიანობისა და განაყოფიერების დაბალ მაჩვენებლებთან, ისევე, როგორც უკეთეს შედეგებთან თავიანთი შვილებისთვის.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თანახმად, 2009-2014 წლების განმავლობაში, მსოფლიოს გარშემო, დაფიქსირდა მრავალი თავდასხმა სკოლებზე, რომელთაგან რამდენიმე თავდასხმა განზრახ განხორციელდა იმ გოგონების, მშობლებისა და მასწავლებლების მიმართ, რომლებიც განათლებაში გენდერულ თანასწორობას უჭერდნენ მხარს.

ამრიგად, გენდერული (უ)თანასწორობა 21-ე საუკუნის გამოწვევად რჩება. მისი აღმოფხვრისთვის საჭიროა მოსახლეობის სრული ჩართულობა, ცნობიერების გაზრდა და ურთიერთპატივისცემის გრძნობის გამომუშავება.

გენდერული უთანასწორობა და სოციალური სამართლიანობა-თანასწორობა, როგორც დემოკრატიის საფუძველი

გენდერული უთანასწორობის შესახებ საუბარი ჩემთვის მხოლოდ აკადემიურ დავალებას არ წარმოადგენს, ეს არის ჩემი, როგორც მოქალაქისა და როგორც ადამიანის, სურვილი, დავფიქრდე იმაზე, თუ რატომ რჩება სამართლიანობა ხშირად დეკლარაციად და არ რეალიზდება. რაც უფრო ხშირად ვაკვირდები საზოგადოებრივ პროცესებს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ დემოკრატია მაშინ არის ცოცხალი, როდესაც თითოეულ ადამიანს, მიუხედავად სქესისა, იდენტობისა, გარეგნობისა ან სოციალური სტატუსისა, რეალურად აქვს ბარიერების გარეშე არსებობისა და მონაწილეობის უფლება. სწორედ ამიტომ გენდერული თანასწორობა ჩემთვის დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო საზომი ხდება.

დემოკრატია თავისი არსით არის სისტემა, რომელიც თითოეული ადამიანის ღირსებასა და თანაბარ შესაძლებლობებზე დგას. თუმცა ხშირად დემოკრატიული პრინციპები მხოლოდ კონსტიტუციურ ტექსტებში ან ოფიციალურ დეკლარაციებში რჩება, მაშინ როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უთანასწორობა კვლავ მძიმე სოციალური რეალობაა. გენდერული უთანასწორობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძველი და რთულად დასაძლევ სოციალური პრობლემა, ასახავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილია სოციუმის წიაღში. შესაბამისად, გენდერული თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა არა მხოლოდ ცალკე მდგომი მიზნებია, არამედ დემოკრატიის არსებობის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

გენდერული უთანასწორობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება: განათლებაზე წვდომის შეზღუდვა, შრომითი ბაზრის დისკრიმინაცია, ოჯახში ძალადობა, პოლიტიკაში ქალთა ნაკლები მონაწილეობა, ზოგადად ის სტერეოტიპები, რომლებიც კაცსა და ქალს „განსაზღვრულ“ ფუნქციებს ანიჭებენ. ხშირად ეს უთანასწორობა უხილავია, თითქოს ყოველდღიური რუტინის ნაწილი, თუმცა მისი შედეგები ხილულად აზიანებს როგორც ინდივიდებს, ისე მთელ საზოგადოებას.

ერთ-ერთი ნათელი მაგალითი საქართველოშია: მიუხედავად იმისა, რომ ქალი მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მათი მონაწილეობა მნიშვნელოვნად ნაკლებია. თუ გადავავლებთ თვალს ადგილობრივი თვითმმართველობის ან საკანონმდებლო ორგანოების შემადგენლობას, ვხედავთ, რომ ქალთა რაოდენობა ხშირად 20-30%-საც ვერ აღწევს. ეს ციფრები მხოლოდ სტატისტიკა არ არის, ისინი იშიფრება როგორც დაკარგული იდეები, შეუსრულებელი ინიციატივები და გამოუყენებელი პოტენციალი, რომელიც დემოკრატიის პროგრესის გარანტია.

ეს მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში არ ხდება, თუ კაცობრიობის გრძელ ისტორიას გადავავლებთ თვალს, ქალების მიმართ დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში არა მხოლოდ შეზღუდვები, არამედ სრული გამორიცხვაც იყო. ძველ ბერძნულ პოლისებში, რომლებიც „დემოკრატიის აკვნად“ ითვლება, ქალებს პოლიტიკურ პროცესებთან კავშირი თითქმის არ ჰქონდათ. აი, მაგალითად, ათენის მოქალაქეობას მხოლოდ მამაკაცები ფლობდნენ, რომლებსაც სამხედრო და პოლიტიკური ვალდებულებები ჰქონდათ. ქალები კი, მიუხედავად განათლების ან სოციალური სტატუსისა, ამ სივრცეს

გარეთ რჩებოდნენ. სწორედ ამიტომ, ვხვდები, რომ დემოკრატიის ისტორია რეალურად არასდროს ყოფილა თანასწორობის ისტორია, ეს უფრო თანასწორობისთვის ბრძოლის ისტორიაა. მაღალა იუსაფზაი ამბობდა:

„ჩვენ ვერ მივაღწევთ წარმატებას, თუ მოსახლეობის ნახევარს უკან ვტოვებთ.“

დღევანდელი რეალობა, მიუხედავად პროგრესისა, მაინც გვაჩვენებს, რომ გენდერული უთანასწორობა ჯერ კიდევ ღრმადაა გამჯდარი ჩვენს სოციალურ სტრუქტურებში. ზოგჯერ ის უხილავია, თითქოს ყოველდღიურობის ბუნებრივი ნაწილი, მაგრამ სწორედ მასში არის ყველაზე დიდი ძალა. ხშირად მსმენია აზრი, რომ გენდერული უთანასწორობა თითქოს პრობლემად აღარ უნდა ითვლებოდეს, რადგან ქალებს „ყოველთვის“ ჰქონდათ განათლება, პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება ან პროფესიის არჩევის თავისუფლება. მაგრამ ამ პოზიციის მიღმა წარსულისა და დღევანდელი რეალობის შეუმჩნევლობა იმალება.

ეკონომიკურ ცხოვრებაშიც მსგავსი ვითარებაა. ჯერ კიდევ არსებობს პროფესიული დაყოფის სტერეოტიპი, თითქოს „ქალური“ და „კაცური“ პროფესია ბუნებრივად განსხვავდება. თუმცა რეალურად ეს სულაც არ არის ბიოლოგიის საკითხი, ეს კულტურის მიერ დამალებული როლებია. ხშირად ვფიქრობ, რამდენი ქალი იქნებოდა ბრწყინვალე ინჟინერი, სამხედრო, პოლიტიკოსი ან მეცნიერი, რომ არა ეს უხილავი ბარიერები.

მოგეხსენებათ, მარი კიური - ქალი, რომელმაც ნობელის პრიზი ორჯერ მიიღო, მაგრამ თავისი დროის აკადემიურ წრეებში მაინც „უცხოდ“ მიიჩნეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი იყო. ის ასევე იყო პირველი ქალი, რომელსაც პანთეონში დაკრძალვა საკუთარი დამსახურების გამო ერგო. მის მაგალითზე ვაცნობიერებ, რამდენად დიდია ინდივიდუალური ნიჭის დაკარგვის საფრთხე მაშინ, როდესაც საზოგადოება არ აკეთებს საკმარისს, რომ ეს სტერეოტიპები დაამსხვრიოს.

გენდერული უთანასწორობის ყველაზე მტკივნეული ასპექტი ძალადობაა. ჩვენ ხშირად გვესმენია ოჯახში ძალადობაზე, ფემიციდზე ან ფსიქოლოგიურ შევიწროებაზე, რომლებიც თითქოს მუდმივად მიმდინარე ტრაგედიადა იქცნენ. ჩემთვის ეს არა მხოლოდ რეალური პრობლემა, არამედ ადამიანური ტრავმაა. თითოეული ასეთი შემთხვევა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვერ იცავს იმ ადამიანებს, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დაცვა. ძალადობა არის დემოკრატიის უარყოფა თავისი ყველაზე მკაცრი სახით, რადგან დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანის სიცოცხლე და ღირსება უმაღლესი ღირებულებაა. როდესაც ეს უფლება ირღვევა, დემოკრატიული სისტემა პრაქტიკულად ვერ ასრულებს თავის ღირებულებით ფუნქციას.

სოციალური სამართლიანობა სწორედ ამ პრობლემების ფონზე იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ჩემთვის სოციალური სამართლიანობა არ არის მხოლოდ აბსტრაქტული იდეალი - ეს არის კონკრეტული სოციალური რეალობის გარდაქმნის საშუალება. სწორედ ის ქმნის საფუძველს, რომლის გარეშეც გენდერული თანასწორობა ვერ დამკვიდრდება და დემოკრატია ვერ გახდება ჭეშმარიტი. დემოკრატიული პრინციპები მხოლოდ მაშინ ასრულებს ფუნქციას, როცა საზოგადოება უზრუნველყოფს ყველასთვის, ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც თანაბარ შესაძლებლობებს, ბარიერების მოხსნას და ღირსების დაცვას. მაშასადამე, სოციალური სამართლიანობა არის ის ძალა, რომელიც ამსხვრევს უთანასწორობის სტრუქტურებს, აღადგენს დაკარგულ ბალანსს და ქმნის ისეთ გარემოს, სადაც დემოკრატია რეალურად ეფუძნება თანასწორობას და არა მხოლოდ დეკლარაციებს. განათლება, კულტურული ცვლილებები, ეკონომიკური მხარდაჭერა, ეს ყველაფერი სოციალური სამართლიანობის

ნაწილია. ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ასაკში სქესობრივი სტერეოტიპების დამსხვრევა. თუ ბავშვებს ვასწავლით ჭეშმარიტ გენდერულ თანასწორობასა და მაღალ ზნეობრივ იდეალებს, ისინი ზრდასრულობაში უფრო ღია საზოგადოების წევრები გახდებიან. გენდერული თანასწორობა კი არა მხოლოდ ქალებს ეხება, არამედ კაცებსაც ათავისუფლებს ტრადიციული როლებისგან, რომლებიც ხშირად მათაც ზღუდავს.

დასასრულ, გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ გენდერული უთანასწორობა არა მხოლოდ ინდივიდუალური ტკივილებისა და დაუფასებელი შესაძლებლობების წყაროა, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრების დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. დემოკრატია კი, პირიქით, განვითარების, თავისუფლებისა და თანასწორობის იდეებზეა დაფუძნებული. ამიტომ მისი გაძლიერება შეუძლებელია იქ, სადაც ადამიანები კვლავ გენდერული ნიშნით არიან შეზღუდულნი. თანასწორობა არ ნიშნავს მსგავსებას, ის ნიშნავს ღირსების, შესაძლებლობებისა და უფლებების თანაბრობას. და იქ, სადაც ეს პრინციპი რეალურად ხდება ყოველდღიური რუტინა, იქ იწყება ნამდვილი დემოკრატია. პირადად ჩემთვის სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა იმედია, მუდმივი იმედი უფრო სამართლიანი, ადამიანური და თანასწორი სამყაროსი. ბოლოს კი, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „სამართალი და ჭეშმარიტება არის ერის სიძლიერე“, ხოლო ვაჟა-ფშაველა მიუთითებდა: „კაცისაგან კაცს არ უნდა არაფრით შერჩევა, გარდა ცოდნისა და მარჯვისა.“ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გენდერული თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა სწორედ ამ პრინციპების რეალიზებაა, ისინი უზრუნველყოფენ, რომ თითოეული ადამიანი, სქესსა და სოციალურ მდგომარეობაზე მიუკერძოებლად, დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს სამყაროში და აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს.

გენდერი და ყოველდღიური ცხოვრება – ენა, კულტურული ნორმები და ოჯახური როლები

თანამედროვე საზოგადოებაში გენდერზე მსჯელობა მხოლოდ სოციალური მეცნიერებების ჩარჩოს აღარ ეკუთვნის. ის ყოველდღიურობის ისეთი ორგანული ნაწილი გახდა, რომ ადამიანი ხშირად ვერც ამჩნევს, როგორ მოქმედებს მის არჩევანზე, მსოფლმხედველობაზე და საკუთარი თავის იდენტობის ფორმირებაზე. გენდერი გამოსახავს შინაგანად დაგროვილ წესებს, რომლებიც სხვათა მოლოდინების გავლენით იქმნება და ქცევას, სიტყვასა და გადაწყვეტილებებს უხილავად მიმართულებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერს ხშირად უდარაჯებს ტრადიცია, მისი გავლენა გაცილებით ფართოა და მთლიანად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურას.

ენის სივრცეში ეს გავლენა განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება. სიტყვა არა მხოლოდ გამოხატავს აზრს, არამედ ქმნის კიდეც მას. ქართულ ენობრივ პრაქტიკაში მრავალი გამოთქმა და სტერეოტიპული ფორმულა მოქმედებს როგორც ნორმატიული ინსტრუქცია, რომელიც ბავშვობას გვასწავლის, როგორი უნდა იყოს ქალი და როგორი — კაცი. სიტყვები „კაცი არ უნდა იტიროს“ ან „ქალი რბილი უნდა იყოს“ მხოლოდ შემთხვევითი ფრაზები არ არის; ისინი ადამიანებს განუსაზღვრავენ ემოციურ ჩარჩოებს, რომლებიც ზრდასრულ ასაკშიც ძლიერად მოქმედებს. ენა ამ შემთხვევაში იქცევა დამამკვიდრებელ ძალად — ის არა მხოლოდ აღწერს ყოფას, არამედ აყალიბებს მის საზღვრებს.

ენაში დამკვიდრებული სტერეოტიპები ხშირად პროფესიულ თვითაღქმაზეც აისახება. თუ საზოგადოებრივი დისკურსი გარკვეულ პროფესიებს ერთ კონკრეტულ სქესს უკავშირებს, პროფესიული არჩევანიც ამ მოლოდინს ერგება. მაგალითად, ზოგიერთის თვალში ხელმძღვანელი ან ინჟინერი მამაკაცის ფიგურა შეიძლება იყოს ნაგულისხმევი, ხოლო მასწავლებელი — ქალის. ასეთ შემთხვევაში ენა აშკარად ზღუდავს ინდივიდის თავისუფალ ხედვას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ნეიტრალური ფორმების გაჩენა — როგორიცაა „მასწავლებელი“, „მკვლევარი“, „თანამშრომელი“ — მნიშვნელოვან ცვლილებას მოაქვს. როდესაც სიტყვა აღარ მიუთითებს სქესზე, ინდივიდს ეძლევა შესაძლებლობა, თავი დაინახოს არჩეულ საქმიანობაში ყოველგვარი სტერეოტიპული ზეწოლის გარეშე. ენიდან კულტურულ სივრცეში გადასვლა გვაჩვენებს, რომ გენდერული წარმოდგენები არა ერთ მოტივზე, არამედ მრავალშრიან ტრადიციულ კოდებზეა აგებული. კულტურა თაობებზე გადაცემული ქცევის წესებისა და ღირებულებების ერთობლიობაა, და ეს წესები ხშირად ისეა გამჯდარი ყოველდღიურობაში, რომ მათი შეცვლა რთულია. ქართული ოჯახური მოდელი საუკუნეების განმავლობაში ემყარებოდა როლთა მკაფიო დაყოფას: ქალი შინ იყო პასუხისმგებელი ზრუნვაზე, სიტბოზე, ბავშვების აღზრდაზე; მამაკაცი კი გარეთ, გადაწყვეტილებების მიღებაზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ეს მოდელი ისტორიულად იყო განპირობებული, თუმცა დღეს მას ნაკლები ფუნქციური საფუძველი აქვს, რადგან საზოგადოების სტრუქტურა, განათლების დონე და ეკონომიკური მოთხოვნები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

მიუხედავად ამისა, ტრადიციის ინერცია კვლავ მოქმედებს. ბევრ ოჯახში ქალის ყოველდღიური შრომა — მომზადება, სისუფთავის უზრუნველყოფა, ოჯახის წევრთა ემოციური მხარდაჭერა და რუტინული ორგანიზება — კვლავ ნაკლებად შესამჩნევად რჩება. ამას „უხილავ შრომას“ უწოდებენ, თუმცა მისი გავლენა ძალიან რეალურია.

მამაკაცის მიერ ზრუნვის პროცესში ჩართვა ხშირად ჯერ კიდევ აღიქმება „დახმარებად“ და არა ბუნებრივ ოჯახურ პასუხისმგებლობად. ასეთი განაწილება თავიდანვე ქმნის უთანასწორო გარემოს, სადაც ერთი სქესი მეტ ემოციურ და საორგანიზაციო ტვირთს ატარებს, ხოლო მეორე — უფრო გადამწყვეტი ხმის უფლების მქონეა. თუკი მიზანი თანასწორობაა, აუცილებელია არა ტრადიციის მოშლა, არამედ მისი გადახედვა, ისე, რომ ორივე ინდივიდი თანაბრად იყოს ჩართული ოჯახის ფუნქციონირებაში.

განათლების სისტემა და პროფესიული გარემო გენდერული ნორმების გაგრძელებას ან მათ შეცვლას დიდ გავლენას ახდენს. სკოლა და უმაღლესი განათლება ის სივრცეებია, სადაც ბავშვები და ახალგაზრდები პირველად ეცნობიან საზოგადოებრივი როლების მრავალფეროვნებას. თუმცა სკოლაშიც ხშირად არსებობს სტერეოტიპული მოლოდინები: ზოგიერთი მასწავლებელი ბიჭებს ტექნიკურ სფეროს უკავშირებს, გოგონებს — ჰუმანიტარულს. ეს მოლოდინები შესაძლოა ერთ შეხედვით უწყინრად ჩანდეს, მაგრამ რეალურად ახდენს გავლენას სტუდენტის ავტორეფლექსიაზე და მომავალ პროფესიულ არჩევანზე.

უმაღლეს სასწავლებლებში სიტუაცია ნაწილობრივ უკეთესია — სტუდენტები უფრო კრიტიკულად უყურებენ სოციალური სტრუქტურების ნაკლოვანებებს. თუმცა სტერეოტიპები მაინც არსებობს: ტექნიკურ ფაკულტეტზე ქალის რაოდენობა ხშირად მცირეა, ხოლო ზრუნვის სფეროებში მამაკაცების წარმომადგენლობა — იშვიათი. ამგვარი განაწილება არა უნარებს, არამედ საზოგადოებრივ მოლოდინებს ეყრდნობა. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განათლების სფერო გახდეს სივრცე, სადაც სტუდენტები საკუთარი შესაძლებლობების გააზრებას სქესზე დამოკიდებულების გარეშე შეძლებენ. მედიასაც განსაკუთრებული ადგილი უკავია გენდერული ნარატივების დაგეგმვასა და ფორმირებაში. ფილმები, გადაცემები და საზოგადოებრივი ისტორიები ქმნიან იმ სახეებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში გამიჯნული სტანდარტების სახით შემოდის. ქალი ხშირად გამოყვანილია როგორც ქალური სათნოებების მატარებელი — მოწესრიგებული, მშვიდი, ოჯახზე ორიენტირებული; მამაკაცი კი ხშირად აიგება როგორც ძალის, სტაბილურობისა და გარე წარმატების სიმბოლო. ეს წარმოდგენები იმდენად მყარადაა გამჯდარი, რომ ხშირად თავად მაყურებელიც ვერ ამჩნევს მათ პრობლემურობას. თუმცა ბოლო პერიოდში მედია ნელ-ნელა გამრავალფეროვნდება. უფრო ხშირად გამოჩნდება ქალები, რომლებიც იღებენ დინამიკურ და გადაწყვეტილებით ძალაუფლების მქონე პოზიციებს; მამაკაცები, რომლებიც თავისუფლად გამოხატავენ ემოციებს და ზრუნავენ ბავშვებზე; ოჯახები, სადაც შრომის დანაწევრება თანაბარია. ასეთი მაგალითები არა მხოლოდ საინფორმაციო პროცესშია მნიშვნელოვანი — ისინი ქმნიან ახალ ნორმას, სადაც თითოეული ინდივიდი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში თავისუფლად მოქმედებს.

გენდერული საკითხების განხილვისას აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ თანასწორობა მხოლოდ ფორმალური პოლიტიკური განაცხადი არ არის. ის მოითხოვს ყოველდღიურ პრაქტიკაში ისეთი პირობების შექმნას, სადაც ადამიანის თვითნებური არჩევანი რეალურად განხორციელებადია.

თანასწორობა არ გულისხმობს სქესის უარყოფას; ის გულისხმობს შესაძლებლობების თანაბარ განაწილებას. თუ საზოგადოება აღიარებს, რომ ადამიანი არა თავისი სქესით, არამედ თავისი უნარებითა და პასუხისმგებლობებით უნდა განისაზღვროს, მაშინ გენდერული ბარიერებიც თანდათან სუსტდება.

ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის შიგნით არსებული გარემო. ოჯახი არის სივრცე, სადაც ბავშვი პირველად სწავლობს, როგორ მოქმედებს ძალაუფლება,

როგორ ნაწილდება შრომა, როგორი ურთიერთობები არის ნორმალური და როგორი — მიუღებელი. თუ ოჯახში გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მიიღება, ბავშვიც ასე სწავლობს, ხოლო თუ შრომა თანაბრად ნაწილდება, ინდივიდი უფრო ადვილად იღებს თანასწორობას როგორც ბუნებრივ წესს.

ამიტომაც გენდერული კულტურის ტრანსფორმაციის მთავარი მექანიზმი არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკა ან განათლებაა, არამედ ყოველდღიური ქცევის მცირე დეტალები: ვის ეუბნებიან, რომ „არ შეშვენი“ ემოციის გამოხატვა; ვინ იღებს ყოველდღიურ პასუხისმგებლობას; ვის ევალება „გარდაუვალი“ საოჯახო საქმე. ეს დეტალები საბოლოოდ ქმნის დიდ სურათს, რომელშიც ხილული ხდება საზოგადოების რეალური განვითარების დონე.

საბოლოოდ, გენდერი არის ურთიერთობების, ძალოვანი დინამიკის, კულტურული მეხსიერებისა და ინდივიდუალური თავისუფლების ერთობლიობა. ის არ არის მხოლოდ პიროვნული თვისება — ეს არის სოციალური კონსტრუქცია, რომელიც ყოველდღიურობაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მისი გარდაქმნა მოითხოვს როგორც ცნობიერ პერსპექტივას, ასევე პრაქტიკულ ცვლილებებს.

თანასწორობა იქ იწყება, სადაც საზოგადოება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სტერეოტიპებს და ცდის მათ ალტერნატივას. იქ, სადაც ბავშვებს ეტყვიან, რომ არჩევანი მათი შესაძლებლობებით განისაზღვრება და არა იმით, რომელი სქესის არიან. სადაც ოჯახში შრომის განაწილება შეთანხმებასა და არა ტრადიციის მექანიკურ გამეორებაზეა დაფუძნებული. სადაც ენა ხდება არა მავნე სტერეოტიპების გამტარი, არამედ სამართლიანი კომუნიკაციის საშუალება. სწორედ ასეთ გარემოში შესაძლებელია ისეთი საზოგადოება, სადაც გენდერი აღარ იქნება შეზღუდვა და ადამიანებს აღარ მოუწევთ საკუთარ სურვილებზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ კულტურული მოლოდინები მათ სხვა როლს უკარნახებენ.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში

– ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა პოლიტიკურ პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ბევრგან ფორმალურად აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებს, პრაქტიკაში ქალებს პოლიტიკაში ჩართვისა და მასში წარმატებით დასტაბილურების გზა გაცილებით რთულია. ეს გამოწვევები მხოლოდ ინდივიდუალური გამოცდილება არ არის — ისინი ასახავს კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ რეალობას, რომელიც ხშირად უხილავად ქმნის ბარიერებს. სწორედ ამ წინააღმდეგობების გააზრება და მათი გაცნობიერება აუცილებელია იმისთვის, რომ დემოკრატია რეალურად გახდეს ინკლუზიური და სამართლიანი.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მზარდია, თუმცა კვლავაც აშკარაა, რომ ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს სტრუქტურებში. მაგალითად, 2025 წლის მონაცემებით, ქალები ნაციონალურ პარლამენტებში მხოლოდ 27.2%-ს შეადგენენ. ეს მაჩვენებელი ბევრად აღემატება 1995 წელს, როცა ქალების წილი მხოლოდ 11.3% იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ გენდერული თანასწორობა პოლიტიკური სივრცის უმთავრეს გამოწვევად რჩება. პოლიტიკაში მოხვედრა მოითხოვს ცოდნას, გამოცდილებას, გამბედაობას, მაგრამ ასევე ხელსაყრელ გარემოსაც — გარემოს, რომელიც ქალს საშუალებას მისცემს, საკუთარი პოტენციალი უპრობლემოდ გამოხატოს. სწორედ ამ გარემოს არარსებობა ქმნის იმ დაუსრულებელ წრეს, სადაც ქალი თითქმის ნელ-ნელა წინ მიდის, მაგრამ საკმარისი მხარდაჭერის გარეშე მისი გზა ხშირად ჩიხში შედის.

ბარიერების უმთავრესად კულტურული ფესვები თითქმის ყველგან მსგავსია. ჯერ კიდევ მყარია შეხედულება, რომ პოლიტიკა „მამაკაცური სფეროა“, რომელშიც ქალს ან ზედმეტი ემოციურობა მიეწერება, ან არამყარი ხასიათი, ან ოჯახური პასუხისმგებლობების გამო ნაკლები შესაძლებლობა. საზოგადოებრივი მოლოდინები ქმნის უხილავ წნეხს: ქალ პოლიტიკოსს ხშირად არა მის იდეებს, არამედ მის გარეგნობას, ქცევას და პირად ცხოვრებას აფასებენ. ეს შეფასებები არა მხოლოდ უსამართლოა, არამედ დამაზიანებელიც; ახალგაზრდებს უზღუდავს პოლიტიკურ ამბიციას და ქმნის შიშს, რომ საჯარო სივრცეში შესვლა ავტომატურად ნიშნავს მუდმივ კრიტიკას და სტრესს.

ეკონომიკური ფაქტორებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პოლიტიკაში აქტიური ჩართვა ხშირად დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან, რომელსაც ქალები ისტორიულად ნაკლებად ფლობენ. კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა კანდიდატურები ხშირად იღებენ ნაკლებ ფინანსურ მხარდაჭერას, რაც პირდაპირ მოქმედებს მათი კამპანიების ეფექტურობაზე. ბევრი ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში მამაკაცებს მეტი ბერკეტი აქვთ; ქალი პოლიტიკოსისთვის ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება ხშირად გაცილებით რთულია. ამასთან, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხშირად მამაკაცური ქსელებით იმართება, ყოველთვის არ წარმოადგენენ უსაფრთხო და თანასწორ სივრცეს. ქალები იქ ზოგჯერ მხოლოდ „კოსმეტიკური ცვლილებისთვის“ არიან მოყვანილი, რეალური ძალაუფლებისა და გადაწყვეტილების

მიღების პროცესებისგან კი მაინც მოშორებით რჩებიან.

პოლიტიკაში ჩართვის კიდეც ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი სოციალური და საოჯახო პასუხისმგებლობებია. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ვითარდება, ქალებს მაინც რჩებათ ხელფასის გარეშე შრომა — ბავშვების მოვლა, ოჯახური საქმეები, ზრუნვის ფუნქციები. პოლიტიკა კი მოითხოვს მუდმივ ჩართულობას, შეხვედრებს, აქტიურობას, რაც ხშირად შეუთავსებელია იმ ყოველდღიურ დატვირთვასთან, რომელსაც ქალები იტარებენ. როცა საზოგადოება და ოჯახი არ ქმნის მხარდაჭერას, ქალი იძულებული ხდება არჩევანი ოჯახსა და კარიერას შორის გააკეთოს — არჩევანი, რომელიც მამაკაცებს იშვიათად უწევთ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე სიძულვილის ენა და ძალადობა, რომელსაც ქალები პოლიტიკაში განსაკუთრებით განიცდიან. ონლაინ სივრცეში მათ ხშირად ხვდებათ სექსისტური შეურაცხყოფა, მუქარები და შეურაცხმყოფელი კომენტარები. ეს პრობლემები მხოლოდ მათ პირად უსაფრთხოებას არ ეხება, ისინი ძირს უთხრიან მოტივაციას, ასუსტებენ თვითდაჯერებულობას და ახალ თაობებს უბიძგებენ, საერთოდ დაივიწყონ პოლიტიკაში წასვლის სურვილი.

თუმცა, მიუხედავად ამ სირთულეებისა, ქალთა პოლიტიკაში ყოფნა აუცილებელია არა მხოლოდ სამართლიანობისა და თანასწორობისთვის, არამედ ქვეყნის განვითარებისთვისაც. კვლევები ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მრავალფეროვნება პოლიტიკის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის. როდესაც პოლიტიკური სივრცე მხოლოდ ერთი სქესის გამოცდილებას ეყრდნობა, სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები სრულად ვერ აისახება. ქალები პოლიტიკაში, როგორც წესი, მეტ ყურადღებას აქცევენ სოციალურ პრობლემებს: განათლებას, ჯანდაცვას, ბავშვთა უფლებებს, ძალადობის პრევენციას,

შრომითი პირობების გაუმჯობესებას. ისინი ხშირად პრიორიტეტად აყენებენ ადამიანზე ორიენტირებულ პოლიტიკებს, რაც საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებს ემსახურება.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. როდესაც ქალებს აქვთ შესაძლებლობა, პოლიტიკის ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობა, ისინი ქმნიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიური ეკონომიკის გაძლიერებას. მაგალითად, ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტებში 40 %-ზე მეტია, ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია გრძელვადიან სოციალურ ინვესტიციებზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე. ამგვარად, ქალების ჩართულობა პირდაპირ იძლევა დადებით ეფექტს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში ასევე ნიშნავს დემოკრატიის გაძლიერებას. დემოკრატია მხოლოდ მაშინ მუშაობს, როცა ყველა მოქალაქის ხმა ისმის. თუ სახელმწიფოს მართვაში მოსახლეობის ნახევრის ხმა არ მონაწილეობს, ეს უკვე მიუთითებს სისტემურ დეფიციტზე. ქალთა პოლიტიკური ხმის შეზღუდვა არა მხოლოდ მათ აკლებს ძალაუფლებას, არამედ ამცირებს საზოგადოების მთლიან პოლიტიკურ მდგრადობასაც. გადაწყვეტილებათა პროცესში ქალების ჩართულობა ქმნის სივრცეს, სადაც განსხვავებული გამოცდილებები და ხედვები ერთმანეთს ავსებს, რაც ზრდის პოლიტიკის ეფექტურობას და უკეთ პასუხობს საზოგადოებრივი მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში რეალურად განხორციელდეს, საჭიროა როგორც ინსტიტუციური, ისე კულტურული ცვლილებები. განათლებამ უნდა შექმნას საფუძველი, სადაც გენდერული სტერეოტიპები ნელ-ნელა იშლება და ახალგაზრდები ხვდებიან, რომ ლიდერობა სქესზე არ არის დამოკიდებული. პოლიტიკურ პარტიებში საჭიროა ისეთი სტრუქტურები, რომლებიც არა მხოლოდ

ფორმალურად, არამედ რეალურად მისცემს ქალებს წინსვლის შესაძლებლობას, ლიდერობის სკოლები, მენტორობის პროგრამები და შიდა კვოტები ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლია. აუცილებელია ასევე ეკონომიკური მხარდაჭერის მექანიზმები, რათა ქალი პოლიტიკოსები ფინანსურად არ აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში. და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია ძალადობის პრევენცია, რათა პოლიტიკაში ჩასული ქალები დაცულად გრძნობდნენ თავს როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ სივრცეში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა არ არის მხოლოდ ქალთა საკითხი, ეს არის საზოგადოებრივი პროგრესის საკითხი. როცა ქალი პოლიტიკაში ჩნდება, ის ქმნის მაგალითს მომავალი თაობებისთვის და აძლიერებს რწმენას, რომ ლიდერობა ყველას შეუძლია.

გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს მამაკაცების ჩანაცვლებას, ეს ნიშნავს მათთან თანაბარ პოზიციაზე დგომას, იდეების თანაბარ შესაძლებლობას და გადაწყვეტილებების თანაბარ წილში მონაწილეობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში მხოლოდ ფორმალური უფლებების აღიარება არ არის. ეს არის კულტურის, აზროვნების, ძალაუფლების სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გარდაქმნა. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა აძლიერებს დემოკრატias, აუმჯობესებს პოლიტიკის ხარისხს და ქმნის უფრო სამართლიან და ინკლუზიურ სახელმწიფოს. სანამ ქალთა ხმა სრულად და თანაბრად არ გაისმის, პოლიტიკა ვერ იქნება სრულყოფილი. ქალების ჩართულობა პოლიტიკაში — ეს არის არა მხოლოდ ინდივიდების პროგრესი, არამედ მთლიანად ქვეყნის წინსვლის გზა.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში

ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის პრობლემა საუკუნეებს ითვლის, მიუხედავად იმისა რომ, მსოფლიომ დიდი პროგრესი განიცადა, განვითარდა საზოგადოება, სამწუხაროდ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. უთანასწორობა არის ადამიანის უფლებების დარღვევა და არა მარტო დარღვევა ის იწვევს განვითარების პროცესის შეფერხებას.

სოციუმი, რომელიც ერთ-ერთ სქესს ზღუდავს, არ აძლევს რეალიზაციის საშუალებას, ფაქტობრივად ზღუდავს საკუთარ პროგრესს. საზოგადოებას არ აქვს იმის უფლება, რომ ადამიანის-სულიერი არსების ფასი სქესით განსაზღვროს. ისტორიული პრობლემა, რომლის მიხედვითაც ერთი სქესი მუდმივად იჩაგრება და ძირითად შემთხვევაში მას ქალები წარმოადგენენ უნდა აღმოიფხვრას, თანასწორობა ყველას შორის, ყველა სფეროში - პოლიტიკაში, ეკონომიკაში კულტურაში. სწორედ თანასწორობაზე მოგვითხრობს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი, მაშასადამე თანასწორობა ქალსა და კაცს შორის დიდი ღირებულებაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის, მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ განვითარებას და შევძლებთ სოციუმის რეალიზაციას.

პოლიტიკა - ეს არის სფერო, სადაც წყდება ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების მომავალი, აქ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ჩვენ გვცხება. ასეთ მნიშვნელოვან ადგილას ქალი ჯერ კიდევ სუსტ პოზიციაშია. კაცების რაოდენობა გაცილებით მაღალია ამ სფეროში, ქალები ძირითადად წარმოჩენილია მხოლოდ სიმბოლურად, რეალური ძალაუფლება მამაკაცს უჭირავს, ცნობილია რომ ქალი საუკუნეების მანძილზე აღიქმებოდა მხოლოდ დიასახლისად, იგი თუნდაც განათლებული იყოს არ ეძლევა პოტენციური საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა, კაცი ყოველთვის წინ დგას პოლიტიკაში და შესაბამისად მათი საჭიროებები მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე საპირისპირო სქესის. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში გასულ საუკუნეებთან შედარებით პროგრესიც აღინიშნება დღეს მეტი რაოდენობით არიან პოლიტიკაში ქალბატონები მათ მხარდასაჭერად შექმნეს კვოტირების სისტემა, რომელიც საქართველოში 2020 წლის 2 ივლისს იქნა შემოღებული. ეს სისტემა ზრდიდა ქალთა მონაწილეობას თუმცა ეს არ არის საკმარისი, ქალი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც გამონაკლისი, არამედ, როგორც თანაბრად აღიარებული. როდესაც ორივე სქესის წარმომადგენელი არის ჩართული პოლიტიკაში, თანაბარი უფლებებით, იქმნება სამართლიანი ხედვა ქვეყნის მომავლისთვის, სახელმწიფოს ეფექტურობისთვის.

სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში თუ განვიხილავთ ამ ყოველივეს უკეთესად დავინახავთ უთანასწორობას და დაუფასებლობას ეკონომიკური უთანასწორობა, ხელფასების სხვაობა სამუშაოს პლატფორმებზე დისკრიმინაცია ეს პრობლემები აქტუალურია 21-ე საუკუნეშიც. ქალები, რომლებიც ასრულებენ იმავე სამუშაოებს რასაც კაცები, თუმცა ვერ იღებენ იმავე ხელფასს ან შესაძლებლობებს სამუშაო ძალაში, საზოგადოება უნდა მიისწრაფოდეს თანაბარი შრომისთვის, თანაბარი ანაზღაურებისთვის. ქალს ყოველთვის ქონდა პრობლემა საკუთარი კარიერის შექმნისას, მისთვის შეზღუდული იყო სწავლა-განათლების მიღება, მისი მთავარი საზრუნავი ოჯახიშვილების აღზრდა უნდა ყოფილიყო. განსაზღვრული იყო პროფესიები, მაგალითად ქალი არ უნდა ყოფილიყო სამართლის

განხრით, კაცები კი ძირითადად სამეცნიერო მიმართულებას ირჩევენ. დღესაც თვალსაჩინოდ ჩანს, რომ ამ „კანონზომიერებამ“ დიდი კვალი დატოვა სოციალურ სფეროში. მაგალითად ჩვენს უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ფაკულტეტზე მხოლოდ ორი ბიჭი სტუდენტი გვყავს, თუმცა თუ შევხედავთ ტექნიკურ და სამეცნიერო მიმართულებებს საპირისპირო ვითარებაა.

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა არ ეხება მხოლოდ ერთ ქალს, ეს სისტემის პრობლემაა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაზე, თუ გადავხედავთ ისეთ ქვეყნებს სადაც ორივე სქესის წარმომადგენელს ერთნაირი უფლებები აქვს სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც გაცილებით უკეთესია, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ქმნის ბუღინგის საფუძველს, როდესაც ქალს არ აქვს პროფესია და ვერ ქმნის საკუთარ მომავალს დამოკიდებული ხდება მამაკაცზე და ხშირად ამის გამო ხუჭავენ თვალს სიტყვიერ თუ ფიზიკურ ძალადობაზე.

კულტურა ასწავლის ადამიანს რა არის მისაღები და რა მიუღებელი, ქალისთვის „დასაშვები“ და, მამაკაცისთვის „შესაფერისი“. სწორედ ამ სიტყვებიდან იწყება ყველაზე დიდი უთანასწორობა, ბავშვობიდანვე განსაზღვრულია ყველაფერი, ოჯახებში არსებული სტერეოტიპი, რომ ბიჭი შვილი აუცილებელია და უპირატესობას მას ანიჭებენ ეს მიზეზი როგორც პირადი მაგალითიდან ვიცი ბევრჯერ გახდა ჯერ არ დაბადებული სიცოცხლის მოსპობის საფუძველი, რაც ყოველად მიუღებელია ადამიანებმა უნდა გაითავისონ რომ სქესს მნიშვნელობა არ აქვს. მამაკაცისთვის მრავალფეროვანი სოციალური ქცევა ბუნებრივად აღიქმება, ქალის შემთხვევაში კი ეს მიუღებელია, მისი ჩაცმულობა, გარეგნობა ქცევა მუდმივი განკითხვის საგანია, ქალი ყოველთვის ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული, უნდა აიტანოს, თვალები დახუჭოს, ძალადობაზე, შეურაცხყოფაზე, რადგან ქალია და ეს ხდება ფატალური შედეგების მიზეზი. ისლამური ქვეყნები თვალსაჩინოს მაგალითია უთანასწორობისა, მათ იმის ჩაცმის უფლებაც კი არ აქვთ რაც სურთ, მუდმივად განიცდიან დისკრიმინაციას, მათთვის მიუწვდომელია როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი კარიერა. გენდერული უთანასწორობა გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) მოჰყავს მაგალითი იმ ქალების, რომლებსაც არ აქვთ უფლება მარტო გავიდნენ სახლიდან და რომლებსაც კულტურული ნორმები აფერხებენ, აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. თანასწორობის მიღწევაში უმთავრესია მამაკაცების თანადგომა, მათი ჩართულობა და მხარდაჭერა. ეს ორმხრივი პროცესია, რომელსაც სარგებელი მოაქვს ორივესთვის, მამაკაცებმა უნდა უარყონ ყოველგვარი აგრესიულობა, აქტიურად ჩაერთონ საოჯახო საქმიანობაში, შვილების მოვლასა და აღზრდაში, უნდა იქნეს მათი მხრიდან მოთხოვნა შრომის თანაბრად შეფასებისა, რა თქმა უნდა, ეს დადებითია კაცებისთვისაც, რადგან თავისუფლდებიან ზეწოლისაგან იყვნენ მარჩენალი, აუმჯობესებს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობას, ასე რომ, კაცები ძირითადი ფაქტორები არიან უთანასწორობის აღმოფხვრაში.

რამდენიმე სიტყვით შევხებით სკოლისა და საზოგადოებრივი ნარატივების როლს თანასწორობაში. სკოლა, განათლების სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც აყალიბებს მომავალ თაობებს, პედაგოგმა უნდა წარმოაჩინოს ქალისა და კაცის მრავალფეროვანი როლები ისტორიაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. სახელმძღვანელო არ უნდა იყოს მიკერძოებული რომელიმე სქესის მიმართ, ინტეგრირებული უნდა იქნეს ქალების მიღწევები, სკოლა და სხვადასხვა საგანმანათლებლო სფერო უნდა წარმოადგენდეს სამართლიანობისა და თანასწორობის გასაზიარებელი სივრცე.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ნარატივების გავლენას გენდერულ აღქმაში, ისინი ფუნდამენტურ

როლს ასრულებენ მის ჩამოყალიბებაში, მედია ხშირად იმეორებს და ამყარებს მავნე გენდერულ სტერეოტიპებს, როგორებიცაა, კაცი ოჯახის მთავარი მარჩენალია „ეს ზღუდავს ინდივიდების არჩევანს, ისინი აყალიბებენ „წესებს“ როგორი უნდა იყოს ქალი და კაცი, მათი ქცევა, ინტერესები და სხვა. ხშირად გვინახავს ფილმებში რომ კაცები ძლიერებად, მთავარ ინდივიდებად, ლიდერებად, ქალები ასოცირდებიან ემოციურობასთან ოჯახურ შრომასთან. არსებობს ანტიგენდერული ნარატივები, რომლებიც მიზანმიმართულად ეწინააღმდეგებიან გენდერულ თანასწორობას, საბედნიეროდ ამჟამად ნარატივების უმრავლესობა ცდილობს რომ გაზარდონ ქალების როლი, წარმოაჩინონ წარმატებული პოლიტიკოსებად, საპირისპირო სქესს კი წარმოგვადგენენ კარგ და მზრუნველ მამებად, ამჟამინდელი ასეთი მიდგომა დადებითად იმოქმედებს მთელ საზოგადოებაზე.

კაცსა და ქალს შორის უთანასწორობა მხოლოდ კერძო სამართლიანობის პრობლემა ყოფილიყო საკითხი ამდენად ფართო არ იქნებოდა. მაგრამ, რეალურად ის განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიულ ხარისხს, სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს, კულტურას, როცა საზოგადოება მოსახლეობის ნიჭის ნახევარს იყენებს და მეორე ნახევარი არც კი აინტერესებს ვერასდროს განვითარდება, რადგან კარგავს საკუთარი რესურსის ნახევარს, თანასწორობა არ ნიშნავს რომელიმე სქესის ზემოთ დაყენებას, არამედ თანაბარ პოზიციაზე. თავისუფლება ეს არის აუცილებლობა. მე მჯერა, რომ საზოგადოება მიაღწევს ამ მიზანს ერთობლივი ძალებით, თუ შევძელით გასულ საუკუნეებთან შედარებით მცირედით მაინც უკეთესი მდგომარეობა გვქონოდა, მოვახერხებთ უფრო დიდი პროგრესის მიღწევას და საბოლოოდ თანასწორობის მიღწევას, ეს გზა რთულია მაგრამ პროგრესი იქ იწყება, სადაც სქესი აღარ განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას.

როგორ მივიღოთ განათლება და კარიერული განვითარება

თანამედროვე სამყაროში განათლება იქცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტად, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის გაცემას ემსახურება, არამედ ადამიანის პიროვნული, სოციალური და პროფესიული იდენტობის ფორმირებასაც. გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში, სადაც შრომის ბაზარი დინამიკურად იცვლება. განათლების ხარისხი და მისი შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან განსაზღვრავს ინდივიდის კარიერულ განვითარებასა და ცხოვრების ხარისხს. ამიტომ განათლება აღარ არის მხოლოდ აკადემიური ცოდნის შეძენის პროცესი. იგი წარმოადგენს კომპლექსურ მექანიზმს, რომელიც აყალიბებს ადამიანის უნარებს, დამოკიდებულებასა და შესაძლებლობებს წარმატებული პროფესიული რეალიზაციისთვის.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ საქართველოში, სადაც განათლების სისტემა და შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ეძებს სრულ ჰარმონიას. ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი განათლებას აღიქვამს, როგორც კარიერული წინსვლის აუცილებელ საფუძველს, თუმცა ხშირად ჩნდება ბარიერები, როგორიცაა: არასაკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული ორიენტაციის ნაკლებობა, განათლებისა და ეკონომიკური განვითარების შეუთავსებლობა. შესაბამისად, საჭიროა სრულფასოვნად გაანალიზდეს, თუ როგორ უწყობს ხელს განათლება კარიერულ განვითარებას და როგორ შეიძლება მათი ურთიერთქმედების ოპტიმიზაცია.

განათლება ადამიანს აძლევს არა მხოლოდ ცოდნის მიღების შესაძლებლობას, არამედ საკუთარი პოტენციალის გამოვლენისა და თვითრეალიზაციის უნარის ჩამოყალიბებას. განათლებული ადამიანი მეტად არის მზად ადაპტაციისთვის ცვლილებებით სავსე გარემოში. განათლება აუმჯობესებს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრის უნარსა და კომუნიკაციას სხვა ადამიანებთან. სწორედ ეს თვისებებია წარმატებული კარიერის ძირითადი ფაქტორები. გარდა ამისა, განათლება ზრდის ადამიანის სოციალურ კაპიტალს, ურთიერთობის ქსელს, რომელსაც პროფესიული საქმიანობა ეფუძნება. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება არის არა მხოლოდ ცოდნის წყარო, ის წარმოადგენს მრავალმხრივ განვითარებას, რომელიც ადამიანში აყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას, პროფესიულ პასუხისმგებლობას და ფართო სოციალურ უნარებს. უნივერსიტეტი არა მხოლოდ აკადემიური ინფორმაციის მიღების ადგილი არის, არამედ სივრცე, სადაც სტუდენტი სწავლობს როგორ იფიქროს, როგორ იმუშაოს გუნდში, როგორ გადაწყვიტოს პრობლემები და როგორ მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. ეს ყველაფერი საბოლოოდ წარმოიქმნება არა როგორც ერთი წყარო, არამედ როგორც კომპლექსური საფუძველი, რომელიც მომავლის კარიერულ გზას ამზადებს.

თანამედროვე შრომის ბაზარი მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის. ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია ზრდის პროფესიულ სტრუქტურას, ცვლის სხვადასხვა სფეროს არსს, ავტომატიზაციას, მოთხოვნის სტრუქტურას და საჭირო უნარებს. მომავალში წარმატება დაეფუძნება არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ მოქნილობას, ანალიტიკურ აზროვნებას, ციფრულ და ტექნოლოგიებთან თანამშრომლობის უნარებს. ამ ცვლილებასთან ადაპტაციისთვის განათლების სისტემა უნდა იყოს მოქნილი და პროგნოზირებადი. უნდა ჩამოაყალიბოს მოდელი, რომელიც

ახალგაზრდებს მომავლისთვის ამზადებს, სადაც AI (Artificial Intelligence / ხელოვნური ინტელექტი) იქნება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი და არა საფრთხე.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტები არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას აძლევდნენ სტუდენტებს, არამედ ეხმარებოდეთ მათ პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სამწუხაროდ საქართველოში განათლებისა და დასაქმების შეთავსების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. სტუდენტების უმეტესი ნაწილი ვერ მუშაობს მიღებული პროფესიით, შესაბამისად, მათ რჩებათ მხოლოდ თეორიული ცოდნა. ვფიქრობ, რომ ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა არის დუალური განათლების მოდელი. მსგავსი მოდელი, წლებია, ევროპის ქვეყნებში მოქმედებს და, ვფიქრობ, საკმაოდ მისაღები და სწორი მიდგომაა პროფესიის დასაუფლებლად.

სტუდენტი, რომელიც ეუფლება პროფესიას, უნდა იყოს კომფორტის ზონაში, უნდა აკეთებდეს თავის საქმეს სიყვარულით და მუდმივად ჰქონდეს კარიერული განვითარების სურვილი. ამ უწყვეტ პროცესში უნდა გააჩნდეს გონიერება, ტექნიკური უნარები, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის უნარები, თვითდისციპლინა და დროის მართვის ხელოვნება, ციფრული უნარები, შემოქმედებითი აზროვნება და ინოვაციურობა, პასუხისმგებლობა და პროფესიული ეთიკა, მოქნილობა და ადაპტაციის უნარი. კარიერული განვითარება - გზა შენს საუკეთესო ვერსიამდე, კარიერა მხოლოდ სამუშაო ადგილი არ არის, ეს პროცესია, რომელიც ადამიანს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენაში, ცოდნის გაზრდასა და მიზნების განხორციელებაში. კარიერული განვითარება მოიცავს არა მხოლოდ პროფესიულ ზრდას, არამედ პიროვნულ განვითარებასაც. ადამიანს პროფესიული განვითარების გზაზე უნდა შეეძლოს შეცდომებისა და გამოცდილებების გამოყენება, მუდმივად უნდა ცდილობდეს, გაიაროს კურსები, ტრენინგები, მიიღოს სხვადასხვა პროექტში მონაწილეობა.

კარიერული განვითარების გზაზე ადამიანს აუცილებლად მოუწევს განახორციელოს თავისი მობილურობა სხვადასხვა გზით. ეს შეიძლება იყოს ფუნქციური, გეოგრაფიული ან სტრუქტურული მობილურობა, ხოლო მისი წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია პროგრამირებული და სისტემური მიდგომა. ამ საშუალებით კი შეუძლია გახდეს სწრაფად ადაპტირებადი შრომით ბაზარზე, მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი და მრავალფუნქციური პერსონალი.

საქართველოში განათლების სისტემა მნიშვნელოვანი რეფორმების გზაზეა, რაც მიზნად ისახავს ინკლუზიურ განათლებას, ხარისხის გაზრდას და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას, სკოლებისა და უნივერსიტეტების მართვის მოდელების ოპტიმიზაციას. მიუხედავად პროგრესისა, ჯერ კიდევ არსებობს რიგი პრობლემები როგორებიცაა: ცოდნისა და უნარების შრომითი ბაზრის უთანასწორობა, გამჭირვალობისა და მართვის პრობლემა განათლების პოლიტიკაში, სოციალური და რეგიონალური უთანასწორობა, პოლიტიკური და ინსტიტუციური უთანასწორობა.

რა უნდა იყოს განათლების სისტემის მთავრი მიზანი, თუ არა საქართველოში განათლების ხელმისაწვდომობის სრული უზრუნველყოფა - ანუ, უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის სრულყოფილ ინტელექტუალურ, სოციალურ და პროფესიულ განვითარებას. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, განათლების მიზანი უნდა იყოს ეროვნული ღირებულებების, კულტურული იდენტობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაღრმავება, ამ მეთოდით აღიზრდება ცნობიერი მოქალაქე, რომელიც აცნობიერებ საკუთარ მოვალეობებს ქვეყნის, საზოგადოების და საკუთარ პროფესიულ სფეროში. ჩამოყალიბებული მოქალაქე კი აუცილებლად იქნება

განათლებული, პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი, როგორც ადგილობრივ ისე გლობალურ სივრცეში. აუცილებელია განათლების სისტემამ გააძლიეროს კავშირი კერძო სექტორებთან, უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან და მოახდინოს პროგრამების მოდერნიზაცია.

თანამედროვე ეკონომიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ ბუნებრივ რესურსებზე, არამედ ადამიანურ კაპიტალზე, იმ ცოდნასა და უნარებზე, რომელთაც ადამიანები ფლობენ. ამ ორი სისტემის ეფექტიანი შერწყმა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და გრძელვადიანი სტაბილურობის საფუძველს წარმოადგენს. საბოლოოდ კი რაც უფრო მაღალია საზოგადოების განათლების დონე, მით უფრო პროდუქტიული, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ხდება ქვეყანა.

ქალების ჩართულობა პოლიტიკაში

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის. პოლიტიკური პროცესებში ქალების ჩართულობა არა მხოლოდ თანასწორობის პრინციპის განხორციელებას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს უფრო მრავალფეროვანი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას. მიუხედავად ამისა, დღესაც არსებობს მრავალი ბარიერი, რომელიც ქალების აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკაში ზღუდავს. პირველ რიგში, აღსანიშნავია სოციალურ-კულტურული ბარიერები — საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპები, რომლებიც პოლიტიკას “მამაკაცურ სფეროდ” მიიჩნევენ. ხშირად ქალებს საზოგადოება ოჯახის და შვილების მოვლასთან უფრო აიგივებს, ვიდრე ლიდერობასთან ან მმართველობასთან. ამგვარი წარმოდგენები ქალებს თვითონაც უმცირებს თვითრწმენას და მოტივაციას, ჩაერთონ საჯარო ცხოვრებაში. ჩემი აზრით, ქალების როლი და მამაკაცის უნდა იყოს თანაბარი, რადგან საოჯახო ცხოვრებაში ორივეს როლი მნიშვნელოვანია და თუ მამაკაცი მუშაობს და ქალი ამ დროს ზის სახლში ეს არასწორია, ვფიქრობ, რომ ქალმაც უნდა იმუშაოს.

მეორე მნიშვნელოვანი ბარიერი არის ეკონომიკური ფაქტორი. პოლიტიკაში ჩართვა ხშირად მოითხოვს ფინანსურ რესურსებს — საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, მედიის მხარდაჭერა, სოციალური აქტივობები და სხვა. ქალები, რომლებიც ეკონომიკურად ნაკლებად უზრუნველყოფილნი არიან, ხშირად ვერ ახერხებენ ამ გამოწვევის გადალახვას. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარემოსა და პარტიული კულტურის ბარიერები. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მამაკაცებითაა დომინირებული, იშვიათად ქმნიან რეალურ შესაძლებლობებს ქალების დაწინაურებისთვის. ქალები პარტიებში ხშირად ასრულებენ მეორეხარისხოვან როლებს და მათ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მოხვედრა რთულია. გარდა ამისა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი დონე დაკავშირებულია მედიის გავლენასთანაც.

მედია ხშირად ამახინჯებს ქალ პოლიტიკოსთა იმიჯს, აქცენტს აკეთებს მათ გარეგნობაზე ან პირად ცხოვრებაზე, რაც საზოგადოებრივ აღქმაში სერიოზულ ბარიერებს ქმნის. თუმცა, ბოლო წლებში საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ტენდენცია თანდათანობით პოზიტიურად იცვლება. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას ხელს უწყობს გენდერული კვოტების შემოღება, ქალთა მოძრაობების გაძლიერება და განათლების ზრდა. ვფიქრობ, რომ ქალების როლი ძალიან მნიშვნელოვანია ყოველმხრივ, მაგალითად: ქალის მხარდაჭერა ქმრის მიმართ ან ფინანსური დახმარება ქალისგან- ეს ყველაფერი ხელს უწყობს მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის განვითარებაზე და ამისათვის ქალებსა და მამაკაცებს შორის უნდა იყოს თანასწორობა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა არის დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი. ამ მიმართულებით პროგრესის მისაღწევად საჭიროა სტერეოტიპების დაძლევა, განათლების ხელშეწყობა, ეკონომიკური მხარდაჭერა და თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. მხოლოდ ამ გზით შეძლებს საზოგადოება სრულფასოვნად გამოიყენოს ქალთა პოტენციალი და შექმნას სამართლიანი, თანასწორი პოლიტიკური სივრცე. შრომის ბაზარი წარმოადგენს ეკონომიკის იმ ნაწილს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან შრომის გამყიდველები — ანუ დასაქმების მაძიებლები და დამსაქმებლები. მისი მიზანია, სწორად გადანაწილდეს

სამუშაო ძალა, შეიქმნას პროდუქტიული გარემო და უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარება. თუმცა, მიუხედავად ეკონომიკური წინსვლისა და კანონმდებლობით დადგენილი თანასწორობის პრინციპებისა, შრომის ბაზარზე დღემდე არსებობს გენდერული უთანასწორობა, რომელიც ქალებისა და მამაკაცების სამუშაო შესაძლებლობებს შორის არსებულ სხვაობას გამოხატავს. გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე მრავალი ფორმით ვლინდება — მათ შორის, დასაქმების დონეზეც, ანაზღაურებაშიც, ასევე - კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ სეგრეგაციაში. ქალები ხშირად კონცენტრირებულნი არიან დაბალანაზღაურებად და ნაკლებად პრესტიჟულ სექტორებში, მაგალითად — განათლებაში, ჯანდაცვასა და ადმინისტრაციულ სამსახურში, მაშინ როცა მამაკაცები უფრო ხშირად მუშაობენ ტექნიკურ, ფინანსურ და მენეჯერულ პოზიციებზე. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პრობლემა არის საშუალო ხელფასის სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის. ბევრი კვლევის თანახმად, ქალები საშუალოდ ნაკლებს იღებენ იგივე სამუშაოს შესრულებისთვის. ეს განსხვავება ხშირად განპირობებულია არა მხოლოდ დისკრიმინაციით, არამედ იმ ფაქტორებითაც, როგორიცაა დედობის გამო კარიერული პაუზა ან არასრული განაკვეთით მუშაობა. გარდა ამისა, ქალთა პროფესიული წინსვლა ხშირად შეზღუდულია ე.წ. „მინის ჭერიტ“ — უხილავი ბარიერებით, რომლებიც მათ არ აძლევს საშუალებას, მიაღწიონ მაღალი თანამდებობების დონეს, მიუხედავად კვალიფიკაციისა და გამოცდილებისა. გენდერული უთანასწორობის შემცირებისათვის საჭიროა კომპლექსური პოლიტიკა — თანაბარი შანსების უზრუნველყოფა განათლებასა და დასაქმებაში, მშობელთა შვებულების თანაბარი პირობების შექმნა, სამუშაო გარემოს მოქნილობის გაზრდა და ანაზღაურების გამჭვირვალობა. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სტერეოტიპების შემცირება, რომლებიც ქალს ნაკლებად კონკურენტუნარიანად წარმოაჩენს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საკითხია, არამედ ეკონომიკური განვითარების წინაპირობაც. როცა ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირი შესაძლებლობები ეძლევათ, იზრდება ქვეყნის საერთო პროდუქტიულობა, ინოვაციურობა და კეთილდღეობა. თანამედროვე საზოგადოებაში განათლება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ წარმატებას. იგი არა მხოლოდ ცოდნის მიღების პროცესიას გულისხმობს, არამედ ის არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციის უნარებსა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს — უნარებს, რომლებიც აუცილებელია წარმატებული კარიერისთვის. განათლება ქმნის მყარ საფუძველს კარიერული განვითარებისათვის. ის ეხმარება ადამიანს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების ამოცნობაში, რაც პროფესიის სწორად შერჩევის წინაპირობაა. პროფესიული განათლება და სპეციალიზაცია განაპირობებს პიროვნების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. თანამედროვე ეკონომიკური გარემო მოითხოვს მუდმივ განვითარებასა და ახალი ცოდნის ათვისებას, ამიტომ ცხოვრების მანძილზე უწყვეტი სწავლა იქცევა წარმატებული კარიერის აუცილებელ პირობასაც. ამასთან, განათლება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ცოდნით. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნულ ღირებულებებსა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე. სწავლა აძლიერებს თვითდაჯერებულობას, მიზანმიმართულობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც წარმატებული კარიერული გზის ფორმირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამრიგად, განათლება და კარიერული განვითარება ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. განათლება წარმოადგენს კარიერული წინსვლის საფუძველს, ხოლო კარიერული განვითარება — განათლებით მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გამოყენებას. მათი

ერთობლიობა უზრუნველყოფს ინდივიდის პროფესიულ რეალიზაციასა და საზოგადოების პროგრესს.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში მედია ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტრუმენტი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მას მნიშვნელოვანი როლი აქვს არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებაში, არამედ კულტურული ღირებულებების, ნორმებისა და სოციალური წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ სტერეოტიპებს, რომლებიც ხშირად მედიით ვრცელდება და გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულებებზე სხვადასხვა კულტურისა და სოციალური ჯგუფების მიმართ. კულტურული სტერეოტიპები წარმოადგენს ზოგად, გამარტივებულ და ხშირ შემთხვევაში მცდარ წარმოდგენებს ადამიანთა ჯგუფების შესახებ. ისინი შეიძლება ეფუძნებოდეს ეროვნულ, ეთნიკურ, გენდერულ ან რელიგიურ ნიშნებს და ქმნიდეს წინასწარ განწყობებს. მედია, როგორც ინფორმაციისა და კულტურის ერთ-ერთი მთავარი წყარო, ხშირად უნებლიედ ამყარებს ასეთ სტერეოტიპებს — მაგალითად, ქალის სახეს წარმოსახავს სილამაზისა და ემოციურობის სიმბოლოდ, ხოლო მამაკაცს — ძალისა და გონიერების გამოხატულებად.

მსგავსი წარმოდგენები ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის გამყარებას და ზღუდავს ინდივიდის თავისუფლებას საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებაში. გარდა ამისა, მედიაში ხშირად გვხვდება კულტურული სტერეოტიპები, რომლებიც გარკვეულ ერებს ან კულტურებს ანიჭებს კონკრეტულ თვისებებს — მაგალითად, დასავლური კულტურა ხშირად ასოცირდება განვითარებასთან და პროგრესთან, ხოლო აღმოსავლური — ტრადიციულობასთან და ეგზოტიკურობასთან. მსგავსი მიდგომა არღვევს კულტურულ მრავალფეროვნებასა და თანასწორობის პრინციპს. თუმცა, მედია მხოლოდ სტერეოტიპების გამავრცელებელი არ არის — მას შეუძლია იქცეს სტერეოტიპების დამსხვრევის საშუალებადაც. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების პირობებში სოციალური მედია აძლევს შესაძლებლობას, თავად წარმოაჩინონ საკუთარი კულტურა და ისტორია, მრავალფეროვანი პლატფორმების არსებობა ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ტოლერანტობის გაძლიერებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. მედიის გავლენა კულტურულ სტერეოტიპებზე ორმხრივია — ის შეიძლება იყოს როგორც მიკერძოებული წარმოდგენების გამავრცელებელი, ასევე პროგრესისა და ინკლუზიურობის განმამტკიცებელი ძალა.

მნიშვნელოვანია, რომ მედიამ იხელმძღვანელოს პასუხისმგებლობისა და ობიექტურობის პრინციპებით, ხოლო მაყურებელმა კრიტიკული აზროვნების უნარი განივითაროს, რათა შეძლოს ინფორმაციის შეფასება სიღრმისეულად და გააზრებულად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება მედია საზოგადოების განვითარების და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის ეფექტური ინსტრუმენტი. როლთა გადანაწილება ოჯახსა და საზოგადოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანთა ურთიერთობებზე, სოციალურ თანასწორობაზე და ცხოვრების ხარისხზე. როლი — ეს არის იმ ქცევებისა და ვალდებულებების ერთობლიობა, რასაც ადამიანი ასრულებს თავისი სტატუსის მიხედვით, იქნება ის მშობელი, შვილი, მოქალაქე თუ პროფესიონალი. წარსულში ოჯახში როლები მკვეთრად იყო გაყოფილი გენდერული ნიშნით: მამაკაცი ითვლებოდა ოჯახის მარჩენლად და გადაწყვეტილებების მიმღებად, ხოლო ქალის როლი ძირითადად სახლსა და შვილების აღზრდას უკავშირდებოდა. მსგავსი მოდელი საზოგადოებაშიც აისახებოდა — მამაკაცები იკავებდნენ ლიდერის პოზიციებს, ქალებს კი უფრო შეზღუდული სივრცე ჰქონდათ პროფესიულ და პოლიტიკურ სფეროებში.

თანამედროვე საზოგადოებაში ეს სტრუქტურა თანდათან იცვლება. იზრდება თანასწორობის

იდეის მნიშვნელობა, და ოჯახში პასუხისმგებლობები უფრო სამართლიანად ნაწილდება: ორივე პარტნიორი მონაწილეობს როგორც ეკონომიკურ, ისე საოჯახო საქმიანობაში. ასევე, გაიზარდა მამაკაცების ჩართულობა ბავშვების აღზრდაში, რაც აძლიერებს ემოციურ კავშირსა და ოჯახურ ერთიანობას. საზოგადოებაში როლთა გადანაწილება დღეს უფრო მრავალფეროვანია. ადამიანები არჩევენ პროფესიას და ცხოვრების გზას არა გენდერული სტერეოტიპების, არამედ პირადი ინტერესების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ბალანსის ნაკლებობა — მაგალითად, ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში და მაღალი ხელმძღვანელი პოზიციების დაკავებაში ჯერაც ნაკლებია. საბოლოოდ, როლთა გადანაწილება ოჯახსა და საზოგადოებაში უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობას, პატივისცემას და ინდივიდუალური არჩევანის თავისუფლებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ჰარმონიული და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც თითოეული ადამიანი შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. ჩემი ოჯახის ისტორია კარგად აჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა გენდერული როლები დროის განმავლობაში. ბებიჩემი გაიზარდა ეპოქაში, როცა ქალის მთავარი მოვალეობად მიიჩნეოდა ოჯახის მოვლა და ბავშვების აღზრდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა ძალიან უყვარდა, ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება, რადგან ოჯახში მიაჩნდათ, რომ ქალისთვის „საკმარისი“ იყო კარგი მეუღლე და დეეობა. დეეაჩემი კი უკვე სხვა თაობას ეკუთვნის. ის სწავლობდა უნივერსიტეტში, მუშაობდა და ერთდროულად უვლიდა ოჯახს. მის თაობაში უკვე დაიწყო გენდერული სტერეოტიპების ნელ-ნელა დარღვევა — ქალი აღარ იყო მხოლოდ ოჯახის ზრუნვაზე პასუხისმგებელი, არამედ აქტიური იყო პროფესიულ ცხოვრებაშიც. თუმცა მას ხშირად უწევდა ბალანსის პოვნა სამსახურსა და ოჯახს შორის, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ ელოდებოდა, რომ ქალი იყოს „ყველაფერში იდეალური“. მე ვცხოვრობ უფრო თავისუფალ გარემოში, სადაც ქალებს და მამაკაცებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ჩემი თაობა უკეთ აცნობიერებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას. ახლა გოგონები თამამად ირჩევენ იმ პროფესიებს, რომლებიც ადრე „მამაკაცურ“ სფეროდ ითვლებოდა, ხოლო ბიჭებიც აღარ ერიდებიან ისეთი საქმიანობის არჩევას, რომელიც ადრე „ქალურად“ მიიჩნეოდა. ჩემი ოჯახის ისტორია ნათლად აჩვენებს, როგორ ვითარდებოდა საზოგადოება გენდერული თვალსაზრისით — ტრადიციული როლებიდან თანასწორობისაკენ. ეს ცვლილება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაგრამ თითოეული თაობა უფრო მეტად გირღვევს საზღვრებს და ამყარებს იმ იდეას, რომ გენდერი არ უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის შესაძლებლობებსა და ცხოვრებას. გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში წარმოდგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ შესაძლებლობებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობისა და საჯარო ხელისუფლების განხორციელების პროცესში. ამ იდეის საფუძველში დევს ადამიანის უფლებათა უნივერსალური პრინციპი – ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი წვდომა ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის სფეროებზე, მიუხედავად სქესისა. ისტორიულად, პოლიტიკა მამაკაცურ კომბინაციასთან ასოცირდებოდა, რაც ქალების მონაწილეობას მნიშვნელოვნად ზღუდავდა. პატრიარქალური კულტურა, სტერეოტიპული წარმოდგენები და სოციალური ბარიერები ქმნიდა ისეთ გარემოს, სადაც ქალთა ხმა და გადაწყვეტილებები ნაკლებად იყო წარმოდგენილი. თუმცა, მეოცე საუკუნიდან მოყოლებული, გლობალურად გაძლიერდა ქალთა პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც გენდერული თანასწორობის იდეას პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის აუცილებელ ელემენტად განიხილავენ. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში აღიარებულია, რომ ქალთა პოლიტიკური

ჩართულობა არა მხოლოდ სამართლიანობის, არამედ გადაწყვეტილებების ხარისხის წინაპირობაა. კვლევების მიხედვით, ქალ პოლიტიკოსებს ხშირად ახასიათებთ სოციალური საკითხებისადმი მაღალი მგრძნობელობა, (მეტი ანგარიშვალდებულება) და მშვიდობიანი მოლაპარაკებებისადმი მიდრეკილება, რაც პოლიტიკურ სისტემას უფრო ინკლუზიურ სა და ეფექტიანს ხდის. საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ბოლო წლებში პროგრესულად ვითარდება. 2020 წლიდან ამოქმედდა გენდერული კვოტირების სისტემა, რომლის თანახმადაც პოლიტიკური პარტიები ვალდებული არიან პროპორციულ საარჩევნო სიებში უზრუნველყონ ქალთა მინიმუმ 30%-იანი წარმომადგენლობა. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისა და ბალანსის დასამყარებლად. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რჩება სისტემური გამოწვევები — საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს, ეკონომიკურ უთანასწორობასა და პოლიტიკურ კულტურაში ფესვგადგმულ მამაკაცურ დომინაციას კვლავაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი დემოკრატიის საფუძველია. როდესაც ქალები და მამაკაცები თანაბრად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში, პოლიტიკა უფრო სრულად ასახავს საზოგადოების მრავალფეროვან საჭიროებებსა და ინტერესებს. დასკვნა: გენდერული თანასწორობის მიღწევა პოლიტიკაში წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობად. ქალთა აქტიური ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში აძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ზრდის საზოგადოების წარმომადგენლობის ხარისხს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების უფრო სამართლიან და ინკლუზიურ ხასიათს. სწორედ ამიტომ, გენდერული თანასწორობის განმტკიცება პოლიტიკურ სისტემაში უნდა დარჩეს როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებრივი სექტორის პრიორიტეტად. ქალების ნაკლები წარმომადგენლობა ხელისუფლებაზე, ანუ ხელმძღვანელ პოზიციებზე და მაღალი დონეების სამსახურებში, მრავალფაქტორული პრობლემაა. ქვოტები მიზნად ისახავს ისტორიულად დაჩაგრულ ჯგუფებს (მაგალითად, ქალებს პოლიტიკაში ან უმცირესობებს დასაქმებაში) მიეცეთ აქტიური წვდომა რესურსებსა და პოზიციებზე. ქვოტა შეიძლება დარჩეს მხოლოდ ფორმალური ნიშანი, თუკი რეალურად არ შეიცავს მხარდაჭერას, ძალაუფლების გადაცემას ან გაძლიერების მექანიზმებს. ქვოტირების სისტემა შეიძლება იყოს როგორც თანასწორობის გარანტია, ისე მხოლოდ ფორმალობა – ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ემატება იგი უფრო ფართო სტრუქტურულ მხარდაჭერას და არა მხოლოდ ნომინალური წარმომადგენლობის მიღწევას. ეკონომიკური უთანასწორობა და შრომითი ბაზარი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხებია.

ხელფასთა გენდერული სხვაობა არის კომპლექსური პრობლემა, რომელსაც აქვს ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სამართლებრივი ასპექტები. მისი შემცირება მოითხოვს კანონმდებლობის გამკაცრებას, სამუშაო ბაზრის სტრუქტურული ცვლილებებსა და გენდერული სტერეოტიპების შემცირებას. სოციალურ და კულტურულ ასპექტებს დიდი გავლენა აქვთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და ურთიერთობების ფორმირებაზე. ისინი განსაზღვრავენ ღირებულებებს, ნორმებს, როლებს და სტერეოტიპებს, რაც აქტიურად განსაზღვრავს ინდივიდების არჩევანს, შესაძლებლობებს და სტატუსს საზოგადოებაში.

გენდერული სენსიტიურობა გულისხმობს ინდივიდისა და საზოგადოების უნარს აღიქვას, გაანალიზოს და სწორად იხელმძღვანელოს გენდერული სხვაობებით და სტერეოტიპებით, რათა მოხდეს

თანასწორი და პატივისცემით დაფუძნებული ურთიერთობები. განათლება ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, რადგან სკოლა, უნივერსიტეტი და სხვა სასწავლო გარემო ქმნიან საწყის საფუძველს ბავშვისა და ახალგაზრდის ცნობიერებაში გენდერული თანასწორობის აღქმისთვის. ფემინიზმის მიზანია ქალთა სამართლებრივი უფლებების მოპოვება, განსაკუთრებით მთელი სამყაროში კვალიფიციური ხმის უფლება.

ორი ფესვის ტრიუმფი

საბინას სახელი მის მშობლიურ ენაზე სიმშვიდეს და ლამაზ ყვავილს ნიშნავს. მაგრამ 21 წლის საბინას ცხოვრება არც მშვიდი იყო და არც უზრუნველყოფილი. ის იდგა ორ სამყაროს შორის: ერთი – მყუდრო, მაგრამ შემზღუდავი, სადაც მისი ეთნიკური საზოგადოების ტრადიციები ქალს უთქმელად აკისრებდა როლს. მეორე – ვრცელი, ქართულენოვანი საზოგადოება, რომელიც მას ხედავდა მხოლოდ როგორც "სხვა ქვეყნის ხმას", სტუდენტს არასწორი აქცენტით.

საბინას ბრძოლა არ იყო უბრალოდ "ქალის ბრძოლა", რადგან მისი უთანასწორობა ყოველთვის ორმაგი დატვირთვით მოდიოდა. როდესაც მასზე გენდერული სტერეოტიპი მუშაობდა, ის გრძნობდა, რომ მისი ეთნიკური წარმომავლობა ამ სტერეოტიპს ამძიმებდა. როდესაც ის ეთნიკური სტიგმის მსხვერპლი ხდებოდა, ის გრძნობდა, რომ მისი ქალობა მას კიდევ უფრო უუნაროს ხდიდა პასუხის გაცემაში. ეს იყო ინტერსექციულობა – ყვავილი, რომელსაც ორი ფესვი აქვს, მაგრამ არცერთი ფესვი აღწევს საკმარისად ღრმად.

საბინა მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციაში, სადაც მისი მოვალეობა იყო ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება მისი რეგიონის ეთნიკური უმცირესობებისთვის. ეს იყო მისი "ნებადართული სივრცე". ერთ დღესაც ოფისში თბილისიდან მაღალჩინოსანი დონორი ჩამოვიდა. შეხვედრისას საბინამ შესთავაზა ინოვაციური პროექტი, რომლის ფარგლებშიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ეთნიკური უმცირესობის ენაზე აპირებდა. ეს იყო მისი პირადი ხედვა. დონორმა, თავაზიანმა კაცმა, გაიღიმა:

"მალიან კარგია, საბინა. შესანიშნავი იდეაა, რომ თქვენი ქალები ჩართოთ. მაგრამ, რატომ არ ვაკეთებთ ამას 'ქართულად'? ჩვენი ბიუჯეტი ძირითადად დედაქალაქის პროექტებზეა გათვლილი. ისე, რა ლამაზი აქცენტი გაქვთ, ეს ალბათ ოჯახიდან მოგყვებათ?"

ამ ფრაზამ საბინა გალიაში გამოკეტა. მან იგრძნო, რომ მისი გენდერული ბრძოლა ამოკვეთილი იყო ზოგადი კონტექსტიდან და მოქცეული იყო ეთნიკურ საზღვრებში. მისი უფლებები, თითქოს, ნაკლებად უნივერსალური იყო. „რა ლამაზი აქცენტი გაქვთ“- ეს კომპლიმენტი არ იყო ქება, არამედ ობიექტივიზაცია. მისი ენა და აქცენტი გადაიქცა ეგზოტიკურ ატრიბუტად, რომელიც ხელისშემშლელი გახდა მისი იდეების სერიოზულ აღქმისათვის. პროფესიული ცოდნა გაქრა და დარჩა მხოლოდ მისი "განსხვავებული" იდენტობა. საბინა მიხვდა: როდესაც ქალი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, მისი ხმა ხშირად აღიქმება როგორც ლამაზი ფონი და არა როგორც ავტორიტეტული აზრი.

პრობლემები არ დასრულებულა სამსახურში. სახლში დაბრუნებულს მას მოელოდა ოჯახის წევრების (ბებია, ბიძა) ჩუმი, მაგრამ ძლიერი ზეწოლა. მათ სჯეროდათ, რომ მისი ქალაქური აქტივიზმი შეუსაბამო იყო მისი ეთნიკური საზოგადოების ქალისთვის. "საბინა, გენდერული თანასწორობა დასავლური ამბებია. შენ აქ კაცები არ უნდა გააბრაზო. შენი ადგილია, რომ ჩვენი კულტურა შეინარჩუნო და კარგი ცოლი გახდე," – ეუბნებოდა ბებია. აქ კი იდენტობების გადაკვეთა ყველაზე მტკივნეული იყო: საბინას უყვარდა თავისი კულტურა, მისი ენა, მისი ტრადიციები. მაგრამ ეს ტრადიციები,

ამავდროულად, მას გენდერულად ზღუდავდა. თუ ის იბრძოლებდა ქალის უფლებებისთვის გარე სამყაროში, ის რისკავდა, რომ ეთნიკური კულტურის მოღალატედ შერაცხულიყო. თუ ის დაემორჩილებოდა კულტურულ მოლოდინებს, ის დაკარგავდა საკუთარ გენდერულ თავისუფლებას.

ერთ ღამეს საბინა თავის ოთახში იჯდა. მან აიღო ფურცელი და დაიწყო წერა, ოღონდ არა პროექტის თუ განაცხადისა, არამედ წერილისა, რომელიც არასდროს არსად გაიგზავნებოდა...

"მე ვარ ქალი, რომელსაც უყვარს საკუთარი კულტურა, მაგრამ ის მზღუდავს. მე ვარ სტუდენტი, რომელსაც უნდა ესმოდეს ქართული საზოგადოებაც, მაგრამ ის მხოლოდ ჩემს აქცენტს ისმენს. მე არ ვარ მხოლოდ 'ეთნიკური ქალი'. მე ვარ ადამიანი, რომლის უფლებაც არ იწყება და არ მთავრდება იმაზე, თუ ვინ არის ჩემი მეზობელი ან ვინ წერს ჩემს გვარს."

მან იცოდა, რომ მისი ბრძოლა იქნებოდა მუდმივი: მან უნდა ებრძოლა თავისი უფლებებისთვის როგორც ქალმა და როგორც უმცირესობამ. ეს იყო მისი ინტერსეკციული ტვირთი – მძიმე, მაგრამ ამავე დროს, მისი უნიკალური ძალა. მისი ცრემლები არ იყო სისუსტის, არამედ ორმაგი უსამართლობის აღიარება.

საბინამ ღრმად ჩაისუნთქა. ხვალ ისევ წავა სამსახურში. მისი აქცენტი ისევ იქნება "ლამაზი", მისი იდეები კი – "რეგიონული". მაგრამ მისი ისტორია, რომელიც მის ორმაგ ფესვებზე და ერთ, მიუწვდომელ ცაზე მოგვითხრობს, მისი ნამდვილი ხმა იქნება. და ხმა, რომელიც ორმაგად იბრძვის, ორმაგად ძლიერია.

საბინამ იგრძნო, რომ ამ ორმაგი უხილავობის ტვირთი ყოველ დღე უფრო მეტად ამძიმებდა. მას არ შეეძლო ყოფილიყო ეთნიკურად ერთგული და გენდერულად თავისუფალი ერთდროულად. მისი ორივე ფესვი – გენდერული და ეთნიკური – ერთმანეთს ებრძოდა, რათა მას არ შეეძლო თავისუფალი ცის ქვეშ ამოსუნთქვა. თუმცა, საბინამ გაიხსენა ის დღე, როდესაც დონორმა მისი აქცენტი "ლამაზ ეგზოტიკად" შერაცხა. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ მისი იდენტობის თითოეული ნაწილი – მისი აქცენტი, მისი რეგიონული გამოცდილება, მისი ქალობა – არ იყო შეზღუდვა, არამედ ექსკლუზიური ხედვის წერტილი. მას შეეძლო ესაუბრა ორივე მხარის ტკივილზე. მან გადაწყვიტა, აღარ დალოდებოდა ნებართვას. მან აღარ დაწერა პროექტი, რომელიც მხოლოდ "მის ქალებს" ეხებოდა. მან დაწერა პროექტი ინტეგრაციის შესახებ, სადაც გენდერული თანასწორობა მიიღწეოდა ეთნიკური და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. მან პროექტში ჩართო არა მხოლოდ ქალები, არამედ ეთნიკური მამაკაცებიც, რათა მათ დაენახათ გენდერული თანასწორობის სარგებელი მათი კულტურისა და თემისთვის.

საბინამ პროექტი გააგზავნა არა დონორთან, რომელსაც მისი აქცენტი მოსწონდა, არამედ ახალგაზრდულ ფონდში, რომელიც მრავალფეროვნებას ეძებდა. მან გააგზავნა ისეთი ვნებითა და სიზუსტით, რომ ვერავინ გაბედა მისი იდეის "არაკვალიფიციურად" ან "არასაკმარისად აკადემიურად" შეფასება.

რამდენიმე თვის შემდეგ საბინა მიიწვიეს თბილისში, ფონდის კონფერენციაზე, სადაც მისი პროექტი დასაფინანსებლად შეირჩა. როდესაც ტრიბუნასთან იდგა, მას ხელში ეჭირა მიკროფონი. მან დაინახა დონორი, რომელსაც მისი აქცენტი მოეწონა, და ახლა ის უსმენდა. საბინამ დაიწყო ლაპარაკი. მის ხმაში იყო აქცენტი, მაგრამ ახლა ეს აქცენტი არ იყო სირცხვილი – ეს იყო სიძლიერე, რომელიც მოწმობდა, რომ მან ორმაგი ბარიერი გადალახა.

"ჩემი იდენტობა, როგორც ქალისა და როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლისა, არ არის ჩემი პრობლემა," – თქვა მან. – "ეს არის ჩემი საჩუქარი. მე ვხედავ იმ უთანასწორობას, რომელსაც თქვენ

ვერ ხედავთ, იმიტომ რომ თქვენ არ დგახართ ორ ფესვს შორის. ჩემი წარმატება არ არის მხოლოდ ის, რომ დღეს აქ ვდგავარ, არამედ ის, რომ ჩემი ორმაგი რეალობა ხდება ერთიანი ჭეშმარიტება – სიმართლე, რომლის მოსმენაც სჭირდება ჩვენს საზოგადოებას."

საბინამ გაიმარჯვა. მისი გამარჯვება იყო არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა, არამედ ინტერსექციული აღიარება. მან დაამტკიცა, რომ მისი ხმა, თავისი აქცენტი და რეგიონული სიბრძნით, იყო ყველაზე აუცილებელი ხმა თანასწორობის შესახებ დისკუსიაში.

იმ ღამეს, საერთო საცხოვრებელში დაბრუნებულმა, მან ორივე ფანჯარა გააღო. ის ახლა ორივე სივრცის მფლობელი იყო. მან საკუთარი ცა მოიპოვა!

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

პოლიტიკაში გენდერული უთანასწორობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად მიიჩნევა, რადგან იგი უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანაბარ მონაწილეობას მმართველობით პროცესებში. მიუხედავად ამისა, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლავაც რჩება არასაკმარის დონეზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გენდერული უთანასწორობა არა ინდივიდუალური უნარების ნაკლებობიდან, არამედ სოციალურ, კულტურულ და ინსტიტუციურ ბარიერებიდან გამომდინარეობს. თანამედროვე სამყაროში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა ეტაპობრივად იზრდება, თუმცა რეალური თანასწორობა ჯერჯერობით მიუღწეველია. საქართველოში ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საქართველოს პარლამენტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გენდერული კვოტირების მექანიზმმა გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო, რაოდენობრივი ზრდა ჯერ სრულფასოვან პოლიტიკურ გავლენაში არ გადასულა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რა ბარიერები უშლის ქალებს პოლიტიკურ აქტივობას და როგორ შეიძლება მათი გადალახვა. ქალთა პოლიტიკაში დაბალი ჩართულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კულტურული და სტერეოტიპული ბარიერებია.

ამ მიზეზების გამო ქალები ხშირად ხდებიან იმ საზოგადოების მსხვერპლი, სადაც მათი უფლებები შეზღუდულია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. მიზეზი ხშირად ისიც არის, რომ საზოგადოებას მათ შესაძლებლობების არ სჯერა და კვლავ მტკიცედ არის დამკვიდრებული დამოკიდებულება: „პოლიტიკა ქალის საქმე არ არის“. საქართველოში 2025 წლის მონაცემებით ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში შეადგენს დაახლოებით 13,9%-ს, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში დაახლოებით 46%-ს აღწევს. ეს დიდი განსხვავება ბუნებრივად აჩენს კითხვას: რატომ არის ასეთი სხვაობა? რით განსხვავდებიან ევროპაში მცხოვრები ქალები საქართველოში მცხოვრები ქალებისგან? პასუხი ნათელია — ევროპაში ქალებმა უკეთ იციან საკუთარი უფლებები და შესაძლებლობები, მათ მეტი მხარდაჭერა აქვთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, შეუძლიათ მიზნებისკენ თავისუფლად სვლა და აქტიურად ებრძვიან გენდერულ სტერეოტიპებს. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ქალებს სახელმწიფოს მხრიდან არ აქვთ მხარდაჭერა — ამის ნათელი დასტურია ის, რომ 2018 წლიდან 2024 წლამდე ქვეყნის პრეზიდენტი იყო ქალი, სალომე ზურაბიშვილი, გარდა ამისა, საქართველოში ქალთა უფლებების დასაცავად მრავალი ორგანიზაცია ფუნქციონირებს. თუმცა რეალური მდგომარეობა გაცილებით სიდრმისეულია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ბარიერები კვლავ ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არგუმენტად მინდა მოვიყვანო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები. 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების დროს ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოს ქალების უმეტესობა არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა, რადგან თვლიდნენ, რომ „პოლიტიკა ქალის საქმე არაა“. ეს ფაქტი მკაფიოდ მოწმობს, რომ სიმბოლური

წარმატებები, როგორცაა ქალი პრეზიდენტის არჩევა, ვერ ფარავს რეალურად არსებული სტრუქტურული და კულტურული ბარიერებს, რომლებიც დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალთა აქტიურ პოლიტიკური ჩართულობისთვის. შეხედულება, თითქოს ქალი პოლიტიკაში ვერ ჩაერთვება, მცდარია. ისტორია არაერთხელ გვიმტკიცებს, რომ ქალს ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ამას საზოგადოება ან მსოფლიო ხშირად ფიქრობს. ამის ერთ-ერთი უდიდესი მაგალითია მარგარეტ ტეტჩერი — ქალი, რომელმაც „რკინის ქალის“ სახელით მოიპოვა მსოფლიო აღიარება. მან დაამსხვრია ის სტერეოტიპი, რომ პოლიტიკა მხოლოდ კაცების სივრცეა, და დღესაც უდიდეს მოტივაციას აძლევს იმ ქალებს, რომლებიც შიშის, კრიტიკისა და საზოგადოებრივი წნეხის გამო არ ბედავენ პოლიტიკაში ჩართვას. და სწორედ აქედან იწყება მთავარი პრობლემა: იქ, სადაც ქალს ეუბნებიან, რომ „ეს მისი საქმე არ არის“, ირღვევა თანასწორობა. ქვეყანაში, სადაც ყველა მოქალაქე ვერ სარგებლობს თანაბარი უფლებებით, ვერ იარსებებს ნამდვილი დემოკრატია. ქალი პოლიტიკაში მხოლოდ სტატისტიკა არ არის — ის არის ხმა, პასუხისმგებლობა და ცვლილების ძალა. ყველაზე დიდი დანაშაული კი ის არის, როცა ქალი თავად იჯერებს, რომ მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის. როცა სხვის მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპი ნელ-ნელა მის საკუთარ აზრად იქცევა, სწორედ მაშინ მარცხდება არა მხოლოდ ერთი ქალი, არამედ მთელი საზოგადოება. რადგან ქალი, რომელიც საკუთარ ძალას ეჭვქვეშ აყენებს, იმავე უხილავ კედლებს ამყარებს, რომელთა დანგრევასაც წლებია ვცდილობთ. ჩემი მეგობრის ამბავი ამას უკეთ აღწერს. ის ბავშვობიდან ოცნებობდა პოლიტიკაში ჩართვაზე. მისთვის ეს არ იყო მხოლოდ კარიერა — ეს საშუალება იყო, ადამიანებს დაეხმარა, უკეთესობისთვის ეზრუნა. ის ნამდვილად ირწმუნებოდა, რომ პოლიტიკა საუკეთესო გზა იყო ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მაგრამ მისი მშობლები სხვა აზრზე იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ გოგოს საქმე პოლიტიკა არ არის, და აკრძალეს. ჩემმა მეგობარმა, მიუხედავად იმედებისა და სურვილების, უარი თქვა თავის ოცნებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლების წარმოდგენებით ქალი და პოლიტიკა ერთმანეთისგან შორს არიან. საბოლოოდ, მან აირჩია მათი სასურველი გზა — მასწავლებლობა. ყველაზე მტკივნეული კი ის იყო, რომ საკუთარი მშობლები ვერ სჯეროდეთ მისი ძალისა, ვერ უჭერდნენ მხარს. ვერავინ ვერ ჩაანაცვლებს იმ გრძნობას, როცა შენს ოცნებაზე ამბობენ „არა“, არა იმიტომ, რომ შენ შეუძლებელი ხარ, არამედ იმიტომ, რომ სტერეოტიპები ამბობენ ასე. რა თქმა უნდა მტკივნეულია ის ფაქტი, რომ საქართველოში ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში მხოლოდ 13,9% შეადგენს. მაგრამ სწორედ ეს 13,9% არის უდიდესი მოტივაცია იმ 86,1% ქალისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ სტერეოტიპების ქვეშ რჩებიან და არ იბრძვიან საკუთარ უფლებებსა და შესაძლებლობებისთვის. 2023 წლის 6 დეკემბერს, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ქალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ნინო წილოსანი, ორგანიზაციის წევრი გრეტა წიწავა და სამცხე-ჯავახეთის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ინა კაპანაძე. შეხვედრაზე განიხილეს ქალის როლი პოლიტიკაში, ოჯახში და ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე ყურადღება გამახვილდა გენდერულ თანასწორობასა და სტერეოტიპებზე. როდესაც დაისვა კითხვა, უნდა იყოს თუ არა ქალი პოლიტიკაში, ბევრმა სტუდენტმა უპასუხა, რომ არა, რადგან მათი აზრით, თუ ქალი პოლიტიკით იქნება დაკავებული, მაშინ სახლის საქმეებს ვინ გააკეთებს. არ უარყოფ იმ ფაქტს, რომ სახლის საქმეები ან ბავშვების მოვლა არ უნდა იყოს ქალის მოვალეობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქალებისთვის ეს ცხოვრება მხოლოდ სახლის საქმეებით და ბავშვების მოვლით უნდა დაიწყოს და დასრულდეს, ქალს უფრო მეტი

შეუძლია. ვფიქრობ მსჯელობას კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის მარგარეტ ტეტჩერის შემდეგი სიტყვები „სახლი ქალისთვის ცენტრი უნდა იყოს და არა ცხოვრების საზღვრები“. ქალისთვის სახლი არ უნდა იყოს ცხოვრების საზღვრების მხაზველი კედელი იგი უნდა იყოს საყრდენი, საიდანაც ქალი საკუთარი ოცნებებისა და შესაძლებლობებისკენ ისწრაფვის. ოჯახშიც ქალს უნდა ჰქონდეს თავისი ხმა, საკუთარი ადგილი და უფლებები, რადგან პატივისცემა ქალის ძალის აღიარებიდან იწყება. შეხვედრაზე ძლიერი ქალების დანახვა ჩემთვის განსაკუთრებულად შთამაგონებელი იყო. ნინო წილოსანი ჩემ თვალში ძლიერი ქალის ნამდვილი მაგალითია — მან შეძლო სტერეოტიპების წინააღმდეგ წასვლა და დღეს აგრძელებს სხვა ქალების გაძლიერებას, რათა მათ ირწმუნონ საკუთარი ძალა, ხმა და შესაძლებლობები. მე მჯერა, რომ ერთ დღეს აღარ იქნება საჭირო გენდერულ უთანასწორობაზე საუბარი. ერთ დღეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში ქალების ხმა პოლიტიკაში უფრო დიდი იქნება. თუმცა ამ მიზნისთვის ჯერ ბრძოლაა საჭირო — შეიძლება რთული და ხანგრძლივი ბრძოლა იყოს, მაგრამ სწორედ ეს სძენს ცხოვრებას სიღრმეს და მნიშვნელობას. ბრძოლების გარეშე ცხოვრება ნელდება, ხდება თითქმის უაზრო. ქალებმა უნდა გაიგონ, რომ სტერეოტიპები მხოლოდ საზღვრებია, რომლებიც მათ წინ დგას, და რომ ნამდვილი ძალა იწყება საკუთარი უფლებების დაცვით. ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, ვინც უშიშრად გამოდის წინ, ამჟღავნებს საკუთარ აზრს და შეხედულებებს, მიუხედავად საზოგადოების წინააღმდეგობებისა. ადამიანი, რომელიც საკუთარი უფლებების დაცვას არ იცის, ბუნებრივია, არც სხვისი უფლებების დაცვა შეძლებს. საქართველოს სჭირდება ძლიერი პოლიტიკოსები, რომელთაც იციან საკუთარი უფლებების მნიშვნელობა და მზად არიან დაიცვან ისინი, ამით კი დაიცვან მთელი საზოგადოება. ჩვენში იმედი და თავდაჯერებულობა არის ყველაზე ძლიერი იარაღი კულტურული და საზოგადოებრივი სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ყველაზე მკაცრ გარემოშიც კი, შინაგანი სინათლე იმდენად ძლიერია, რომ აყვავდება. ეს არის სიცოცხლის ურღვევი ნება, რომელიც გვასწავლის, რომ ვერაფერი ვერ ჩაახშობს ჩვენს შინაგან ძლიერებას. თითოეული დაბრკოლება მხოლოდ გაძლიერების საშუალებაა, თითოეული წინააღმდეგობა — შესაძლებლობა, ვაჩვენოთ საკუთარი სიმამაცე. ეს სინათლე გვაძლევს ძალას ვიყოთ მხარდაჭერის წყარო სხვებისთვის, გავაერთიანოთ ადამიანები და ვაშენოთ მომავალი, სადაც სიძლიერე, რწმენა და იმედი ყოველთვის იქნება ერთად. ქალს შეუძლია იყოს წარმატებული და ძლიერი პოლიტიკოსი.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში: ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

თანამედროვე სამყაროში „გენდერული უთანასწორობა“ დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქალთა აქტიურობა პოლიტიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ქვეყნები სადაც ქალები მაინც, ნაკლებად არიან ჩართულები საკანონმდებლო სტრუქტურებში. ეს უთანასწორობა არა მხოლოდ ქალთა უფლებებს და თავისუფლებას ზღუდავს, არამედ ხელს უწყობს პოლიტიკაში წინსვლას, და არა მარტო პოლიტიკაში არამედ ბევრ საქმეში. აზიანებს საზოგადოების მთლიან განვითარებას და ა.შ. რატომ არის ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა და ჩართულობა ჯერ კიდევ მიუღებელი საზოგადოებისათვის? ამ საკითხის უმთავრესი მიზეზია ჯერ კიდევ ძველი დროიდან ჩამოყალიბებული ისტორიული სტერეოტიპები. რომ ქალის ადგილი სახლშია, მათი მთავარი საქმე არის ოჯახზე ზრუნვა, ბავშვების აღზრდა, საჭმლის მომზადება და ა.შ. და პოლიტიკა „მამაკაცური სფეროა“, ისე როგორც ბევრი პროფესიული მიმართულება. და ეს სტერეოტიპები სამწუხაროდ ჩვენთან საქართველოშიც არსებობს. ჩვენ ვიცით რომ საუკუნეების განმავლობაში თუნდაც კერძოდ საქართველოში ქალებს ნაკლები ხმა და თავისუფალი სიტყვის უფლება ჰქონდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ამჟამად კი უკვე ნათლად ჩანს და ცხადია ის, რომ ქალის ძალა პოლიტიკაში პირველ რიგში ძლიერებას გამოხატავს. როდესაც ქალი ჩართულია პოლიტიკაში, მასთან შემოდის უკეთესი მომავლის შექმნის სურვილი. დღეს მსოფლიოს უმეტეს ადგილას სწორედ ქალები მართავდნენ ქვეყანას. აი, მაგალითად, როდესაც ძლიერ ქალზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოვტოვოთ ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II, ვინც 65 წელი ატარებდა დედოფლის ტიტულს. ასევე, კრისტინ ლაგარდი, ფრანგი პოლიტიკოსი და ადვოკატი, ვინც დღეს ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტია. გამოჩენილი პოლიტიკოსია ასევე ანგელა მერკელი, ვინც პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული და ძლიერი ქალია. ასევე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თეა ახვლედიანი - ქართველი დიპლომატი და პოლიტიკოსი, ვისთანაც მე მქონია პირადად შეხვედრა, მე აღფრთოვანებული ვარ მისით. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკა არ არის მარტო მამაკაცების სფერო, არამედ ის მიმართულებაა, სადაც სქესი არ არის მნიშვნელოვანი, აქ მთავარია ცოდნა, პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა და ადამიანური თვისებები. მაგრამ, მიუხედავად ამ ყველა არგუმენტისა, არსებობს კონტრარგუმენტი: რატომ არ უნდა იყოს ქალი ჩართული პოლიტიკაში.

ზოგიერთი სკეპტიკოსი ამტკიცებს, რომ ქალის პოლიტიკაში მონაწილეობა უმეტეს შემთხვევაში არ არის ეფექტური, იმიტომ, რომ პოლიტიკა ისეთი სფეროა, სადაც გჭირდება მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება, მაღალი სტრესის გავლა და, როგორც ამბობენ, ქალები უფრო ემოციურები და ნაზები არიან, ვიდრე მამაკაცები. ამიტომაც შეიძლება, რომ ქალები მზად არ იყვნენ ასეთი პირობებში ჩართულობისათვის. მაგრამ ჩემთვის ეს მტკიცება მიუღებელია. რადგან მე ვფიქრობ, რომ ქალი ისეთი არსებაა, ვისაც შეუძლია ნებისმიერი სირთულის გადალახვა და ამავდროულად ყოველთვის მზად იყოს ყველა პრობლემისთვის. რომლის ნათელი მაგალითია თამარ მეფე. იგი იყო საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი მეფე. და უაღრესად წარმატებული, ძლიერი და ჭკვიანი მმართველი აღმოჩნდა, ვისი სახელიც დღემდე შეუცვლელია საქართველოს ისტორიაში. თამარი ატარებდა ტიტულს: „მეფეთ მეფე

და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვით მფლობელობითა მპყრობელი“. ამ ისტორიული ფაქტით ჩვენ შეგვიძლია სრულად დაამტკიცოთ და დავუპირისპიროთ იმ აზრს, რომ ქალები ემოციურები არიან და ვერ იღებენ მკაცრ და სწორ გადაწყვეტილებებს. თუმცა, სხვადასხვა გამოვითხვის დროს გაირკვა, რომ მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკაში ჩართვა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, რასაც ქალისთვის არ არის მოსახერხებელი და რის გამოც ქალებს უჭირთ ერთდროულად პოლიტიკური საქმიანობა და ოჯახის მოვალეობების შეთავსება. თუნდაც მაგალითად ის, რომ ბავშვებზე ზრუნვაა საჭირო, რაც, ტრადიციულად, ქალის მოვალეობაა, და, მაშასადამე, დრო გჭირდება ამისთვის. ანუ ქალს არ შეუძლია ოჯახის და პოლიტიკის შეთავსება. მართალია, ოჯახზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, პირადად მე ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ოჯახი ყოველთვის პირველ რიგში უნდა იყოს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას რომ მამაკაცს აქვს ყველაფრის უფლება, ხოლო ქალს კი - არა.

ჩემი აზრით, „ოჯახი“ ნიშნავს თანასწორობას, თავისუფლებას, ერთმანეთის მხარდაჭერას და სიყვარულს. და თუ ოჯახში არის ეს ყველაფერი მაშინ შეუძლებელი არაფერი არ არის. ჩემი მოსაზრება კი სრულიად ამტკიცებს ბენაზირ ბჰუტო, ვინ იყო პაკისტანის პრემიერმინისტრი და პირველი ქალი, რომელმაც დაიკავა ასეთი მაღალი პოზიცია მუსულმანური ქვეყანაში. მას ჰყავდა ოჯახი, ქმარი და დაწყებული პოლიტიკური კარიერის დროს ჰყავდა სამი შვილი. მისი მაგალითი აჩვენებს, რომ ქალს შეიძლება ჰქონდეს ოჯახი და შვილები, მაგრამ მაინც წარმატებით მართოს სახელმწიფო. ისევე, როგორც სარიმავო ბანდარანაიკემ, რომელიც იყო პირველი ქალი პრემიერ მინისტრი და თან ჰყავდა ოჯახი, შვილები და ქმარი. მისი პოლიტიკური და ოჯახური მდგომარეობა ზუსტად აჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსი + ოჯახი შესაძლებელია ერთად. ასევე, ძალიან ძლიერ არგუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ სანნა მარის მაგალითი. ვინც გახლავს ფინეთის პრემიერ მინისტრი, და მიუხედავად იმისა რომ ასეთ ახალგაზრდა ასაკში მან შეძლო ყოფილიყო ასეთი წარმატებული, ძლიერი და ჭკვიანი პიროვნება, ის თან არის დიდი ოჯახის ქალი და დედა. და როგორც წარმატებულია პოლიტიკაში, ისევე ოჯახში, რადგან ის დედობრივ მოვალეობებს ძალიან პასუხისმგებლობით ასრულებს და მშვენიერ შვილებს ზრდის და ასწავლის და აჩვენებს, რომ თუ სურვილი არსებობს, შეუძლებელი არაფერია სამყაროში! ისევე, როგორც თითოეული ჩვენგანისთვის - თუ სურვილი არსებობს, ყველაფერი შესაძლებელია. და ჩვენ უბრალოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მიზნის მისაღწევად, უნდა გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები და ყველანაირად ვეცადოთ ჩვენი მიზნების მიღწევას.

ცვლილებები მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც საზოგადოება მზად იქნება თანასწორობისა და სამართლიანობის გზა გაუხსნას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქალებმა არაფერი არ უნდა გააკეთონ და უბრალოდ დაელოდონ დახმარებას, პირიქით, ზუსტად ისინი არიან ისინი, ვინც უნდა იბრძოლონ თავიანთი უფლებებისთვის, ქალებმა უნდა ისაუბრონ და იბრძოლონ თავიანთ პრობლემებსა და მათ გადაჭრის გზებზე მანამ, სანამ საბოლოოდ არ შევძლებთ ამ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული პრობლემის დაძლევას. ამ ყველაფრიდან გამომდინარე დასკვნას ვაკეთებ რომ წარმატებული და ძლიერი მმართველი ქალიც შეიძლება იყოს. და ქალების ჩართულობა პოლიტიკაში არ არის მხოლოდ თანასწორობის საკითხი, არამედ ეს არის ქვეყნის წინსვლისა და განვითარების წინაპირობა. ქალები პოლიტიკაში ანადგურებენ სტერეოტიპებს, ქმნიან ჯანსაღ გარემოს, ძლიერ ქვეყანას, წარმოადგენენ იმ ძალას რასაც ერთიანებს სიბრძნეს, შრომას, პასუხისმგებლობას, მოტივაციას და

წარმატებას. და ახლა ჩვენ უნდა ყველაფერი გავაკეთოთ რომ ქალი პოლიტიკაში გამონაკლისი არ იყოს, და შემდეგ სწორედ ამით დაიწყება სამართლიანი, ძლიერი და წარმატებული მომავალი. ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა არა მხოლოდ სამართლიანობის მოთხოვნაა, არამედ თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი პირობაც. პოლიტიკაში ქალები უფრო ფართო ხედვას, პასუხისმგებლობის უფრო დიდ გრძნობას, სიბრძნეს, ჰუმანურობას და პრობლემებისადმი მრავალმხრივ მიდგომას გულისხმობენ. ის ფაქტი, რომ ქალები საუკუნეების განმავლობაში შეზღუდულები იყვნენ პოლიტიკურ მონაწილეობაში, არ ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად ქმედითუნარიანები არიან, პირიქით: ყველა ქალი, რომელმაც შეძლო სტერეოტიპების დანგრევა, ამტკიცებს, რომ გენდერი არასდროს ყოფილა და არც უნდა იყოს პოლიტიკური წინსვლის კრიტერიუმი. ეს უბრალოდ სტერეოტიპებია, რომლებიც დროა დავანგრიოთ. ქალებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ იყვნენ ძლიერი ლიდერები, წარმატებული მენეჯერები, სამართლიანი მმართველები და ამავდროულად უყვარდეთ და იზრუნონ თავიანთ ოჯახებზე. აღზარდონ შვილები სიყვარულითა და დიდი ყურადღებით. მათი მაგალითები აჩვენებს, რომ პოლიტიკა არც „მამაკაცური სფეროა“ და არც ის ადგილი, სადაც ქალებს ადგილი არ აქვთ. პოლიტიკა არის სფერო, რომელიც მოითხოვს ცოდნას, ძალას, თანაგრძნობას, მიზანდასახულობას და პასუხისმგებლობას, რომლებიც ქალებში არანაკლებ განვითარებულია. ამიტომ, აუცილებელია, რომ საზოგადოება არ იბრძოლოს, არამედ ხელი შეუწყოს ქალების პოლიტიკაში ჩართულობას. რადგან როდესაც ქალი იღებს გადაწყვეტილებებს, ის არასდროს ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე. ის ხედავს მთელ საზოგადოებას, ყველაფრის გათვალისწინებით და ირჩევს გამოსავალს, რომელიც ყველასთვის სასარგებლოა. ხშირად, მაშინაც კი, როდესაც ეს გამოსავალი ზიანს აყენებს მათ, მაგრამ საზოგადოებას ასიამოვნებს, ისინი მაინც საზოგადოებას ირჩევენ. ამიტომაც ქალი პოლიტიკაში ნიშნავს უფრო სამართლიან მომავალს, მშვიდობას, განვითარებას და ძლიერ სახელმწიფოს. ქალის ადგილი არის ის, სადაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება და პოლიტიკა სწორედ ასეთი ადგილია.

პოლიტიკა ქალების სფერო

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ გამოწვევას თანამედროვე საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ბევრ ქვეყანაში იცავს ქალთა უფლებებს, პრაქტიკულად მაინც არსებობს უთანასწორობა, რომელიც სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში გამოიხატება. ეს უთანასწორობა არ არის მხოლოდ კანონიერი საკითხი; ის ყოველდღიური ცხოვრების, ენის, კულტურული ნორმებისა და ოჯახური როლების მეშვეობითაც არის გამყარებული.

ქალთა და მამაკაცთა როლები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად განისაზღვრება ენის, კულტურული ნორმებისა და ოჯახური გამოცდილების საშუალებით. ენა არა მხოლოდ აზრების გადმოცემის საშუალებაა, არამედ გენდერული სტერეოტიპების გამყარების ხერხიც. მაგალითად, ლექსიკური ერთგვაროვნება, სუბტილური გამონათქვამები ან იუმორი ხშირად აყენებს ქალებს და მამაკაცებს კონკრეტულ როლებში: ქალები „მზრუნველები“, „შესაძლებლობის მქონენი“, მამაკაცები „მაღალი პასუხისმგებლობის მქონენი“ და „ოჯახის მცველები“. ეს ჩარჩოები ახალგაზრდებშიც ვითარდება, რამაც შეიძლება მომავალ თაობაში წინასწარ განსაზღვროს გენდერული მოლოდინები.

კულტურული ნორმები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ყოველდღიურ ცხოვრებას. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყანაში დღემდე მიღებულია სოციალური მოლოდინი, რომ ქალები ძირითადად უნდა იყვნენ მზრუნველები, ოჯახის მოვალეობ ებს მორგებული, ხოლო მამაკაცები — კარიერაზე ორიენტირებულები და ეკონომიკურად პასუხისმგებლები. ეს ნორმები ხშირად არასაპარლამენტო დონეზეც ჩნდება, მაგალითად, თუ როგორ აფასებენ სამეგობროში ქალთა ან მამაკაცთა მიერ აღებული როლებს.

ოჯახური როლები, თავის მხრივ, კულტურული ნორმების პრაქტიკული ასახვაა. ოჯახში მზრუნველობა, ბავშვების აღზრდა, საოჯახო საქმეები, ფინანსური გადაწყვეტილებები - ეს ყველაფერი გენდერული სტერეოტიპებით არის განსაზღვრული. მაგალითად, თუნდაც იმავე ოჯახში, სადაც ქალს სრულად აქვს კარიერული პასუხისმგებლობა, ბევრი საკითხი მაინც დაკავშირებულია „მამაკაცის როლთან“ ფინანსურ და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ეს ყოველდღიური პრაქტიკა აშკარად აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ კანონის დონეზე ვერ შენარჩუნება, მას სჭირდება კულტურული ჩარჩოების შეცვლა.

გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ ქალების პასუხისმგებლობა, მამაკაცებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. მამაკაცთა ჩართულობა ამ პროცესში გულისხმობს არა მხოლოდ მათ მხარდაჭერას, არამედ აქტიურ მონაწილეობას ყოველდღიურ და პროფესიულ გარემოში, სადაც ქალები არსებული სტერეოტიპებისგან ხშირად შეზღუდულები არიან. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ კულტურული ნორმების გადახედვას, დაეხმარონ ქალებს კარიერული შესაძლებლობების განვითარებაში და თანაბრად გაინაწილონ საოჯახო პასუხისმგებლობები.

მამაკაცების ჩართულობა გენდერული თანასწორობის პროცესში ასევე მოიცავს განათლებასა და ყოველდღიურ კომუნიკაციას. სკოლებში, უნივერსიტეტებში, სამუშაო ადგილებზე და საზოგადოებრივ

სივრცეებში, სადაც მამაკაცები იყენებენ ზუსტ, თანაბარ და პატივსაცემ ენას, ისინი აფასებენ ქალთა შრომას და მხარს უჭერენ მათ ი აზრების გამოხატვას. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების დასუსტებას და თანასწორი გარემოს შექმნას. მამაკაცთა პოზიტიური მაგალითი და ინიციატივა ხშირად ავითარებს კულტურას, სადაც ქალები იბრძვიან კარიერული განვითარებისა და პიროვნული ზრდის უფლებისთვის, ხოლო მამაკაცები არ არიან გადამწყვეტი, „ერთპიროვნული“ ავტორიტეტის მატარებლები.

გენდერული უთანასწორობა ხშირად ხდება მხატვრული ნარატიული ნორმების ნაწილი. ლიტერატურა, კინო, თეატრი და სხვა შემოქმედებითი ფორმები ხშირად ასახავს ქალთა და მამაკაცთა ყოველდღიურ ბრძოლებს, ურთიერთობებს და სოციალური სტერეოტიპების გავლენას. მაგალითად, მოთხრობებში ქალები ხშირად გამოკვეთილი არიან როგორც გმირები, რომლებიც ახერხებენ პიროვნული თავისუფლებისა და თვითგამოხატვის დაცვას ოჯახურ და პროფესიულ გარემოში, სადაც წესები მამაკაცებს უფრო ხელშეუხებლად აყენებს.

მხატვრულ ნარატივებში მამაკაცები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ როგორც ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ ჩარჩოები, დაივიწყონ „ტრადიციული“ როლები და გააძლიერონ თანასწორობის პროცესი. ეს ნარატივი არა მხოლოდ გრძნობებს აღვიძებს, არამედ მკითხველს ან დამსწრეს სთავაზობს შემეცნებით გამოცდილებას: როგორ შეიძლება ცხოვრების ყოველდღიურობასა და გადაწყვეტილებებში აქტიურად ჩართონ გენდერული თანასწორობის პრინციპები.

მხატვრული ნარატივი გენდერული საკითხების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: ის აძლიერებს საზოგადოების ცნობიერებას, გენდერული სტერეოტიპების კრიტიკულ აღქმას, და, რაც მთავარია, ხელს უწყობს ცვლილებას ყოველდღიურ პრაქტიკაში. მაგალითად, მოთხრობები, სადაც მამაკაცი აქტიურად ეხმარება ქალს პროფესიულ საქმიანობაში ან საოჯახო საქმეების გასაკეთებლად, სთავაზობს მკითხველს რეალურ მაგალითს თანასწორობის შესაძლებლობის შესახებ. მსგავსი ნარატივი ხელს უწყობს არა მხოლოდ საზოგადოების აღქმას, არამედ ქმედით ნაბიჯებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში არის მრავალგანზომილებიანი პრობლემა. მისი აღქმა მოითხოვს ერთდროულად სხვადასხვა დონეების გაანალიზებას: ენის, კულტურული ნორმების, ოჯახური როლების, მამაკაცთა ჩართულობისა და მხატვრული ნარატიული ფორმების. გენდერული თანასწორობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც ქალები, ისე მამაკაცები აქტიურად ჩაერთვებიან ცვლილებების პროცესში, როგორც ყოველდღიურ, ისე პროფესიულ და კულტურულ დონეზე. მხატვრული ნარატივი ამ პროცესს აძლიერებს, რადგან ის აჩვენებს რეალური ცხოვრების მაგალითებს, გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლას და თანასწორობის პრაქტიკული გამოვლინებებს.

ეს პროცესები ხელს უწყობენ არა მხოლოდ კანონების შესრულებას, არამედ ყოველ დღიური ცხოვრების გენდერული პრინციპების რეალურ აღქმას, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის უფრო სამართლიან, თანასწორ და სტაბილურ საზოგადოებას.

გენდერი და ყოველდღიური ცხოვრება

თანამედროვე ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ გამოწვევებს. ცხოვრების რიტმი საგრძნობლად აჩქარებულია და ჩვენც, ადამიანები, ვცდილობთ ყოველივეს მოსწრებას, მაგრამ საკითხავია, ასე საით მივიჩქართ? ურთიერთობები გაუფასურებულია, ბატონობს უსამართლობა და მთელი ყურადღება მატერიალური საზრუნავისკენ არის მიმართული. ჩვენი ძვირფასი დრო სწორედ ამ ყოველივეს ეთმობა.

21-ე საუკუნეში, ქალებს მოპოვებული აქვთ შედარებით მეტი თავისუფლება, ვიდრე წინა საუკუნეებში, რომელიც გამოიხატება: მუშაობის, საკუთარი თავის განვითარების, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობის, სურვილის შემთხვევაში - განათლების მიღებაში და ა.შ.

უმეტეს შემთხვევაში მანდილოსნებს, პირად განვითარებასთან ერთად, პარალელურად, უწევთ დამოუკიდებლად, უდიდეს მოვალეობებთან გამკლავება. განსაკუთრებით დაოჯახებულ ქალებს, რომლებსაც საზრუნავი აქვთ, როგორც ოჯახზე, შვილებზე, ამავდროულად, საკუთარ წინსვლაზეც, რათა სამომავლოდ შეძლონ მუშაობა ნორმალური ანაზღაურებით და გვერდში დაუდგნენ მეორე ნახევარს. მათ, აგრეთვე, უნდა შეძლონ თავისუფალი დროის გამონახვა პირადი სივრცისთვის, ჰობისთვის, რაც ყოველი ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია ის მდგომარეობაც, როდესაც ქალმა სათანადო დროს (არახელსაყრელი პირობების გამო), ვერ მიიღო განათლება და დაოჯახების, შვილების შეძენის შემდეგ, მოუწია უმაღლესი განათლების მიღება. ამ ვითარებაში მამაკაცთა ქცევის კატეგორია, უმეტესად, სამ ნაწილად იყოფა: 1. მათი ნააზრევი ძველმოდურია და თვლიან, რომ ქალის საქმე არა სწავლა, არამედ დისახლისობაა; 2. მამაკაცი თანხმდება ქალის არჩევანს, მაგრამ თვითონ, ფაქტობრივად, ყველა საოჯახო ვალდებულებისგან თავისუფლდება, შესაბამისად, ყველა მოვალეობასთან ერთად, ისევ ქალის საზრუნავი ხდება დამატებითი დროის გამონახვა სწავლისთვის; 3. მამაკაცების კატეგორია, რომელიც ზედა ორ შემთხვევასთან შედარებით, მეტად აქტიურად არის ჩართული საოჯახო საქმეებსა და ბავშვების აღზრდაში, რაც საქართველოში საკმაოდ იშვიათია.

ურთულესია ამ ყოველივეს შესრულება სუსტი სქესისთვის, მაშინ, როდესაც მამაკაცის გვერდში დგომით და 50-50 ზე საქმეების გადანაწილებით ყოველივე დაბალანსდებოდა წყვილს შორის მეტი პატივისცემა, სიყვარული, ურთიერთგაგება და ისადგურებდა როდესაც ქალი ხდება დედა, ამავდროულად ხდება უსაზღვრო სიძლიერის პატრონი, მისთვის არაფერია შეუძლებელი, განსაკუთრებით - როდესაც მკაფიო მიზანი აქვს დასახული. აქვე დაისმის კითხვა: თუ მთელი ოჯახური პასუხისმგებლობა ქალმა იკისრა, რა ფუნქცია ეკისრება მამრობით სქესს?

მშობლებს, ისევე, როგორც სოციალურ გარემოს, წამყვანი როლი ენიჭება ადამიანის ხასიათისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში. ბავშვობიდან უნდა აჩვენდნენ და ამცნობდნენ გოგოსა თუ ბიჭს თანაბარი უფლებების შესახებ, განურჩევლად სქესისა. როდესაც აღზრდა სწორად მიმდინარეობს, იგი ხელს უწყობს გენდერული ბარიერების შემცირებას და ბავშვს აძლევს საშუალებას, თავისუფლად აირჩიოს, თუ როგორი იყოს, რა უნარები განივითაროს. თუ ოჯახი სტერეოტიპებს აძლიერებს („ბიჭები არ ტირიან“, „გოგონებმა უნდა მოითმინონ“...), ბავშვის ჩარჩოები ვიწროვდება.

ოჯახი პირველი სივრცეა, სადაც ბავშვი ხედავს „ქალური“ და „მამაკაცური“ ქცევის მოდელებს. ბავშვები მშობლებისგან სწავლობენ თუ ვინ აკეთებს საოჯახო საქმეს, ვინ იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და ა.შ ეს ნორმები მათ, სრულ ასაკში ბუნებრივად წარმოუდგებათ. გენდერული სტერეოტიპები წარმოადგენს ზედაპირულ და ზოგჯერ მცდარ წარმოდგენებს ქალებისა და მამაკაცების თვისებების შესახებ. მაგალითად: „ქალი მორჩილი და ემოციურია“, „კაცი ძლიერია და იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს“ და სხვა.

ეს სტერეოტიპები ხშირად კულტურულ ისტორიას ეყრდნობა: ტრადიციებს, რელიგიურ შეხედულებებს და საზოგადოებრივ ღირებულებებს, თუმცა თანამედროვე კვლევები ამტკიცებს, რომ სტერეოტიპები მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის გენდერული თანასწორობის მიღწევაში. ის ზღუდავს ინდივიდის თავისუფლებას და არ აძლევს ადამიანს საშუალებას, აირჩიოს ისეთი გზა, რომელიც მის პირად შესაძლებლობებს შეესაბამება.

თანამედროვე კულტურები სულ უფრო მეტად აღიარებენ, რომ ზრუნვა და ემოციური ჩართულობა მხოლოდ „ქალური“ თვისებას არ წარმოადგენს. იმ ქვეყნებში, სადაც მამებს ეძლევათ დეკრეტული შვებულება ან შვილებზე ზრუნვის უფლება, გენდერული როლები თანაბრდება და ოჯახებში უფრო პარტნიორული მოდელი ყალიბდება.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები, კერძოდ: ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე თანასწორ საზოგადოებად, სადაც სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს გენდერული როლების დაბალანსებას. კავკასიის რეგიონში, მათ შორის საქართველოში, ტრადიციული ღირებულებები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა ახალგაზრდებს შორის თანასწორობისადმი მზარდი მხარდაჭერა უკვე იწვევს ცვლილებებს. ეს განსხვავებები აჩვენებს, რომ გენდერი საერთო ბიოლოგიურ საფუძველზე კი არ არის დამყარებული, არამედ კულტურისა და სოციალური წესრიგის შედეგია. კულტურა ქმნის ჩარჩოს, სადაც ფორმირდება მოლოდინები ქალისა და კაცის ქცევის, პასუხისმგებლობებისა და შესაძლებლობების შესახებ. თუმცა ეს ჩარჩოები მუდმივად იცვლება. განათლების ზრდა, გლობალიზაცია, სამართლებრივი ცვლილებები და სოციალური განვითარება ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების შემცირებას და თანასწორობის იდეის გაძლიერებას. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო ნათელია, რომ გენდერული როლები არ არის ფიქსირებული, ისინი დროთა განმავლობაში გარდაიქმნება ამიტომ გენდერულ თანასწორობაზე საუბარი ნიშნავს არა მხოლოდ ქალებისა და მამაკაცების უფლებების დაცვას, არამედ კულტურული ნორმების გადახედვას, რათა თითოეულ ადამიანს ჰქონდეს არჩევის თავისუფლება და საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა.

ჩემი ცხოვრებიდან მოვიყვან მაგალითს, მყავს სამი შვილი,- რომლებსაც ვზრდით მე და მეუღლე, დიდი შიშისა და ფიქრის შემდგომ გადავწყვიტე მეცადა ჩამეზარებინა უნივერსიტეტში. დღეს მე წარმოვადგენ ქალს, რომელიც იბრძვის საკუთარი მიზნის მისაღწევად, მიიღოს განათლება, დასაქმდეს და საკუთარი შვილებისა და საზოგადოებისთვის იყოს ნათელი მაგალითი იმისა, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, არ დაყარონ ფარ-ხმალი, იარონ წინ, ჩაეჭიდონ სურვილებს, განურჩევლად სქესისა!

31 წლის ასაკში გავხდი პირველი კურსის სტუდენტი, ჩემ უკან დგას უამრავი ვალდებულება, მაგრამ მაქვს იმედი რომ ყოველივეს გავემკლავდები ჩემს მეუღლესთან ერთად! საბედნიეროდ, მეორე ნახევარში ძალიან გამიმართლა, მისი გვერდში დგომის გარეშე ამ ნაბიჯს ვერასოდეს გადავდგამდი.

ქალისთვის და მისი შვილებისთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ინვესტიცია, სწორად შერჩეული ქმარია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ძალიან გართულდება. ოჯახები დღესაც ძალიან ხშირად

ინგრევა, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიმაჩნია ქმრის გულგრილი დამოკიდებულება ოჯახისადმი. ამ ვითარებაში ვხვდებით დანევროზებულ, შეშლილ ცოლს, რომელსაც დაღლილობისგან ქალურობის ნასახი არ შერჩენია და ქმარს, რომელსაც ხმაურის, უწყსრიგობის, ყვირილის ატანა არ შეუძლია, ამ ყოველივეს შესამსუბუქებლად არაფერს აკეთებს, რასაც, საბოლოოდ, მივყავართ გაუცხოებისა და დაშორებისკენ, ამით კი აზიანებენ როგორც საკუთარ ურთიერთობას, ასევე შვილების ფსიქიკას, რაც მათზე, ძალზე უარყოფითად მოქმედებს.

ვისურვებდი, ყველა ადამიანი ყოფილიყოს თანასწორუფლებიანი, ჰუმანური, განურჩევლად სქესისა, ჰქონოდათ ჰარმონიული, ოჯახური ცხოვრება, რათა აღზარდონ ჯანმრთელი, კეთილი, სწორი ფასეულობების მქონე თაობა, რომელთა ურთიერთობაც აგებული იქნება სიყვარულზე, დაფასებაზე, ბედნიერებაზე.

ცხოვრება უნდა იყოს ყველასთვის, თანაბრად ხელმისაწვდომი, თავისუფალი და მშვენიერი!

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საკითხი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად რჩება თანამედროვე საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში ბევრი ქვეყანა ცდილობს წესრიგში მოიყვანოს გენდერული ბალანსი, რეალობაში ხშირად ვხვდებით უთანასწორობის სხვადასხვა ფორმას. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდება სამ ძირითად სფეროში: პოლიტიკაში, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში და კულტურულ დონეზე.

პოლიტიკური თანასწორობა გულისხმობს, რომ ქალებსა და მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. თუმცა პრაქტიკაში ქალები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი როგორც პარლამენტებში, ისე მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ საბჭოებში. ეს მხოლოდ რაოდენობრივი პრობლემა არ არის — ნაკლები წარმომადგენლობა იმასაც ნიშნავს, რომ ქალთა საჭიროებები და ინტერესები ხშირად სათანადოდ არ აისახება სახელმწიფო პოლიტიკაში. ბევრ ქვეყანაში ამ უსამართლობის გამოსასწორებლად შემოიღეს კვოტები, თუმცა მათაც ვერ მოახერხეს სრული ბალანსის მიღწევა, რადგან კულტურული ბარიერები კვლავ ძლიერად მოქმედებს.

სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში უთანასწორობა ყველაზე მკვეთრად გამოიხატება შრომით ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ხშირად უფრო მაღალი განათლებითაც კი გამოირჩევიან, მათთვის მაინც რთულია კარიერულად წინსვლა. ანაზღაურების სხვაობა, ეწ. „gender pay gap“, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავ არსებობს. გარდა ამისა, ქალებს ხშირად ეკისრებათ გადაჭარბებული საოჯახო პასუხისმგებლობები, რაც ზღუდავს მათ ეკონომიკურ თავისუფლებასა და პროფესიულ განვითარებას. ამის ფონზე, მამაკაცები უფრო ხშირად იკავებენ მაღალ პოზიციებს და იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

კულტურული გარემო ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და რთულად მოსახსნელი დაბრკოლებაა. ტრადიციული წარმოდგენები „ქალის როლზე“ და „მამაკაცის როლზე“ ხშირად თითოეულს უკარნახებს, როგორ იცხოვროს, რა პასუხისმგებლობა იტვირთოს და როგორ გამოხატოს საკუთარი შესაძლებლობები. როცა საზოგადოება ქალს მიიჩნევს „მორალურად ვალდებულად“, პირველ რიგ იზრუნოს ოჯახზე და მეორეხარისხოვნად განიხილოს კარიერა, ის უკვე უთანასწორო პოზიციაშია. ამავე დროს, მამაკაცებზე ხშირად ხდება ზედმეტი ზეწოლა, რომ აუცილებლად უნდა იყვნენ ოჯახის ერთადერთი მიმწოდებლები, რაც ასევე ქმნის სირთულეებს. ამიტომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ ქალების საკითხი არასოდეს ყოფილა — ეს საერთო სოციალური ამოცანაა.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობისკენ სვლა უკვე დაწყებულია. განათლების გავრცელება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და პოლიტიკაში მათი აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, რომლებიც თანდათან ცვლის სტერეოტიპულ მიდგომებს. საბოლოოდ, თანასწორობა ნიშნავს არა მხოლოდ უფლებების გათანაბრებას, არამედ იმის გათვალისწინებას, რომ ორივე სქესს აქვს საკუთარი უნარები, სურვილები და პოტენციალი, რომელიც უნდა იყოს დაფასებული.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ კონტექსტში

გენდერული უთანასწორობა კაცობრიობის ისტორიის თითქმის ყველა ეპოქაში იდგა, თუმცა სხვადასხვა საუკუნეებსა და საზოგადოებაში გამოხატვის სხვადასხვაგვარი ფორმა ჰქონდა. მოდით, თვალი გადავავლოთ ისტორიას, ჯერ კიდევ ძვ.წ V-IV საუკუნეებში გენდერული უთანასწორობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ათენი და სპარტა: ათენში მოქალაქეობა, პოლიტიკა და განათლება მხოლოდ მამაკაცთა პრივილეგია იყო, მაშინ როცა ქალები ოჯახურ სივრცეში იყვნენ ჩაკეტილი. სპარტაში კი, ათენისგან განსხვავებით ქალებს შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი ძლიერ მეომრებს აღზრდიდნენ. საუკუნეების შემდეგაც, ქალების სულისკვეთება, ბრძოლა საკუთარი ღირსებისა და რაც მთავარია თავისუფლებისთვის არ ნელდებოდა. ამას გვახსენებს შუმანიკის ისტორიაც; ქალი, რომელიც იბრძვის საკუთარი უფლებებისთვის, სარწმუნოებისთვის, ის უპირისპირდება ჩაგვრასა და ძალადობას და საკუთარ არჩევანს სიცოცხლეზე მაღლა აყენებს. მსგავსი შეუპოვრობა გვხვდება შუა საუკუნეებშიც: ჟანა დარკი, რომელიც საფრანგეთის გათავისუფლების იდეას შესწირა თავი, გენდერულ შეზღუდვებს უფრო თვალნათლივ წარმოგვიდგენს.

ქართულ კულტურაში ამ თემას განსაკუთრებულად აძლიერებს ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართველო დედაო“ სადაც ქალი ქვეყნის სულიერ საყრდენად არის წარმოდგენილი - როგორც ადამიანი, რომელიც თაობებს ზრდის, ინახავს ეროვნულ ღირებულებებს და საზოგადოების მორალურ ძალას ქმნის:

„შენის მსგავსი დედის მისგან ერი ვერ იქნება წაბილწული“.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ისტორიის განმავლობაში ქალთა როლი არაერთხელ გამოიკვეთა, გენდერული უთანასწორობა დღესაც, 21 საუკუნეშიც, აქტუალური განხილვის საკითხია. თანამედროვე საზოგადოებაში პრობლემები მხოლოდ ფორმას იცვლიან - განათლებაზე, უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე წვდომა უმეტეს შემთხვევაში უთანასწოროდ ნაწილდება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ისტორიული მაგალითებიდან გადავინაცვლოთ თანამედროვეობაში და გავანალიზოთ, როგორ გრძელდება ქალთა ბრძოლა თანასწორობისთვის დღევანდელ სამყაროში. დღეს-დღეისობით საზოგადოებაში პროფესიები არის დაყოფილი, ქალის და მამაკაცის პროფესიად, საზოგადოება თვლის, რომ არ არსებობს დაწყებითის პედაგოგი კაცი, სტილისტი კაცი, ქალი ტაქსის მძღოლად, ქალი მშენებლობაზე, ბიზნესში ან თუნდაც პოლიტიკაში, ჩემი აზრით, ეს ყოველივე სტერეოტიპებია და მეტი არაფერი, ჟამთა სვლას, რომ თვალი ვადევნოთ დავინახავთ, რომ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები თანდათანობით იმსხვრევა, მაგალითად გადავხედოთ პოლიტიკას მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ქალის რიცხვი მცირეა 2024 წელს პირველად იყო ქალი პრეზიდენტი, თუმცა პოლიტიკურ პარტიებში გადაწყვეტილების მიღების პრიორიტეტი მამაკაცებს აქვთ. ქალი და კაცი ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით თანასწორნი არიან, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ამას ვერც პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სხვა სფეროში ვერ ვხედავთ. ისევ პოლიტიკას, რომ დავუბრუნდეთ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში გადაწყვეტილების მიღების უპირატესობა მამაკაცებს აქვთ, ამიტომ მას “კაცურ სფეროდ” მოიხსენიებენ, როგორც ზევით ვახსენე იმის მიუხედავად,

რომ საქართველოს ყავდა ქალი პრეზიდენტი ქალ პოლიტიკოსები ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლი ონლაინ სივრცეში, მათ ხშირად უწევთ სტერეოტიპებთან ბრძოლა, რაც მათი აქტიურობის მოტივაციას ამცირებს. რაც შეეხება ეკონომიკას, სტატისტიკის მიხედვით მამაკაცის ხელფასი ბევრად აღემატება ქალებისას. ისეთ პროფესიებში როგორიცაა ბიზნესი, ინჟინერია, აგრარული ფაქტორი ქალებს ნაკლები შესაძლებლობა აქვს თვითრეალიზაციისთვის.

მიუხედავად გამოწვევებისა, 21-ე საუკუნე პროგრესის ეპოქაცაა, მეტი ქალი იღებს განათლებას, ჩართულნი არიან ბიზნესში, მინახავს ქალი ტაქსის მძღოლად, მამაკაცი დაწყებითი განათლების პედაგოგად, მართალია მაჩვენებელი ძალიან მცირეა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე უფრო და უფრო გაიზრდება, ესეც პროგრესია ძველად ხალხს არ ჰქონდათ უფლება ხმამაღლა ესაუბრათ გენდერულ უთანასწორობაზე, დღეს კი აქვს უფლება ღიად დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ქალებზე ძალადობა დღემდე გლობალური პრობლემაა, ოჯახური ძალადობა, სამუშაო ადგილებზე შევიწროება, ფსიქოლოგიური ზეწოლა, ეს ყოველივე ნათელი მაგალითია იმისა, რომ გენდერული თანასწორობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, ბევრი ქალი იჩენს სიფრთხილეს ღია საუბრისას, რადგან საფრთხეები მაინც არსებობს, მაგალითისთვის მოვიყვან დღევანდელი ირანის მდგომარეობას, ქალებს ყოველგვარი უფლება შეზღუდული აქვთ მათი მოვალეობა სამხარეულოში ყოფნა, ოჯახში სტუმრის მოსვლის შემთხვევაში ქალს არ აქვს უფლება სტუმართან ჩამოჯდომის, ქალი სამხარეულოდან არ გამოდის, რაც შეეხება სტუმრებს მათ მამაკაცები მასპინძლობენ.

ასევე საყურადღებოა ის თემა, რომ ხშირად მამაკაცებიც ხდებიან გენდერული უთანასწორობის მსხვერპლი, ხალხს აქვს შეხედულებები თითქოს, მამაკაცს არ აქვს ტირილის უფლება, თუ მამაკაცი ტირის ესეიგი სუსტია, ეს კვლავ სტერეოტიპებია, რომელსაც აღმოფხვრა სჭირდება. მთლიანი მასალა, რომ გავანალიზოთ და დავფიქრდეთ, პრობლემა სტერეოტიპებში მდგომარეობს, მე ვფიქრობ, რომ თუ სტერეოტიპები დაიმსხვრევა და როგორც კანონით არის მიღებული ქალი და მამაკაცი თანასწორი იქნება ქვეყანა განვითარებისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს, როდესაც აღარ იარსებებს სიტყვები „ქალი კუხნაში“, „მამაკაცები არ ტირიან“ საზოგადოებას უფრო დიდი შესაძლებლობა ექნება თვითრეალიზაციისთვის, ღირსეული, წარმატებული ადამიანი კი წარმატებული ქვეყნის საწინდარია,

პრობლემის აღმოსაფხვრელად ასევე აუცილებელია (TSC) პროგრამა, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცნობიერებაზე ზემოქმედებას, რათა გენდერული თანასწორობა გახდეს არა მხოლოდ კანონის მოთხოვნა, არამედ სოციალური ნორმა, საზოგადოებაში უნდა იყოს განსწავლულობა უფლებათა დეკლარაციის შესახებ მათ უნდა იცოდნენ არა მარტო საკუთარი უფლებები, არამედ სხვისიც, როგორც ნათქვამია: „შენი უფლება იწყება მაშინ სადაც მთავრდება სხვისი“

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ მამაკაცის და ქალის უფლებების საკითხი - ეს გლობალური საკითხია, რომელიც საზოგადოების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს, როდესაც ქალი და მამაკაცი თანაბარი ძალით ქმნიან უკეთეს მომავალს, ქვეყანა უფრო მტკიცე და ძლიერი ხდება. ვფიქრობ, დროა, უთანასწორობა წარსულში დავტოვოთ და მომავალი ერთად, ერთობლივი ძალით ავაშენოთ.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

თანამედროვე სამყაროში ქალებისა და მამაკაცების (უ)თანასწორობის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და წინააღმდეგობრივ თემად რჩება. ადამიანის უფლებების სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, გენდერული უთანასწორობა კვლავ ვლინდება პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. ქალები კვლავ აწყდებიან შეზღუდულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არათანაბარ ანაზღაურებას და დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, რომლებიც საზოგადოებრივ მოლოდინებს აყალიბებს მათი როლის მიმართ. ამავე დროს, მამაკაცები ხშირად ექცევიან ტრადიციული ნორმების ზეწოლის ქვეშ, რომლებიც მათგან ძალას, ძალაუფლებას და ემოციურ თავშეკავებას მოითხოვს. ამგვარად, სქესთა თანასწორობის პრობლემა სცდება ინდივიდუალურ შემთხვევებს და ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სისტემის ნაწილი, რომელიც ბალანსს მოითხოვს თითოეული ადამიანის შესაძლებლობებს, უფლებებსა და მოვალეობებს შორის. სტერეოტიპების გამო იკარგება ათასგვარი შესაძლებლობა და ოცნება, რაც, სამწუხაროდ, ცუდად მოქმედებს ორივე სქესზეც. არსებობს უამრავი სფერო, სადაც უამრავი უთანასწორობის მაგალითია. ერთ-ერთი ასეთი სფერო არის ეკონომიკური უთანასწორობა და შრომის ბაზარი, „მინის ჭერი“ და ხელფასთა სხვაობა. შრომის ბაზარზე ქალები ხშირად აწყდებიან უხილავ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის მათ მაღალი თანამდებობების დაკავებაში, მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიუხედავად. გარდა ამისა, ხელფასებში მნიშვნელოვანი სხვაობა კვლავ არსებობს: საშუალოდ, ქალები ერთსა და იმავე სამუშაოში ნაკლებს გამოიმუშავენ, ვიდრე მამაკაცები. ეს უთანასწორობა განპირობებულია არა მხოლოდ დისკრიმინაციით, არამედ სოციალური სტერეოტიპებითაც, რომლებიც ზღუდავს ქალების პროფესიულ შესაძლებლობებს. შედეგად, ქალების შრომა ხშირად არასაკმარისად არის დაფასებული და მათი კარიერა ოჯახურ პასუხისმგებლობებზე არის დამოკიდებული. ნამდვილი თანასწორობის მიღწევა მოითხოვს არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებს, არამედ საზოგადოებრივი ნორმებისა და ღირებულებების გადახედვას, რათა ყველამ, სქესის მიუხედავად, შეძლოს თავისი პოტენციალის რეალიზება.

ასევე, უთანასწორობის ერთ-ერთი სფეროა პოლიტიკა. გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანდათანობითი გაფართოების მიუხედავად, მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული რჩება. მთავარი ბარიერებია ძალაუფლების „მამაკაცური“ ბუნების შესახებ სტერეოტიპები, პარტიების მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა და სოციალური ზეწოლა, რომელიც აიძულებს ქალებს, კარიერა ოჯახში ტრადიციულ როლთან შეათავსონ. ამერიკელმა მკვლევარმა ჰანა პიტკინმა აღნიშნა: „წარმომადგენლობა არ არის მხოლოდ ყოფნა, არამედ სხვების სახელით საუბრისა და მოქმედების უნარი“ (წარმომადგენლობის კონცეფცია, 1967). ეს იდეა ხაზს

უსვამს იმას, რომ ქალები პოლიტიკაში საჭიროა არა ფორმალური თანასწორობისთვის, არამედ საზოგადოების ინტერესების სრულად ასახვისთვის. ფემინისტმა სოციოლოგმა ენ ფილიპსმა ასევე დაწერა: „დემოკრატია ვერ იქნება სრული, თუ მოსახლეობის ნახევარი კვლავ არასაკმარისად არის წარმოდგენილი“ (ყოფნის პოლიტიკა, 1995). ბარიერების დაძლევის სისტემური ცვლილებები სჭირდება: საგანმანათლებლო პროგრამები, ქალი ლიდერების მხარდაჭერა და ძალაუფლების შესახებ საზოგადოებრივი აღქმის ცვლილება. ნამდვილი თანასწორობა მიიღწევა არა მაშინ, როდესაც ქალებს მონაწილეობის უფლება ეძლევათ, არამედ მაშინ, როდესაც მათი მონაწილეობა პოლიტიკური პროცესის ბუნებრივ და თანასწორ ნაწილად იქცევა.

იმისათვის, რომ ძალიან შორს არ წავიდეთ ამ თემისგან, ვისაუბრებ გენდერსა და სამართალზე. გენდერი და სამართალი მჭიდროდ დაკავშირებულია მამაკაცებისა და ქალების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფასთან საზოგადოებაში. მიუხედავად საერთაშორისო ნორმებისა და ეროვნული კანონების არსებობისა, ქალები ბევრ ქვეყანაში კვლავ ხვდებიან სამართლებრივ ბარიერებს, რომლებიც აკონტროლებენ მათ უფლებებს განათლების, დასაქმების, პოლიტიკაში მონაწილეობისა და ძალადობისგან დაცვის სფეროში. ეს ბარიერები ხშირად დაფარულია ფორმალური ნორმებით, კულტურული სტერეოტიპებითა და სამართლის სისუსტით განხორციელების პრაქტიკით. საერთაშორისო სტანდარტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელი კონვენციის (CEDAW, 1979) მე-2 მუხლი აღნიშნავს: „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ზომები ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ცხოვრების ყველა სფეროში“. სამართლის დამცველები აღნიშნავენ, რომ კანონების არსებობა თავად არაა გარანტია თანასწორობისა.

როგორც წერს კეტრინ მაკ კინონი: „ქალთა უფლებები ვერ განხორციელდება რეალური დაცვის მექანიზმისა და კონტროლის გარეშე“ (Toward a Feminist Theory of the State, 1989). ეფექტური დაცვის მექანიზმებში შედის სპეციალიზებული სასამართლოები გენდერული ძალადობის საკითხებზე, კონსულტაციები დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამები და სახელმწიფო მონიტორინგი. საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა (1995), ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით. ამგვარად, თანასწორობისთვის ბრძოლა გულისხმობს არა მხოლოდ კანონების მიღებას, არამედ მათი აქტიურ განხორციელებას და ქალთა უფლებების პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბებას. მხოლოდ სამართლებრივი ნორმების, საერთაშორისო სტანდარტებისა და სოციალური მექანიზმების კომბინაცია შეიძლება შექმნას პირობები სრულფასოვანი გენდერული თანასწორობისთვის თანამედროვე საზოგადოებაში.

ახლა კი, მინდა ვისაუბრო და გამოვთქვა ჩემი აზრი გენდერულ უთანასწორობასა და ყოველდღიურ ჯანმრთელობასა და ყოველდღიურობაზე. მინდა დავიწყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროდან – განათლებიდან.

განათლებას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს გენდერული სენსიტიურობისა და სქესთა თანასწორობის აღქმაში. სკოლა და უნივერსიტეტი არა მხოლოდ ცოდნას გადასცემენ, არამედ ფორმირებენ ღირებულებებს, სტერეოტიპებსა და სოციალურ როლებს. გენდერულად მგრძნობიარე განათლება ეხმარება არსებობის მქონე სტერეოტიპების დასანგრევად, მხარს უჭერს გოგონებისა და

ბიჭების, ქალებისა და მამაკაცების თანაბარ შესაძლებლობებს და უწყობს ხელს პატივისცემასა და ინკლუზიურობის კულტურის ჩამოყალიბებას. UNESCO-ს (2019) მიხედვით, „გენდერული მიდგომის ინტეგრაცია სასწავლო პროგრამებში უწყობს კრიტიკული აზროვნების, განსხვავებების პატივისცემისა და დისკრიმინაციის შემცირების განვითარებას“ ეს ხაზს უსვამს გენდერული თემატიკის ჩართვის მნიშვნელობას სკოლასა და უნივერსიტეტში, ასევე მასწავლებლების მომზადებას ამ მასალასთან მუშაობისთვის.

პედაგოგი ჯეიმს ე. ბენკსი აღნიშნავს: „განათლება უნდა ამზადებდეს მოსწავლეებს მრავალკულტურულ და გენდერულად მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისთვის, მათში ემპათიისა და სოციალური პასუხისმგებლობის უნარის განვითარებით“ (Multicultural Education: Issues and Perspectives, 2013). სასწავლო მეთოდებში შეიძლება გამოყენებული იქნას როლური თამაშები, დისკუსიები, პროექტები და შემთხვევების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებსა და სტუდენტებს რეალური მაგალითებით დაინახონ გენდერული უთანასწორობა და ის დაიძლიონ. უნივერსიტეტებში გენდერული კვლევები ამზადებს მომავალ ლიდერებსა და სპეციალისტებს, რომლებიც გაითვალისწინებენ მრავალფეროვნებას და წახალისებენ თანასწორობას პროფესიულ გარემოში. ამგვარად, განათლება არ არის მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ გენდერული სენსიტიურობის ფორმირების ინსტრუმენტი. კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს პედაგოგიურ მეთოდებს, მასწავლებლების მომზადებას და გენდერული თემატიკის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, უწყობს ხელს საზოგადოების შექმნას, სადაც თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ნორმაა, ხოლო არა გამონაკლისი. ასევე, მინდა ცალკე ვისაუბრო იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედებს განათლების სფეროში. ჯერ ერთი, როგორც ვიცით, სამწუხაროდ, დღემდე არსებობენ ისეთი მამაკაცები, რომლებიც არ უშვებენ თავიანთ მეუღლეებს უნივერსიტეტში, ანუ, რომ უფრო სწორად ვთქვათ, ხელს უშლიან განათლების მიღებაში. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ძალიან ზღუდავს ქალის უფლებებს ოჯახში, ამიტომ, მე მინდა ერთი საუკეთესო პირადი მაგალითის მოყვანა. პირადად ჩემს უნივერსიტეტში ძალიან ბევრი დედა სწავლობს, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ უამრავი საქმე ოჯახთან დაკავშირებით, ჰყავთ შვილები, რომლებსაც მოვლა სჭირდება, მაგრამ მიუხედავად ამას, ისინი აგრძელებენ განათლების მიღებას. სიმართლე რომ ვთქვათ, ძალიან ვამაყობ ასეთი ადამიანებით. და აი ის საუკეთესო მაგალითი, რომელზეც მე ვსაუბრობდი: ერთ-ერთი წარმატებული დედა სწავლობდა ჩემს უნივერსიტეტში, ჩემს ფაკულტეტზე. ამ ქალს ჰყავდა 8 შვილი. უბრალოდ წარმოიდგინეთ, თუ რამხელა პასუხისმგებლობა ჰქონდა ამ დედას და მიუხედავად ამისა, მან გააგრძელა და დაამთავრა უნივერსიტეტი წარმატებით. ეს მაგალითი უმნიშვნელოვანესია იმ დედებისთვის, ვისაც უნდა სწავლა, მაგრამ მათ რაღაცა აჩერებს, რომ სწავლა დაიწყონ.

მინდა ასევე შევეხო არანაკლებ მნიშვნელოვან თემას. ეს არის მენტალური ჯანმრთელობა. მენტალური ჯანმრთელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გენდერულ განსხვავებებთან და საზოგადოებრივ მოლოდინებთან. ქალებსა და მამაკაცებს აწყდებათ სხვადასხვა სტრესორები, როლები და სტერეოტიპები, რაც პირდაპირ ახდენს მათ ემოციურ კეთილდღეობაზე. ფსიქიკური აშლილობების გარშემო არსებული სოციალური სტიგმები ხშირად გაძლიერებულია გენდერული ნორმებით: მამაკაცებისთვის რთულია სისუსტის აღიარება ან დახმარების მოთხოვნა, ხოლო ქალები ხშირად ხვდებიან თავიანთ პრობლემათა დაუსწრებლად შეფასებას ან ემოციურად «არასტაბილურ» შეფასებას.

იმდენი კაცი და ბიჭია ჩემს გარშემო, ვისაც უნდა ემოციის გამოხატვა, მაგრამ არ შეუძლია ამ გენდერულ სტერეოტიპების გამოყრაც ძალიან სამწუხარო არის. ვინ თქვა, რომ მაგალითად, ტირილი ასუსტებს კაცს? ეს უბრალო ემოციაა, რომელიც ყველა ადამიანს სჭირდება, როცა გრძნობების გამოხატვა სიტყვებით ძნელდება, მაგრამ რატომ? სოციუმი თვლის, რომ ეს სისუსტეა.

ფსიქოლოგი კეი დეო აღნიშნავს: „საზოგადოებრივი სტერეოტიპები ქმნიან წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რომელი ემოციები არიან მიღებული ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას ფსიქოლოგიური სტრესის მართვაში“ (Women and Social Psychology, 1993). ამიტომ, მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია გენდერული განსხვავებების გათვალისწინება, სოციალური სტერეოტიპების შემცირება და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მხარდაჭერის მოთხოვნასა და მკურნალობას.

ყოველდღიურობაშიც არის უამრავი უთანასწორობა. გენდერი განსაზღვრავს ყოველდღიურ ცხოვრებას, ფორმირებს ენას, კულტურულ ნორმებსა და ოჯახურ როლებს. ყველაზე პატარა ასაკიდან საზოგადოება ადგენს მოლოდინებს: ვინ უნდა ზრუნავდეს სახლში, როგორ გამოხატონ ემოციები, რომელ საქმიანობებში არიან «მომავალში შესაფერისი» მამაკაცებისთვის და ქალებისთვის. ეს ნორმები ხელს უწყობს გენდერულ უთანასწორობას, ახდენს გავლენას განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებზე. სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამ სტრუქტურების აღიარება და აქტიური მუშაობა მათი ცვლილებისთვის.

როგორც აღნიშნავს ჯუდიტ ბატლერი: „გენდერი არ არის უბრალოდ კატეგორია, არამედ განმეორებადი მოქმედება, რომელიც ფორმირებს საზოგადოებრივ და პირად იდენტობას“ (Gender Trouble, 1990). ინტერსექციონალური მიდგომა ეხმარება გაგებაში, თუ როგორ გადაკვეთს გენდერი ასაკს, ეთნიკურობას, რეგიონს და სოციალურ სტატუსს.

კიმბერლი კრენშოუ აღნიშნავს: „გენდერული და რასობრივი დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების გადაკვეთის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქალთა გამოცდილების სრულად გაგება“. ინტერსექციური ანალიზი უწყობს ხელს უფრო სამართლიანი საზოგადოების შექმნას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ჯგუფების მრავალფეროვან გამოცდილებას და დაბრკოლებებს. ახლა კი გადავალ ისტორიაზე. უფრო სწორად, ფემინიზმის ისტორიაზე და მის გავლენაზე ამ თემასთან დაკავშირებით. ფემინიზმი, როგორც ქალთა უფლებებისა და თანასწორობისთვის ბრძოლის მოძრაობა, რამდენიმე განვითარების ეტაპს გაიარა, რომლებიც ცნობილია როგორც „ტალღები“. პირველი ტალღა (XIX საუკუნის ბოლო — XX საუკუნის დასაწყისი) იბრძოდა საარჩევნო უფლებისა და ქალთა სამართლებრივი აღიარებისთვის. მეორე ტალღა (1960–1980-იანი წლები) აქცენტს აკეთებდა სოციალურ და ეკონომიკურ თანასწორობაზე, გამრავლების უფლებებზე და კულტურულ სტერეოტიპებთან ბრძოლაზე. მესამე ტალღა (1990-იანი წლები — დღემდე) ფოკუსირებულია ინტერსექციონალურობაზე, მრავალფეროვნებაზე და გენდერული წარმოდგენების კრიტიკაზე. ქართული საზოგადოებისთვის ფემინიზმი გამოხატულია ქალთა აქტივიზმით, პოლიტიკაში მონაწილეობის ზრდით და ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო ინიციატივებით. ერთ-ერთი ისტორიული მაგალითია XX საუკუნის დასაწყისში ქალთა პირველი თაობის ბრძოლა საარჩევნო უფლებებისა და უმაღლესი განათლების მიღების მიზნით. თანამედროვე მაგალითები მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, განათლების კამპანიებს თანასწორობის საკითხებზე და ქალების წახალისებას ბიზნესსა და პოლიტიკაში.

ფემინიზმი საქართველოში გავლა აძლევდა სამართლებრივ აღიარებას, სოციალურ და კულტურულ ტრანსფორმაციას, გავლენას მოახდენდა ფასეულობებზე, ნორმებსა და ქალთა შესაძლებლობებზე საზოგადოებაში. ეს მოძრაობა განაგრძობს განვითარებას, ადაპტირებულია თანამედროვე გამოწვევებსა და საზოგადოების საჭიროებებთან.

მას შემდეგ, რაც გენდერთან დაკავშირებულ ამდენ სხვადასხვა სფეროზე ვისაუბრეთ, მინდა დასკვნა გავაკეთო. ჩემი დასკვნა ისაა, რომ გენდერული უთანასწორობა არღვევს ბალანსს ჩვენს საზოგადოებაში, ანადგურებს ოცნებებს, კლავს ადამიანების ემოციებს და მათ არასასურველად და არასრულფასოვნად აგრძნობინებს თავს. გენდერული უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული სტერეოტიპები მხოლოდ ამწვავებს ისედაც რთულ სიტუაციას. ჩემი აზრით, საზოგადოებაში ბალანსის მისაღწევად, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ურთიერთმიმდებლობა და, რაც მთავარია, უბრალო ადამიანობა. აბსოლუტურად ყველას აქვს სწავლის, მუშაობის, ემოციების განცდის, თვითგამოხატვის და განსაკუთრებით ბედნიერების უფლება. ბოლოს და ბოლოს, ეს უთანასწორობა ადამიანებს უბედურს ხდის და რა არის საჭირო ბალანსისთვის? სწორია, ბედნიერება. და ჩვენ აუცილებლად მივალწევთ ამ ბედნიერებას ოდესმე.

გენდერი და მწვანე ტრანსფორმაცია - ეკოლოგია, კლიმატის ცვლილება და გენდერული სამართლიანობა

კაცობრიობის განვითარების პროცესში მსოფლიო და ის საზოგადოება, რომელიც მას წარმოადგენს, დადგა მრავალი გამოწვევისა და პრობლემის წინაშე. ეს საკითხი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მუდმივი და მზარდი პრობლემა დღეს კლიმატის ცვლილებაა - მოვლენა, რომელიც არა მხოლოდ გარემოს, არამედ ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის.

საკითხის გააზრებასთან ერთად ჩნდება არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა: რა არის კლიმატის ცვლილება? რა ფაქტორები განაპირობებს მას? და რატომ წარმოადგენს ის გლობალური მასშტაბის საფრთხეს თანამედროვე საზოგადოებისთვის?

კონკრეტული თემის გააზრება შეუძლებელია მხოლოდ ეკოლოგიური კუთხით, კლიმატის ცვლილება რთული, მრავალშრიანი პროცესია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ სტრუქტურებს, ეკონომიკურ განვითარებასა და გენდერულ უთანასწორობას. სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება ჩვენი საკვლევი თემის არსი - გენდერი და მწვანე ტრანსფორმაცია: ეკოლოგია, კლიმატის ცვლილება და გენდერული სამართლიანობა.

კლიმატი მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა ტემპერატურა, ნალექი და ტენიანობა. უფრო კონკრეტულად კი კლიმატი არის ამ მახასიათებლების საშუალო მდგომარეობა და ცვალებადობა გარკვეული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ატმოსფეროზე გავლენას ახდენს და უკავშირდება დედამიწის სხვა მახასიათებლებს, მათ შორის ოკეანეებს, ყინულის მასებს, ხმელეთის ზედაპირსა და მცენარეულობას. ისინი ერთად ქმნიან ინტეგრირებულ დედამიწის სისტემას, რომელშიც ყველა კომპონენტი ურთიერთქმედებს და გავლენას ახდენს ერთმანეთზე ხშირად რთული გზით [Britannica].

თანამედროვე მსოფლიოში კლიმატის ცვლილება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გლობალურ პრობლემად იქცა, რომელიც არა მხოლოდ ეკოლოგიურ კრიზისს ქმნის, არამედ ამძაფრებს სოციალურ და გენდერულ უთანასწორობასაც. ის საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების სფეროში მიღწეულ პროგრესს და აუარესებს გენდერულ უთანასწორობასაც - რაც კონკრეტულ რისკებს უქმნის მსოფლიოს ყველა ქალის ცხოვრების წესს, საარსებო წყაროს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას [UN Women – gender and climate change].

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) კვლევები აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილება არათანაბრად აისახება კაცებსა და ქალებზე და გადმოსცემს თუ როგორ მოქმედებს კლიმატური ცვლილებები ქალებზე. კლიმატური კრიზისი არ არის „გენდერულად ნეიტრალური“. ფემინისტური კლიმატის სამართლიანობა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას გენდერულ ჭრილში აქცევს, რაც გულისხმობს იმას რომ კლიმატის კრიზისის მამოძრავებელი ფაქტორები ასევე გენდერული უთანასწორობის მამოძრავებელი ფაქტორებია.

2024 წლის გენდერული მიმოხილვა მიუთითებს, რომ 2050 წლისთვის კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა 158 მილიონით მეტი ქალი სიღარიბეში ჩააგდოს (16 მილიონით მეტი მამაკაცის საერთო რაოდენობაზე). დღესაც კი 47.8 მილიონით მეტი ქალი განიცდის შიმშილს, ვიდრე მამაკაცები [UN Women

– gender and climate change].

„გენდერული თანასწორობა მიზანი კი არ არის მხოლოდ - ის აუცილებელი წინაპირობაა სიღარიბის შემცირების, მდგრადი განვითარებისა და სამართლიანი მართვისთვის.“ (ANAN 2010) კოფი ანანის ეს მოსაზრება პირდაპირ ადასტურებს, რომ გენდერული სამართლიანობა არა მხოლოდ სოციალური მოთხოვნა, არამედ მდგრადი განვითარების აუცილებელი საფუძველია. ამ კონტექსტში მწვანე ტრანსფორმაცია ვერ იქნება წარმატებული, თუ იგი გენდერულ თანასწორობას არ დაეფუძნება. „ექსტრაქტივიზმსა და კლიმატის კრიზისს ღრმა სოციალური-გარემოსდაცვითი გავლენა აქვს ადგილობრივ მოსახელობაზე, მაგრამ ეს ზემოქმედება ქალებზე განსხვავებულად მოქმედებს“. მას მაგალითად მოჰყავს ჩიკიტანიაში (რეგიონი აღმოსავლეთ ბოლივიაში) მცხოვრები ადგილობრივი ქალები, რომელთა ტრადიციული ოჯახების მოვლის პასუხისმგებლობა წყლის მოტანას მოიცავს. „წყალი სულ უფრო მწირია... ჩიკიტანიაში არის სეზონები, როდესაც ქალებს სხვა თემში ან თუნდაც უახლოეს ქალაქში უწევთ მოგზაურობა“ [UN Women – gender and climate change].

როგორ და რატომ აზიანებს კლიმატის ცვლილება ქალებს უფრო მეტად?

ქალები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ბუნებრივ რესურსებზე, თუმცა მათზე წვდომა ნაკლებად აქვთ. ბევრ რეგიონში ქალებს არაპროპორციული პასუხისმგებლობა აკისრიათ ოჯახებისთვის საკვების, წყლისა და საწვავის უზრუნველყოფაზე. როდესაც ეს რესურსები ცვალებადი კლიმატის გამო მწირი ხდება, ქალებს უფრო მეტი შრომა და შორს მოგზაურობა უწევთ. ეს ასევე დამატებით ზეწოლას ახდენს გოგონებზე, რომლებსაც ზოგჯერ სკოლის მიტოვება უწევთ, რათა დაეხმარონ დედებს გაზრდილი ტვირთის გამკლავებაში. მირიამ ჯემიო, ბოლივიელი გარემოსდაცვითი ჟურნალისტი ამბობს, რომ „ქალები არიან ისინი, ვინც კლიმატის ცვლილების შედეგებს აწყდებიან და რეაგირებენ, მაგრამ მათი როლი არ არის გაგებული, მით უმეტეს, თვალსაჩინო“.

ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ UN Women - ის მიერ რამდენიმე განვითარებად სოფელში ჩატარებული კვლევა, რომელიც იყენებდა მოკლევადიან ინტერვიუებს, საოჯახო რესურსების დაკვირვებასა და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მონაცემებს.

ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალები სწრაფად ადაპტირდებოდნენ მოსავლიანობის ცვლილებას, უკეთ მართავდნენ სასოფლო-სამეურნეო რესურსებს და იყენებდნენ ახალ

შესაძლებლობებს, რათა შეემცირებინათ კლიმატური ცვლილებების ზეგავლენა ოჯახზე. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქალთა ჩართულობა და სამართლიანი წვდომა

რესურსებზე არა მხოლოდ სოციალურ თანასწორობას ზრდის, არამედ ეფექტურობას აუმჯობესებს, რაც პირდაპირ უკავშირდება მწვანე ტრანსფორმაციის პროცესს.

საერთაშორისო საზოგადოება და საქართველო

„გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“, რომლის ხელმომწერი მხარეც საქართველო არის, წარმოადგენს კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს. ამ კონვენციის ფარგლებში გენდერული საკითხები უკვე XXI საუკუნის დასაწყისიდან აქტუალურია. 2001 წელს ხელმომწერმა მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნა ქალთა როლის მნიშვნელობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კლიმატის ცვლილებების გამოწვევებთან დაკავშირებით. 2014 წელს ამოქმედდა „ლიმას სამუშაო პროგრამა“, რომელიც კონკრეტულად ეხება კლიმატის ცვლილებებსა და გენდერს. მისი მიზანია ქვეყნებმა გენდერული საკითხები ინტეგრირებულად გაითვალისწინონ კლიმატის

ცვლილებებისა და ადაპტაციის პოლიტიკაში.

2019 წელს ეს პროგრამა კიდევ უფრო გააძლიერეს, დამტკიცდა „ლიმას გაძლიერებული სამუშაო პროგრამა გენდერის შესახებ“, რომლის მიზანია ქვეყნებს გენდერული საკითხები სწრაფად და ეფექტურად მიაწვდინონ თავიანთი პოლიტიკური დოკუმენტები, გააზიარონ გამოცდილება, ხელი შეუწყონ ქალების ჩართულობას კლიმატის ცვლილებების მართვის პროცესებში და გააძლიერონ მათი როლი გადაწყვეტილებების მიღებაში [UN Women, 2023].

საქართველოში, გენდერული და კლიმატის ცვლილებების საკითხებში ხაზგასმულია გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, მათი სრულყოფილად განხორციელება ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგამს საჭიროებს როგორც ეროვნულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქალთა გაძლიერება, ეკონომიკური ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობა პირდაპირ უკავშირდება კლიმატის ცვლილების შედეგების ეფექტიან მართვას [NDC, 2021].

საქართველოში ჩატარდა რამდენიმე კვლევა, რომლებიც ეხება აქ მცხოვრები ქალების მოწყვლადობის ანალიზს იმ პირობებში, სადაც კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული ტენდენციები დამატებით ამძაფრებს სოციალურ-ეკონომიკურ, და ეკოლოგიურ გამოწვევებს. კვლევის მთავარი ამოცანაა ქართულ საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შეფასება, ქალების წვდომის ანალიზი სხვადასხვა სახის რესურსებსა და აქტივებზე, მათი კონტროლის ხარისხის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შეფასება. ამასთან ერთად, კვლევა ხაზს უსვამს, თუ როგორ მოქმედებს გენდერული უთანასწორობა და ტრადიციულ როლებზე დაფუძნებული სტრუქტურა ქალების მოწყვლადობაზე კლიმატის ცვლილების კონტექსტში.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ის სისტემური ბარიერები, რომლებსაც ქალები აწყდებიან საქართველოში და რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება კლიმატურ ცვლილებებს. ნაჩვენებია, რომ ეს ორი ფაქტორი - სოციალური უთანასწორობა და ეკოლოგიური კრიზისი - ურთიერთგაძლიერების პროცესშია და საბოლოოდ ზრდის ქალთა მოწყვლადობის ხარისხს. კვლევა დეტალურად აღწერს, თუ როგორ აისახება კლიმატის ცვლილებების ზეგავლენა ქალების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე როგორც სოფლად, ისე ქალაქებში.

გარდა გამოწვევებისა, კვლევა ასევე მიმოიხილავს შესაძლებლობებს, ცოდნასა და პრაქტიკებს, რომელთაც შეუძლია ხელი შეუწყოს ქალების გაძლიერებას, მათი მდგრადობის ზრდას და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესებას კლიმატის ცვლილებების მიმართ. ამ მიზნების მისაღწევად კვლევა პასუხობს რამდენიმე მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს, მათ შორისაა: როგორია ქალების პოზიცია ქართულ საზოგადოებაში, როგორია მათი წვდომა რესურსებზე და როგორ ახდენს ეს გავლენას მათ მოწყვლადობაზე კლიმატის ცვლილებების მიმართ; რა ტიპის მოწყვლადობა არის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ქალებისთვის საქართველოში კლიმატური პროცესების ფონზე და რა რესურსები და შესაძლებლობები არსებობს დღეს ქვეყანაში ამ პრობლემის დაძლევის მიმართულებით (WFD).

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის მიზანი იყო არსებული საერთაშორისო და ეროვნული მონაცემების შესწავლა ქალებისა და კლიმატის ცვლილებების ურთიერთკავშირის შესახებ. გაანალიზდა, რა არის უკვე ცნობილი ქალთა მოწყვლადობის შესახებ გლობალურ და ქართულ კონტექსტში, როგორი სტატისტიკური მონაცემები არსებობს და რა ტენდენციები იკვეთება

საქართველოში. კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში ქალები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ისეთი სფეროებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსებზე წვდომა და ეკონომიკური უსაფრთხოება.

2023 წლის 27-31 მარტის პერიოდში ჩატარდა ოთხი ინტერვიუ სამინისტროს წარმომადგენლებსა და გენდერის საკითხების ექსპერტებთან. ეს ადამიანები ფლობენ იმ ცოდნას, თუ რა საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილება ქალებს საქართველოში და რა შესაძლებლობები არსებობს ამ პრობლემის გადასაჭრელად.

კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- 1) ქალები ნაკლებად არიან ჩართულნი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- 2) რეგიონებში განსაკუთრებით რთულია ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა კლიმატური რისკების ფონზე;
- 3) ხშირ შემთხვევაში გენდერული პოლიტიკა ფორმალურად არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება.

კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ათი ჩატარებული ონლაინ ინტერვიუ, რომლებიც 2023 წლის 8-17 მაისს განხორციელდა. თითოეული ინტერვიუ საშუალოდ 45-60 წუთს გრძელდებოდა და წინასწარი თანხმობით გაკეთდა აუდიოჩანაწერი და სტენოგრამა. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ: ეკომიგრანტი ქალები (აჭარიდან და სვანეთიდან), მეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობები, გარემოსდამცველი აქტივისტები, ფერმერი და მცირე მეწარმეები და იძულებით გადაადგილებული პირები. ამ ქალებს აერთიანებდათ ის რომ ერთდროულად განიცდიან სოციალურ დაუცველობასა და კლიმატის ცვლილებების ზემოქმედებას, მაგალითად: ეკომიგრანტ ქალებს საცხოვრებლის დაკარგვა კლიმატური კატასტროფის გამო აიძულებთ მუდმივ გადაადგილებას, შშმ ქალებისთვის ბუნებრივი კატასტროფები კიდევ უფრო ურთულებს წვდომას სერვისებზე და ფერმერი ქალები მოსავლის შემცირებას პირდაპირ უკავშირებენ გვალვებსა და ტემპერატურის მატებას. WFD-ის კვლევის შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილება საქართველოში ქალებზე პირდაპირ აისახება და მათი სოციალური სტატუსი, ეკონომიკური მდგომარეობა და გადაწყვეტილებების მიღებაში ნაკლებად მონაწილეობა ზრდის მათ მოწყვლადობას. ამავე დროს გამოიკვეთა, რომ ქალების ცოდნის გაღრმავება, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ზრდა წარმოადგენს კლიმატის ცვლილებებთან ეფექტიანი ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

“Spotlight Initiative”- ის ხაზგასმით საჭიროა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ინტეგრირებული უნდა იყოს პოლიტიკის ყველა დონეზე-ადგილობრივი სტრატეგიებიდან დაწყებული, საერთაშორისო დაფინანსებების მექანიზმით დასრულებული. ჰაიტიში, ვანუატუში, ლიბერიასა და მოზამბიკში განხორციელებულმა პროგრამებმა აჩვენა, რომ შესაძლებელია ერთდროულად ძალადობის შემცირება და კლიმატური პირობების გაძლიერება. მაგალითად: ყოფილი მეანი ქალების გადამზადება კლიმატურად მდგრად სოფლის მეურნეობაში, სტიქიური უბედურებების დროს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების ინტეგრირება და სამედიცინო მომსახურების მხარდაჭერა კრიზისულ ზონებში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლიმატის ცვლილება და გენდერული სამართლიანობა XXI საუკუნეში მწვავე გლობალურ ეპიდემიას წარმოადგენს, რადგანაც ერთ მილიარდზე მეტ ქალს, სულ მცირე სამიდან ერთს, სიცოცხლის განმავლობაში განუცდია ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური

ძალადობა. კვლევების ჩატარების საფუძველზე როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს დონეზე, შეგვიძლია ვთქვათ, აუცილებელია ქალების განათლების გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღებაში მათი მონაწილეობა, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ისეთი სახის მწვანე ტრანსფორმაცია, რომელიც იქნება არა მხოლოდ ეკოლოგიურად, არამედ სოციალურადაც სამართლიანი.

ბიბლიოგრაფია:

- Annan, K. (2010). *Speech on gender equality and sustainable development*. United Nations. Britannica. (2023). *Climate*. <https://www.britannica.com/science/climate>
- NDC. (2021). *Georgia's Nationally Determined Contributions Report*. Ministry of Environment and Agriculture of Georgia.
- UN Women. (2023). *Gender and climate change*. United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women. <https://www.unwomen.org/en/what-we-do/environment-and-climate-change>
- WFD. (2023). *Women's vulnerability to climate change in Georgia: Research report*. Women's Fund in Georgia.

გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა – ემოციური კეთილდღეობა და სოციალური სტიგმები

თანამედროვე საზოგადოებაში ფსიქიკური ჯანმრთელობა სულ უფრო მეტად განიხილება როგორც ადამიანის სრულყოფილი და ჰარმონიული ცხოვრებისთვის აუცილებელი წინაპირობა. მიუხედავად ამისა, არსებობენ ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ სფეროს გარშემო ჩამოყალიბებულ წარმოდგენებზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის გენდერი — არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური და კულტურული მნიშვნელობით გაგებული. გენდერული როლები, რომლებიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა ტრადიციებისა და სოციალური მოლოდინების გავლენით, ახდენს ძლიერი ზეგავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ ემოციურ მდგომარეობას, როგორ გამოხატავენ მას და როგორ ითხოვენ დახმარებას.

გენდერული სტერეოტიპების არსებობა ნიშნავს, რომ ქალებისა და მამაკაცების ემოციები, ტკივილი და სირთულეები ხშირად განსხვავებულად ფასდება. ამგვარი განსხვავება კი არა მხოლოდ პიროვნულ გამოცდილებაზე მოქმედებს, არამედ მენტალური ჯანმრთელობის მონიტორინგს, დიაგნოსტიკას და თერაპიასაც აძნელებს. ქალებსა და მამაკაცებს ფსიქოლოგიური პრობლემების მიმართ სხვადასხვა სახის დაბრკოლება ხვდებათ. სწორედ ამიტომ, მენტალური ჯანმრთელობის საკითხების გააზრება გენდერულ კრილში აუცილებელია, რათა შევქმნათ გარემო, რომელსაც შეუძლია ყველას საჭიროებების გათვალისწინება.

ისტორიულად, ქალებისთვის დამახასიათებლად მიიჩნეოდა ემოციურობა, მგრძნობელობა და ზრუნვა. ერთი შეხედვით, ეს თვისებები დადებითად აღიქმება, თუმცა ისინი ხშირად ორმხრივ სტიგმადაც იქცა. ერთი მხრივ, ქალებს მოეთხოვებათ მუდმივი ემპათია და მზრუნველობა, თითქოს ისინი „ბუნებით“ არიან პასუხისმგებელი ოჯახისა და ურთიერთობების ემოციურ ჰარმონიაზე. მეორე მხრივ, როდესაც ქალი თავად გამოხატავს სევდას, სტრესს ან შფოთვის, მისი ემოციები ხშირად გაუფასურებულია — აღიქმება „ჰორმონულად“, „წუწუნად“ ან „სიჭარბედ“. ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება კონკრეტულ საფრთხეს ქმნის: ბევრი ქალი თავს იკავებს საკუთარი პრობლემების გაზიარებისგან, რადგან ეშინია, რომ მისი ტკივილი სერიოზულად არ მიიღება. შედეგად, ჩნდება გადაღლა, ქრონიკული სტრესი, დაბალი თვითშეფასება და ემოციური წნეხი. განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია იმ ქალებისთვის, რომლებიც ტრადიციულ როლებს სცილდებიან — არიან ლიდერები, მეცნიერები, მეწარმეები ან პოლიტიკოსები. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოება მათგან მოითხოვს „სიძლიერეს“ და „უსუსურობის არმიჩენას“, ხოლო ემოციების გამოხატვა მათ პროფესიულ ავტორიტეტს ხშირად უსამართლოდ აკნინებს. ამიტომ, ბევრ ქალს უწევს ძლიერი ფსიქოლოგიური ბალანსის დამალული შენარჩუნება, რაც მათ ემოციურ კეთილდღეობას მნიშვნელოვნად აზიანებს.

მამაკაცებისთვის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა ხშირად უფრო უხილავია. გენდერული ნორმა, რომელიც „ნამდვილი მამაკაცის“ იერს ახატავს, მოითხოვს აღიქვას თავი როგორც შეუდრეკელ, გამძლე და ემოციურად გაკონტროლებულ ფიგურად. ბავშვობიდანვე ბევრ ბიჭს ეუბნებიან: „არ იტირო“, „მამაკაცი არ ნერვიულობს“, „სისუსტე არ გივარგა“. ასეთი მესიჯები დროთა განმავლობაში ქმნის შინაგან ბარიერს, რომელიც მამაკაცებს აჩვევს ემოციების ჩახშობას.

ეს ჩახშობა კი იწვევს სერიოზულ პრობლემებს: დეპრესიას, შფოთვის, აგრესიას, თვითდომინირების თავიდან არასწორ გზებზე გადართვას — მაგალითად ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე ან ძალადობაზე. მამაკაცებში ფსიქიკური პრობლემები ხშირად გვიან და მწვავე ფორმით ვლინდება, რადგან ისინი ექიმთან მისვლას ნაკლებად აჩქარებენ. ბევრს ემინია, რომ დახმარების თხოვნა „სისუსტედ“ ან „მამაკაცის ღირსების დაკარგვად“ მიიჩნევა.

სოციალური და ფსიქოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ თვითმკვლელობის მაჩვენებელი სწორედ მამაკაცებშია ბევრად უფრო მაღალი. ეს მონაცემები მკაფიოდ მიანიშნებს, რომ გენდერული სტერეოტიპები არა მხოლოდ ემოციურ ტვირთს ქმნის, არამედ სიცოცხლისთვის საშიშ შედეგებამდეც მიდის. ემოციების გამოხატვის აკრძალვა მამაკაცებისთვის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად იქცევა, რადგან საჭიროებამდე ბევრად იშვიათად ახერხებენ მხარდაჭერის მიღებას.

ფსიქიკური პრობლემების გარშემო სტიგმა ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა მთელ მსოფლიოში. ადამიანები ხშირად ერიდებიან საუბარს საკუთარ ემოციურ სიმწელებებზე, რადგან მათ ემინიათ: არ გაკიცხონ, არ უწოდონ „უსუსური“, „უიღბლო“ ან „გაწონასწორების უნარის არმქონე“. ეს შიში კიდევ უფრო ძლიერია პატარა ქალაქებსა და სოფლებში, სადაც საზოგადოება მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული და პირადი ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება.

სტიგმის შემცირებაში უდიდეს როლს თამაშობს განათლება. სკოლებში ემოციური განათლების გაძლიერება, მასწავლებლების მომზადება და ბავშვების ემოციების ჯანსაღი გამოხატვის წახალისება აუცილებელია. მედია ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია: როდესაც ცნობილი ადამიანები ხმამაღლა საუბრობენ საკუთარ ფსიქოლოგიურ ისტორიებზე, ეს ეხმარება სტიგმის შემცირებას და ქმნის მაგალითს, რომ დახმარების თხოვნა ბუნებრივი და ჯანსაღია.

საჯარო დისკუსიები — კონფერენციები, დებატები, ტრენინგები — ქმნის სივრცეს, სადაც ქალებსაც და მამაკაცებსაც შეუძლიათ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრონ. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არა მხოლოდ ინდივიდებს უწყობს ხელს, არამედ ქმნის ჯანსაღ გარემოს მომავალი თაობებისთვისაც.

მენტალური კეთილდღეობა თითოეული ადამიანისთვის აუცილებელია, მიუხედავად გენდერისა. ემოციების გამოხატვა, მხარდაჭერის მიღება და საკუთარი თავის შეცნობა არ უნდა იყოს სირცხვილი. პირიქით — ეს არის განვითარების, სიმტკიცისა და შიდა ჰარმონიის გზა. გენდერული სტერეოტიპების რღვევით ჩვენ ვხსნით გზას ისეთ საზოგადოებისკენ, სადაც ადამიანები სუსტი და ძლიერი ერთდროულად შეიძლება იყვნენ, რადგან სიძლიერე სწორედ ემოციების სწორ მართვაში და გაბედულებაში ვლინდება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან საგანმანათლებლო სფეროებში არაა საჭირო. ის აუცილებელია მენტალურ ჯანმრთელობაშიც, სადაც ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი წვდომა დახმარებაზე, თანაბარი შესაძლებლობა ემოციების გამოხატვაზე და თანაბარი მხარდაჭერა საზოგადოებისგან.

ემოციური კეთილდღეობა არის ის საფუძველი, რომელზეც შენდება დემოკრატიული, თანასწორი და ადამიანზე ორიენტირებული საზოგადოება. და სანამ გენდერულ სტიგმებს მკვეთრად არ დავაშლით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სრული უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება.

ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში

გენდერული თანასწორობა, რომელიც მოიცავს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს ცხოვრების ყველა სფეროში, წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, არამედ კრიტიკულ პირობას საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობები უმეტესწილად აღიარებენ ამ პრინციპს, რეალური სურათი მსოფლიოს მასშტაბით მაინც სავსეა გამოწვევებით და დისბალანსით. პროგრესი ნელია და ხშირად არათანაბარი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თანასწორობა მხოლოდ სამართლებრივი საკითხი არ არის, ის ღრმად ფესვგადგმული კულტურული, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების ტრანსფორმაციას მოითხოვს.

დღევანდელ მსოფლიოში გენდერული უთანასწორობის გამოვლინებები კომპლექსურია და ერთდროულად აისახება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე. ქალთა უფლებების რეალიზების მთავარი დაბრკოლება ეკონომიკურ სფეროში არსებული სისტემური უსამართლობაა. ცნობილი „გენდერული ანაზღაურების უფსკრული“ (Gender Pay Gap), სადაც ქალები მამაკაცებზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის, ეს კი გლობალურ პრობლემად რჩება. ამის მიზეზი კი ხშირად პროფესიული სეგრეგაციაა: ქალები არაპროპორციულად მეტად არიან წარმოდგენილები დაბალანაზღაურებად სექტორებში, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება, ხოლო კაცები დომინირებენ მაღალანაზღაურებად სფეროებში, როგორიცაა ინჟინერია, ტექნოლოგიები და მრავალი სხვა. ხშირია შემთხვევები როდესაც კომპანიაში კადრების შემცირების მიზნით ცოლ-ქმარს შორის, ცოლს უწევს სამსახურის დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ მას სამსახურიდან წასვლა არ სურს, თუმცა ამ სიტუაციას ყურადღებას არავინ აქცევს, რაც ნამდვილად სამწუხარო და აღმაშფოთებელია.

გარდა ამისა, „დედათა სასჯელი“ (Motherhood Penalty) გულისხმობს იმას, რომ ქალთა კარიერა ხშირად ზარალდება დედობის გამო, მაშინ როცა მამაკაცთა კარიერა, პირიქით, შეიძლება სარგებლობდეს მამობის სტატუსით. ეს პირდაპირ კავშირშია გადაუხდელი შრომის ტვირთთან, ქალები მსოფლიოს მასშტაბით ასრულებენ საოჯახო საქმეებისა და ზრუნვის არაპროპორციულად დიდ ნაწილს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ დროსა და ენერგიას ფასიან სამუშაოსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის.

ეკონომიკური შეზღუდვები პირდაპირ აისახება პოლიტიკურ მონაწილეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა მოიპოვეს ხმის უფლება თითქმის ყველგან, მათი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში კვლავ დაბალია. პოლიტიკური „შუშის ჭერი“ (Glass Ceiling) რჩება ძლიერი. ქალები, რომლებიც ცდილობენ მაღალი პოლიტიკური თანამდებობების

დაკავებას, ხშირად აწყდებიან გენდერულ სტერეოტიპებს, მედიის მიერ მიკერძოებულ გაშუქებას და პარტიული სტრუქტურების წინააღმდეგობას, რომლებიც ისტორიულად მამაკაცების მიერ იყო შექმნილი. ამ დისბალანსის გამო, კანონმდებლობა და პოლიტიკური პრიორიტეტები, ხშირად არასაკმარისად ასახავს ქალთა და გოგონათა უნიკალურ საჭიროებებსა და გამოცდილებას. ზოგიერთი ქვეყანა იყენებს „სავალდებულო გენდერულ კვოტებს“ ამ პრობლემის გადასაჭრელად, რაც საშუალებას აძლევს ქალებს სწრაფად მიაღწიონ კრიტიკულ რაოდენობას პოლიტიკურ სივრცეში, თუმცა ამ მექანიზმის ეფექტურობა და ლეგიტიმურობა მუდმივი დებატების საგანია.

სოციალური ნორმები და ტრადიციული კულტურული ღირებულებები რჩება გენდერული თანასწორობის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ბარიერად. ყველაზე მძიმე გამოვლინებაა „გენდერული ნიშნით ძალადობა“ - ოჯახში ძალადობა და სექსუალური შევიწროება, რომელიც, როგორც წესი, მიმართულია ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ. ამ ტიპის ძალადობა არღვევს არა მხოლოდ ქალის ფიზიკურ ხელშეუხებლობას, არამედ ზღუდავს მის გადაადგილების თავისუფლებას, განათლებასა და ეკონომიკურ მონაწილეობას. კულტურები, რომლებიც ახდენენ „მსხვერპლის დადანაშაულებას“ (Victim Blaming) ან ამართლებენ ქალის დაქვემდებარებულ როლს, ამყარებენ ძალადობის ციკლს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა ქვეყანამ მიიღო მკაცრი კანონები ამის საწინააღმდეგოდ, კანონების აღსრულება ხშირად არაეფექტურია პოლიციის, სასამართლოებისა და საზოგადოების მხრიდან არსებული გენდერული მიკერძოების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ისტორიულად სარგებლობდნენ პრივილეგიებით პოლიტიკური ძალაუფლებისა და ეკონომიკური რესურსების კონტროლის კუთხით, გენდერული უთანასწორობის განხილვისას აუცილებელია შეფასდეს ის სოციალური ტვირთი და შეზღუდვები, რომლებიც მათ აკისრიათ. ეს ხისტი კულტურული მოლოდინები მამაკაცებს უქმნის მნიშვნელოვან პრობლემას როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში,

პოლიტიკურ ასპარეზზე, მამაკაც ლიდერებზე მოდის მუდმივი ზეწოლა, იყვნენ **ძლიერები, უემოციოები და ურყევები**. საზოგადოებრივი მოლოდინი მათგან მოითხოვს სიმტკიცეს და რაციონალურობას, რაც ხშირად აფერხებს ემოციურ გახსნილობას ან სისუსტის გამოვლენას. ასეთი შეზღუდვა ხელს უშლის მათ ჰუმანური და მრავალმხრივი პოლიტიკის შემუშავებაში. ასევე, ტრადიციული როლი, როგორც „**დამცველი**“, მამაკაცებს აკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას კონფლიქტებისა და სამხედრო სამსახურის დროს, რაც მათ სიცოცხლეს უშუალო რისკის ქვეშ აყენებს.

თანამედროვე დისკუსია გენდერულ თანასწორობაზე აუცილებლად მოიცავს „**მამაკაცთა როლების ტრანსფორმაციას**“. თანასწორობა მხოლოდ ქალთა გაძლიერებას არ ნიშნავს, ის გულისხმობს მამაკაცების განთავისუფლებას შემზღუდველი და ზოგჯერ მკაცრი და არასწორი შეხედულებებისგან. ტრადიციული მოლოდინები მამაკაცის მიმართ, ყოფილიყვნენ უემოციო, აგრესიული, ეკონომიკური მარჩენალები, უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ზრდის ძალადობისა და რისკების შემცველი ქცევის ალბათობას და ზღუდავს მათ მონაწილეობას საოჯახო და მზრუნველობით საქმიანობაში. გენდერული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია მამაკაცების მოტივირება, რომ ჩაერთონ შვილის აღზრდაში, ისარგებლონ მამის შვებულებით და გახდნენ თანასწორობის მომხრეები. ამგვარი ცვლილებები არა მხოლოდ ქალთა ტვირთს შეამსუბუქებს, არამედ მამაკაცებს უფრო სრულყოფილი და ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს. დღევანდელ საზოგადოებაში სულ უფრო მეტი მამაკაცი განიცდის სტრესს ტრადიციული როლების დაკმაყოფილების მცდელობისას, რაც

მათ უფლებას - იყვნენ ემოციურად დაუცველები და აქტიური მშობლები - კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

გენდერული თანასწორობა კვლავ რჩება ჩვენი ეპოქის მთავარ გამოწვევად. მიუხედავად საკანონმდებლო წინსვლისა, ეკონომიკური უთანასწორობა, პოლიტიკური „შუშის ჭერი“ და ტოქსიკური სოციალური ნორმები კვლავ აფერხებს სრულ ბალანსს. თანასწორობის მიღწევა მოითხოვს არა მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვას, არამედ მამაკაცთა განთავისუფლებას შემზღუდველი როლებისგან. სრული სამართლიანობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული მოქალაქე აქტიურად უჭერს მხარს უსამართლობის აღმოფხვრას. გენდერული ბალანსი არ არის კონკურენცია, არამედ „კოლექტიური გამარჯვება“, რომელიც საზოგადოებას უფრო ძლიერს, თავისუფალსა და სრულყოფილს ხდის.

ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ - ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში

მაინტერესებდა, რატომ ხდება, რომ ზოგ ადამიანს ცხოვრებაში ყველაფერი მარტივად გამოსდის, ზოგს კი ბევრად მეტი ძალისხმევა სჭირდება. ამ კითხვაზე პასუხი პირველმა გამოცდილებებმა მომცა, რომლებმაც მასწავლა, რომ საკუთარი ძალების რწმენა ყველა წარმატების საწყისი წერტილია. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ქალის ცხოვრება შუქის ძიებაა — შუქის, რომელიც ხშირად იმალება ჩრდილებს მიღმა, ტრადიციების, მოლოდინებისა და წინასწარ განწყობების ბურუსში. ბავშვობიდან ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ ქალები ჩემს გარშემო საკუთარი ოცნებებისათვის ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათ ხმას ვერავინ ისმენდა. სწორედ ამ მაგალითებმა მასწავლა, რომ თანასწორობა მხოლოდ სიტყვა კი არა, მოქმედებაა — ყოველდღიური ნაბიჯი საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად სამყაროში, სადაც სქესს აღარ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა დღემდე რჩება მნიშვნელოვან პრობლემად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონით ადამიანები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რეალურ ცხოვრებაში ხშირად ჩანს განსხვავებები, რომლებიც ზღუდავს ქალის შესაძლებლობებს და აძლიერებს გენდერულ სტერეოტიპებს.

პოლიტიკურ კონტექსტში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა პოზიციაზე. პარლამენტში, ადგილობრივ თვითმმართველობებში და მაღალი თანამდებობების დაკავებისას მათ ხშირად სირთულეები ხვდებათ. ამის შედეგად, მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ქალის ხმა და ინტერესები ხშირად ნაკლებად ისმის.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში უთანასწორობა ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს. ქალები ხშირად იღებენ დაბალ ანაზღაურებას იმავე სამუშაოზე, უფრო ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციას სამსახურში, ხოლო კარიერული განვითარება მათთვის ბევრად რთულია. ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ ზეწოლას ემატება ისიც, რომ ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში უწევთ საოჯახო პასუხისმგებლობების უმეტესობის ტარება, რაც ამცირებს მათ გარემოში მონაწილეობისა და განვითარების შესაძლებლობას.

კულტურულ კონტექსტში უთანასწორობა მეტად დამკვიდრებულია ტრადიციებსა და სოციალური ნორმებში. საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია წარმოდგენა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, ხოლო მამაკაცი — ოჯახის „მარჩენალი“. სწორედ ამ შეხედულებებმა საუკუნეების განმავლობაში შექმნა ბარიერები, რომლის გადალახვაც დღესაც გამოწვევად რჩება.

საბოლოოდ, გენდერული უთანასწორობა მხოლოდ კანონით ვერ მიიღწევა. საჭიროა საზოგადოების ცნობიერების შეცვლა, სტერეოტიპების დაძლევა და აქტიური მონაწილეობა იმისათვის, რომ ქალებსა და მამაკაცებს ჰქონდეთ რეალური, არა მხოლოდ ფორმალური თანაბარი შესაძლებლობები.

ჩემს ოჯახში ხშირად იყო გამოირჩევა გოგოსა და ბიჭს შორის, ჩემს ძმას შეეძლო მიეღო მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრში, გვიანობამდე ყოფნა მეგობრებთან ერთად მე კი ეს უფლება შეზღუდული მქონდა, გოგოა და გვიან რა უნდა გარეთ!

გოგო უნდა იყოს დამყოლი, დინჯი, ხოლო ბიჭი - ძლიერი, თავდაჯერებული და განსხვავებული.

მთელი ჩემი ბავშვობა ვიყავი მომსწრე იმასა, თუ როგორ განასხვავებდნენ ჩემს გარშემო, გოგოსა და ბიჭს ოჯახებში, სკოლებსა და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობა ჩემთვის ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, გამოავლინონ თავი ისე, როგორც უნდათ. ეს თანასწორობა მოიცავს განათლებას, სამუშაოს, პოლიტიკას და ოჯახურ ცხოვრებასაც კი.

ამ ყველაფერზე ფიქრმა ბევრი რამ მასწავლა საკუთარ თავზე ვისწავლე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, ეს იყო კარგი თუ ნაკლებად კარგი, ყველა ჩემი გადაწყვეტილებით ვარ ბედნიერი, იმიტომ რომ ეს მხოლოდ ჩემი სურვილი იყო.

გადაწყვეტიტე ადრეულ ასაკში შემექმნა ოჯახი, ჩემი ცხოვრება არ იყო ია-ვარდებით მოფენილი, თუმცა ეს იყო ჩემი გადაწყვეტილება; დღეს მყავს სამი შვილი და ვარ ბედნიერი დედა, ვამაყობ ჩემი შვილებით, თუმცა გენდერული უთანასწორობის გამო, აქაც ბევრი პრობლემა და გასაჭირი გავიარე, სწორედ იმიტომ რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვისაც მიაჩნიათ რომ ქალი თუ ოჯახს ქმნის ის არ იწყებს ბრძოლას მომავლისთვის, არ სწავლობს არ ვითარდება არ მუშაობს და ასე შემდეგ, თუ ამ ყოველივეს შეეწინააღმდეგები ქალი ყოველთვის დამნაშავეა მამაკაცი სრულიათ მართალი.

ჩემი ოჯახი დღესაც ტრადიციულია და ფიქრობენ, რომ მამაკაცი არის მთავარი ოჯახშიც სამსახურშიც და საზოგადოებაშიც.

მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძვი თანასწორი უფლებებისთვის, პირველ რიგში - ოჯახში.

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფრაზა:

„ქალს არ სჭირდება ნებართვა, რომ ძლიერი იყოს — უბრალოდ უნდა სჯეროდეს საკუთარი თავის“

მე მჯერა ჩემი თავის ჩემი შესაძლებლობების და ვარ მიზანდასახული, ამის შედეგია, რომ დღეს გადავრჩი და საზოგადოებაში ჩემი თავი ჩამოვაყალიბე. მიუხედავად წინააღმდეგობისა, 30 წლის ასაკში სამი შვილის დედა, გავხდი სტუდენტი, ვმუშაობ და ვცდილობ ყველა წუთი ვიყო ბედნიერი და წარმატებული.

დღეს უკვე ვიცი, რომ ქალის ძალა არ არის მხოლოდ ბრძოლაში, არამედ ყოველდღიურ სიმტკიცეში — იმაში, რომ არ ნებდები, როცა ძალიან გიჭირს მაშინაც კი თანასწორობა არ ნიშნავს პირველობას, არამედ პატივისცემას.

და როცა საზოგადოება ამას გაიგებს, ქალები აღარ იბრძოლებენ იმისთვის, რომ მათ მოუსმინონ — უბრალოდ მოუსმენენ მათ, რადგან ეს მნიშვნელოვანია.

დღეს მე მაქვს ის რითაც ბედნიერი ვარ, ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად ვიზიარებ იმ სიხარულს რასაც სტუდენტობა ჰქვია, დიახ არარის რთული მიაღწიო იმას რაც გულით გვსურს, თუმცა უნდა ვიბრძოლოთ.

„ბევრ დაბრკოლებას გადავეყარე, მაგრამ არ დავნებდი. დავისახე მიზანი, ვიბრძოლე და გადავრჩი სამყაროში, სადაც სქესს ხშირად მნიშვნელობა აქვს. დღეს ვსწავლობ, ვმუშაობ და ვამტკიცებ, რომ ქალი არ ნიშნავს სისუსტეს — ეს ნიშნავს ძალას, გამძლეობას და გამარჯვებას.“

პირველი ნაბიჯი რთული იყო. როცა უნივერსიტეტში ჩაბარება გადავწყვეტიტე, ეს გადაწყვეტილება თითქოს ჩემს მომავალს და დღევანდელ ცხოვრებას შორის ომს ჰგავდა. იყო დღეები, როცა ოჯახის სიტყვები მართლა მჭრიდა — „რატომ გინდა?“, „სად გინდა მუშაობა?“, „სწავლა რად გინდა, ოჯახი გეყოფა“. მაგრამ ზუსტად ამ სიტყვებმა მასწავლა, რომ საკუთარ გზაზე დგომა ყველაზე დიდი ძალაა, რაც ადამიანს აქვს.

დღეს მე სტუდენტი ვარ. ვსწავლობ, ყოველ დღე ახალი რაღაცების შესწავლას ვცდილობ და უკვე იმ

ქალად ვყალიბდები, რომლის დანახვაც ერთ დროს უბრალოდ მეშინოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვიღლები, სულ ვიმეორებ: „ეს ყველაფერი ჩემთვისაა. ჩემი ახალგაზრდობისთვის, ჩემი მომავლისთვის, ჩემი შვილებისთვის, ჩემი ღირსებისთვის.“

ასე ნელ-ნელა მივხვდი, რომ ბედნიერება არ არის მხოლოდ ის ცხოვრება, რომელსაც სხვები გვიწესებენ. ბედნიერება ის არის, როცა საკუთარ თავს აძლევ უფლებას, შეიცვალო, გაიზარდო და საკუთარ შესაძლებლობებში იწამო—მაშინ, როცა ეს შენს გარშემო არავის სჯერა. დღეს მხოლოდ სწავლას და საქმეს არ ვაკეთებ — მე ვქმნი მომავალს, რომელიც წლების წინ იმედადაც ვერ წარმოვიდგენდი.

და როცა ვიგრძნობ, რომ რთულია, მაშინვე ვიხსენებ, რამდენჯერ მითხრეს „არ შეგიძლია“, „არ გამოგივა“ — და თითოეულ ასეთ სიტყვას კიდევ ერთ ნაბიჯად ვაქცევ წინ, წინ და კიდევ წინ.

მიუხედავად ყველაფრისა, მე მივდივარ. და ვიცი — გზა, რომელსაც ახლა ვდგავარ, უკვე მხოლოდ ჩემი არჩევანია ჩემი ისტორია ერთი რამით ამაყოფს:

მე საკუთარი თავი დავიბრუნე.

და ეს გამარჯვება ყველაზე სასურველია — მშვიდად, წყნარად, მაგრამ ძლიერად ჩასახული ჩემს გულში.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ- ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში

საქართველოს ისტორია სავსეა გმირებითა და სახელოვანი ფიგურებით, მაგრამ მართალია, რომ ქვეყნის სული ხშირად ქალთა ძალასა და სიბრძნეში ვლინდება. საუკუნეების განმავლობაში ქალი იყო არა მხოლოდ ოჯახის ან ტრადიციული როლის მატარებელი, არამედ პოლიტიკის, კულტურის, განათლებისა და ეკონომიკის აქტიური შემქმნელი. აკაკი წერეთელი აქცენტს სწორედ ამაზე აკეთებს, როდესაც ამბობს: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო და შეისწავლო.“ ეს სიტყვები გვაგონებს, რომ ქვეყნის ძალა და სიძლიერე ბალანსში იმალება, სადაც ქალი და მამაკაცი ერთობლივად ქმნიან სახელმწიფოს ისტორიას, განსაზღვრავენ მის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარების მიმართულებას.

როცა კანონით ან პარტიის შიგნით განსაზღვრულია, რომ გარკვეული რაოდენობის ადგილები ქალებს უნდა დაუკავდეთ — მიზნად ისახავს გენდერული ბალანსის მიღწევას. ზოგისთვის ეს აუცილებელი ნაბიჯია თანასწორობის მისაღწევად, რადგან ქალებს ეძლევათ შანსი, რომლის გარეშე მათ პოლიტიკაში მოხვედრა რთული იქნებოდა.

ქალთა თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკაში არა მხოლოდ სამართლიანობის, არამედ დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელია. იმისათვის, რომ ქალები უფრო აქტიურად ჩაერთონ მმართველობაში, საჭიროა სტერეოტიპების გადალახვა, მედიის პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება და ისეთ პირობების შექმნა, სადაც ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობები თანაბრად დაფასდება. მხოლოდ მაშინ იქნება პოლიტიკა ნამდვილად წარმომადგენლობითი და სამართლიანი. თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერული უთანასწორობა შრომით ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალები განათლების დონით ხშირად მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან, ეკონომიკურ საქმიანობაში ისინი მაინც ნაკლებად არიან წარმოდგენილი და ხშირად დაბალანაზღაურებად პოზიციებზე მუშაობენ.

საქართველოში ქალ მეწარმეებს ჯერ კიდევ ბევრი ბარიერი აქვთ გადასალახი — მათ უჭირთ ფინანსებზე წვდომა, ბიზნესის დაწყების მხარდაჭერა და ბაზარზე გამყარება. ხშირად ოჯახის

მოვალეობები და საზოგადოებრივი სტერეოტიპები მათ საქმიანობას ართულებს. თუმცა, ბოლო წლებში სახელმწიფოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების წყალობით, ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა იზრდება. უფრო მეტი ქალი ხსნის მცირე ბიზნესს, ქმნის სამუშაო ადგილებს და ამით ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეაქვს. გენდერული თანასწორობა შრომით ბაზარზე მხოლოდ სამართლიანობის საკითხი არ არის — ეს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მე ვფიქრობ აუცილებელია ქალებისთვის თანაბარი პირობების შექმნა განათლებაში, დასაქმებასა და ბიზნესში, რათა მათი პოტენციალი სრულად გამოვიყენოთ. თანამედროვე საზოგადოებაში განათლება არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ თანასწორობისა და სამართლიანობის ჩამოყალიბების მთავარი ინსტრუმენტია. ამიტომ გენდერულად სენსიტიური განათლება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იგი გულისხმობს ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც გოგო და ბიჭი თანაბარ შესაძლებლობებს იღებენ და არ ექვემდებარებიან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. მასწავლებელს ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს. სწორედ მას შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თანასწორობას, დააფასოს თითოეული მათგანის უნარი და არ განასხვავოს ისინი სქესის მიხედვით. თუ მასწავლებელი თავიდანვე აძლევს მაგალითს, რომ გოგოსაც და ბიჭსაც ერთნაირად შეუძლია წარმატების მიღწევა, მოსწავლეებიც უფრო გახსნილები ხდებიან და სწავლა უფრო სამართლიან გარემოში მიმდინარეობს.

გენდერულად სენსიტიური სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ორსული** სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვისაც. ხშირად ისინი აწყდებიან დისკრიმინაციას ან წინაღობებს სწავლაში, მაშინ როცა სწორედ განათლება აძლევს მათ შესაძლებლობას, მომავალში ეკონომიკურად დამოუკიდებლები და აქტიური მოქალაქეები იყვნენ. სკოლამ და უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომ ორსულმა ან დედამაც შეძლოს სწავლა ისე, რომ თავი დაცულად და თანასწორად იგრძნოს. გენდერული სენსიტიურობა განათლებაში ნიშნავს ადამიანების თანასწორად მოპყრობას და მათი შესაძლებლობების პატივისცემას. როცა სკოლა და უნივერსიტეტი ქმნის თანასწორ გარემოს, საზოგადოებაც უფრო სამართლიანი და ჰუმანური ხდება.

თანამედროვე სამყაროში მედია დიდ გავლენას ახდენს ჩვენს შეხედულებებსა და ღირებულებებზე. ტელევიზია, სოციალური ქსელები, ფილმები და რეკლამები ხშირად აყალიბებენ კულტურულ სტერეოტიპებს — ანუ გამოგონილ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენებს ადამიანთა ჯგუფებზე, მათ ტრადიციებზე, სქესზე ან ეროვნებაზე. მედია ზოგჯერ აძლიერებს სტერეოტიპებს. მაგალითად, ქალი ხშირად გამოისახება როგორც სუსტი ან მხოლოდ საოჯახო საქმეებზე ორიენტირებული ადამიანი, ხოლო მამაკაცი — ძლიერ და მმართველ ფიგურად. ამგვარი გამოსახულებები აჩენს არასწორ შეხედულებებს და ზღუდავს ადამიანების შესაძლებლობებს. ასევე, ფილმებსა და სარეკლამო რგოლებში ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფები ზოგჯერ ერთფეროვნად და ზედაპირულადაა ნაჩვენები, რაც აჩენს უთანასწორობასა და მიუღებლობას. თუმცა მედია მხოლოდ უარყოფითი გავლენის მქონე არ არის — მას შეუძლია სტერეოტიპების გადალახვაც. როცა ტელევიზია ან სოციალური ქსელები გვიჩვენებენ მრავალფეროვან, წარმატებულ და განსხვავებულ ადამიანებს, ეს ხელს უწყობს ტოლერანტობას და კულტურათა შორის ურთიერთპატივისცემას.

მედია არის ძლიერი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ან გაამყაროს, ან დაანგრის კულტურული სტერეოტიპები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მედია იყოს პასუხისმგებლიანი, სამართლიანი და წარმოაჩინოს ადამიანები ისე, როგორც ისინი რეალურად არიან — მრავალფეროვანი, უნარიანი და

თანასწორი.

წარსულში ოჯახში როლები მკაფიოდ იყო გაყოფილი — ქალი ძირითადად შვილებსა და საოჯახო საქმეებზე ზრუნავდა, ხოლო მამაკაცი ოჯახის მთავარი მარჩენალი იყო. დღეს ეს წარმოდგენა თანდათან იცვლება. თანამედროვე საზოგადოებაში ორივე სქესს შეუძლია თანაბრად მიიღოს მონაწილეობა როგორც სამუშაოში, ისე საოჯახო ცხოვრებაში. ქალი შეიძლება იყოს წარმატებული პროფესიონალი, ხოლო მამაკაცი — ზრუნავდეს ოჯახზე და ბავშვებზე. ასეთი თანასწორი ურთიერთობა ქმნის უფრო მშვიდ და მეგობრულ გარემოს, სადაც ყველა წევრი გრძნობს მხარდაჭერასა და თავისუფლებას. გენდერული თანასწორობა ოჯახში არის საფუძველი სამართლიანი საზოგადოების. როცა ბავშვები ხედავენ, რომ დედა და მამა თანაბრად არიან ჩართული ცხოვრებაში, მათშიც ყალიბდება პატივისცემა და თანასწორობის გრძნობა.

გენდერული საკითხები სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რადგან საზოგადოებაში თანასწორობის მიღწევა ხშირად განპირობებულია სამართლებრივი ბაზის ხარისხით და დაცვის მექანიზმებით. ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული სოლიდარობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ სამართლიანობის საკითხია, არამედ სოციალური სტაბილურობისა და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი პირობა.

საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით მნიშვნელოვანი სამართლებრივი წინსვლები გაკეთდა. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ქალთა სრულ დაცვას და უფლებების რეალურ განახორციელებას. მაგალითად, ოჯახში ძალადობის სამართლებრივი დასჯის მექანიზმები არსებობს, მაგრამ მათ ეფექტურობაში არის გამოწვევები, როგორცაა დაზარალებულთა ინფორმირებულობის ნაკლებობა და სამართალდამცავი ორგანოების არასაკმარისი მომზადება გენდერული საკითხებისადმი. დაცვის მექანიზმები მოიცავს საჩივრების წარდგენის პროცესის ხელმისაწვდომობას, იმიტომ რომ დაზარალებულებმა არ დაკარგონ თავი სისტემაში და მიიღონ სწრაფი და ეფექტური მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივმა სისტემამ არ გახადოს ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა კიდევ უფრო რთული და ტრავმული. ოჯახური ძალადობა ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გენდერული არათანასწორობის კონტექსტში. ქალები ხშირად ინახებიან საშინელ გარემოში, სადაც მათი უფლებები ირღვევა. სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი ორგანიზაციები იბრძვიან ამ მოვლენის წინააღმდეგ სხვადასხვა პროგრამებით, როგორცაა ცხელი ხაზი, თავშესაფრები და იურიდიული დახმარება. ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სისტემების გაძლიერება, რათა ქალებმა მიიღონ სრულყოფილი მხარდაჭერა როგორც ფსიქოლოგიურად, ისე სოციალურ-ეკონომიკურად.

ენა ჩვენი კომუნიკაციის მთავარი საშუალებაა და იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენი აზროვნების ფორმირებაზე. გენდერული საკითხების თვალსაზრისით, ენა ხშირად ასახავს და აძლიერებს არსებული გენდერული სტერეოტიპებს და უთანასწორობას.

ხშირად სიტყვები და გამოთქმები მამაკაცს უფრო ძლიერ, სანდო და მნიშვნელოვანი ფიგურად წარმოაჩენენ, ხოლო ქალს – ნაკლებად სერიოზულად ან სტერეოტიპულად. ეს შეიძლება იყოს ისეთი მარტივი მაგალითებით, როგორებიცაა ქალური და მამაკაცური სახელების ან თანდართული თვისებების განსხვავება, ან ისეთები, სადაც ქალი ხშირად გაიგივებულია მშვენიერებასთან, ხოლო მამაკაცი – ძლიერებასთან.

ენა არამხოლოდ ასახავს ჩვენი კულტურის წარმოდგენებს, არამედ იწვევს მათ კიდევ უფრო გაძლიერებას. როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვსაუბრობთ და ვიღებთ ინფორმაციას ენით, რომელიც ქალის და მამაკაცის როლებს აშკარად არათანაბრად აღწერს, ეს უწყობს ხელს გენდერული უთანასწორობის შენარჩუნებას.

ენა არ არის მხოლოდ ჩვენი აზრების გამოხატვის საშუალება, არამედ ძალზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ან ხელს უწყობს, ან აფერხებს გენდერულ თანასწორობას. ამიტომ საჭიროა ყურადღებით მოვეკიდოთ ენაზე, რომელსაც ვიყენებთ, რათა შევექმნათ სამართლიანი და თანასწორი საზოგადოება.

ბავშვობაში ვსწავლობდი, რომ ოჯახი არის ადგილი, სადაც ყველა თანასწორია და ერთმანეთს უნდა ეხმარებოდეს, განაწილება არ უნდა ხდებოდეს სქესის მიხედვით.

ჩემი ახლო მეგობრების ოჯახებს შორის კი ბევრია ისეთი, სადაც გენდერული სტერეოტიპები ჯერ კიდევ ძლიერია. მაგალითად, ზოგ ოჯახში ქალი კვლავ მარტო ზრუნავს სახლსა და ბავშვებზე, ხოლო მამა თითქმის არ ერევა ამ საქმეებში. მე მჯერა, რომ ასეთ მიდგომებს დრო სჭირდება შეცვლას და ეს ცვლილება იწყება სწორედ ჩვენს ოჯახიდან და სკოლიდან, სადაც გენდერული თანასწორობა უფრო ხშირად ისწავლება და აღინიშნება.

გენდერული თანასწორობა ოჯახის დონეზე მნიშვნელოვანია, რადგან იქ იწყება ღირებულებების შექმნა. როცა ბავშვები ხედავენ თანასწორ და მეგობრულ ურთიერთობას მშობლებს შორის, მათში ყალიბდება პატივისცემა და თანასწორობის გრძნობა, რაც მომავალში უკეთეს საზოგადოებას ქმნის.

გენდერი და სამართალი - სამართლებრივი ბარიერები, დაცვის მექანიზმები, საერთაშორისო სტანდარტები

21-ე საუკუნის საქართველოსა და მსოფლიოში, სამწუხაროდ, გენდერის ნიშნით მკვლელობა, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, იძულება საკმაოდ ხშირად ხდება. უმეტესწილად ჩაგვრის სუბიექტები ქალები ხდებიან იმის გამო, რომ ისინი მამაკაცების ან მათი ოჯახის წევრების აზრით, საკმარისად კარგი ცოლები, დედები და შვილები არ არიან. ძალადობის მაჩვენებელი პიკს აღწევს, მხოლოდ საქართველოს მასშტაბი რომ განვიხილოთ, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს გამოქვეყნებული აქვს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით გამოცემული შემაკავებელი ორდერები საანგარიშო პერიოდით 2025-01-01- 2025-06-30, რომლის მიხედვითაც: თბილისში გამოცემულია 206 შემაკავებელი ორდერი, ხოლო გურიაში კი 2. ეს სტატისტიკა იმის მსჯელობის საფუძველს იძლევა, რომ სახელმწიფო ცდილობს, იმუშაოს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით.

ზემოხსენებული მსჯელობის გამოვლინებაა განხილული შემაკავებელი ორდერები, გარდა ამისა, დამცავი ორდერებიც. აგრეთვე, გამოიყენება ძალადობის მსხვერპლის დროებითი დაცვის მექანიზმები, რომლებიც შემდეგია: მსხვერპლისათვის თავშესაფრის, ფსიქოლოგიისა და სამედიცინო სერვისის შეთავაზება. საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა 2006 წლიდან არსებობს. კანონმდებლობის განვითარების პროცესი აქტიურ ფაზაში შემდგომი პერიოდიდან შევიდა, კერძოდ, 2010 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი, გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2012 წელს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ, მატერიალურ კოდექსში, შეიტანეს ცვლილებები, რომლითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. 2013 წელს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა და დამტკიცდა იმ პრემიერ-მინისტრის თანაშემწის თანამდებობა, რომელსაც დაევალებოდა ადამიანის უფლებათა დაცვა და გენდერული თანასწორობის საკითხის ირგვლივ პრობლემების აღმოფხვრა. საქართველომ მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზება, რომელთა შორის მე-5 მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერებაა - მათ შორის, ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გზით როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროებში (ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017, სტატია, გვ 16), 2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელზე დაყრდნობით იკრძალებოდა სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაცია. 2017 წელს კი რატიფიცირებულ იქნა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ (სტამბოლის კონვენცია). საქართველოში მცხოვრები მოსახლეობაც ცდილობს, ძალადობის მსხვერპლის მიმართ იყოს კიდევ უფრო მეტად ემპათიური, ტოლერანტული, რაც დადებითი დინამიკაა.

რაც შეეხება მსოფლიო მასშტაბს, უნდა ვიცოდეთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, დაწესებულია ქალთა

მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე, აღინიშნება ყოველი წლის 25 ნოემბერს. ეს ყოველივე იმის გამო კეთდება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში საზოგადოებაში ამ თარიღით, აღნიშნულ დღეს დაგეგმილი ღონისძიებებითა და კამპანიით საზოგადოებაში ცნობიერება აამაღლონ და ხელი შეუშალონ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირების მიზეზთა გავრცელებას, ნებისმიერი ძალადობის განხორციელება კი მინიმალურ დონემდე დაიყვანონ. საერთაშორისო მიმართულებით ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სტანდარტები შემდეგნაირად გამოიყურება: CEDAW კონვენცია, რომელიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაა, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაცია, სტამბოლის კონვენცია და მაპუტოს პროტოკოლი (ცნობილი როგორც მაპუტოს ოქმი). ყველა დოკუმენტის მიზანია ის, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია აღმოიფხვრას, რადგან ქალბატონი, ისევე როგორც მამაკაცი, არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, შესაბამისად, ის არ იმსახურებს დისკრიმინაციულ მიდგომას, ამიტომ კარგი იქნება თუ ქალბატონების მიმართ ნაკლები სტანდარტი (გარდა სამუშაოსა) იქნება დაწესებული და ისინი ამის გამო შეძლებენ, თავი იგრძნონ სოციუმის ღირსეულ წევრად.

ერთია, რომ ხდება ძალადობა, რაც საკმაოდ დამანგრეველი ფაქტია, მაგრამ მეორეა, როგორ რეაგირებს ამაზე საზოგადოება. ხშირ შემთხვევაში მსხვერპლი მომხდარი ძალადობის ფაქტზე ვერ საუბრობს იმის გამო, რომ ეშინია, ერიდება საზოგადოების რეაქციის, მათი დამოკიდებულების. ამის აღმოფხვრა, ვფიქრობ, შესაძლებელია. წამოჭრილი საკითხი მოგვარდება შემდეგნაირად: ქალაქებსა თუ რეგიონებში, რასაკვირველია, საქართველოს მასშტაბზე მაქვს საუბარი, ინტენსიურად უნდა ტარდებოდეს ტრენინგ-კურსები, სესიები, პრაქტიკული, ქეისის ტიპის მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებას გააცნობს ძალადობის ფაქტს, ასწავლის თუ რას შეიძლება, ეწოდოს ძალადობა, როგორი სახისაა იგი, რა იწვევს მას, გარდა ამისა, ესაუბრება ძალადობის შემდგომ პერიოდზე. აუხსნის და ეტყვის, რომ თუ ძალადობის მსხვერპლია ადამიანი, მას შეუძლია, დახმარება მიიღოს სახელმწიფოსაგან, ასევე, დროებით, მაგრამ მაინც ჰყავდეს ფსიქოლოგი, ჩაიტაროს თერაპია, მკურნალობა და შეეცადოს, გაუმკლავდეს საკუთარ ტრავმას.

ამრიგად, დადებითი დინამიკა შეინიშნება საქართველოსა და მსოფლიოშიც. საქართველოზე რომ ვისაუბროთ, ქვეყანა ცდილობს, იმუშაოს სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელიც მიმართული იქნება ქალთა ან/და ოჯახში განხორციელებულ ძალადობაზე, ცდილობენ, მსხვერპლებთან აწარმოონ კომუნიკაცია, აუყვანონ მათ ფსიქოლოგები, მისცენ მათ დასაქმების, სწავლა-განათლების მიღების საშუალება იმისათვის, რომ ადამიანის უფლებების შესახებ მეტი ისწავლონ და მომავალში სხვა ჩაგრული ადამიანების ხმა გახდნენ. ასევეა მსოფლიოშიც. მსოფლიოს მასშტაბით ჩვენ გვაქვს არაერთი კონვენცია, კანონმდებლობა იმის დასტურად, რომ ნამდვილად მუშაობენ ქალთა უფლებების დაცვასა და დარღვეული უფლების აღდგენაზე.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ- ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში

„ქალის განათლებას შეუძლია მთელი ერის მომავალი შეცვალოს“ - წერს ამერიკელი აქტივისტი მერი მაკლეოდი. ეს ფრაზა განსაკუთრებით რეალისტურად ჟღერს მაშინ, როცა ვაკვირდებით, როგორ იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში განათლების ხელმისაწვდომობა და როგორ იყო იგი დაკავშირებული გენდერულ სტერეოტიპებთან. თუ წარსულში განათლება, ხშირად, მხოლოდ გარკვეული სოციალური ფენის, და ძირითადად, მამაკაცთა პრივილეგია იყო, დღეს ის უფრო და უფრო გადაიქცა ადამიანის უნივერსალურ უფლებად. მაგრამ ამ გზაზე გადადგმული ნაბიჯები არც მარტივი ყოფილა და არც ერთდროული. გენდერი დღესაც განსაზღვრავს გამოცდილებებს, შესაძლებლობებსა და საზოგადოებრივ მოლოდინებს, რაც განათლების სისტემაში აშკარად შეიმჩნევა.

ისტორიულად, განათლებაზე წვდომა ყოველთვის განსაზღვრული იყო იმით, თუ რა ადგილს იკავებდა ადამიანი გენდერულ იერარქიაში. ქალებისთვის სწავლა საუკუნეების განმავლობაში მეორე პლანზე ინაცვლებდა, რადგან საზოგადოების თვალში ისინი ოჯახური სივრცის ბუნებრივ შემავსებლებად მიიჩნეოდნენ. განათლება კი “საჯარო” აქტივობად და მამაკაცთა საქმედ რჩებოდა. მიუხედავად ამისა, არსებობდნენ კულტურები და კონკრეტული ეპოქები, სადაც ქალთა განათლება უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ვნახოთ, რომ გენდერული განსხვავებები არც უნივერსალური ყოფილა და არც შეუცვლელი.

სწორედ ასეთი გამონაკლისია შუა საუკუნეების საქართველო, სადაც, მიუხედავად მკაცრად პატრიარქალური სტრუქტურებისა, განათლება მხოლოდ მამაკაცთა პრივილეგიად არ განიხილებოდა. განსაკუთრებით მოჩანს ეს სამეფო და სასულიერო წრეებში, სადაც ქალებს ჰქონდათ წვდომა წერილობით კულტურასთან, თეოლოგიურ ტექსტებთან და ადმინისტრაციულ ცოდნასთან. ამის თვალსაჩინო მაგალითია მეფე თამარი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელმწიფო მართვის, დიპლომატიის, რიტორიკისა და ეკლესიური სწავლების სფეროში. თამარის განათლება არ იყო მხოლოდ ფორმალური ცოდნა, არამედ იგი პოლიტიკური აზროვნების სრულფასოვან პრაქტიკაში მონაწილეობდა, რაც მის მმართველობაში აშკარად აისახა. თამარი ერთ-ერთ იშვიათ ისტორიულ ფიგურად გვევლინება, სადაც განათლება ქალისთვის არა მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების ინსტრუმენტია, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსიცაა.

ასევე საინტერესოა მისი ქალიშვილის, დედოფალ რუსუდანის, მაგალითი. ისტორიული წყაროები მკაფიოდ მიუთითებენ მის ინტელექტსა და დიპლომატიურ უნარებზე: რთულ პოლიტიკურ გარემოში რუსუდანი სხვადასხვა საერთაშორისო მოთამაშესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რაც მის განათლებულობის მაღალ დონეზე მეტყველებს. შუა საუკუნეების საქართველოში ქალთა მსგავსი პოლიტიკურ- საგანმანათლებლო პრაქტიკა ბევრად წინ იყო იმდროინდელ ევროპასთან შედარებით, სადაც ქალთა განათლებას არ აქცევდნენ დიდ ყურადღებას და უმეტესად საყოფაცხოვრებო უნარებით კმაყოფილდებოდნენ, წიგნიერება კი მხოლოდ არისტოკრატ ქალთა მცირე ნაწილისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ამ ფენომენს კიდევ უფრო წარმოაჩენდა მონასტრული განათლება. ქართველ დედათა მონასტრებში ქალებს ასწავლიდნენ კითხვის კულტურას, წერას, ხელნაწერების გადაწერასა და თეოლოგიურ ანალიზს. ჭყონდიდელთა საგვარეულოს ქალები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია ამისი. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო ცხოვრების ინტელექტუალურ ასპექტებში. ეს მოწმობს იმაზე, რომ ქალთა განათლება საქართველოში არა მხოლოდ არსებობდა, არამედ გარკვეულ წრეებში ღირებულ ძალასაც წარმოადგენდა.

თუმცა ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ განათლება ფართო საზოგადოების ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყო. შუა საუკუნეებში ჩვეულებრივ ქალებს სწავლა ნაკლებად ეხებოდათ. სწავლა, პროფესიული განვითარება და დასაქმება ძირითადად მამაკაცების სფეროს წარმოადგენდა, რადგან კულტურული მოლოდინები ქალის „ბუნებრივ“ დანიშნულებად თავსებადობას, დიასახლისობასა და დედობას მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ, შუა საუკუნეების მაგალითები გამონაკლისია, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი საფუძველი გენდერული პროგრესის გაგებისთვის.

თანამედროვე მსოფლიოში განათლების სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა გლობალური ფემინისტური მოძრაობების, ადამიანის უფლებების დისკურსისა და სამეცნიერო პროგრესის შედეგად. ქალები დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში იღებენ განათლებას, ხშირად უფრო მაღალ დონეზეც, ვიდრე მამაკაცები. მრავალი კვლევა მიუთითებს, რომ თანამედროვე სკოლებსა და უნივერსიტეტებში გოგონები უფრო მაღალ აკადემიურ ნიშნებს აღწევენ და აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში. თუმცა, მიუხედავად ამ მიღწევებისა, გენდერული უთანასწორობები მაინც არსებობს, მათ შორის, პროფესიული არჩევის სტერეოტიპები, STEM-საგნებში (მათემატიკა, ტექნოლოგიები..) დაბალის ქალთა მონაწილეობა და შრომით ბაზარზე არსებული მერყევი თანასწორობა.

გენდერი მხოლოდ სწავლის შესაძლებლობას არ განსაზღვრავს, ის ახდენს გავლენას ენაზე, როლებზე და თვითშეფასებაზე ენა, როგორც კულტურული სიმბოლო, ხშირად ატარებს გენდერული განაწილების მოთხოვნებს. მაგალითად, ყოველდღიურ ქართულში მრავლადაა გამოთქმები, რომლებიც არასიმეტრიულად აფასებს ქალურ და მამაკაცურ საქციელს („ქალმა შენდობა იცის“, „ქალი სახლში სჯობს“). ეს ფრაზები თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ისინი ძლიერი სოციალური მინიშნებებია, რომლებიც მომავალ თაობებში სტერეოტიპებს ამაგრებს. განათლების სისტემა კი, მიუხედავად პროგრესისა, ხშირად ამ სტერეოტიპებს უცვლელად ინარჩუნებს, ზოგჯერ პედაგოგების დამოკიდებულებაში, ზოგჯერ სასკოლო წიგნებში, ზოგჯერ კი კლასის ყოველდღიურ ურთიერთობებში.

თანამედროვე საქართველოში განსაკუთრებულად საინტერესოა ოჯახური როლების გადანაწილება. თუ წარსულში ოჯახური საქმიანობა თითქმის მთლიანად ქალის მოვალეობას წარმოადგენდა, დღეს ეს ნელ-ნელა იცვლება. თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ ქართველი ქალები დღესაც უფრო მეტ დროს ატარებენ საოჯახო საქმეზე, ვიდრე მამაკაცები. ეს უთანასწორობა პირდაპირ აისახება განათლებაზე: თუ ახალგაზრდა ქალი ერთდროულად სწავლობს, მუშაობს და ოჯახის მოვალეობებსაც ასრულებს, მისი რესურსები ბუნებრივად იკლებს. ამიტომაც თანამედროვე განათლების სისტემა ვალდებულია, გაითვალისწინოს სოციალური რეალობა, რომ ქალებს ხშირად მეტი დაბრკოლება ხვდებათ, ვიდრე მამაკაცებს, რაც დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს.

გენდერი ასევე განსაზღვრავს სილამაზის სტანდარტებს, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს გოგონების განათლებასა და თვითშეფასებაზე. თანამედროვე მედია, სოციალური ქსელები და კულტურული სტერეოტიპები ქალებს ხშირად კარნახობენ, როგორ უნდა

გამოიყურებოდნენ, როგორ იარონ, როგორ ილაპარაკონ და როგორ „ასხივებდნენ“ ქალურობას. ასეთი სტანდარტები გოგონებში ხშირად დაუცველობას, შფოთვის ან თვითდაჯერების დეფიციტს იწვევს, რაც სწავლაზე და კარიერულ განვითარებაზე პირდაპირ უარყოფითად აისახება. განათლების სისტემა ამ მხრივაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს: შიდა სკოლის კულტურა, მასწავლებელთა დამოკიდებულება და თანატოლების ქცევა ხშირად გენდერული სტერეოტიპების განმამტკიცებელია.

სილამაზის სტანდარტებისგან თავისუფალი, თვითშეფასებაზე ორიენტირებული გარემო იმ შემთხვევაში ყალიბდება, როცა სკოლა და უნივერსიტეტი ინკლუზიური პოლიტიკით ხელმძღვანელობს: ეყრდნობა ზიანის არიდების სიტყვიერ გარემოს, სქესით არ განასხვავებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ებრძვის ბულინგს და უწევს ხელშეწყობას ყველა სტუდენტს, მიუხედავად მათი გენდერული იდენტობისა, სოციალური ფონისა თუ ინტერესების სფეროსი.

დღეს განათლება მხოლოდ ცოდნის შეძენა აღარ არის, ის სოციალური სივრცეა, რომელშიც ფორმირდება ინდივიდის პიროვნული იდენტობა, უსაფრთხოების განცდა, მიზნები და პროფესიული ხედვა. სწორედ ამიტომ გენდერული თანასწორობა განათლებაში არა მხოლოდ ემანსიპაციის, არამედ ქვეყნის განვითარების საკვანძო პირობაა. საქართველო კი, თავისი ისტორიული გამოცდილებით, სადაც ქალთა განათლებამ კონკრეტულ ეპიზოდებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, კარგ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ მომავალში ეს მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდეს.

მთავარია, რომ განათლების სისტემა აღიარებდეს მრავალფეროვნებას, გააცნობიეროს, რომ გოგონებსა და ბიჭებს განსხვავებული სოციალური გამოცდილებები აქვთ. უზრუნველყოს მხარდაჭერა იმ სფეროებში, სადაც საჭიროა მეტი თანასწორობა, დაამკვიდროს სწავლების მეთოდები, რომლებიც ებრძვის სტერეოტიპებს და შექმნას გარემო, სადაც განათლება არა მხოლოდ უფლებად, არამედ შესაძლებლობად იქცევა ყველასთვის.

საბოლოოდ, გენდერული თანასწორობა განათლებაში არც ერთი დღის ამოცანა არ არის. ეს არის გრძელვადიანი პროცესი, რომელიც მოითხოვს ინსტიტუციურ ცვლილებებს, საზოგადოებრივ მზაობას, კულტურულ ტრანსფორმაციას და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამ გზაზე კი ყველაზე ძლიერი მაგალითები ხშირად წარსულშია დამალული: ქალები, რომლებიც, მიუხედავად ბარიერებისა, მაინც სწავლობდნენ, ქალები, რომლებიც იგებდნენ პოლიტიკურ ბრძოლებს, ქალები, რომლებიც ქმნიდნენ წიგნებს და ქალები, რომლებმაც გარკვეულ ეპოქებში საგანმანათლებლო სივრცე ხელახლა განსაზღვრეს.

სწორედ მათი გამოცდილება გვახსენებს, რომ განათლება სქესის მიუხედავად ყველაზე ძლიერი ძალაა, რომელსაც შეუძლია საზოგადოების გარდაქმნა. ხოლო წარსულსა და თანამედროვე რეალობას შორის მოპოვებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ მაშინ გახდება რეალობა, როცა განათლება ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი, მხარდაჭერილი და დაფასებული იქნება.

ამრიგად, გენდერული თანასწორობა განათლებაში მხოლოდ სოციალურ სამართლიანობას არ მოიცავს, რადგან ეს არის ქვეყნის პროგრესის საძირკველი. როდესაც ქალსა და მამაკაცს ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ, საზოგადოება რადიკალურად უფრო შემოქმედებითი, ძლიერი და მდგრადი ხდება. წარსულმა გვაჩვენა, რომ განათლებული ქალი ერის მომავლის მიმართულებას ცვლის. თანამედროვეობამ კი დაამტკიცა, რომ ბარიერები მხოლოდ მაშინ ქრებიან, როცა მათ უკვე ხედავენ და ებრძვიან. ამიტომ განათლება უნდა დარჩეს სივრცედ, სადაც სქესი არ განსაზღვრავს მნიშვნელობას. თანასწორობა არ არის კეთილდღეობის არჩევანი, ეს ჩვენი ერთობლივი ისტორიის სწორად გაგრძელება!

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

თანასწორობა მეცნიერებასა და ინოვაციებში - ქალთა მონაწილეობა STEM სფეროებში ადამიანის დაბადებიდან დღემდე ძალზე დიდი ევოლუცია განიცადა სამყაროში. იცვლებიან ინდივიდები, ყალიბდება ერთმანეთისგან განსხვავებული დამოკიდებულებები და შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. შესაძლოა ადამიანთა ერთი კატეგორია ამტკიცებდეს, რომ მზე, რომელიც ყველასთვის ამოდის - ყვითელია, ხოლო მეორე კატეგორია ჯიუტად აგრძელებდეს, რომ ის არის ლურჯი. ზუსტად ასე აისახება ქალთა და კაცთა შორის გენდერული სტერეოტიპები. რას ნიშნავს ეს? გენდერული სტერეოტიპები სწორედ რომ ზღუდავს განათლების მიღებას, ცოდნასა და შესაძლებლობებზე თანასწორ წვდომას. უფრო კონკრეტულად უმნიშვნელოვანესი ყურადღება ქალების თვითშეფასების შემცირებასა და დისკრიმინაციას ეხება.

განათლება თითოეული ადამიანის კარიბჭის გასაღებია უხილავ სამყაროში, სადაც ყველაფერი სხვანაირია და თავისუფალი ხედვა არსებობს. 21-ე საუკუნეში განათლების ტექნოლოგიური პროგრესია და მოგეხსენებათ, მამაკაცსა და ქალს თანაბრად უნდა ჰქონდეთ პიროვნული და პროფესიული რეალიზაციის, განვითარების საშუალება, ამაში კი ტექნიკური სფეროები დაეხმარებათ. თუმცა ბავშვს დაბადებიდან ასწავლიან, რომ მისთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ფრაზები, მაგალითად: „ეს კაცის საქმეა“, „ქალი ფიზიკურად ვერ შეძლებს, სუსტია“, „ინჟინერია ქალისთვის არ არის“ და უამრავი ასეთი შეუსაბამო, დაუსრულებელი სიტყვები. რეალურად, ინდივიდმა უნდა შეძლოს თავი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, გააქროს ის ბრბო, სადაც ეს „მამაკაცური“ იარაღი დომინირებს. მეცნიერება და ინოვაციები ქალსაც და კაცსაც ერთიდაიგივე შესაძლებლობებს აძლევს, რომ გააკეთონ იმაზე მეტი, ვიდრე აქამდე, გადააბიჯონ საკუთარ თავს და შეაღონ კარი განსხვავებულ ქვეყნიერებაში, სადაც წინაღობა არ არსებობს, რომ შეაფერხოს თავიანთი მრავალმხრივი, განსაკუთრებული მიდგომები, მოსაზრებები, გამოგონებები და გამოიყენონ XXI საუკუნის ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქა, როგორც სწორი სტრატეგია და მძლავრი იარაღი, ეს კი უფრო მნიშვნელოვანს გახდის განათლების პროცესს. STEM სწორედ ის სფეროა, სადაც ტექნოლოგიური განვითარება მუდმივად მიმდინარებს, სადაც ქალბატონებს ყოველთვის შეუძლიათ დაიმკვიდრონ თავი, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურა, განვითარდნენ და წარმატებული ქალის მაგალითი გახდნენ. ის საშუალებას აძლევს მდებდრობით სქესს, დაანახოს, თუ როგორია ქალი, რომელიც არ უშინდება გამოწვევებს და ერთვება მრავალ ტექნოლოგიურ აქტივობაში.

„ქალები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში - STEM DAY“ - სწორედ ეს არის ის საგანმანათლებლო და სოციალურ-მსოფლიო დონეზე აღიარებული ინიციატივა, რომელსაც შეუძლია, პატარაობაში ჩანერგილი გენდერული სტერეოტიპები სამუდამოდ დამარხოვს და გააგრძელოს ქალთა განვითარება, დაინტერესება, ჩამოაყალიბოს ისინი სრულყოფილ პიროვნებად და გახდნენ მსოფლიოს წამყვანი გამომგონებლები და მეცნიერები. ძალიან საამაყოა, როდესაც შენი ოჯახის, სკოლის, კუთხის წარმომადგენელი სწორედ ამგვარ წარმატებას აღწევს, მითუმეტეს, რომ ის არის ქალბატონი და ძალზე წარმატებული ინოვაციურ სამყაროში. მან ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია, მთავარია თავდადება და

შრომა, არ აქვს მნიშვნელობა ამას ვინ გააკეთებს - კაცი თუ ქალი. აუცილებელია, ინდივიდუალურად ყველამ გაიაზროს სექსიზმის მნიშვნელობა, რაზეც შესაბამისი რეაგირებაა საჭირო, ელემენტარულად ყოველდღიურ, ჩვეულებრივ საუბარშიც არ უნდა დაიშვას ქალების მიმართ დისკრიმინაციული თუ ძალადობრივი ხუმრობაც კი. უმეტეს შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ როდესაც ასეთი სტერეოტიპები შენთვის უპირატესობას წარმოადგენს, შენ უპატივცემულოდ ეპყრობი არა მხოლოდ მდედრობით სქესს, არამედ საკუთარ თავს, საზოგადოებას, ჩვენს ერთადერთ შემოქმედს, მთელ სამყაროს, ეს კი სოციალიზაციაში უკან დახევის წინაპირობაა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შენს ადამიანურ ფასეულობებს, მდგომარეობას. შეუძლებელია, ამ საუკუნეში იყო განცალკევებული ინოვაციებისგან, მჭიდრო კავშირიც კი არის საჭირო სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად.

ამისთვის აუცილებელია გზები, რომელიც ცვლის წარმოდგენას იმის შესახებ, რომ თურმე ციფრული ინტეგრაცია, მეცნიერება და ინოვაციები ქალისთვის არ არის. პირველ რიგში, ოჯახმა უნდა მიმართოს ახალგაზრდას გონება სწორი ქმედებისაკენ, უნდა წაახალისოს ბავშვთა ინტერესები სქესის მიუხედავად, მისცეს საშუალება, აირჩიოს პიროვნული გზა, რომელსაც უპირობოდ გაჰყვება.

პროფესია, რომელიც მე ავირჩიე, უშუალოდ ბავშვის აღზრდა განათლებას ეხება, მის დაწყებით სწავლა-აღზრდის კულტურას. ამით მინდა მაგალითი მოვიყვანო, რომ ამდროინდელ სამყაროში ტექნოლოგიის გარეშე შეუძლებელია განათლების მიღება და უკვე ცხოვრებაც კი. სკოლა და საგანმანათლებლო სფეროები ბავშვს, მოზარდს უნდა ეხმარებოდეს და განუმტკიცებდეს ხედვას, ასევე შესაძლებელია მოეწყოს შეხვედრებიც წარმატებულ ქალ მეცნიერებთან, ინჟინრებთან ან პროგრამისტებთან, შესაბამისად, ეს წაახალისებს გოგონებსა და ქალებს, შემცირდება სტერეოტიპები, გოგონებთან ერთად ყველა დაინახავს, თუ რა შეუძლიათ ქალებს ტექნოლოგიურ სამყაროში, რომ ისინი არ წარმოადგენენ სუსტ სქესს, რომ მათ არ ეზღუდებათ არჩევანი, რომ თავისუფალი ხედვა მათთვისაც მნიშვნელოვანია, შეუძლიათ აირჩიონ პროფესია, რომელშიც თავიანთ თავს სრულყოფილად ხედავენ. ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ, რომ დედამიწაზე არსებული გენდერული უთანასწორობა არის სისტემური ხასიათის პრობლემა, ეს არ ეხება მხოლოდ ერთს და არ არის ინდივიდუალური, მას აქვს ტრადიციული სახეც, ასევე ნაკლებად ვხედავთ ქალ გამომგონებლებს და მეცნიერებს მედიაში, არსებობს სტერეოტიპული პროფესიები, ადამიანთა შორის მიკერძოებული შეფასებები, ეს ყველაფერი კი, ბავშვს დაბადებიდან უზღუდავს შესაძლებლობებსა და მონაწილეობას ინოვაციურ სამყაროში. აუცილებელია - კრეატიული, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ლოგიკური ანალიზი, კვლევითი უნარ-ჩვევები და ცოდნის მიღება, მსოფლმხედველური ხედვა, ინტეგრაცია და უამრავი სხვა უნარი, რომელიც ქმნის ღირებულებებს, რომელშიც STEM სფერო გაცილებით დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს, ვიდრე ჩვენ გვგონია. პირველ რიგში, ინფორმაციული ტექნოლოგიები არის კომუნიკაციის წყარო, ასევე ის აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებას, ყველა ადამიანმა ასე თუ ისე იცის გამოყენება და ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაც კი ითვლება. ტექნიკური განხრით გვაქვს სხვადასხვა უნიკალური პროფესია (IT, ინჟინერია), რომელიც საკმაოდ ანაზღაურებადია, რატომ არ შეიძლება, რომ ქალსაც ჰქონდეს მასში მონაწილეობის უფლება? ისიც გახდეს მამაკაცის თანასწორი? მასაც ჰქონდეს მაღალი ანაზღაურება? თავის პიროვნულ მახასიათებლებს დაუკავშიროს პროფესია და იფიქროს, რომ დედამიწაზე ერთ-ერთი საჭირობოროტო საკითხის მოგვარება შეუძლია? რა საკვირველია, ისინი კარგავენ ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვან შესაძლებლობას. ჩვენ, როგორც დაუღალავი ბრბოს ნაწილი მამაკაცს

წარმოვიდგენთ ძლიერ, უპირატეს კომპონენტად, არ შეგვიძლია განვიხილოთ ის ბარიერები, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას ეხება. პირადად ჩემთვის, დღესაც რეალურად აქტუალური და მრავალგანზომილებიანი პრობლემური საკითხია თანასწორუფლებიანობა.

ეს ქალებს უკრძალავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, თავისუფალ არჩევანს. შემძლია ვისაუბრო ესიჰლე მაკიტშის გამოცდილებაზე, რომელიც ხაზს უსვამს იმას, თუ რაოდენ ძლიერი გავლენა აქვს ტექნოლოგიებს, განათლებას ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. შესაძლოა ესიჰლეს განვლილი გზა მაგალითი აღმოჩნდეს ქალისთვის, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს თავის შესაძლებლობებს. დაბრკოლებები, რომელიც მას გზად ხვდებოდა, გადალახა. ესიჰლეს სჯეროდა, რომ მამაკაცისა და ქალის ადგილი ტექნოლოგიათა სამყაროში ერთიდაიგივეა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქალი უნდა იყოს თავდაჯერებული და უნდა იბრძოდეს იმისთვის, რაც სწორად მიაჩნია. მისი სიტყვებია: „შენ არ შეგიძლია იყო ის, რასაც ვერ ხედავ“, სწორედ ამიტომ, საკუთარი თავისთვის, საკუთარი სურვილებისთვის და მიზნებისთვის ადამიანმა განურჩევლად სქესისა უნდა იშრომოს, მიაღწიოს საწადელს და დაანგრის ის კედლები, სადაც დაბადებიდან იყო გამომწყვდეული. არ შემძლია მაგალითად არ მოვიყვანო 29 წლის ქართველი ქალი იურისტის წარმატება, რომლის მიზანიც არის - გოგონებმა, რომლებსაც ტექნოლოგიები მოსწონთ, სურვილებისთვის გადადგან თამამი და სწორი ნაბიჯები. ეს არის დაჯი ლიპარტელიანი, რომელიც 2021 წელს გრეის ჰოპერის, ერთ-ერთი პირველი ამერიკელი პროგრამისტის ჯილდოს გახსნის ცერემონიას დაესწრო და თავის სტარტაპთან ერთად გახდა გრეის ჰოპერის ჯილდოს გამორჩეული ნომინანტი. ის არამარტო ტექნოლოგიების სიყვარულით გამოირჩევა, არამედ ინოვაციის ნამდვილი მქადაგებელია, რომლისთვისაც ოცნება არის რეალობად ქცევა. მისი ამგვარი წარმატება კი, მოტივაციას ზრდის გოგონებში, უზრუნველყოფს მათ ჩართულობას ტექნოლოგიურ სამყაროში, ეს კი თანდათან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ქალებს დაანახებს, არა მხოლოდ საკუთარ მსგავსს მეცნიერულ ტექნოლოგიებში, არამედ იმას, რომ სწორედ ტექნოლოგიებში არის მომავალი, გადალახავენ სოციალურ ჩარჩოებს და ამის შედეგად საკუთარ ამბიციებს გაუზიარებენ დედამიწას, რომელსაც ისე სჭირდება ქალთა თანადგომა, მათი ძლიერი მხარეები, აქტიური ჩართულობა, ახალი იდეები, ინოვაციები და შესაძლებლობები, როგორც ადამიანს ჰაერი, როგორც თევზს წყალი სიცოცხლისათვის. აუცილებელია, მდებრობითმა სქესმა გადადგას თამამი ნაბიჯები და გახსნას გზა ახალი აღმოჩენებისთვის და წარმატებისთვის.

საერთო ჯამში, საზოგადოებამ უნდა შეძლოს, აცდეს ჩარჩოებს და გაიხედოს ნათელი მომავლისკენ, სადაც ქალი ძლიერი ადამიანის სიმბოლო იქნება და უკეთესი როლი ექნება ინოვაციების განვითარებაში, სამყაროს მეტად ნათელი ფერები მოევლინება, დისკრიმინაციული ხედვა და მიდგომა შეიცვლება და თითოეული ინდივიდი ისწავლის, რომ საკუთარი სურვილებისკენ მიზანსწრაფვა, ნიჭისა და ინტერესების გამოვლენა გაძლიერდება, ამიტომაც წინ უნდა წავიდეს არა მხოლოდ მდებრობითი სქესის წარმომადგენელი, არამედ სისტემა, რომელიც წარმოადგენს გენდერულ (უ)თანასწორობას, სტერეოტიპებს და ზღუდავს შესაძლებლობებს.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

თანასწორობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, თუმცა თანამედროვე რეალობაში პოლიტიკა კვლავ იმ სივრცედ რჩება, სადაც ქალების მონაწილეობა მამაკაცებთან შედარებით მაინც ნაკლებია. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გავლენისა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები ქალებისთვის ჯერ კვლავაც არაერთი ბარიერით არის შეზღუდული.

საქართველოში ამ მიმართულებით ნელა, მაგრამ მაინც შეინიშნება პროგრესი — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გენდერული კვოტირების სისტემა დაინერგა. თუმცა კვოტა მხოლოდ ტექნიკური ცვლილებაა; რეალური თანასწორობა კულტურულად, სოციალურად და პოლიტიკურად ბევრად ღრმა გარდატეხას ითხოვს.

ქალებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად კულტურული და საზოგადოებრივი სტერეოტიპები რჩება, რომლებიც პოლიტიკას „კაცურ სივრცედ“ წარმოაჩენს. ფართოდ გავრცელებულია მოლოდინი, თითქოს პოლიტიკაში წარმატება კაცის საქმეა, ხოლო ქალი ამ გარემოში მუდმივად დამატებით მტკიცებულებას საჭიროებს იმისთვის, რომ მისი აზრი სერიოზულად იქნას მიღებული. ამის პარალელურად, ქალები ხშირად ეჯახებიან ორმაგ ტვირთს — მათ მრავალი სოციალური როლი აკისრიათ, როგორცაა ოჯახური მოვალეობები, სწავლა, სამსახური, ბავშვებზე ზრუნვა. ამ ყველაფერთან ერთად აქტიურ პოლიტიკურ ჩართულობას დიდი რესურსი და დრო სჭირდება, რაც ქალებისთვის ხშირად ორმაგად რთულდება. სხვა სერიოზული ბარიერი ფინანსური და პარტიული გარემოა.

არჩევნებში მონაწილეობა და პარტიულ სტრუქტურებში წინსვლა ფინანსურ მხარდაჭერას და ფართო ქსელს მოითხოვს, რომელიც ქალებს მამაკაცებთან შედარებით ბევრად იშვიათად აქვთ. პარტიების შიგნით გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე ქალები ნაკლებად ხვდებიან, რაც შემდგომ პოლიტიკურ წინსვლას კიდევ უფრო ამცირებს. ამას ემატება მედიის გავლენა, რომელიც ქალი პოლიტიკოსების მიმართ ხშირად ნეობიექტურია: ყურადღება ექცევა გარეგნობას, ტონს, პირად ცხოვრებას — იმ ასპექტებს, რომლებიც მამაკაცებისთვის იშვიათად ხდება კრიტიკის წყარო. ასეთმა მიდგომამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ქალების მიმართ ნდობა და განამტკიცოს სტერეოტიპები, რომლებიც მათ უკვე დამკვიდრებულ ბარიერებს უმატებს.

მიუხედავად ამისა, უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართვიანობა არა მხოლოდ გენდერული, არამედ შინაარსობრივი მნიშვნელობის მატარებელია. ქალები ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოციალურ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხებს, რომლებიც ქვეყნის გრძელვადიანი კეთილდღეობისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაში სხვადასხვა სქესის, გამოცდილებისა და ხედვის ადამიანები მონაწილეობენ, პოლიტიკა უფრო დაბალანსებული და ინკლუზიური ხდება, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები — გაცილებით სრულყოფილი. ამიტომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში არა მხოლოდ „ქალთა საკითხია“, არამედ დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი და მთელი საზოგადოების განვითარების წინაპირობაა. რეალური ცვლილებების მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა

მიმართულებით მუშაობა. აუცილებელია განათლების სისტემაში გენდერული ცნობიერების გაძლიერება, განსაკუთრებით სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სადაც ახალგაზრდებს ფორმირდება წარმოდგენა სოციალური როლებისა და შესაძლებლობების შესახებ. კულტურული სტერეოტიპების შემცირება შეიძლება მხოლოდ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიებით, საჯარო დისკუსიებით და მედიის პასუხისმგებლობით, რომელიც ქალ პოლიტიკოსებზე პროფესიულ და ობიექტურ გაშუქებას უზრუნველყოფს.

ასევე მნიშვნელოვანია ქალთა ლიდერობის პროგრამები, მენტორობა, პარტიულ სტრუქტურებში რეალური შიდა დემოკრატიის შექმნა და ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც ქალებს საკუთარი აზრის გამოხატვა და ლიდერული როლის განცდა შეუძლიათ. ოჯახის და სამუშაო პასუხისმგებლობების გადანაწილების შეცვლაც აუცილებელია, რადგან ქალებს შეუძლიათ პოლიტიკაში წარმატებით ჩართვა მხოლოდ მაშინ, როცა მათ საკმარისი მხარდაჭერა აქვთ. გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში არ არის მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებელი ან ფორმალური ბალანსი. ეს არის დემოკრატიის, სამართლიანობისა და ადამიანური განვითარების აუცილებელი პირობა. როცა ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლევათ რომ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში, ეს არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების წინსვლაა, არამედ მთლიანად საზოგადოების წინგადადგმული ნაბიჯი. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ქვეყნის განვითარებას აძლიერებს და ქმნის გარემოს, სადაც გადაწყვეტილებები მეტი სიმწვავეთ, სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მიიღება. სწორედ ამიტომ გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში არის გზა არა მხოლოდ ქალების, არამედ მთელი ქვეყნის პროგრესისკენ.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

გენდერული თანასწორობა არის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებებს, შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე საზოგადოებაში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, მაგრამ მიღწეული პროგრესის მიუხედავად სტერეოტიპები და უთანასწორობა კვლავ არსებობს. დავიწყეთ სტერეოტიპებით, რას ნიშნავს „სტერეოტიპი“? ეს არის ჩამოყალიბებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ქალი ან მამაკაცი, მაგალითად, ხშირად ფიქრობენ, რომ მამაკაცი საერთოდ არ უნდა წარმოაჩინოს თავისი გრძნობები, სულ უნდა იმუშაოს, ან იყოს ძლიერი, ხოლო ქალი უნდა მარტო იდგეს სამზარეულოში და სულ ოჯახისთვის იზრუნოს, არ უნდა გამოიხატოს ნეგატიური ემოცია მამაკაცის მიმართ და ა.შ. ეს, ჩემი აზრით, აბსურდია, რადგან ქალს აქვს უფლება იმუშაოს, თუ რაღაცა აწუხებს მამაკაცის საქციელში, ან თავის ცხოვრებაში უნდა აუცილებლად თქვას ამის შესახებ. ან მამაკაცს უნდა ჰქონდეს უფლება გამოიხატოს ემოციები, რადგან ის ადამიანია და რობოტიდან ქვა არ არის. მას აქვს სრული უფლება იტიროს.

ცრემლი არის უბრალო ემოცია, და საბოლოო ჯამში უბრალო გრძნობა, მაგრამ ამ ემოციის მერე სხეული თავისუფალია დამაბულობისგან. ჯერ კიდევ ძველ დროებიდან მოდის ეს სტერეოტიპები და გენდერული უთანასწორობა. მაგალითად, ძველ რომში ქალებს ჰქონდათ გარკვეული უფლებები ოჯახში, მაგრამ მათ არ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა ისინი მაინც ითვლებოდნენ „სუსტი სქესის“ წარმომადგენლად. აბსურდია, არა? „სუსტი სქესი“- ეგ რომელია? რაც ქალი განიცადა, ამას ვერასოდეს შეძლებს რომელიმე მამაკაცი. ქალებს აქვს განსაკუთრებული ნიჭი: სიცოცხლის მიცემა, სიყვარული და სიბრძნე, რომელიც საზოგადოებას აძლევს ძალას და იმედს. ისტორიიდან არის ძალიან ბევრი მაგალითი გენდერული უთანასწორობის შესახებ.

მინდა დავწერო ქალების შესახებ XVII-XIX საუკუნეებში. უმეტეს ქვეყნებში ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, შეზღუდული ჰქონდათ სწავლა და პროფესიული საქმიანობა. მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთში ქალების ძირითადად საოჯახო უნარებზე იყო ორიენტირებული და არა სამეცნიერო ან კარიერულ განვითარებაზე, მაგ დროს ქალს უნდა ჰქონოდა ქარგვისა და კერვის უნარი. სხვა ქვეყნებში საზოგადოება მოითხოვდა ქალისგან მორჩილებას, სინაზეს და სოციალურ წესების დაცვას. ამ ნორმების დარღვევა ხშირად იწვევდა საზოგადოების გამორიცხვას.

ჩემი აზრით, იდეალური მაგალითია ჯეინ ოსტინის რომანი „სიამაყე და ცრურწმენა“ აქ კარგად ჩანს, როგორ ზღუდავდა ქალების სოციალური და ფინანსურ შესაძლებლობებს მათი სტატუსი. ქალის როლი ლიტერატურაში ხშირად არ აჩვენებს იდეალურ დედას და მეუღლეს, მაგალითად ჩარლზ დიკენსის რომანი „დიდი იმედები“. ქალის ცხოვრება დამოკიდებულია სოციალურ მოლოდინებსა და მატერიალურ პირობებზე. ამ დროში მარტო ქალებს არ ჰქონდათ უთანასწორობა, არამედ მამაკაცებისგან ითხოვდნენ, რომ ისინი ყოფილიყვნენ ძლიერი, მაგალითად, სპარტის მამაკაცები. ისინი ბავშვობიდან

ვარჯიშობდნენ, რომ მერე გამხდარიყვნენ გამძლე ყველაზე რთულ პირობებში. თუ ისინი რაღაცა ემოციას გამოხატავდნენ - ძალიან სუსტ ადამიანად ჩათვლებოდნენ. ეს ყველაფერი მამაკაცებსაც ზიანს აყენებდა.

მაგრამ, ყველაზე რთული მოთხოვნები მაინც ჰქონდათ ქალების მიმართ და ახლაც, რამდენიმე ქვეყანაში კიდევ არის უთანასწორობა. ახლა არის ახალი კანონი ავღანეთში. ჯერ კიდევ ბავშვი (გოგო) ვერ შეძლებს განათლების მიღებას, ქალი საერთოდ ვერ იმუშავებს ავღანეთში, გამონაკლისია მხოლოდ ექიმის დასაქმება, ესეც მხოლოდ მამაკაცის დათანხმებით, და მხოლოდ იმისთვის, რადგან მამაკაცებს აკრძალულია ქალების მკურნალობა. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს არ შეუძლიათ მიღება ჩვეულებრივი სამედიცინო დახმარების, რადგან ქალ ექიმთა რაოდენობა მცირეა, გარდა ამისა, ქალზე არ შეიძლება გაიცეს მედიკამენტების ან სამედიცინო რეცეპტი. ქალს უნდა ეცვას დაბალძირიანი ფეხსაცმელი, რომ მამაკაცი ნაბიჯების ხმამ არ შეაწუხოს. სხვა მამაკაცმა არ უნდა მოისმინოს ქალის ხმა, რადგან ეს ითვლება „ვულგარობად“. ქალს ავღანეთში არ აქვს საკუთარი პირადობის მოწმობა. ავღანეთში ქალს არ შეუძლია ჩაიცვას ფერადი ან ღია კაბები, იქ დომინირებს შავი ფერი. თუ ქალმა ჩაიცვა ღია კაბა ქალაქში და ვინმემ ეს ნახა, ყველას აქვს უფლება, ქვებით ან ჯოხებით დაარტყას ქალს. ეს არის არაადეკვატური საქციელი ისინი იქ ცხოვრობენ, მაგრამ ეს ცხოვრება არ არის. ეს არ უნდა იყოს არავის ცხოვრებაში, მაგრამ იქ ქალები უკვე მიჩვეულნი არიან. დავბრუნდეთ ჩვენს თემას, ძველ დროში, მიუხედევად იმისა, რომ იყო უთანასწორობა, იყვნენ ქალები, რომლებიც აჩვენეს ამ უთანასწორობის მეორე მხარე, მაგალითად, ფრიდა კალო, ჟანა დარკი, კლეოპატრა, თამარ მეფე, გრეის ჰოპკინსი, რადია პერლმანი. აქედან ჩემთვის ყველაზე პრივილეგირებული ადამიანია თამარ მეფე, საქართველოს პირველი ქალი, ვინც გახდა „მეფე“. ის გამეფდა 1184 წელს და თამარის შესახებ ყოველთვის ამბობდნენ, რომ ის იყო ქალი, მაგრამ სჯობდა მრავალ კაც მეფეს, რომ მისი სიძლიერე არ იყო ხმალში, არამედ გულში. თამარ მეფე იყო ქალი, ვინც გააერთიანა ერი და უამრავი მტერი დაამარცხა, და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ თამარმა დაამტკიცა, რომ სქესი არაფერს წყვეტს.

გენდერული უთანასწორობიდან გამომდინარე, XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ ფემინისტები და ქალები იბრძოდნენ უთანასწორობის წინააღმდეგ. როდესაც სიტყვა „ფემინისტი“ გამახსენდება, ყოველთვის პირველია ჩემს მეხსიერებაში ფრიდა კალო. რადგან ფრიდა არ იყო ფემინისტი პოლიტიკური გაგებით, მაგრამ მან გამოიყენა ხელოვნება, რათა ებრძოლა სტერეოტიპების წინააღმდეგ. მისი ნახატები ასახავდა ქალის სიძლიერეს, სულიერ და ფიზიკურ ტკივილს. ფრიდა ღიად აჩვენებდა თავის ნამდვილ სახეს, იდეალიზაციის გარეშე და დაამტკიცა, რომ ქალი შეიძლება იყოს ძლიერი. ის ამბობდა: „მე ვხატავ საკუთარ თავს, რადგან მე ვარ ისთვისაც ყველაზე კარგად ვიცნობ“. ასე ფრიდა კალო გახდა ქალთა შიდა თავისუფლების სიმბოლო, რომელიც არ ემორჩილებოდა მამაკაცებს და სტანდარტებს. ასევე, ჩემთვის არის ყველაზე პოპულარული მსახიობი ემმა უოტსონი, რომელმაც 2014 წელს შექმნა ცნობილი ნამუშევარი „HeForShe“ სადაც მოუწოდა მამაკაცებს ერთად ებრძოლათ ქალებთან თანასწორობისთვის.

ჩემი აზრით, ფრიდა კალომ და ემმა უოტსონმა თავისი შემოქმედებით დაამტკიცეს, რომ ქალის ხმა შეიძლება იყოს ისეთივე ძლიერი, როგორც მამაკაცის ხმა. აქ კიდევ შემიძლია ვთქვა, რომ ბიბლიაშიც არის გენდერული თანასწორობა, მაგალითად, ახალ აღთქმაში მარია მაგდალინელი იყო იესო ქრისტეს მოწაფე და მონაწილეობდა მრავალ მნიშვნელოვან მოვლენაში. მაგდალინელი იყო სიმტკიცის, რწმენის და ერთგულების სიმბოლო. ბიბლიაში ხშირად არის დაწერილი ქალების შესახებ, მაგალითად, პირველი ქალი-ევანგელისტი. ბიბლიაში ქალები და მამაკაცები განსხვავებულ, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ღმერთი ქმნის ადამიანს როგორც მამაკაცად, ისევე ქალად, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე

სქესი ერთნაირად ძვირფასია მის წინაშე. მამაკაცები, როგორებიც იყვნენ მოსე, დავით და იოსები, წარმოადგენენ ძალას, სიბრძნეს და პასუხისმგებლობას. ქალები კი, როგორებიც იყვნენ სარა და ესთერი, გამოხატავენ რწმენას, ერთგულებასა და სიბრძნეს სხვა ფორმით. ეს გვიჩვენებს, რომ სქესი არ განსაზღვრავს ადამიანის მნიშვნელობას-მთავარია მისი რწმენა, გულწრფელობა და მოქმედება. სწორედ ამიტომ, ბიბლიური ისტორიები შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ გზავნილად გენდერული თანასწორობის შესახებ: თითოეულ ადამიანს, იქნება ის ქალი თუ მამაკაცი აქვს თანასწორი უფლება.

დღეს გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ სოციალური საკითხი — ეს არის ადამიანის ღირსების აღიარება. თანამედროვე სამყაროში ქალები და მამაკაცები თანაბრად მონაწილეობენ მეცნიერებაში, პოლიტიკაში და განათლებაში, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპები, რომლებიც ზღუდავენ ადამიანებს. ბიბლიური თვალსაზრისით, თითოეული ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად, რაც ნიშნავს, რომ ყველა თანაბარია ღირსებითა და შესაძლებლობით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ პატივი სცეს თითოეულ ადამიანს, მიუხედავად სქესისა, და შექმნას ისეთი გარემო, სადაც ყველას ექნება განვითარების და საკუთარი ნიჭის გამოვლენის შანსი...ჩემი აზრით მამაკაცს შეუძლია მაღლიანაც კარგათ საჭმლის გაკეთება, ან ქალს შეუძლია გააკეთოს ის, რასაც აკეთებს მამაკაცი. ჩემი აზრით გენდერული უთანასწორობა არის სრული აბსურდი, რადგან სულ ბოლოს ჩვენ ყველა უნდა დავდგეთ ღმერთის წინ და ღმერთს არ აინტერესებს მის წინ არის მამაკაცი თუ ქალი, რადგან ჩვენ ვაგებთ პასუხს არა სქესისთვის, არამედ ჩვენ საქციელისა და ცოდვებისთვის, და ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ თანაბრად.

მადლობა ამ საოცარი შესაძლებლობისთვის, რომ შევძელი გენდერული თანასწორობის არსის სრულად გადმოცემა. დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში - ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური აქტიურობა იზრდება, მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კვლავაც შეზღუდულია. პოლიტიკა დღემდე უმეტესად მამაკაცურ სფეროდ მიიჩნევა, რაც ქალთა ჩართულობას ბარიერებს უქმნის. გენდერული ბალანსის მიღწევა არა მხოლოდ სამართლიანობის საკითხია, არამედ აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან მრავალფეროვანი ხედვები, გამოცდილება და გადაწყვეტილებები დემოკრატიის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის.

ისტორია მიგვანიშნებს, რომ პოლიტიკური სივრცე საუკუნეების განმავლობაში ძირითადად მამაკაცებით იყო ოკუპირებული. ეს ტრადიცია დღემდე გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აღქმებზე: ლიდერობა, გადაწყვეტილების მიღება, საჯარო დებატები — ხშირად მიჩნეულია „მამაკაცურ საქმედ“. ასეთ ფონზე ქალები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან ჯერ კიდევ პოლიტიკური გზის არჩევისას. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბარიერია სამაგალითო როლების ნაკლებობა — გოგონებისთვის ხშირად არ არსებობს საკმარისი მოდელები, რომლებიც დაანახებენ, რომ პოლიტიკაში მათი ადგილი და ხმა მნიშვნელოვანია.

ბარიერები იწყება ოჯახიდან და გრძელდება ინსტიტუციებამდე. ქალებს ხშირად უწევთ საოჯახო და პროფესიული მოვალეობების გაერთიანება, რაც პოლიტიკური კარიერისთვის საჭირო დროისა და ენერგიის რესურსს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამას ემატება სტრუქტურული პრობლემები: ფინანსური რესურსების ნაკლებობა, პარტიების შიდა იერარქიები, არაფორმალური მოლაპარაკებები, სადაც ქალებს ხშირად არ იწვევენ, და ზოგჯერ აგრესიით, სიძულვილის ენითა და სექსისტური თავდასხმებით სავსე პოლიტიკური გარემო. მსგავსი გარემო ბევრ ქალს აშინებს და მათ პოლიტიკაში შესვლას ბლოკავს კიდევ მანამდე, სანამ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსს მიიღებენ.

თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ვითარება უფრო მეტად იცვლება. გენდერული კვოტები, ქალთა პოლიტიკური ლიდერების გაძლიერება, განათლებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება — ეს ყველაფერი ქმნის პირობებს, სადაც ქალი უფრო თავდაჯერებული ხდება და საკუთარ ხმას პოლიტიკისთვის საჭირო ძალას ანიჭებს.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, სკანდინავიაში — ყველგან, სადაც ქალთა მონაწილეობა გაიზარდა, პოლიტიკურმა დღის წესრიგმა მნიშვნელოვნად შეიცვალა: გაძლიერდა სოციალურ საკითხებზე ზრუნვა, დაიხვეწა განათლებისა და ჯანდაცვის პოლიტიკა, გაიზარდა გამჭვირვალობა და ადამიანზე ორიენტირებული მმართველობა.

ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში არ არის მხოლოდ უფლებრივი პრინციპი; ეს არის ინსტრუმენტი უკეთესი საზოგადოების შესაქმნელად. ქალთა გამოცდილება მრავალფეროვანია და მოიცავს იმ სფეროებს, რომლებიც პოლიტიკაში ხშირად უკანა პლანზე გადადის — ბავშვების, ოჯახების, განათლების, სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური უთანასწორობის, ძალადობის პრევენციის საკითხებს. მათი ხედვა პოლიტიკისადმი უფრო კომპლექსურია და ხშირად — უფრო ადამიანზე

ორიენტირებული.

საბოლოოდ, გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში აუცილებელია არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობისთვის. ბარიერების მოხსნა, სტერეოტიპების დამსხვრევა და თანასწორ პირობებში კონკურენციის შესაძლებლობა პოლიტიკას უფრო ძლიერს, მდგრადს და სამართლიანს ხდის. ქვეყანა, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბრად მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში, შექმნის პოლიტიკას, რომელიც ასახავს საზოგადოების რეალურ სურვილებსა და გამოწვევებს. ეს არის გზა ისეთი მომავლისკენ, სადაც დემოკრატია არა მხოლოდ ფორმალური პრინციპია, არამედ ყოველდღიური პრაქტიკა — ყველასთვის, თანაბრად.

ფემინიზმის ისტორია და თანამედროვეობა – ტალღები და გავლენა ქართულ საზოგადოებაზე

„- სამოთხე იყო... დედაკაცმა დაგვაკარგვინა,
საწმისი იყო... დედაკაცმა დაგვაკარგვინა.
დანაშაული, თუ გიყვარდე, მეტი რა გინდა?!
- სამაგიეროდ დიაცმაც იესო გვიშვა.
სამაგიეროდ დიაცმაც რუსთველი გვიშვა,
ეს კი, მე მგონი, თუ შენც იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს!..“

მ. მაჭავარიანი

ქალი და მამაკაცი...

მათი მდგომარეობა საზოგადოებაში, პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში... ალბათ მათი ურთიერთობა არის ანი და ჰოე ამ წუთისოფლისა, რომლის გარშემოც ტრიალებს ყველაფერი ...

საუკუნეებს მიღმა გადაწვდა ჩემი გონება...

ფიქრთა ჯაჭვში საწყის რგოლად პირველი ქალი და მამაკაცი, ადამი და ევა შევარჩიე...

შემოქმედმა მის მიერ უზადოდ შექმნილ სამყაროში ყველაფრის მფლობელად, ადამი დაადგინა...
თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს.

ღმერთმა შესაქმნის გვირგვინად ადამიანი შექმნა და განუზომელი ღირსებით - საკუთარი ხატებითა და მსგავსებით დააჯილდოვა. მან მარტოდენ ადამიანს მიმადლა ის, რაც მას, და მხოლოდ მას, - ცისა და ქვეყნის შემოქმედს, ამკობს - აზროვნება, ნებისყოფა, არჩევანის თავისუფლება და შემოქმედებითობა.

და მოიწყინა ადამმა... სრულ იდილიაშიც არ იყო ბოლომდე ბედნიერი.... - თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს. გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რასაც დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა. დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს. მაგრამ ადამს არ გამოუჩნდა შემწე, მისი შესაფერი.

და მოიწყინა ადამმა....სრულ იდილიაშიც არ იყო ბოლომდე ბედნიერი....

„მაშინ უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალა ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი, დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისაგან არის გამოღებული. ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქნენ (დაბ. 2:16)“.

და იყვნენ ბედნიერები ადამ და ევა....და იყო მათი სამკვიდრო სამოთხე...

საოცარია....

პირველი უთანასწორობა სწორედ ამ იდილიაში გაჩნდა...

უფლის მცნება დაარღვიეს ადამმა და ევამ... მოიკითხა შემოქმედმა ადამი...

ადამ, სადა ხარ? მიუგო: შენი ხმა მომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე. უთხრა: ვინ გითხრა შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე? უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე (დაბ. 3: 1-20).

და აღმოჩნდა დამნაშავე უფრო ევა, ვიდრე ადამი...

და ჩაეყარა საფუძველი უთანასწორობას... საუკუნეები გრძელდება ეს უთანასწორობა...

საუკუნეებია, მოაზროვნეები ამსხვრევენ სტერეოტიპებს... ასაბუთებენ, ამტკიცებენ, აღიარებენ ქალის სიძლიერეს, შეუპოვრობას, თავდადების და სიყვარულის უსაზღვრო ძალას, რომ ის არასოდეს ნებდება დამარცხებას და იბრძვის დაუსრულებლად.

მსოფლიო ლიტერატურას ყველანაირი პერსონაჟის შესახებ დაწერილი წიგნები ახსოვს, მათ შორის - ძლიერ ქალებზეც, თუმცა, იმის გამო, რომ ისტორიულად ქალებს განათლების მიღების უფლება წარმეული ჰქონდათ, დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ კაცი ავტორების მიერ შექმნილ ლიტერატურულ სამყაროს ვეცნობოდათ, სადაც ქალებს დიდი ადგილი არ ეკავათ, ან თუ ეკავათ, უმეტეს შემთხვევაში მათი როლი დედის, ცოლის ან სასიყვარულო ობიექტის ფუნქციით შემოიფარგლებოდა.

ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ლიტერატურაში აქტიურად გამოჩნდნენ მწერალი ქალებიც, შესაბამისად, მათ თავიანთი თუ სხვა ქალების იმ გამოცდილებების შესახებ მოგვითხრეს, რომლებიც მანამდე საერთო ყურადღების მიღმა რჩებოდნენ ან მეტიც — მათზე საუბარიც კი აკრძალული იყო.

მუსლიმურ სამყაროზე და იქ არსებულ მდგომარეობაზე საუბრისას მრავალგვარი მოსაზრება არსებობს, თუმცა იშვიათად იმ ადამიანებისგან, ვისაც იქ მიმდინარე ცვლილებები თავად შეეხო. შესაბამისად, მსგავსი ამბები ხშირად პირადი ინტერპრეტაციებით სახეშეცვლილი და უცხო დამკვირვებლის თვალითაა გადმოცემული.

„პერსეპოლისი“ ირანის რევოლუციამდე არსებულ მდგომარეობას, რევოლუციის მიზეზებსა და შედეგებსაც ერთი ქალის ავტობიოგრაფიული დეტალებით მოგვითხრობს, რომელმაც ყველაფერი ეს საკუთარ ტყავზე გამოსცა და გადარჩენა შეძლო. თავის სამშობლოში მოულოდნელ რელიგიურ და სოციალურ ცვლილებებთან ერთად მარჯან სატრაპი შეულამაზებლად აღწერს დასავლური კულტურის დამოკიდებულებებსაც ამ ყველაფრის მიმართ: როგორ სტერეოტიპულად აღიქვამდნენ მას, როგორც ირანელ ქალს და ა.შ. ამ საკმაოდ მძიმე, ემოციურ და ისტორიული მნიშვნელობის წიგნს კი განსაკუთრებულ ხიბლს თანდართული ილუსტრაციები მატებს, რომლებიც ასევე სატრაპის ოსტატობის დამსახურებაა.

ადამიანების სასტიკ ბედზე საუბრისას, როგორც წესი, ძირითადად ცნობილი პოლიტიკოსების, მწერლებისა თუ ჯარისკაცების (რომლებიც, რა თქმა უნდა, სრული უმრავლესობით კაცები იყვნენ) ცხოვრებას ვიხსენებთ, არადა ისიც კარგად ვიცით, რომ ამ პერიოდში ქალებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სამუშაო სექტორში და მათი ყოველდღიური ყოფაც არანაკლებ დაინტერესებას უნდა იწვევდეს თანამედროვე პერსპექტივიდან.

და რა ხდებოდა ქართულ მწერლობაში.....ქართულ საზოგადოებაში....

ქალის, როგორც დაუცველი და სუსტი არსების, პრობლემა ქართულ ლიტერატურაშიც აისახა, ამ პრობლემას ეხება პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი – „შუშანიკის წამება“ უთანასწორობის

და ქალთა ჩაგვრის საკითხი მეხუთე საუკუნეშიც და დღესაც ერთნაირად აქტუალურია. დედოფალი შუშანიკი, მოძალადე ქმრისაგან ნაცემი და ნაწამები, თანასწორ სამყაროზე ოცნებობს, სადაც არ იქნება მიკერძოება და შეძლებს იყოს თავისუფალი, თუმცა ასეთი ადგილი მხოლოდ ზეცაში ეგულება. ნაწარმოები ცხადყოფს, რომ სტატუსის მიუხედავად ქალი უფლებო იყო, განურჩევლად გლეხი იყო იგი თუ დედოფალი. წმინდანობაა და დაცემულობაც არ შეიძლება იყოს ადამიანის მუდმივი მდგომარეობა, ერთიცა და მეორეც რაღაც ეტაპზე მიიღწევა, ამიტომაც არსებობს ქართულ ლიტერატურაში, ერთი მხრივ, შუშანიკი და, მეორე მხრივ, თამრო (გლახის ნაამბობი) – ყველასაგან უარყოფილი, გათელილი და მოძულეებული ქალი. მიუხედავად იმისა, რომ თამრო თვითონაა მსხვერპლი ძალადობის, ის გაბრიელისგან და საზოგადოებისგან თანადგომის ნაცვლად გარიყული პერსონაა. თამრო უსამართლო საზოგადოებას წინააღმდეგობას ვერ უწევს. მაგრამ ქართულ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველამ ალაზა (სტუმარ-მასპინძელი) უიშვიათეს ფიგურად წარმოაჩინა, რომელიც მოქმედებს თავისი გონებით და არა როგორც ჯოყოლას ცოლი, ის ქალების ალუდა ქეთელაურია. ალაზა თავისუფალია, თავად მოქმედებს. ის არ ემორჩილება თემის დადგენილ ნორმებს ქალების მიმართ და არღვევს არსებულ სტერეოტიპს.

მოთხრობების უმრავლესობაში ქალი ხდებოდა მსხვერპლი, იმიტომ, რომ ქალი იყო. იმიტომ, რომ მას ნაკლები უფლებები ჰქონდა. იმიტომ, რომ ქალს აუცილებლად უნდა შეენახა ნამუსი და ძალადობის მსხვერპლი ქალიც კი დამნაშავე იყო იმდროინდელი საზოგადოებისთვის. რატომ? ისევ და ისევ ქალად დაბადების გამო. ქალს არ ეპატიებოდა ერთი შეცდომაც კი. საკუთარ შეცდომას ვინ დაეძებდა, სხვის შეცდომებზეც ქალი აგებდა პასუხს. უმეტესად საკუთარი სიცოცხლით ან გარიყვით, ოჯახიდან მოკვეთით.

ლიტერატურის მიღმა, რეალურ ისტორიებშიც უამრავია ქალთა უთანასწორობა და კაცების მხრიდან ქალების შესაძლებლობების არასწორად შეფასება. მაგალითისთვის გავიხსენებდი რამდენიმე ათწლეულის წინანდელ ამბავს, როდესაც ქართველი მოჭადრაკე ქალი მსოფლიოში ცნობილ, გამოცდილ მოჭადრაკე კაცს ხვდებოდა. მოწინააღმდეგე ფიქრობდა რომ ქალს მარტივად დაამარცხებდა, რომ, სუსტი სქესის“ წარმომადგენლის გონება ვერასოდეს აჯობებდა, ძლიერი სქესის“ წარმომადგენელს. თუმცა, ყველაფერი პირიქით მოხდა.

მიუხედავად, იმისა რომ დღეს ქალთა უფლებების დაცვის კუთხით უზარმაზარი ნახტომი გაკეთდა. ქალები უკვე აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ ამის მიუხედავად, უამრავი შემთხვევაა ქალთა მიმართ ძალადობის, ჩაგვრის, ფსიქოლოგიური ზეწოლის, ეკონომიური უთანასწორობისა და შრომით ბაზარზე მოთხოვნის საკითხში, აგრეთვე, ოჯახში როლების გადანაწილების კუთხით.

მე, როგორც სტუდენტი და მომავალი პედაგოგი, ვფიქრობ, რომ განათლების სისტემას უდიდესი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება ამ პრობლემის პრევენციისა და საბოლოოდ მისი გადაჭრის საქმეში. მოსწავლეებს პატარაობიდანვე უნდა გავაცნოთ და გავააზრებინოთ სწორი ღირებულებები. გოგონებს უნდა ვასწავლოთ, როგორ შეხვდნენ მათ მიმართ გამოჩენილ უთანასწორობას, ხოლო ბიჭებს ის, რომ არ შექმნან საზოგადოებაში მსგავსი პრობლემები. ამ მიმართულებით ცოდნის მიღება შესაძლებელი იქნება შესაფერისი ლიტერატურის გაცნობით, რეალური შემთხვევების განხილვით, მსჯელობითა და დისკუსიით, სადაც მათ თავიანთი აზრის დაფიქსირების საშუალება ექნებათ.

დღეს, როდესაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კანონის წინაშე მიღწეულია, კვლავ პრობლემად რჩება დადგენილი კულტურული ნორმები და სტერეოტიპები, რაც ქალებს უკვე სოციალურ დონეზე

უზღუდავს არჩევანის თავისუფლებას. ეს შეზღუდვა აღარ არის ისეთი თვალსაჩინო, როგორც იურიდიული უფლებების არქონის შემთხვევაში იყო. შესაბამისად, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ხშირად უჭირს იმის დაჯერება, რომ თანასწორობის პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს.

და ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში... ყველაზე მეტად სჭირდება ქალის სიყვარულის ძალა უსიყვარულობით სავსე სამყაროს....

ქალების დროა.... პოლიტიკაში... ეკონომიკაში... კულტურაში... რომ არ კვდებოდნენ უდანაშაულო დედები და შვილები... რომ სამყარომ არ დაკარგოს სილამაზე...

დღეს, ისე, როგორც არასდროს, სამყაროს სჭირდება ქალი პოლიტიკოსები, ქალი მმართველები, ქალი ხელმძღვანელები, იმიტომ, რომ ქალის ინსტინქტი და ჰარმონიულობა, გონიერება თუ მშვიდობისმოყვარეობა შეძლებს დაასრულოს განუწყვეტელი ქაოსი და სისხლისღვრა.

• გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში - ქალთა მონაწილეობა და ჩართულობა არის ფუნდამენტურად ღირებული და მნიშვნელოვანი საკითხი.

მოგეხსენებათ, რომ ქალები ძველ დროში ხშირად აწყდებოდნენ სხვადასხვა ბარიერს პოლიტიკაში და ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში, რადგან ქალი უნდა მჯდარიყო სახლში, უნდა მიეხედა შვილებისა და ოჯახისთვის... შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა ლიდერი, რადგან უკვე სხვა პასუხისმგებლობები ჰქონდა საკუთარ თავზე აღებული... აი, ასე თვლიდა ხალხი და ასეთი არასწორი წარმოდგენებით ზრდიდნენ შვილებს! უამრავი ქალი შეეწირა სწორედ ამ არასწორი აღზრდისა და ქმრისგან ძალადობის გამო სიცოცხლეს. დღეს უვე გენდერული თანასწორობა მეტ-ნაკლებად არსებობს და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი აცნობიერებს, რომ ქალისა და მამაკაცის გენდერული ნიშნით განსხვავება არ შეიძლება, რომ სუსტი სქესი არ არსებობს.

დღეს უკვე ქალიც და მამაკაციც სარგებლობენ ერთნაირი პირობებით, ორივეს შეუძლია პოლიტიკაში იყოს ჩართული და ლიდერებად იქცნენ - მათ არავინ არ შეზღუდავთ.

ამიტომ აბსოლუტურად ყველას უფლებები უნდა იყოს დაცული!

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობა დაცული და შენარჩუნებული იყოს რაც შეიძლება მეტი ქალი უნდა იყოს ლიდერი და, რატომაც არა, უნდა ჩაერთონ კიდევ პოლიტიკაში. არ უნდა მოხდეს მათი დაბუღინება.

საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ ქალს აქვს ისეთივე უფლებები, როგორც კაცს. ქალები მარტო სახლის საქმეების და სამზარეულოში ფუსფუსისთვის არ იბადებიან. მათაც შეუძლიათ მამაკაცივით ჰქონდეთ თავიანთი სამსახური და ნორმალური ანაზღაურება იყვნენ პოლიტიკაში ჩართულნი და შემდგარნი.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში - ქალები არ უნდა მონაწილეობდნენ და ზუსტადაც მათ უნდა ჰქონდეთ ბარიერი, რადგან ისინი დაიბადნენ იმისთვის, რომ ოჯახში შვილები გაზარდონ და ქმარს ემსახურონ.

რა თქმა უნდა, ვეწინააღმდეგები მე ამ კონტრარგუმენტს. ჩემთვის მიუღებელია, თუ როგორ შეიძლება გენდერული ნიშნით განსხვავება და ქალების დაჩაგვრა და დაბუღინება. ქალი მონა არაა! ქალებსაც აქვთ უფლება ისწავლონ, განვითარდნენ და იმუშაონ. არ შეიძლება ვინმეს შევუზღუდოთ უფლებები მივცეთ თავისუფლება დაე ქალები წამოვიდნენ წინა რანგში და მართონ გონივრულად ქვეყანა.

მათ ბარიერები არ უნდა შეუქმნათ არც სწავლაში და არ კარიერაში!

გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა – ემოციური კეთილდღეობა და სოციალური სტიგმები

გენდერი და მენტალური ჯანმრთელობა მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, რადგან სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური მოლოდინები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი საკუთარ ემოციებს და რა გზებით ცდილობს მათ დაძლევა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა უფრო ღიად განიხილება, ჯერ კიდევ მრავალი სტიგმა და სტერეოტიპი არსებობს, რომლებიც ხელს უშლის ადამიანებს მიიღონ მხარდაჭერა და გამოხატონ თავიანთი ემოციური მდგომარეობა. გენდერი ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ბავშვობიდანვე განსაზღვრავს, რა არის „მოსალოდნელი“ ბიჭისგან ან გოგონასგან, რა ემოციების გამოხატვაა „შესაბამისი“ და რა ქცევა მიიჩნევა „ნორმად“.

ბავშვებს ადრეული ასაკიდან აწვდიან განსხვავებულ გზავნილებს: გოგონებს ასწავლიან, რომ უნდა იყვნენ ნაზი, მოსიყვარულე და ემოციურად გახსნილები, ხოლო ბიჭებს – რომ უნდა იყვნენ ძლიერი, შეუდრეკელი და არ გამოავლინონ სისუსტე. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ჩვეულებრივი აღზრდის ნაწილი ჩანს, მაგრამ რეალურად მასში იმალება ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც მომავალში მენტალურ ჯანმრთელობაზე აისახება. გოგონებს ხშირად აწევა ორმაგი ტვირთი: ერთის მხრივ მათ „შეიძლიათ“ ტირილი და ემოციების გამოხატვა, მაგრამ მეორეს მხრივ მათგან მოითხოვენ კულტურულად დამკვიდრებული იდეალის დაცვას – იყო სათუთი, მშვიდი, მოსწრებული და გარეგნობაზე მუდმივად მზრუნველი. ასეთი სტანდარტები ხშირად იწვევს შფოთვის, სხეულის მიმართ უკმარისობის განცდას, თვითშეფასების პრობლემებს და ემოციურ დაღლილობას.

ბიჭებისთვის კი პრობლემა სრულიად სხვა კუთხით ჩნდება. მათ ბავშვობიდანვე უკრძალავენ შიშის, ტკივილისა და სევდის გამოხატვას, რადგან „ნამდვილ მამაკაცს“ ტირილი არ შეეფერება. ასეთ გარემოში გაზრდილი ბავშვი სწავლობს ემოციების ჩახშობას და მათ დამალვას. შედეგად, მამაკაცები უფრო იშვიათად მიმართავენ ფსიქოლოგიურ დახმარებას, რადგან ფიქრობენ, რომ ეს სისუსტეს ნიშნავს. წლებით დაგროვილი ემოციური დაძაბულობა კი ხშირად გამოიხატება აგრესიაში, თვითდაზიანებაში, დამოკიდებულებებში ან მძიმე დეპრესიაში. კვლევები აჩვენებს, რომ მამაკაცები, რომლებიც ემოციების გამოხატვაში შეზღუდულნი არიან, უფრო მაღალი რისკის ჯგუფში არიან სუიციდის, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებისა და სერიოზული დეპრესიული მდგომარეობების განვითარების მხრივ.

გენდერული უთანასწორობა მხოლოდ ემოციების გამოხატვას არ ეხება. იგი სოციალურ სტრუქტურებშიც მკაფიოდ ჩანს. ქალები ხშირად ერთდროულად ასრულებენ რამდენიმე როლს – საოჯახო საქმეებს, სამუშაო პროცესს, ბავშვების მოვლას, რაც დიდ ემოციურ და ფიზიკურ გადაღლილობას იწვევს. ასეთი „მეორე ცვლა“, რომელსაც ანაზღაურება არ აქვს, ქალებს ქრონიკული სტრესისკენ უბიძგებს. ამას ემატება გენდერული ხელფასის სხვაობა, კარიერული ბარიერები და სტერეოტიპული მოსაზრებები, რომლებიც ქალების პროფესიულ განვითარებას აფერხებს. ამ პირობებში

ფსიქიკური გადაღლილობა ბუნებრივი შედეგია. კვლევები ასევე მიუთითებს, რომ ქალები უფრო ხშირად განიცდიან ანგიოზურ მდგომარეობას, დეპრესიას და სომატიზებულ სიმპტომებს, რაც პირდაპირ კავშირშია ყოველდღიური სოციალურ-პერსონალური დატვირთვებით.

მამაკაცებსაც აქვთ საკუთარი დაბრკოლებები. თუ ისინი ისეთ პროფესიას ირჩევენ, რომელიც არ ჯდება „ტრადიციულ მამაკაცურ“ ჩარჩოებში – მაგალითად, ხელოვნების, განათლების ან ბავშვის მოვლის სფერო – ისინი ხშირად დგანან საზოგადოების სტიგმის წინაშე. მსგავსი დამოკიდებულებები მათთვის დამატებითი ფსიქოლოგიური ზეწოლაა და ემოციურ დაუცველობას ამძაფრებს. იგივე ეხება გოგონებს, რომლებიც ირჩევენ STEM-საქმიანობას,

ტექნოლოგიებს, ინჟინერიას – სფეროებს, სადაც დღემდე არსებობს სტერეოტიპი, თითქოს ეს „ზედმეტად რთული“ ან „არასათავსო“ იყოს ქალისთვის. ეს არა მხოლოდ პროფესიულ წინსვლას აჩერებს, არამედ მენტალურ ჯანმრთელობაზეც ახდენს ზეგავლენას, რადგან მუდმივი მტკიცება და საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება ემოციურ გადაწვას იწვევს. დამატებით, სოციალური ჩარჩოები განსაზღვრავს ისიც, როგორ აფასებს საზოგადოება წარმატებულ ქალსა თუ წარმატებულ მამაკაცს – ზედმეტად ამბიციური ქალი შესაძლოა კრიტიკის ობიექტად იქცეს, ხოლო მამაკაცის წარუმატებლობა ხშირად მარტივად „გამართლდება“.

სოციალური სტიგმები კიდევ ერთი დიდ გამოწვევას წარმოადგენს. საზოგადოებაში ჯერ კიდევ გავრცელებულია მიდგომა, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები „გადაჭარბებული დრამაა“ და ამის გამო ადამიანები თავს იკავებენ დახმარების თხოვნისგან. ქალებს ხშირად ეუბნებიან, რომ მათი ემოციურობა „ბუნებრივი“ და „გადაჭარბებული“ არის, რის გამოც მათი პრობლემები არასერიოზულად აღიქმება. მამაკაცებს კი საზოგადოება აიძულებს, ემოციები არ აჩვენონ, რადგან „ასე მამაკაცები არ იქცევიან“. ორივე შემთხვევა მენტალური ჯანმრთელობისთვის საზიანოა, რადგან ადამიანს ართმევს ყველაზე მთავარს – გულწრფელად თქვას, რომ დახმარება სჭირდება. შედეგად, უამრავი ადამიანი იტოვებს პრობლემებს დაუძლურებული და მარტოობის განცდით, რაც იწვევს სირთულეებს ურთიერთობებში, სამუშაოზე და პირად განვითარებაში.

ამ ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ გენდერული მოლოდინები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ემოციურ გამოხატვაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება კონკრეტული სქესის ადამიანის ტკივილზე. ქალი, რომელიც ძლიერ სტრესს განიცდის, ხშირად „ისტერიულად“ აღიქმება, მაშინ როცა მამაკაცის აგრესია „ნორმალურ“ ქცევად მიიჩნევა. მსგავსი რეაქციები განამტკიცებს სტერეოტიპებს და ადამიანებს ართმევს შესაძლებლობას, საკუთარ ემოციებს ჯანსაღად მიუღწეონ. ემოციების და განცდების ჩახშობა ხშირად იწვევს შინაგან კონფლიქტს, უნდობლობას საკუთარ შესაძლებლობებზე და ზრდის დეპრესიისა და შფოთვის რისკს.

გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ერთდროულად ინდივიდუალურ, განათლებულ და სისტემურ მიდგომებს. სკოლებში უნდა დამკვიდრდეს პროგრამები, რომლებიც ბავშვებს ასწავლიან ემოციების სწორად აღქმასა და გამოხატვას, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის მნიშვნელობას, აგრეთვე გენდერული ბარიერების დანახვასა და მათ დაძლევას. ოჯახში მშობლები უნდა აჩენდნენ გარემოს, სადაც ბიჭებსაც და გოგონებსაც შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი გრძნობები და მოთხოვნები. სამუშაო ადგილებზე, საჯარო სივრცეებში და მედიაში საჭიროა თანასწორი და არა სტერეოტიპული წარმოდგენების პოპულარიზაცია, რათა ადამიანებმა განიცადონ თავდაჯერებულობა და უსაფრთხოება.

სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ემოცია არ არის სქესის ნიშანი – იგი ადამიანური ბუნების ნაწილია. ტირილის, შიშის, სევდის ან დადლილობის გამოხატვა არავის ამცირებს. პირიქით, ასეთი გულწრფელობა ფსიქიკური ჯანმრთელობისკენ გადადგმული პირველი და ყველაზე ძლიერი ნაბიჯია. როცა გოგონას შეუძლია იყოს ძლიერი და ღირსეულად ილაპარაკოს საკუთარ უფლებებზე, ხოლო ბიჭს შეუძლია გამოავლინოს ემოციური სუსტი მხარეები და ისე არ იგრძნოს, რომ ამის გამო „სუსტი“ ხდება, იქმნება საზოგადოება, სადაც თითოეული ადამიანი მაღალ ემოციურ კეთილდღეობას აღწევს.

გენდერული სტიგმებისგან გათავისუფლება საერთო კეთილდღეობის საფუძველია. ამ პროცესში ემპათია ყველაზე ძლიერი იარაღია – უნარი დავინახოთ მეორე ადამიანის ტკივილი, შევიგრძნოთ მისი მდგომარეობა და არ შევაფასოთ იგი სტერეოტიპების მიხედვით. ინკლუზიური, თანასწორი გარემო გვიბიძგებს უფრო ჯანმრთელი ურთიერთობებისა და საზოგადოებისკენ, სადაც მენტალური ჯანმრთელობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური. როდესაც საზოგადოება უზრუნველყოფს თანასწორ გარემოს, ადამიანები იძენენ თავისუფლებას, იყვნენ ის, ვინც სინამდვილეში არიან, და ყველას ეძლევა შესაძლებლობა

ფსიქოლოგიურად ძლიერი, ემოციურად მდგრადი და შინაგანად გაჯერებული გახდეს. ეს ქმნის პიროვნულ და საზოგადოებრივ პირობებს, სადაც მენტალური ჯანმრთელობა დაფასებულია და ემოციური კეთილდღეობა ყველასთვის ხელმისაწვდომია.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში – ქალთა მონაწილეობა და ბარიერები

ბავშვობაში პოლიტიკა ჩემთვის აბსტრაქტული, სქემატური სამყარო იყო — „მძიმე“ კოსტუმებით, მკაცრი გამომეტყველებითა და სიტყვებით, რომლებიც თითქოს მხოლოდ განსაზღვრულ ადამიანებს ეკუთვნოდა. რაც უფრო ვიზრდებოდი, მით მეტად ვხვდებოდი, რომ ამ სურათში ერთი მნიშვნელოვანი დეტალი მაკლდა: ქალები. ისინი არსებობდნენ, მაგრამ უმეტესად — კულისებში, არა სცენაზე. და ეს ნაკლებობა არ იყო შემთხვევითი; ეს იყო იმ უხილავი ბარიერების შედეგი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკის კარს ქალებისთვის ნახევრად ღიას ტოვებდა. დღეს, როცა ბევრს ჰგონია, რომ თანასწორობა უკვე მიღწეულია, საკმარისია გადავხედოთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიმღებ სივრცეებს და გავაცნობიეროთ: გზის ჯერ კიდევ მხოლოდ ნახევარია გავლილი...

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში – პრინციპი თუ რეალობა?

ხშირად ვისმენთ, რომ დემოკრატია თანასწორობაზე დგას. მაგრამ როგორ შეიძლება დემოკრატიული იყოს სისტემა, თუ მისი გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ნახევარი კვლავაც ვერ მონაწილეობს სრულფასოვნად?

ქალები ყველგან არიან — განათლებაში, მეცნიერებაში, ბიზნესში — მაგრამ პოლიტიკაში მათი ნაბიჯები უფრო მძიმე, ფრთხილი და მრავლისმთქმელია.

ეს განსხვავება არ მოდის უნარის, გამოცდილების ან მოტივაციის ნაკლებობისგან. ის მოდის იმ სტრუქტურული ბარიერებიდან, რომლებიც დღემდე აგრძელებენ გავლენას და ქალებისთვის პოლიტიკისკენ სავალ გზას უფრო ვიწროდ, დამღლელად და შესამჩნევად რთულად ხდიან.

რეალობა მარტივია: პოლიტიკა იქამდე არ იქნება წარმომადგენლობითი, სანამ მასში ქალების ხმები, ხედვები და გამოცდილებები საკმარისად არ გაჟღერდება.

ბარიერი პირველი – სოციალური ნორმები და მოლოდინები

ქალებს ხშირად აქვთ ორი ტიპის ბრძოლა: ერთი — საზოგადოებასთან, მეორე — საკუთარ თავთან.

სოციალური მოლოდინი ამბობს:

„ქალი მშვიდია, კეთილი, ოჯახზე ორიენტირებული.“

„პოლიტიკა კი ბრძოლაა, ხმაური, კონფლიქტი — კაცების საქმე.“

ეს სტერეოტიპები იბეჭდება აღქმაში — თითქოს ქალის აქტიურობა ნაკლებად მისაღებია, თითქოს ლიდერობა უნდა იყოს მკაცრი, მოუდრეკელი, „მამაკაცური“. და როცა ქალი პოლიტიკაში შედის, ხშირად მასზე უფრო მკაცრი თვალით უყურებენ:

მის გამოჩენას, ხმას, პოზიციას, თუნდაც ტონს.

ის კამათში ენერგიულად ჩაერევა — მკაცრია; მშვიდად ისაუბრებს — სუსტი.

ის ჩამოუყალიბებელი მოლოდინი, რომელიც მამაკაცებს ავტორიტეტს აძლევს, ქალებს ხშირად სიფრთხილისკენ უბიძგებს.

ბარიერი მეორე – პოლიტიკური პარტიები და მინის ჭერი

პოლიტიკური პარტია ხშირად წარმოადგენს იმ პირველ კარს, რომელიც ქალმა უნდა გააღოს. მაგრამ ეს კარი ყოველთვის სტუმართმოყვარე როდია...

პარტიები მართალია აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ თანასწორობას, მაგრამ რეალურად ლიდერულ პოზიციებზე ქალების რაოდენობა იშვიათად აღწევს დამაკმაყოფილებელ ნიშნულს.

მიზეზი მრავალფეროვანია:

ზედმეტად „მკვეთრი“ პოლიტიკური კულტურა, ქსელების ნაკლებობა, არაოფიციალური შეხვედრები, საიდანაც ქალები ხშირად გამორიცხული არიან, და გადაწყვეტილებების მიღების დახურული წრეები, რომელთა გრავიტაციაც ჯერ კიდევ მამაკაცურია. მძიმე კარიერის შენება მაშინ, როცა სტრუქტურის არქიტექტურა დამწყებს კი არა, წინასწარ გამორჩეულს ემსახურება.

ბარიერი მესამე – ეკონომიკური და დროის რესურსები

პოლიტიკაში შესვლა მოითხოვს ფინანსურ და დროით რესურსს — და ორივე მათგანი გენდერულად ასიმეტრიულად ნაწილდება: ქალი ხშირად იძულებულია, დაიტვირთოს ოჯახური პასუხისმგებლობებით, რაც პოლიტიკური საქმიანობისთვის ნაკლებ დროს უტოვებს. და რადგან პოლიტიკა ნაკლებად პროგნოზირებადი და ხშირად არასაიმედო კარიერული გზაა, ქალი მრავალგზის ფიქრობს, სანამ ამ გზას აირჩევს. ეს არ არის უნარის ან ნების ნაკლებობა — ეს არის რეალობა, სადაც არჩევანი არათანაბარი წონით ფასდება.

ბარიერი მეოთხე – ონლაინძალადობა და სიძულვილის ენა

თანამედროვე პოლიტიკა ონლაინსივრცის გარეშე წარმოდგენილია. მაგრამ ეს სივრცე ზოგჯერ ყველაზე დაუნდობელია ქალების მიმართ.

ონლაინშევიწროება, სექსუალური დამცირება, სიძულვილის ენა და შეტევები პირად ცხოვრებაზე — ქალ პოლიტიკოსებს უფრო მეტად ეხებათ და ხშირად მათ ჩუმად დარჩენას აიძულებს. „საჯარო ქალობას“ თითქმის მუდამ თან ახლავს მკაცრი გამადიდებელი შუშა, რომელიც მამაკაც პოლიტიკოსს იშვიათად ეხება.

ეს არა მხოლოდ მყისიერი ზიანია; ეს ქმნის გარემოს, სადაც ქალები სწავლობენ:

პოლიტიკა = თავდაცვა.

და ბევრი მას უბრალოდ აღარ ირჩევს.

რატომ არის აუცილებელი ქალების მონაწილეობა?

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში მხოლოდ სამართლიანობის საკითხი არაა — ეს არის განვითარების, სტაბილურობისა და უკეთესი გადაწყვეტილებების საფუძველი. ქალებს ხშირად მოაქვთ სხვა გამოცდილებები: სოციალური პოლიტიკის მიმართ მგრძნობელობა, განათლებისა და ჯანდაცვის ინოვაციური ხედვა, კონფლიქტების განმუხტვის უნარები, დიალოგის კულტურა. მრავალფეროვანი პოლიტიკა არ ნიშნავს მხოლოდ „რიცხვების შევსებას“. ეს ნიშნავს პრობლემების უფრო ფართო სურათის დანახვას. საზოგადოება, სადაც ქალები პოლიტიკურ პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობენ, ნაკლებად უკიდურესია, უფრო სტაბილურია და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით პროგრესიც უფრო სწრაფად მიდის.

რა შეცვლიდა რეალურად სიტუაციას?

სამართლებრივი მექანიზმები — კვოტები, რომლებიც ქალების მონაწილეობას გაზრდის;

პარტიული კულტურის ცვლილება — გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღება და ქალებისთვის რეალური ლიდერული შესაძლებლობების მიცემა;

სოციალური ნორმების შეცვლა — სტერეოტიპების გატეხვა, ლიდერობის მრავალფეროვანი მოდელების აღიარება;

ონლაინსივრცის დაცვა — სიძულვილის ენისა და „კიბერდამშინებლების“ მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა;

ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამები — ტრენინგები, ქსელები, მენტორობა და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ეს ნაბიჯები პოლიტიკას არა მხოლოდ ქალებისთვის გახდის უფრო მისაწვდომს, არამედ მთლიანად სისტემას უფრო დემოკრატიულს და წინსვლაზე ორიენტირებულს.

დასკვნა

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში არ არის მიზანი, რომელიც ერთ დღეში მიიღწევა. ეს არის პროცესების ჯაჭვი, ცვლილებების გზაჯვარედინი, ღირებულებების ბრძოლა და კულტურული გარდაქმნა.

ქალებისთვის პოლიტიკაში შესვლა ხშირად ჰგავს კიბეზე ასვლას, რომელსაც ყოველ კუთხეში მოულოდნელი ახალი საფეხური ეშლება — მაგრამ თითოეული ქალი, რომელიც ამ გზას გადის, სხვებისთვის გზას ხსნის.

მჯერა, რომ პოლიტიკა შეიძლება გახდეს სივრცე, სადაც ქალების ხმა არა მხოლოდ ისმის, არამედ ფასდება; სადაც გადაწყვეტილებებს ქმნიან არა მხოლოდ „ხმაურიანები“, არამედ ღირსეულები; სადაც დემოკრატია აღარაა დეკლარაცია, არამედ თანასწორობის რეალური პრაქტიკა. და როცა პოლიტიკის დარბაზში ქალების ხმა ისევე ბუნებრივად და ძალით ჟღერს, როგორც მამაკაცებისა, მაშინ უკვე შეგვიძლია ვთქვათ — დემოკრატია ნამდვილად ჩვენს შორის ცხოვრობს!

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებში

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა სრულიად თანასწორი. საუკუნეების განმავლობაში საზოგადოება ქალს სუსტი სქესის წარმომადგენლად მიიჩნევდა, რომლის ადგილიც მხოლოდ ოჯახსა და ჩრდილში იყო. საქართველოს ისტორიამ არაერთხელ აჩვენა, რომ ეს შეხედულება მცდარია, ქართველი ქალი ყოველთვის გამოირჩეოდა სიმდიდრით.

სქესთა უთანასწორობა გვხვდება ქართულ ლიტერატურაშიც. მეხუთე საუკუნეში იაკობ ხუცესის მიერ დაწერილ „შუშანიკის წამებაში“ ნათლად ჩანს იმდროინდელი ტრადიციული საზოგადოების დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის მიმართ.

ავტორი აღწერს, როგორ „დასხნა (ვარსკენმა) სუფრა სრულიად თავის თანა და არა დამსვა მე მათ თანა, არამედ კერძოდ დამიხსნა მე პური“. ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ ქალს არ ჰქონდა თანასწორი ადგილი არც ოჯახში და არც სოციალურ გარემოში. მას არ მიეცა უფლება, გამხდარიყო საერთო სუფრის მონაწილე, რაც სიმბოლურად გამოხატავს ქალის გამოკვეთილ იზოლაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა შუშანიკი მხოლოდ დაუმორჩილებელი ცოლი არ არის, ის ამ უთანასწორობას სიცოცხლის ფასად, აჯანყებითა და რწმენით ეწინააღმდეგება. იგი უარს ამბობს მორჩილებაზე, იცავს საკუთარ სარწმუნოებას და ამით ამტკიცებს, რომ ქალსაც შეუძლია იყოს ძლიერი, ღირსეული და პრინციპული პიროვნება.

სრულიად განსხვავებული, მაგრამ არსით მსგავსი მაგალითია თამარ მეფე, საქართველოს პირველი ქალი მეფე. „მეფეთ-მეფე თამარი“, ქალი რომელმაც დაამტკიცა, რომ მმართველობა და სიმდიდრე სქესზე არ არის დამოკიდებული.

თამარი ტახტზე ავიდა მაშინ, როდესაც ქალის მეფობა შეუძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ მან შეძლო, დაენახებინა ყველასთვის, რომ „მეფობის ღირსება“ მხოლოდ მამაკაცის ნიჭი არ არის.

მისი მმართველობის პერიოდში საქართველო აყვავდა, მოიგო ბასიანის ბრძოლა, გაძლიერდა კულტურა და განათლება, შეიქმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

თამარის მეფობა გვიჩვენებს, რომ ქალი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ოჯახის, არამედ მთელი სახელმწიფოს ძლიერი ბირთვი. მისი სიბრძნე, სამართლიანობა და სიმდიდრე კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება შესაძლებლობებში არ არსებობს. ყველაფერი დამოკიდებულია გონებაზე, გამძლეობასა და ადამიანურ პრინციპებზე.

წარსულზე საუბრისას მინდა აღვნიშნო ერთი საინტერესო ფაქტი. გენდერული ბარიერების დასაძლევად ინგლისელმა მწერალმა დებმა 1846 წელს გადაწყვიტეს, რომ გამოეყენებინათ ნეიტრალური მამრობითი ფსევდონიმები. მათ აირჩიეს საერთო გვარი Bell (ბელი). თითოეულმა აირჩია მამრობითი სახელი, რომელიც იმავე ინიციალით იწყებოდა, რითაც მათი ნამდვილი სახელები.

დები ბრონტეების მიერ მამაკაცის ფსევდონიმების გამოყენება არ იყო მათი სქესის დამალვის მცდელობა, არამედ გენდერული უთანასწორობის ფონზე ლიტერატურული ველის დროებით გათანაბრების სტრატეგია, რამაც მათ საშუალება მისცა მკითხველამდე მიეტანათ დღეს უკვე მსოფლიო კლასიკად ქცეული ნაწარმოებები.

დღესდღეისობით, როდესაც მსოფლიო დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობის თემა კვლავ აქტუალურია.

ქალებს უკვე აქვთ შესაძლებლობა იყვნენ ლიდერები, მეცნიერები, ექიმები, პოლიტიკოსები.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, უთანასწორობა ჯერ კიდევ არ გამქრალა. საქართველოში ქალების პოლიტიკური მონაწილეობა იზრდება, მაგრამ ჯერ კიდევ მცირეა პარლამენტში და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე მათი როლი. ბევრი ქალი პოლიტიკოსი ხშირად ხდება სოციალური ზეწოლისა და სტერეოტიპების გავლენის ქვეშ.

საქართველოს პარლამენტში ქალების წილი დაახლოებით 20-25%-ია რაც საკმაოდ დაბალია. ადგილობრივ თვითმმართველობებში, განსაკუთრებით რეგიონებში ქალების რაოდენობა უფრო მცირეა, ბევრ მუნიციპალიტეტში ქალი მერი ან საკრებულოს თავმჯდომარე საერთოდ არ არის. საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს მოსაზრება, რომ „პოლიტიკა კაცების საქმეა“.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო პროგრესი, მაგალითად, კვოტირების დანერგვის შედეგად ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა, კვოტების გაუქმებით შეწყდა ეს დინამიკა. ეს გულისხმობს, რომ ახლა ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკაში შესაძლოა კიდევ უფრო დაბალი იყოს...

გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა საზოგადოების ნაწილის მხრიდან მაღალია, მაგრამ საარჩევნო და პარტიული მექანიზმები (პარტიული სიები, კანდიდატების შერჩევა, ხმის მიცემის წესი) კვლავ დიდ გამოწვევად რჩება, რაც ნიშნავს, რომ ცვლილებებისათვის მხოლოდ სოციალური განწყობა არ კმარა.

საქართველოში დღეს ბევრ ქალს აქვს განათლება. ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში (საჯარო სამსახური, სოციალური და საგანმანათლებლო სივრცე, კერძო ბიზნესი) უკვე ქალთა საკმაოდ დიდი ნაწილია წარმოდგენილი. თუ შეზღუდული პოლიტიკა, საზოგადოებრივი სისტემა (მეტი სამუშაო ადგილი, შრომის პირობები, დასაბალანსებელი მიდგომები) წავა გენდერულ სტანდარტებზე, შესაძლოა უფრო გაძლიერდეს ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

საჭიროა სამუშაო პირობებისა და შრომის ბაზარის სტრუქტურის შეცვლა. მაგალითად მოქნილი სამუშაო რეჟიმები, ბავშვის აღზრდის წყაროების ხელმისაწვდომობა, შრომის კანონმდებლობის დაცვა, რათა ქალებს ნაკლები დაბრკოლებით შეეძლოთ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა.

Gender pay gap-კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა, განსხვავება ხელფასებში, ბევრ დაწესებულებაში თუ კომპანიაში ქალები საშუალოდ კაცებზე ნაკლებს გამოიმუშავენ.

რაც შეეხება რეგიონებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ტრადიციულია შეხედულება, რომ ქალი მხოლოდ ოჯახზე უნდა ზრუნავდეს. ხშირია ქალთა როლის შეზღუდვა სოციალურ ცხოვრებაში.

სოფლებში ქალებს შეზღუდული აქვთ წვდომა რესურსებზე, რაც ზრდის ბარიერებს დასაქმებისა და დამოუკიდებელი ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის. სოციალური სტერეოტიპები და ტრადიციული აღქმები, რომ სოფელში ქალის მოვალეობა უპირატესად სახლსა და ოჯახშია ხშირად უშლის ხელს ქალთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

რეგიონების გენდერული თანასწორობა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური ინდიკატორი. თუ მხარდაჭერა იქნება, არსებობს შესაძლებლობა, რომ სოფელშიც დაინერგოს ინკლუზიური, ეკონომიკური და სოციალური გარემო.

ამ ყველაფრის მიუხედავად, აღსანიშნავია ფაქტი, რომ საქართველო თანდათან მიდის თანასწორობისკენ. იზრდება საზოგადოებრივი ცნობიერება ახალგაზრდებში, დღეს ჩვენს ქვეყანაში,

საბედნიეროდ, გენდერულ თანასწორობასა და ქალის განათლებაზე ბევრი ადამიანი საუბრობს. ჩვენ გვჭირდება მეტი მხარდაჭერა და მეტი სოციალური ცვლილება.

საბოლოოდ, თანასწორობა ნიშნავს ადამიანობას. ისეთ სამყაროს სადაც ქალი და კაცი ერთმანეთის გვერდით დგანან როგორც თანასწორი პარტნიორები და ქმნიან განათლებულ, აღზრდილ და ძლიერ საზოგადოებას.

ჩვენ გვჭირდება „თანასწორი საქართველო“.

დაიცავი ქალი! არ შეზღუდო! არ იძალადო! არ მოკლა!

ქალების წვლილი ისტორიის ფორმირებაში

ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობა უხსოვარი დროიდან მოდის. ყოველდღიურად ვაწყდებით უამრავ ბარიერს, რომელიც გაჩნდა ადამიანთა დაბალი თვითშეფასების გამო. საკუთარი თავის სიყვარული და საკუთარი თავის უფლება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ამას ბევრი ქალი ვერ იაზრებს. მინდა ვისაუბრო ქალების შესახებ, რომელთა ცოდნაც და ნიჭიც დესპოტ მამაკაცთა გამო თითქმის უხილავი დარჩა.

განვიხილავ სხვადასხვა დროისა და ეროვნების ქალს. მაგალითად, მარგარეტ კინი, ის დაიბადა 1927 წელს ტენესში. მარგარეტმა ახალგაზრდა ასაკში იქორწინა ფრენკ რიჩარდ ულბრიხზე, რომელიც სამხედრო მუშაკი იყო. მათ შეეძინათ ქალიშვილი ჯეინი, რომლის დაბადების შემდგომაც ხატვა მარგარეტის განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი ქალიშვილი ჯეინი, მისი ინსპირაცია იყო და იგი ხატავდა დიდი თვალების მქონე ბავშვებს. სამწუხაროდ მარგარეტის ქორწინება მალე დასრულდა სხვა მრავალი მიზეზის გამო: ურთიერთობის გაციების ასევე ოჯახური მხარდაჭერის ნაკლებობისა და მარგარეტის შემოქმედებისთვის სივრცის არქონის გამო. გარკვეული დროის შემდეგ მარგარეტი დაქორწინდა მეორედ და მისი მეუღლე იყო უოლტერ კინი. როგორც დასაწყისში აღვნიშნე მარგარეტი გატაცებული იყო ხატვით, მისი ნამუშევრები ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები გახლდათ, ამ ადამიანს გააჩნდა თავისი სტილი, თავისი ხელწერა და მის ყოველ ნახატში იგრძნობოდა თავისი სამყარო ასევე თვალებს, რომლებსაც ის ხატავდა ყველაფრის თქმა შეეძლოთ. მეორე ქორწინება თითქოს კარგად დაიწყო თუმცა შემდგომში ყველაფერი გართულდა. მარგარეტის მეუღლემ დაიწყო თავად მარგარეტის ნახატების გაყიდვა თავისი სახელით. წლების განმავლობაში ის მსოფლიოს ატყუებდა, რომ თითქოს ხელოვანი თვითონ იყო ხოლო რეალური შემოქმედი ჩრდილში მოექცა. ფაქტობრივად ეს იყო ქალის შევიწროება და უფლებების შეზღუდვა. ეს ზეწოლა წლები გრძელდებოდა. საბოლოოდ მარგარეტმა აღიარა, რომ თავად იყო ავტორი, თუმცა მეორე მეუღლე ამან გააცოფა, ყველას უმტკიცებდა, რომ ის იყო რეალური ავტორი. საბოლოოდ მათი განქორწინების პროცესი შედგა და მოსამართლემ დაავალა ორივეს, რომ ნახატი შეექმნათ მარგარეტმა წამებში დახატა ხოლო მან ვერ შეძლო. ეს იყო ისტორიული მოვლენა, როდესაც ყველაფერს წერტილი დაესვა და ქალმა გაიმარჯვა, მართალია ულრიხი სიკვდილამდე ამტკიცებდა, რომ ის იყო ავტორი, მაგრამ მისნაირ მატყუარას აღარავინ უჯერებდა. ვფიქრობ, რომ მარგარეტი სამაგალითოა ყოველი ქალისთვის ვინც საკუთარ ნიჭს მამაკაცის ჩრდილქვეშ აყენებს, მან იბრძოლა და გაიმარჯვა კიდევ.

ასევე, ხანგრძლივი კვლევის შედეგად შევიტყვე უამრავი სახის ინფორმაცია, რომელიც ჩემთვის აღმაშფოთებელი და ამავდროულად გასაოცარი აღმოჩნდა, დაზუსტებით არ ვიცი თუმცა ყველა ბავშვისათვის და ასევე უფროსისათვის საყვარელი კინო კომპანია Disney იმ ანიმაციებს, რომლებსაც ქალები ხატავდნენ Walt Disney-ის სახელით აქვეყნებდნენ. მათი სახელები არ ჩანდა, ესეც ძალადობის ფორმაა, რადგან ფაქტობრივად ქალებს ზღუდავდნენ და მათ სახელებს ჩრდილქვეშ აყენებდნენ. ასევე უამრავი ქალი იყო, რომლებიც მამაკაცის ფსევდონიმებით წერდნენ და თავიანთ ვინაობას არ ამხელდნენ, რადგან ქალ მწერალს ნაკლები მკითხველი და დაფასება გააჩნდა და ასევე რედაქტორები

სერიოზულადაც არ აღიქვამდნენ. ასეთები იყვნენ ბრონტეების დები – Currer, Ellis და Acton Bell, ჯორჯ ელიოტი – მერი ენ ევანსი, ლუიზა მეი ალკოტი – A.M. Barnard და სხვა მრავალი კიდეც. ჰედი ლამარი, რომელიც გახლდათ ულამაზესი კინო მსახიობი ამავდროულად იყო ნამდვილი გენიოსიც, რომელმაც შექმნა ტექნოლოგია, რომელიც დღეს Wi-Fi, Bluetooth და GPS-ის საფუძველია, მაგრამ ისიც, სხვა ქალების მსგავსად, მამაკაცებმა არასერიოზულად აღიქვეს. ად ლავლეისი პირველი პროგრამისტი იყო, რომელმაც დაწერა პირველი ალგორითმი, მაგრამ ათწლეულებით კაცს მიეწერებოდა ჩარლზ ბებიჯს. დღეს კი სიმართლე აშკარაა. კამილ კლოდელი – სკულპტორი, უნიჭიერესი ქალი იყო, რომლის ცხოვრებაც სამწუხაროდ ფსიქიატრიულ კლინიკაში დასრულდა დესპოტი და ქალთმომძულე ხალხის გამო. ლიზა მაიტნერი – ატომური განყოფილების ფიზიკოსი გახლდათ, ბირთვული დაშლის აღმოჩენა მას ეკუთვნის, მაგრამ ნობელის პრემია მის კაც კოლეგას, ოტო ჰანს მიენიჭა. როზალინდ ფრანკლინიც ამ ქალთა სიაშია: მისი აღმოჩენაც დნმ-ის სტრუქტურის შესახებ მამაკაცებმა მიითვისეს ნობელთან ერთად. და კიდეც უამრავი მანდილოსნის მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, რომლებიც მამაკაცთა ჩრდილქვეშ აღმოჩნდნენ.

სამწუხაროდ, უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის კვლავ გრძელდება, მაგალითად, სკოლა. ხშირადაა შემთხვევა, როცა გოგოსა ბიჭს განასხვავებენ, ბიჭის ცელქობას ზოგჯერ არც ისე მკაცრად განსჯიან, ხოლო გოგონასი – მცირედიც კი – მშობლის ყურამდე აღწევს. მასწავლებელთა უმრავლესობას ბიჭები უფრო პრიორიტეტულად მიაჩნია. მსგავსი გამოცდილება მეც მქონია მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში. ასევე, ისიც კარგად მახსოვს, მე და ჩემ კლასელმა, რომელიც ბიჭი იყო ერთ დონეზე მოვეყვით გაკვეთილი იმას ჩემზე ბევრად მაღალი ნიშანი დაუწერა ხოლო მე – ნაკლები. ბავშვები ყოველთვის ყველაფერს კარგად იმახსოვრებენ, მართალია, იმის მერე დიდი დრო გავიდა, თუმცა მე ეს უსამართლობა დღემდე გულს მტკენს.

ამას გარდა, კარგად მახსოვს მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა შეკითხვა დასვა რომელსაც გოგონამ გასცა პასუხი და მისგან გაგებული ვაჟმა გაიმეორა მასწავლებელმაც ის შეაქო, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ამას რა დავარქვით? მიმაჩნია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებში გენდერული თანასწორობის შესახებ უნდა ისაუბროს, რათა ბავშვებმა ისწავლონ თანასწორობა. ძალიან სამწუხაროა როცა ამ საუკუნეში გიწევს მსგავს პრობლემებთან გამკლავება, პოლიტიკაშიც მამაკაცი ჭარბობს და ქალთა რაოდენობა მცირეა, ეს კი მუდამ მაკვირვებს. უთანასწორობაა ხელფასებშიც. ხშირად ყოფილა შემთხვევაც, რომ ქალისათვის უფრო დაბალი ხელფასი გადაუხდიათ მამაკაცთან შედარებით, სხვათა შორის, კინოინდუსტრიაშიც ხშირად ხდებოდა ასე. რაკი კინოინდუსტრიას შევხე, როგორც დასაწყისში ვახსენე, საუბარი მსურდა სხვადასხვა დროისა და ეროვნების ქალთა შესახებ, მინდა, რომ რაც შეილება მეტი ქალი გავიხსენო, რომლებიც შევიწროებულნი აღმოჩნდნენ... შევხეები უნიჭიერეს და ულამაზეს მერლინ მონროსაც. მისი მშვენიერი ღიმილის უკან დიდი სევდა იმალებოდა, მსოფლიომ კარგად იცის მისი უიღბლო სიყვარულის შესახებ და მისი გარდაცვალებაც იდუმალებითაა მოცული... დამეთანხმებით, საინტერესოა, თუ რა იმალება ამ ყველაფრის უკან.

ასევე მსურს ყურადღება გავამახვილო ისეთ საკითხზეც, რომელიც მძიმე და სევდის მომგვრელია, სოციალურ ქსელებში ხშირად მხვდება ვიდეოები სადაც მშობლები ბავშვის სქესს იგებენ და, სამწუხაროდ, როდესაც ბავშვი გოგოა, იმედი უცრუვდებათ და ხშირად საკუთარ ემოციებს აგრესიულად გამოხატავენ, ასევე ხშირი შემთხვევაა როცა ნაყოფს მუცელშივე კლავენ. ბიჭი შვილი უფრო პრიორიტეტულად მიაჩნიათ და მის მიმართაც არ ისე მკაცრ დამოკიდებულებას იჩენენ; თუმცა, გოგონებს უფრო მკაცრად უდგებიან ეს აღვნიშნე კიდეც. ქონებრივი თვალსაზრისითაც ვაჟებს უფრო

მეტს უტოვებენ, ვიდრე გოგონებს. ქალიშვილი მათთვის მუდამ ასოცირდება სახლის ლაგებასთან, ასევე ოჯახის შექმნასთან, ხშირად მესმის, როგორ აკრიტიკებენ გოგონებს, რომ მათ არაფრის გაკეთება არ იციან და ასე ვერ გათხოვდებიან, რომ ქალმა აუცილებლად უნდა იცოდეს საქმე, ის ვალდებულია, ემსახუროს ოჯახს. განვითარებად ქვეყნებში უარესადაა სიტუაცია, მაქვს უამრავი ინფორმაცია ასევე წაკითხული, ბევრი წიგნი და ფილმი ნანახი, რომლებიც ადგილობრივ გოგონათა რთულ ცხოვრებაზე გვიამბობს. ასევე, მედიაში ხშირად გვხვდება ინფორმაცია, რომელიც ასახავს ქალთა მკვლელობის შესახებ, ხშირ შემთხვევაში ესენი არიან მოძალადე ქმრები, რომლებიც ცოლებს უმოწყალოდ ხოცავენ. როდესაც ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში იდება სიბრაღულის გამომხატველ კომენტარებთან ერთად ვხვდებით კომენტარებს, რომლებიც გაუნათლებლობით და უგულობითაა სავსე, ხშირ შემთხვევაში, ისევ ქალებს აბრალებდნენ და წერენ, ალბათ იმსახურებდა“, ალბათ არ იქცეოდა კარგად“, „რა ეცვა“ ეს კომენტარები არ მომიგონებია ჩემი საკუთარი თვალთა ვნახე და წავიკითხე, ჩემთვის დიდი იმედგაცრუება იყო, რადგან ადამიანის სიცოცხლე და უფლებები არაფერს ნიშნავს ბრბოსთვის.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოში მდგომარეობა საკმაოდ რთულადაა. მე ვისაუბრე სკოლაში მომხდარი ამბის შესახებ ასევე იმ უგულო კომენტარების თაობაზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქის მიმართ დაიწერა, გარდა ამისა, აქ, როგორც დასაწყისში ვახსენე, ბიჭი მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე ქალიშვილი. მე გეტყვით ერთ მაგალითს, რომელიც რეალურად ჩემივე ახლობლისგან გავიგე, სადაც ბიჭი არ ჰყავთ, ის ოჯახი ოჯახი არაა!“ გულწრფელად ვამბობ, რომ ეს რეალობას შეესაბამება და ჩემთვის შოკისმომგვრელი და იმედგამაცრუებელი აღმოჩნდა.

საქართველოში ქალი მხოლოდ დიასახლისად წარმოუდგენიათ, ის ვალდებულია, მოუაროს ოჯახს: ბავშვებს, ასევე სხვა წევრებს და აკეთოს ურთულესი და დამქანცველი საქმე, რომელიც სახლში გროვდება. საქართველოში ბევრისათვის მიუღებელია ისიც, რომ მამაკაცი ქალს დაეხმაროს სახლის საქმეში, ეს დამამცირებლად მიიჩნევა, იმის აღქმა კი რთულია, რომ საქმის გადანაწილება და ურთიერთპატივისცემა ერთმანეთისადმი მნიშვნელოვანია. უნდა აღვნიშნო და ვისაუბრო სილამაზის სტანდარტების შესახებ, ჭარბწონიან ქალებს აკრიტიკებენ და მასხრად იგდებენ, ზედმეტად გამხდრებსაც დასცინიან, გეთანხმებით ეგ ყველგან ხდება და ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩაცმას რაც შეხება საქართველოში გამიგია როგორ ამბობენ გათხოვილი ქალები, რომ, ჩემი ქმარი ამის ჩაცმის უფლებას არ მომცემს“ ეს გასაოცარია, რადგან პირად სივრცეში შემოჭრის ან შენი შეზღუდვის უფლება არავის აქვს, ასევე ასეთი ადამიანები გონებაგანუვითარებელ ნივთს არიან. ყველა დამეთანხმება, რომ საკუთარი თავისუფლება ღირებული და ფასდაუდებელია. სხვა კიდევ მრავალი მსგავსი პრობლემები არსებობს და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყანა შეიცვლება და ეს ყოველივე აღმოიფხვრება.

ფემინიზმის გავრცელება უმნიშვნელოვანესია, გენდერული თანასწორობა და ეს ყოველივე უნდა ისწავლებოდეს საზოგადოებაში ბავშობიდანვე, რადგან ადამიანები ტოლერანტები და თანასწორობის მოყვარულნი იყვნენ. დამეთანხმებით, ეს უკეთესია ქვეყნისათვისაც და, რა თქმა უნდა, საზოგადოების გონებრივი განვითარებისათვის. უნდა ვეცადოთ და ერთობლივი ძალებით შევძლოთ ამ პრობლემის გადალახვა, რადგან ჩამოვყალიბოთ მაღალზნეობრივი და რაინდული სულის მქონე ერი.

განათლება და გენდერული სენსიტიურობა: სწავლების მეთოდები და როლები სკოლასა და უნივერსიტეტში

თანამედროვე განათლების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა გენდერული სენსიტიურობის დანერგვა და მასთან დაკავშირებული სწავლების მიდგომების განვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოშიც და მსოფლიოშიც გენდერული თანასწორობის საკითხებზე საუბარი გააქტიურდა, განათლების სფეროში ჯერ კიდევ მრავალი სტერეოტიპი და უხილავი ბარიერი რჩება. სკოლებსა და უნივერსიტეტებს აქვთ განსაკუთრებული მისია – ჩამოაყალიბონ ისეთი გარემო, სადაც თითოეულ ადამიანს ძალადობის, დისკრიმინაციისა და მოლოდინების ზეწოლის გარეშე შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების განვითარება. მაგრამ ამის მისაღწევად მხოლოდ დეკლარაციები საკმარისი არ არის, საჭიროა კონკრეტული საკლასო პრაქტიკები, სწავლების მეთოდები და სწავლების როლების გადაფასება.

საბავშვო ასაკიდანვე ბავშვი ხედავს გარკვეულ როლებს, რომლებშიც თითქოს უნდა ჩაეთიოს: „გოგოები ასე იქცევიან“, „ბიჭები ამას არ აკეთებენ“, „ეს ქალისთვის არ არის“, „ეს მამაკაცის საქმეა“. ამ მოსაზრებების ნაწილი ხშირად თავად სკოლაში მყარდება – ხანდახან დაუგეგმავად, ხანდახან კი მასწავლებელთა სიტყვებსა და მიდგომებში. როდესაც დავაკვირდებით, როგორ ანაწილებენ მასწავლებლები ამოცანებს, როგორ აძლევენ სიტყვას მოსწავლეებს, ან რის თქმას უფრო აქებენ, ვიგრძნობთ, რომ გენდერული სენსიტიურობის პრობლემა თეორიული არაა – ის ყოველდღიურობაშია ჩართული. აქედან გამომდინარე, სკოლის როლი არ შეიძლება მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემით შემოიფარგლოს; მას უნდა შეეძლოს კრიტიკული აზროვნების განვითარება, სხვადასხვა იდენტობის პატივისცემა და სტერეოტიპებთან ბრძოლა.

გენდერულად სენსიტიური სწავლების საფუძველი პირველი ნაბიჯებიდან იწყება. მაგალითად, საკლასო მასალებში უნდა შევამციროთ სტერეოტიპული პერსონაჟები – „დედა, რომელიც მუდამ სამზარეულოშია“, „მამა – ერთადერთი შემომტანი“, „გოგო – მშვიდი და მორჩილი“, „ბიჭი – ლიდერი და ხმამაღალი“. ასეთი სურათები ბავშვებს აფიქრებინებს, რომ მათი როლი ცხოვრებაში წინასწარ განსაზღვრულია. მასწავლებელმა კი სწორედ აქ უნდა შეძლოს სწავლების დაკვირვება: როგორ დაურიგოს პასუხისმგებლობები მოსწავლეებს ისე, რომ ყველა თანაბრად იყოს ჩართული; როგორ გააქარწყლოს იმიჯი, თითქოს ზოგი საგანი „მეტად ბიჭებისთვისაა“, ზოგი – „გოგოებისთვის“. ეს იწყება მარტივი ცვლილებებითაც: გუნდური მუშაობისას ჯგუფების შერევით, ლიდერის როლის სხვადასხვა მოსწავლისთვის გადანაწილებით ან ახალი ამოცანებით, სადაც გოგოებსაც ეძლევათ აქტიური, ხელმძღვანელის პოზიციები. უნივერსიტეტში გენდერული სენსიტიურობა სხვა დონეზე გადადის. სტუდენტი უკვე ზრდასრულია, მაგრამ ბავშვობაში ნანახი სტერეოტიპები ხშირად მაინც თან სდევს. აკადემიურმა სივრცემ აქაც უნდა იმუშაოს. უნივერსიტეტის პროფესორებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინონ მაშინ, როცა სტუდენტები არა მხოლოდ მოსმენილს ითვისებენ, არამედ თავად მსჯელობენ და საკუთარ გამოცდილებას აკავშირებენ საზოგადოებრივ რეალობასთან. ამიტომ სწავლების

პროცესში დისკუსიების, ანალიზის, კვლევისა და შემოქმედებითი პროექტების გამოყენება აუცილებელია. გენდერულად სენსიტიური განათლება არ არის მხოლოდ „გენდერის კურსების“ არსებობა; ის მოიცავს ყველა საგანში თანასწორი მიდგომის დანერგვას – იქნება ეს სამართალი, ჟურნალისტიკა, მედიცინა თუ ინფორმაციული ტექნოლოგიები. აღსანიშნავია, რომ სწავლებაში მასწავლებლის როლი დღეს უფრო მეტად მენტორის როლს ემსგავსება. გენდერულად სენსიტიური მასწავლებელი არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი; ის არის ადამიანი, რომელიც თავადაც მზადაა მოუსმინოს, ისწავლოს, შეცვალოს საკუთარი უნებლიე მიდგომები და აღიაროს, რომ ზოგჯერ მასაც შეიძლება სტერეოტიპები გამოეპაროს. ამის გამო თვითრეფლექსია გახდა პროფესიული განვითარების აუცილებელი ნაწილი. მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: „ვის უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ?“, „ვის ვაქებ და რატომ?“, „რომელი მოსწავლის აზრს აღვამაღლებ და რომელს – არა?“, „ფაქტობრივად, ყველას ვაძლევ სიტყვას, თუ უმეტესად აქტიურებს ვაპოვნინებ საკუთარ თავს?“ ამ კითხვების გულწრფელი პასუხები ცვლის საკლასო სივრცეს და მას უფრო ინკლუზიურს ხდის.

სწავლის მეთოდებს შორის განსაკუთრებით ეფექტურად ითვლება პროექტზე დაფუძნებული სწავლება. როცა მოსწავლეები ან სტუდენტები ერთობლივ პროექტებს ქმნიან, მათ უწევთ პასუხისმგებლობების გადანაწილება და ერთმანეთის როლების აღიარება. ეს ბუნებრივად ამცირებს გენდერულ დაყოფებს. მაგალითად, ტექნიკურ პროექტში გოგოების ჩართვა – პროგრამირებიდან ინჟინერიამდე – აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები არაფრით ჩამოუვარდება ბიჭებისას. ასევე, სოციალურ მეცნიერებებში ბიჭების გააქტიურება – თუნდაც თემებზე, როგორცაა ემოციური ინტელექტი, ზრუნვა, სოციალური მუშაობა – ეხმარება მათ სხვა პერსპექტივიდან შეხედონ საზოგადოების მიმართ მოლოდინებს. სკოლის გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვანია სასწავლო სივრცის ვიზუალური ელემენტებიც. თუ კედელზე გამოკრული პოსტერი მხოლოდ ისტორიულად ცნობილ მამაკაცებს აჩვენებს, ან პროფესიულ ილუსტრაციებში უმეტესად მამაკაცი ექიმია და ქალი – ექთანი, ეს უკვე გზავნილია, რომელიც ბავშვებზე გავლენას ახდენს. ამიტომ საჭიროა მრავალფეროვანი მაგალითები: ქალი მეცნიერები, მამაკაცი მასწავლებლები, ინჟინერი გოგონები, შემოქმედებით პროფესიებში წარმატებული ბიჭები. ვიზუალური წარმოდგენა ისეთივე სარკეა, როგორც სიტყვები. რაც შეეხება უნივერსიტეტებს, იქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აკადემიურ თავისუფლებას და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. პროფესორებმა და ლექტორებმა უნდა მოახდინონ სივრცის უსაფრთხოებად ქცევა, სადაც სტუდენტები თამამად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს. დისკუსიებისას მნიშვნელოვანია მოდერატორის ნეიტრალური როლი – არც ერთი ხმა არ უნდა იჩაგრებოდეს და არც ერთი სტუდენტი არ უნდა გრძნობდეს, რომ მისი სქესი განსაზღვრავს მისი აზრის ღირებულებას. გენდერულად სენსიტიური სწავლება არაფრით გამორიცხავს აკადემიურ სიმკაცრეს. პირიქით – ის ხელს უწყობს მაღალ ხარისხს. როცა სწავლების პროცესში ყველა თანაბრადაა ჩართული, კლასიც და აუდიტორიაც მეტად აზროვნებს, მეტად სწავლობს და მეტად იძენს პრაქტიკულ უნარებს. თანასწორობის გარეშე იმიტომაც ვერ ვაღწევთ შედეგს, რომ ნაწილს მუდმივად „მეორეხარისხოვანი“ როლი აქვს. ასეთ გარემოში ვერც ინოვაცია იზადება და ვერც კვლევა ვითარდება სრულად.

გენდერული სენსიტიურობა არც ერთ განათლებულ საზოგადოებას არ ეძლევა ავტომატურად, ის არის მუდმივი პროცესის შედეგი. მას სჭირდება სწავლება, განხილვა, შეცდომების აღიარება და მათი გამოსწორება. ყველაზე მთავარი კი სკოლიდან იწყება. თუ ბავშვი ეჩვევა, რომ მას უსმენენ, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია, რომ მისი სქესი არ განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს, ის ზრდასრულ ასაკში

განსხვავებულად უყურებს სხვებსაც და საკუთარ თავსაც. უნივერსიტეტი ამ გამოცდილებას ამძაფრებს და აძლიერებს, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში თანასწორობის დამცველი და გამტარებელი ხდება. შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ გენდერულად სენსიტიური განათლება არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ ქვეყნის განვითარების საკითხია. ის ქმნის სამართლიან გარემოს, ამცირებს ძალადობას, აღვივებს შემოქმედებითობას და აძლიერებს დემოკრატიულ კულტურას. და თუ სკოლა და უნივერსიტეტი ამ მიმართულებით ერთობლივად იმუშავენ, მომავალ თაობას ექნება ბევრად უფრო თავისუფალი აზროვნება, მეტად ფართო შესაძლებლობები და გაცილებით ჯანმრთელი სოციალური ურთიერთობები.

ქალთა და მამაკაცთა (უ)თანასწორობა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში

21-ე საუკუნე - ციფრული და განვითარებული სამყაროს პერიოდი. დღევანდლობას ასე ვახასიათებთ, არა? მაგრამ არის კი ყველაფერი ასე? თუ თქვენი პასუხი დადებითია, მაშ, რატომ ვსაუბრობთ ქალისა და მამაკაცის (უ)თანასწორობაზე? მართალია, ტექნოლოგიური ინოვაციები, ხელოვნური ინტელექტი და ინტერნეტი მსოფლიოს უპრეცედენტო შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა სწრაფი განვითარების მიუხედავად არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ერთ-ერთი ასეთი კი, რასაც მსოფლიო საუკუნეებია ებრძვის, სწორედ გენდერული თანასწორობაა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ 21-ე საუკუნეშიც კი გვიწევს ვეძებოთ კითხვაზე პასუხი: თუ რატომ უნდა განსხვავდებოდეს ადამიანების შესაძლებლობები სქესის მიხედვით?

ამ პრობლემაზე საუბრისას არ შეიძლება პირველად საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპები არ გაგვახსენდეს: „ქალი სუსტი არსებაა“, „ქალის საქმე არაა“, „ქალის მოვალეობა ბავშვების გაზრდა და ოჯახის მიხედვაა“, „ქალია, ვერ შეძლებს“ და ა.შ. ეს ფრაზები ალბათ ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობია, რადგან საქართველოში, სადაც, კაცის სიტყვა კანონია“ და, „კაცია ოჯახის უფროსი“ მსგავსი შეხედულებები ნორმალურია და ძირითადად ტრადიციების დაცვად აღიქმება. რეალურად კი ეს არის წინა თაობების მიერ დამკვიდრებული დამოკიდებულება, რომელსაც დღემდე გადასცემენ მომავალ თაობებს. პრობლემა კი ზუსტად ამაშია, ისინი ამას აკეთებენ იმიტომ, რომ ასე ასწავლეს, ასეა, სწორი“. მაგრამ ეს არარის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა, არამედ მსგავსი დამოკიდებულების გამო უწევს მსოფლიოს ბრძოლა გენდერულ (უ)თანასწორობასთან. მაგრამ სამყარო ყოველდღე ვითარდება და საჭიროა ეს სტერეოტიპებიც დავამსხვრიოთ. ამისთვის კი აუცილებელია საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა და ჩართულობა გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებით.

თუმცა პრობლემა მხოლოდ სტერეოტიპებით არ შემოიფარგლება. გენდერული უთანასწორობა მყარადაა გამჯდარი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კულტურულ და სამართლებრივ სისტემაში. განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ქალები კვლავ მკაცრი და სისტემური შეზღუდვების წინაშე დგანან. ტრადიციული შეხედულებები, წეს-ჩვეულებები და რელიგიური ინტერპრეტაციები, მაგ, საულის არაბეთში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში და სხვაგან ქალებს უზღუდავს თავისუფლებას ყველა კონტექსტში, განათლების მიღებაში, ჩაცმულობაში, გადაადგილებაში და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ყველა ამ საკითხს, მამაკაცი, ქალის მეუღლე ან ოჯახის უფროსი წყვეტს. როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ ჩვენდა უნებურად აუცილებლად გაგახსენდებათ ირანში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდა გოგონას, მაჰსა ამინს. იგი ირანის პოლიციამ ჰიჯაბის არასწორად ტარების გამო ჯერ დააკავა, შემდეგ კი სასტიკად სცემა, რის გამოც ეს გოგონა დაიღუპა. სამწუხაროა ის, რომ მხოლოდ ეს ფაქტი გახდა მსოფლიოსთვის ცნობილი, თუმცა რეალურად აღმოსავლეთის ქვეყნებში მსგავსი შემთხვევებს ხშირი ხასიათი აქვს და უამრავი გოგონას სიცოცხლე ეწირება მკაც წესებსა და ტრადიციებს, რომელთა ხმაც მსოფლიოს დღემდე არ ესმის. ამ თემასთან დაკავშირებით მინდა

მაგალითად მოვიყვანო წიგნი, „ცოცხლად დამწვარი სუადი“, რომელიც რეალურ ამბავზეა დაფუძნებული და წარმოადგენს ძლიერ პროტესტს ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ და არის გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ისტორია. ეს ფაქტები გვიჩვენებს იმას, რომ გენდერული უთანასწორობა არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების პრობლემაა, არამედ კულტურისა და კანონის დონეზე გამჯდარი გამოწვევაა, რომლისთვისაც ბრძოლა, როგორც ვხედავთ ზოგიერთ ქვეყანაში სიცოცხლის ფასად უჯდებათ ქალებს.

უთანასწორობის პრობლემა სცილდება სოციალურ და კულტურულ კონტექსტს და ვლინდება განათლების, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებშიც. თუკი ციფრულ და განვითარებულ სამყაროზე ვსაუბრობთ, განათლება უნდა იყოს ის სფერო, სადაც გენდერი არანაირ როლს თამაშობს, მაგრამ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს პრობლემა ამ სფეროსაც ეხება და შედეგად თანამედროვე სამყაროში, რეალურად 130 მილიონზე მეტი გოგონა სკოლაში არ დადის, რაც ძირითადად გამოწვეულია სისტემური აკრძალვებით, კულტურული და სოციალური ბარიერებით. მაგალითად კვლავ, სუადს“ მოვიხმობ, რომლის ისტორიაში, გოგონების განათლება უმნიშვნელოა ან საერთოდ აკრძალული. მათთვის არ არსებობდა სწავლა, არ არსებობდა სკოლა. განათლება იყო პრივილეგია, რომელიც მხოლოდ ბიჭებს ეკუთვნოდათ, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მათი როლი მკაცრად შემოფარგლულია ოჯახური მოვალეობებით. ტრადიციული ნორმები ქალს უზღუდავს ცოდნაზე წვდომას, რაც მათ ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველს ხდის. ეს წიგნი ზუსტად აღწერს იმ ერთ-ერთ მიზეზს რომლის გამოც დღეს 130 მილიონზე მეტი გოგონა სკოლაში ვერ დადის. გენდერული უთანასწორობა ჩანს პროფესიული არჩევანის დონეზეც, გოგონებს ძირითადად უბიძგებენ ჰუმანიტარულ მიმართულებებზე, ხოლო ბიჭებს ტექნიკურ და STEM სფეროებზე. შედეგად მთელი პროფესიები გენდერულად იყოფა, რაც ზღუდავს ორივე მხარის შესაძლებლობებს. პრობლემა ლიდერულ შესაძლებლობებშიც ვლინდება, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროში მასწავლებლების უმრავლესობა ქალია უმაღლეს თანამდებობებზე მაინც მამაკაცები ლიდერობენ. ხოლო ქალებს უფრო დაბალანაზღაურებად სამსახურში უწევთ მუშაობა ან ასრულებენ ქალებიც და მამაკაცებიც ერთსა და იმავე სამუშაოს, თუმცა ღებულობენ განსხვავებულ ანაზღაურებებს. ქალების უმრავლესობა ყველაზე მეტ დროს არაფორმალურ და უანგარო შრომას უთმობენ, როგორებიცაა ბავშვის მოვლა, მოხუცის მოვლა, საოჯახო საქმეები და ა.შ. ეს კი პირდაპირ ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, ჩაერთონ მაღალანაზღაურებად, სრული განაკვეთის სამუშაოებში, განაგრძონ განათლება ან დაიკავონ პოლიტიკური თანამდებობები. პრობლემა ლიდერულ პოზიციებში განსაკუთრებით მწვავედ დგას. პოლიტიკა ისტორიულად მამაკაცების მიერ დომინირებული სფერო იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრას ბევრი ქვეყანა ცდილობს, სტერეოტიპი, რომ, პოლიტიკა კაცების საქმეა „კვლავ ძლიერია. პოლიტიკაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა ნიშნავს, რომ ქალთა საჭიროებები და ინტერესები ხშირად არ აისახება კანონმდებლობაში და ბიუჯეტის განაწილების პროცესში. ამ ბარიერის მოხსნა შესაძლებელია და ამის მაგალითია ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ფინეთი, ნორვეგია და ახალი ზელანდია. ისინი აქტიურად იყენებენ გენდერულ კვოტებს და სამოქალაქო მხარდაჭერას, რის პირობებშიც ქალთა მონაწილეობა მნიშვნელოვნად იზრდება. საქართველოში მიუხედავად პროგრესისა და ქალთა ჩართულობის ზრდისა, წამყვან თანამდებობებსა და საპარლამენტო უმრავლესობას მაინც მამაკაცები იკავებენ. ფაქტია, რომ სტერეოტიპები და ბარიერები კვლავ ძლიერია.

21-ე საუკუნეში გვერდს ვერ ავუვლით ციფრულ სივრცეს, რომელიც ორმაგ როლს ასრულებს გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის. მაგრამ ამ ყველაფერს ბევრ დადებითთან ერთად ბევრი

უარყოფითი მხარეც აქვს, იმ მხრივ, რომ იგი უთანასწორობის ახალ არეალს აჩენს. სოციალური მედია და ინტერმედი ქალებს აძლევს საშუალებას აიმაღლონ ხმა და უჩვენონ საკუთარი შესაძლებლობები მსოფლიოს. სხვადასხვა სოციალური პლატფორმები, განსაკუთრებით კი Facebook და Instagram საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს აძლევს ქალებს სხვადასხვა პროექტების, პროგრამების, ან სასურველი ინტერესის სფეროების დაკმაყოფილებაში, მათ შეუძლიათ ონლაინ მიიღონ განათლება და საჭირო ინფორმაცია. ქალებს თავისუფლად შეუძლიათ ისაუბრონ იმ თემებზე რაც მათ საზოგადოებაში ტაბუირებულია. მაგრამ ყველა ამ დადებითისა სოციალური მედიამ გაამძაფრა კიბერბულინგის, მუქარის, დისკრიმინაციის და სხვადასხვა სახის ძალადობისა და შევიწროვების ფაქტები. ქალები, რომლებიც საჯაროდ გამოთქვამენ თავიანთ აზრს, ხშირად ხდებიან მუქარის, ლანძღვის და სექსისტური შეტევების მსხვერპლი (რიის მაგალითიც უამრავია საქართველოში და არამარტო საქართველოში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში).

საბოლოოდ კი რეალობა ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ვსაუბრობთ თანასწორობაზე, ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ უამრავი ნაბიჯის გადადგმა მოგვიწევს. გაეროს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანი, სწორედ გენდერულ თანასწორობას ეხება, რომლის მიზანია 2030 წლისთვის ყველა ქალს ჰქონდეს ისეთივე შესაძლებლობები, როგორიც მამაკაცებს. ამ მიზნის მისაღწევად კი საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. საზოგადოებამ არ უნდა დახუჭოს თვალი არსებულ უთანასწორობაზე, არავის ხმა არ უნდა დარჩეს დამალული, როდესაც ყველა ერთიანად დაიწყებს ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას, რა თქმა უნდა შედეგიც არ დააყოვნებს. თანასწორობა არ ნიშნავს მხოლოდ ძალადობის აღმოფხვრას, ეს არის ქალების ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება, რაც საშუალებას, მისცემს თითოეულ მათგანს, დაიკავონ წამყვანი პოზიციები ყველა სფეროში. და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი სტერეოტიპების დამსხვრევაა, რომელიც წარსულმა შექმნა. მაგრამ ამ ყველაფერს ვერ მივიღებთ, თუ მამაკაცების ჩართულობა არ იქნება მაღალი არსებულ პროცესში. ამიტომაც ვთვლი, რომ დროა ფეხი ავუწყოთ თანამედროვეობას, ახალ ინიციატივებს და შევქმნათ საზოგადოება, სადაც თანასწორობა იქნება ურყევი რეალობა. თითოეული ჩვენთაგანის ქმედება წყვეტს იმას, თუ რამდენად სწრაფად მივალწევთ 2030 წლის მიზანს.

გენდერი და ყოველდღიური ცხოვრება - ენა, კულტურული ნორმები და ოჯახური როლები

ბავშვობაში, დილით, გაღვიძებისთანავე, ყველაზე ადრე დედას ვხედავდი. არა იმიტომ, რომ ის ერთადერთი ქალი იყო ჩვენს ოჯახში, არამედ იმიტომ, რომ თითქოს ყოველდღიურობა მასზე იწყებდა თავის გახელას. სამზარეულოში შესულს, უკვე მზად მხვდებოდა საუზმე და ქურაზე ჩაიდანი, რომლის ორთქლიც მთელი ოთახის ირგვლივ ისევე მიცოცავდა, როგორც უხილავი ყოველდღიური წესები – წესები, რომელთა შესახებ ხმამაღლა არასდროს ვსაუბრობთ, მაგრამ ცხოვრებას “თანაბრად გვილაგებენ”. იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ჩემი ბავშვობის კითხვას: “რატომ დედა დედა ყველაზე ადრე” ერქვა – გენდერი. მაშინ უბრალო მეგონა, ეს დედების ვალდებულება იყო — თითქოს დედები ასეც უნდა მოქცეულიყვნენ. ახლა ვხვდები, რომ ეს „ასე უნდა“ სადღაც ბევრად ღრმად იყო დამალული – ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახურ როლებში, ენასა და კულტურულ ნორმებში, რომლებზეც არავინ ლაპარაკობს და მაინც ყველამ იცის.

ბავშვობაში ხშირად ვისმენდი სიტყვებს: „კაცს ასე არ ეკადრება“, „ქალი ესეთი უნდა იყოს“, „ბიჭები არ ტირიან“, „გოგონები დავარცხნილები უნდა იყვნენ“. იმ დროს ეს ფრაზები ჩვეულებრივი წინადადებები მეგონა, თურმე სიგნალებით მუშაობდნენ — ჩუმად, განგაშის გარეშე, მაგრამ მკვეთრად. მოგვიანებით გავიგე, რომ სიტყვები, წინადადებები, მეტყველება, მხოლოდ ურთიერთობის ინსტრუმენტი კი არა, როლების ჩარჩოებია, რომლებიც ადამიანებს უნებურად თავს ეხვევიან. მაგალითად, როცა ბიჭს ეუბნებიან, რომ „არ უნდა ტიროდეს“, სინამდვილეში ეუბნებიან: „შენ ემოციის გამოხატვის უფლება არ გაქვს“. როცა გოგოს ეუბნებიან, რომ “არქიტექტურა გოგოს პროფესია არ არის” უჩუმრად აძლევენ გზავნილს, რომ სამყაროში მისი ადგილი შეზღუდულია. პროფესიები ვახსენე და გამახსენდა, მხატვრული ფილმი „დამალული ფიგურები (Hidden Figures)“, რომელიც ნამდვილ ისტორიაზეა დაფუძნებული და მოგვითხრობს NASA-ში მომუშავე სამ აფროამერიკელ ქალზე. ისინი ყოველდღე ისმენდნენ ფრაზებს: „ეს სამუშაო ქალის არ არის“, „ინჟინერია კაცების საქმეა“. სხდომათა დარბაზში, კაცებს, ქალების შესვლაც კი აღიზიანებდათ, რომ არაფერი ვთქვათ მათი იდეების მოსმენაზე. ფილმი ნათლად აჩვენებს, რომ გენდერი არა მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორია, არამედ სოციალური ჩარჩო, რომელიც ადამიანის ყოველდღიურ გამოცდილებას ქმნის, ზუსტად ისე, როგორც ჩვენს რეალობაშიც ხდება.

ერთხელ სკოლაში მასწავლებელმა გვითხრა: ბავშვებო, დღეს წერთ თხზულებას თემაზე „ჩემი გმირი“. ყველამ მამა ან რომელიმე ცნობილი მამაკაცი დაწერეთ. ერთი გოგო იყო, რომელმაც დედაზე დაწერა, და ყველა გაკვირვებული ვუყურებდით. თითქოს გმირობა მხოლოდ მამაკაცის თვისება იყო და დედის ძალა უბრალოდ „ვალდებულება“. იმ დღეს პირველად ვიგრძენი, როგორ შეუძლია სტერეოტიპებს გადაარქვას ან მოკლას მნიშვნელობა.

წლების მერე, როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ გენდერიც სწორედ ასე მუშაობს, არ ჩანს, მაგრამ არსებობს. ის ჩნდება მაშინ, როცა კულტურული ნორმები ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისით, თანმიმდევრულად “ჩაგვისახლდება”. ოჯახში ხშირად ვხვდებით ფარული განაწილებას: „გოგონებო,

სუფრის გაშლაში დამეხმარეთ“, „ბიჭებო, თუ ეზოში ხართ, მანქანასთან მამას მიეხმარეთ“. არავინ ამბობს პირდაპირ, რომ ბიჭს სამზარეულოში არ შეუძლია ან გოგო ვერ მიხედავს მანქანას, მაგრამ სიტყვები, ქცევა და ჩვეული “ჩვეულებები” თვითონვე ქმნიან უხილავ ჩარჩოს.

საქართველოში ოჯახი განსაკუთრებული სივრცეა: ტრადიცია და თანამედროვეობა გვერდიგვერდ ცხოვრობენ, თითქოს ერთი მაგიდის ორი სკამივით. ზოგჯერ სკამები ერთმანეთთან ახლოსაა, ზოგჯერ — ძალიან შორს. ყოველდღიური ცხოვრებაც ამ ორ სკამს შორის გადადის: ერთი მხრივ, გვინდა თანასწორობა, თავისუფლება, ახალი წესები, მაგრამ მეორე მხრივ, ტრადიციები, უფროსების სიტყვა. ეს ნორმები, ერთი შეხედვით გულწრფელია, მაგრამ მათში იმალება როლების გადანაწილება, რომელიც კაცებსა და ქალებს განსაზღვრავს — ვინ სად უნდა იჯდეს, ვინ რა გააკეთოს, ვის როგორ მოეთხოვება ცხოვრება. დღეში ათასჯერ ხდება პატარა რამ, რასაც ყურადღებას არავინ აქცევს, მაგრამ სწორედ ისინი ქმნიან გენდერულ გარემოს. თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ ამ დროს ყველაფერი ხდება მაგალითად: “როცა მაღაზიაში თოჯინები „გოგონებისთვისაა“, მანქანები კი - „ბიჭებისთვის“, “როცა სტუმრები კაცებთან პოლიტიკაზე საუბრობენ, ქალებთან კი სამზარეულოზე” და ა.შ. ყოველივე ეს თითქოს პატარა მოვლენებია, მაგრამ როცა წლები გადის, ისინი ერთ დიდ ეზოდ იქცევა, სადაც ყველას თავისი ადგილი აქვს: ბიჭებს - სიმტკიცე, გოგონებს - სიფაქიზე; ბიჭებს - ხმაური, გოგონებს - სიჩუმე; ბიჭებს - გადაწყვეტილებები, გოგონებს - შეთანხმების ვალდებულება..... და მაინც, თაობები იცვლება და ამ ეზოს კედლები ნელ-ნელა ირწყევა. გენდერული წესები იწყებს შეცვლას.

ბოლო წლებში ბევრჯერ შემიმჩნევია, როგორ იცვლება დამოკიდებულებები, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახებში. დედები, რომლებიც ადრე ყველაფერს აკეთებდნენ, ახლა შვილებს თვითონ ასწავლიან: საქმეს სქესი არა აქვს. მამები შვილებს ეუბნებიან: შეგიძლია გრძნობები გამოხატო, ეს სისუსტე არ არის. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ცვლილება ყოველთვის აზროვნების განვითარებიდან იწყება. როცა ჩაანაცვლებ ირონიულ, ფარულად ჩაგვრის მატარებელ და დისკრიმინაციულ სიტყვებს, სწორი სიტყვებით, თითქოს მსოფლმხედველობაც იცვლება. როცა აღარ ვამბობთ „კაცური საქმე“, არამედ ვამბობ „მძიმე საქმე“, როცა აღარ ვამბობთ „ქალური სისუსტე“, არამედ ვამბობ „ადამიანური ემოცია“, როცა აღარ ვამბობთ „ქალი ოჯახს უვლის“, არამედ ვამბობთ „ოჯახს ყველა წევრი უვლის“ - აი, იქ იწყება ცვლილება, რომელიც შემდეგ ქცევაში გადადის. განათლების სფეროში ეს განსაკუთრებით იგრძნობა. მასწავლებელი, რომელიც ამბობს: ყველანი ინაწილებთ სამუშაოს და ერთად მუშაობთ, სქესს მნიშვნელობა არ აქვს. როგორც წესი, ასეთი ერთი პატარა ნაბიჯებით იცვლება მომავალი.

ჩვენი კულტურა, როგორი ძლიერი და ტრადიციულია, ისე მოითხოვს შენარჩუნებასაც და გადახედვასაც. ზოგჯერ მგონია, რომ ის სარკეა, რომელშიც წარსულიც ირეკლება და მომავალიც. თუ მეტისმეტად ახლოს დაიჭერ, მხოლოდ ტრადიციებს დაინახავ. თუ მეტისმეტად შორს დაიჭერ, შეიძლება ფესვები დაგეკარგოს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ის გარდამტეხი წერტილი, სადაც ტრადიცია და ცვლილება ერთმანეთს ხვდებიან. სწორედ აქ იქმნება ოჯახური შეთანხმებები — თანასწორობაზე, პატივისცემასა და თავისუფლებაზე აგებული.

დღეს ბევრი ოჯახი ცდილობს, რომ როლები არ იყოს წინასწარ გაწერილი. დედა, რომელიც თარჯიმნად მუშაობს, სადამოს სახლში მოდის და მამა ბავშვებს აბანავებს. ან მამა, რომელიც ექიმი, დილით საუზმეს ამზადებს, წვავს კვერცხს და მეუღლე სარკესთან ჩქარობს, სამსახურში აგვიანდება. ეს არ ნიშნავს ტრადიციის უარყოფას. ეს ნიშნავს საკუთარ შესაძლებლობაზე დაყრდნობას. როცა მთავარი არის არა ქალობა ან კაცობა, არამედ ადამიანობა. ბოლოს და ბოლოს, ყოველდღიურობა გვასწავლის ერთ

რამეს: ქალი და კაცი განსხვავდებიან, მაგრამ ამ განსხვავებას არასდროს უნდა ჰქონდეს ძალაუფლების განსხვავების ფორმა. გენდერი ის არ არის, თუ ვინ რას აკეთებს. გენდერი ისაა, აქვს თუ არა ადამიანს არჩევანი. თუ ქალი მუშაობს იმიტომ, რომ უნდა-ეს თავისუფლებაა. თუ ქალი მუშაობს იმიტომ, რომ „ასე მოეთხოვება“ - ეს უკვე ტვირთია. თუ კაცი ძლიერია იმიტომ, რომ ბუნებრივად ასეთია - ეს სიძლიერეა. თუ კაცი ძლიერია იმიტომ, რომ „მხოლოდ ასე შეიძლება“ - ეს უკვე შეზღუდვაა.

სკოლაში, სადაც ახლა ხშირად მიწევს ყოფნა, უნივერსიტეტში მიღებული კვლევისა და ანალიზის უნარები უშუალოდ გადავიტანე პრაქტიკაში. მასწავლებელთან შეთანხმებით, კონკრეტულ გაკვეთილზე გამოვიყენე უნივერსიტეტში ნასწავლი შემთხვევის ანალიზის მეთოდი. მოსწავლეებს მივეცი გენდერული უთანასწორობის რეალური მაგალითები ადგილობრივი საზოგადოებიდან და ვთხოვე, ჯგუფებში ემუშავათ მდგრადი განვითარების მიზნების (SDG 5) კრილში, რათა შეემუშავებინათ პრაქტიკული გეგმა პრობლემის გადასაჭრელად. მოსწავლეებმა, განსაკუთრებით კი გოგონებმა, გააცნობიერეს, რომ მათი ხმა და იდეები მნიშვნელოვანია და ისწავლეს პლურალიზმისა და დემოკრატიული მონაწილეობის პრინციპები.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვსაუბრობთ გენდერზე, 21-ე საუკუნეში გენდერული პრობლემის მოგვარება მაინც ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გამოწვევაა. ვფიქრობ, უპირველესად, აუცილებელია განათლების სისტემაში თანასწორი გარემოს შექმნა. სკოლა და უნივერსიტეტი ის ადგილი უნდა იყოს, სადაც მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მიღებას, დაფასებასა და პატივისცემას. ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩამოვუყალიბოთ წარმოდგენა, რომ ადამიანის შესაძლებლობები გენდერზე არ არის დამოკიდებული, ისინი უნდა აღვზარდოთ ისეთ ადამიანებად, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია მიუღებლად ჩათვალოს. ამიტომ მიმაჩნია განათლების სფერო გენდერული ნიშნით უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად. ამ პროცესში ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს მედია და ციფრული სივრცე. სოციალური ქსელები და ტელევიზია ქმნიან იმ ნარატივებს, რომლებიც საზოგადოებას ჩამოუყალიბებს წარმოდგენას „ნორმალურ“ ქცევაზე. ამიტომ მნიშვნელოვანი არის, რომ მედიაში გადაცემებში, რეკლამებსა და პუბლიკაციებში წაახალისოს თანასწორი პერსპექტივა და უარი თქვას სტერეოტიპულ როლებზე. საბოლოოდ, გენდერული პრობლემის მოგვარება საერთო ძალისხმევას მოითხოვს — სახელმწიფოსგან, განათლების სისტემისგან, ოჯახებისგან და თითოეულ ინდივიდისგან. როცა საზოგადოება ბოლომდე გააცნობიერებს, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ ქალების საკითხი არ არის, არამედ მთლიანად ქვეყნის განვითარებას გულისხმობს, მაშინ შესაძლებელი გახდება სამართლიანი, ჰარმონიული და პროგრესზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. სწორედ ასეთ გარემოში შეძლებს ადამიანი, გენდერის მიუხედავად, საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებას.

რა უხილავი ბარიერები აქვთ ქალებს ქართულ პოლიტიკაში?!

დემოკრატია ნებისმიერი ადამიანის სათქმელს გულისხმობს, მსოფლიო მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ; მიუხედავად ამისა, ისინი არ მონაწილეობენ სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან მათ არ აქვთ საკმარისი წვდომა პოლიტიკურ რესურსებთან, შესაბამისად, ამ კუთხით აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია, ამიტომ საერთაშორისო ნორმებთან და გენდერულ თანასწორობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად გაუმჯობესებას საჭიროებს, 2014წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კი ზემოთ მოხსენებული მოსაზრების სისწორეში მეტად ვრწმუნდებით, ვინაიდან არჩევნების შემდეგ, ქალთა წარმომადგენლობის წილი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე 11.1%-ს შეადგენს მაშინ, როცა მოსახლეობის 53% ქალია, ხოლო მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 20% პროცენტსაც ვერ აღწევს, რთულია ვისაუბროთ ამ მხრივ პროგრესის ნიშნებზე.

ქალთა ჩართულობა, მონაწილეობა და წვდომა ფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე უკავშირდება უამრავ სხვადასხვა სტრუქტურულ და ფუნქციურ ბარიერს მიმაჩნია, რომ ქალთა არ ყოფნა პოლიტიკურ არენაზე გამოწვეულია შემდეგი სახის დაბრკოლებებით: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

ვფიქრობ, პირველი ბარიერი ქალებისთვის არის პოლიტიკური კულტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციული დამოკიდებულება ქალების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციასთან დაკავშირებით. ტრადიციების მიხედვით ქალის უპირატეს მოვალეობად, კვლავაც დედისა და დიასახლისის როლი რჩება, მძლავრი პატრიარქალური ღირებულებები კი მეტად ართულებს მათ მონაწილეობას საჯარო სივრცეში, რადგან ისინი კვლავაც ინარჩუნებენ სქესის მიხედვით სეგრეგაციას.

ხშირად ვხვდებით ისეთ მოდელებს, როცა შეჯიბრებითობა და კონფრონტაციის იდეა უგულვებელყოფს თანამშრომლობასა და კონსენსუსს, ეს ძირითადად დამახასიათებელია პარტიული კუთვნილების შემთხვევაში, ამ ყველაფრის შედეგად კი ქალები უარს ამბობენ მამაკაცის სტილის პოლიტიკაზე ან მთლიანად მიდიან პოლიტიკიდან, რომლის გამოც ძალიან ცოტა მათგანი იღებს პოლიტიკაში მონაწილეობის გადაწყვეტილებას.

UNDP-ის კვლევის მიხედვით საქართველოს მოსახლეობას სჯერა, რომ პოლიტიკა კაცის საქმე უფროა, ხოლო ქალებს ამ საქმეში შეზღუდვები უნდა ჰქონდეთ; ეს გამოკითხვა მეტად გვეხმარება მივხვდეთ იმ ბარიერების არსებობას, რასაც ქალები აწყდებიან ქართულ პოლიტიკაში. მიმაჩნია, რომ დღეს დემოკრატიული სახელმწიფოს სრულყოფისთვის აუცილებელია კონსტრუქციული თანამშრომლობა და არ არის ადგილი კონფრონტაციისა და ურთიერთბრალდებებისთვის. შემდეგი და ალბათ ყველაზე მთავარი არის - ინსტიტუციური ბარიერი, არის გენდერული კვოტის არარსებობა „კვოტა“ ლათინური სიტყვაა და ის რისამე დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას გულისხმობს, ხოლო გენდერული კვოტა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობისთვის.

ამ კუთხით საქართველოში პირველი ნაბიჯები 2011 წელს გადაიდგა - პარტია, რომელიც

პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა საბაზრო დაფინანსების 10%-იან დანამატს მიიღებდა, 2014 წელს საბიუჯეტო წახალისება გაიზარდა, თუმცა შედეგების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხოლოდ 24 ქალით არის წარმოდგენილი, ხოლო 2017 წლის 12 ივნისს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა პარლამენტში კიდევ ერთხელ შეიტანა გენდერული კვოტირების კანონპროექტი, ინიციატივის მიღების შემთხვევაში კი პარტია ვალდებული იყო სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ყოფილიყო.

NDI-ის გამოკითხვებით ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ქალებისა და მამაკაცების პოლიტიკური მოღვაწეობის მიმართ არათანმიმდევრულია ერთი მხრივ საზოგადოება ეთანხმება გენდერულ კვოტას, რადგან ქალების რაოდენობის ზრდას გულისხმობს ეს კი „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზისს ქმნის, ხოლო მეორე მხრივ სკეპტიკურად უყურებენ მდედრობითი სქესის პოლიტიკაში ჩარევას.

მიმაჩნია, რომ გენდერული თანასწორობის სრულყოფილად მისაღწევად ამ ბარიერების მოსაშლელად აუცილებელია გენდერული კვოტირების ინტეგრირება, სქესის სწორი პოზიციონირების გათვალისწინებით პროცენტი უნდა წარმოადგენდეს ფართო განსჯის საგანს, თუმცა ჩემთვის მისაღები ვარიანტია 35%, რათა პარლამენტში სქესთა შორის ბალანსი დამყარდეს სწორად „კრიტიკული მასის“ კონცეპტს მთავარი ადგილი უჭირავს პარლამენტში, ქალების ცალსახა უმცირესობაში ჰყოფნის კვლევაში. გენდერისა და პოლიტიკის მკვლევარების აზრით, მანამ არ მოხდება ქალთა ბარიერების გაქრობა, სანამ დაქსაქსული პოლიტიკიდან კოლექტიურ ბრძოლაზე არ გადავლენ.

ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შეიძლება ითქვას, პლურალური დემოკრატიის გულისგულია, გენდერული კვოტა კი ეფექტური მექანიზმია პოლიტიკურ ინსტიტუტებში სწრაფი ბალანსის მისაღწევად, სწორედ მას შეუძლია გააქროს ბარიერი, რადგან ის გამუდმებით იქონიებს გავლენას პოლიტიკურ შედეგებზე. შესაძლოა, საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ დღეს, როცა საქართველოს ქალი პრეზიდენტი ყავს ეს პრობლემები მოგვარებულია, თუმცა კვლევები მაინც არ გვიჩვენებს ამ კუთხით პროგრესის ნიშნებს.

ქალთა ხედვა ნიშნავს, გახადო მდედრობითი სქესის ხედვა ხილვადი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამის აუცილებელი წინაპირობა კი „დომინანტი“ ჯგუფის შეგნებაში ევოლუციის მოხდენაა, რათა დროულად შეწყდეს პატრიარქალური დამოკიდებულებები.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუციური, სტრუქტურული და კულტურული დაბრკოლებები ის მნიშვნელოვანი ბარიერებია, რომლებსაც აწყდებიან ქალები პოლიტიკაში და მათი გადალახვა იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი გენდერულ საკითხებში.

ამიტომ მე ვემხრობი იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი უნდა იყოს პოლიტიკაში ჩართული არ უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის განსხვავება სუსტი ნიშნით ან ასე შემდეგ.

მივცეთ ორივე სქესის წარმომადგენელს, რომ თავი გამოავლინოს დადებითად და იქცეს ლიდერად. არ უნდა შეუშალოს ქალებს არავინ ხელი და ჭორიკნებს არ უნდა ავყვეთ, რადგან ისინი წარუმატებლები არიან უნდათ მათნაირი ბრბოს წარმომადგენლები იყვნენ სხვებიც. ამიტომ ეს არ დავუშვათ ქალებმა უნდა იმოქმედონ და არავის არ უნდა დაუხარონ თავი იბრძოლონ, რათა ოჯახთან ერთად იყვნენ წარმატებულები.

აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში დაცული უნდა იყოს და აქტიურად უნდა იყვნენ ქალები ჩართულნი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ პროცესებში. ისინი არ უნდა აწყდებოდნენ ბარიერებს და საზოგადოებრივ სტერეოტიპებს. ბუღინგისა და ოჯახური ძალადობის

მსხვერპლი არ უნდა იქცნენ. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალი მხოლოდ კუხნისთვის არის გაჩენილი და მას ოჯახის და მეუღლეს იქეთ გზა არ აქვს, ვერ შეძლებს და ვერ განვითარდება. ეს არის არასწორი ხედვა, რადგან რატომ არ შეუძლია ქალი იყოს ლიდერი? იყოს შემდგარი და წარმატებული? ვინმეს მონაა ქალი? ქალი ცხოვრებაში ძალიან ბევრ რამეს უძლებს და თუ ქალსა და მამაკაცს სურთ, რომ ოჯახის იქეთაც იყვნენ შემდგარი და განვითარებულნი მაშინ უნდა იზრუნონ ამაზე და იბრძოლონ, რათა მიაღწიონ წარმატებასა და დაიმკვიდრონ საზოგადოებაში თავი. ელემენტარული ქალს უნდა ქონდეს თავისი შემოსავალი და არ უნდა იყოს კაცზე დამოკიდებული. ამიტომ მივესალმები გენდერულ თანასწორობასა და მეტი ქალის ხილვას პოლიტიკაში.

გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში: ქალთა მონაწილეობა და არსებული ბარიერები

ქალები საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, თუმცა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მათი გავლენა კვლავ შეზღუდულია - პარლამენტში მათი წარმომადგენლობა სულ მცირე 20%-ს აღემატება. ეს უთანასწორობა არა მხოლოდ ინდივიდუალური უფლებების საკითხია, არამედ პოლიტიკური სისტემების ხარისხის, დემოკრატიის სიძლიერისა და საზოგადოებრივი განვითარების მაჩვენებელიც. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა და საერთაშორისო ინსტიტუტები (IPU, OECD, UN Women) ხაზს უსვამენ, რომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში არა უბრალოდ მიზანი, არამედ პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის წინაპირობაა.

მსოფლიო საკმაოდ დიდი ხანია შეთანხმდა, რომ ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. ქალთა მონაწილეობის გარეშე ქვეყნებს უჭირთ თანასწორი და სამართლიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა, რომელიც მორგებული იქნება ყველა ჯგუფის ინტერესებზე. (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა, გზამკვლევი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის საქართველოში 2014).

საქართველოში ბოლო წლებში აღინიშნება პროგრესი — მოქმედ პარლამენტში ქალების წილი 20–22%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობებში – დაახლოებით 14–16%. თუმცა ეს მაჩვენებლები კვლავ შორს არის რეალური თანასწორობისგან. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარტიული სიების პრინციპი, 2020 წლიდან შემოღებული გენდერული კვოტები, ასევე ქალთა წარმომადგენლობაზე მიმართული საერთაშორისო და ადგილობრივი ინიციატივები. მიუხედავად კვოტებისა, ქალები ნაკლებად ხვდებიან მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის თანამდებობებზე და იშვიათად არიან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

ქალთა ჩართულობასა და აქტიურობას პოლიტიკურ პროცესებში საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება შეაფერხოს. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ დონეს განაპირობებს სამი ძირითადი ტიპის ბარიერი: კულტურული, სტრუქტურული/ინსტიტუციური და ინდივიდუალური.

ამ ბარიერების გააზრება აუცილებელია პოლიტიკურ ასპარეზზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის. ესეში წარმოდგენილი და განხილულია ის ძირითადი ფაქტორები რომელიც ქალთა რეალიზებას უშლის ხელს.

კულტურული ბარიერები დაკავშირებულია ტრადიციულ წარმოდგენებთან ქალისა და კაცის სოციალური როლების შესახებ. საქართველოში ჯერ კიდევ გავრცელებულია შეხედულება, რომ პოლიტიკა „კაცის საქმეა“, ხოლო ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახსა და საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობებს უკავშირდება. ასეთი სტერეოტიპები ამცირებს ქალების მოტივაციას, ზღუდავს მათ თვითდაჯერებას და ამყარებს საზოგადოებრივ ნორმებს, რომლებიც ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას ნაკლებად ბუნებრივად აღიქვამს (UNDP, 2013; EMC, 2014). დიასახლისობა, ხშირად

განიხილება ქალების არჩევით თანამდებობაზე მოხვედრის ხელისშემშლელ ფაქტორად. ქალების, როგორც დედის და ცოლის პასუხისმგებლობა, ასევე შიდა ოჯახური მოვალეობები, ართულებს მათ ჩართულობასა და მონაწილეობას საჯარო სივრცეში. (EMC ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2014).

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს და გაბატონებულია პატრიარქალური საზოგადოების გენდერული დოგმები, სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ ეს გავლენას ახდენს ქალების პასიურ თანამონაწილეობაზე პოლიტიკაში და ასევე ქალთა შეხედულებებზე ამ თემასთან დაკავშირებით.

სტრუქტურული ბარიერები მოიცავს საარჩევნო სისტემების, პარტიული წესების, პოლიტიკური მექანიზმებისა და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში არსებული დინამიკის იმ ასპექტებს, რომლებიც ქალების მონაწილეობას ართულებს. კვლევები აჩვენებს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს ქალთა წარმომადგენლობის ზრდას, მაშინ როცა მაჟორიტარული სისტემა ნაკლებად ეფექტურია ამ კუთხით (Norris, 2000). საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პროგრესი იყო 2020 წელს გენდერული კვოტების შემოღება, თუმცა ქალთა რაოდენობა მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის პოზიციებზე კვლავ დაბალია.

ექსპერტებისა და მკვლევარების თქმით, ეს ყოველივე ქართულ საზოგადოებაში კიდევ უფრო მძაფრად არის გამოკვეთილი, რასაც ზუსტად ასახავს ის რეალობა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. ქართული პოლიტიკა, ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა პოლიტიკურ საკითხებში სავალალოა. მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებები და რეფორმები, მაგალითად, გენდერული კვოტირების ინსტრუმენტის განხილვა და შემოღება, ასუსტებს ხისტ დამოკიდებულებებს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის აუცილებლობის არ არსებობის შესახებ.

ძალადობისა და კონტროლის კერძო თუ საზოგადოებრივი ფორმები, რომლებიც გამოიყენება ქალების მიმართ ასევე ზღუდავენ ქალთა ქცევებს, განსაკუთრებით სარისკო სიტუაციებში და იქ, სადაც მნიშვნელოვანი და საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება (აშვორდი).

ქალები აწყდებიან ისეთ პრობლემებსაც, რომელიც დაკავშირებულია გენდერულ დისკრიმინაციასთან. ქართულ პოლიტიკაში ქალთა ძლიერი მენტორობისა და მხარდაჭერის ქსელების არარსებობა ხელს უწყობს იზოლაციის განცდას. ასეთი ქსელების ჩამოყალიბება აუცილებელია პოლიტიკურ ასპარეზზე ქალთა ზრდისა და ნდობის გასაძლიერებლად.

პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ ასპარეზზე გადამწყვეტ როლს ასრულებენ, რომლებიც გავლენას ახდენენ კანდიდატების შერჩევაზე, კამპანიის მხარდაჭერაზე და რესურსებზე ხელმისაწვდომობაზე. ქალთა შეზღუდული წარმომადგენლობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში კიდევ უფრო ამძაფრებს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგანან დამწყები ქალი პოლიტიკოსები. ქალებს შეიძლება შეექმნათ სირთულეები პარტიული მოწონების, დაფინანსების უზრუნველყოფისა და შიდაპარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბებისას. პოლიტიკურ პარტიებში მრავალფეროვანი წარმომადგენლობის ნაკლებობა არა მხოლოდ ზღუდავს ქალთა შესაძლებლობებს, არამედ აფერხებს უფრო ინკლუზიური პოლიტიკური კულტურის განვითარებას.

გენდერული მრავალფეროვნების გაღრმავების მცდელობის მიუხედავად, საქართველოში ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, მათ შორის საქართველოს პარლამენტში. ამ ინსტიტუტებში არსებული სტრუქტურული ბარიერები ხელს უწყობს გენდერული დისბალანსის შენარჩუნებას პოლიტიკურ ლიდერობაში. ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა არაფორმალური ქსელები, ძალაუფლების გამყარებული დინამიკა და ისტორიული პრეცედენტები,

შეიძლება შეზღუდონ ქალების წვდომა გავლენიან პოზიციებზე. ეს არასაკმარისი წარმომადგენლობა არა მხოლოდ ართმევს პოლიტიკის შემუშავებას მრავალფეროვან პერსპექტივას, არამედ აძლიერებს მოსაზრებას, რომ პოლიტიკური ლიდერობა არის ძირითადად მამრობითი სქესი.

ამ სტრუქტურული ბარიერების გადაჭრა მოითხოვს მრავალმხრივ სტრატეგიებს. მაგალითად, გენდერული სენსიტიურობის ხელშეწყობას პოლიტიკურ კულტურაში, რომლისთვისაც არსებითია ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ტრადიციული გენდერული ნორმების პოლიტიკურ კულტურაში გამოწვევისა და ტრანსფორმაციისკენ. საგანმანათლებლო კამპანიებმა, ცნობიერების ამაღლების პროგრამებმა და ადვოკატირების მცდელობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს პოლიტიკაში ქალების როლის აღქმის შეცვლას. ასევე მნიშვნელოვანია, პარტიების ინკლუზიური პოლიტიკის წახალისება, რაც გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მიიღონ უფრო ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა. ეს მოიცავს პარტიულ რიგებში ქალების რეკრუტირებისა და წინსვლის აქტიურ ხელშეწყობას, პოლიტიკური კანდიდატურის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და პარტიული კულტურის ხელშეწყობას, რომელიც აფასებს მრავალფეროვნებას.

გამოწვევები შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას, პოლიტიკური ნების არარსებობას და ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩოს საჭიროებას. ამ გამოწვევების დასაძლევად ადვოკატირების ჯგუფებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და ქალთა უფლებების აქტივისტებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. სამთავრობო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა შეიძლება დაეხმაროს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს გენდერულ თანასწორობას პოლიტიკურ მონაწილეობაში, წარმომადგენლობასა და გადაწყვეტილების მიღებაში. არდა ამისა, მნიშვნელოვანია კონსენსუსის ჩამოყალიბება პოლიტიკურ დაინტერესებულ მხარეებს შორის გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის აუცილებლობასა და სარგებელს.

ქართულ პოლიტიკაში კვოტების სისტემებისა და დადებითი ქმედების ზომების ეფექტურობა და მიღება შეიძლება განხილვის საგანი იყოს. ეს მექანიზმები შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტები გენდერული უთანასწორობის მოსაგვარებლად, მაგრამ შეიძლება შეხვდეს წინააღმდეგობას.

ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესმა ცხადყო, რომ იგი საკმაოდ რთულად მისაღწევია პოლიტიკასა და მთავრობაში ქალთა ინკლუზიის პროცესში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შენარჩუნება და იმ საშუალებების გაძლიერება, რომელზეც ხელი მიუწვდებათ ქალებს. იგი გულისხმობს არა მარტო ქალების რაოდენობის გაზრდას არჩევითი მმართველობის ყველა დონეზე, არამედ მათი გავლენების გაზრდისთვის გარანტიების შექმნასაც. საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობისა და წარმომადგენლობის ლანდშაფტი ასახავს პროგრესისა და მუდმივი გამოწვევების დინამიურ ურთიერთკავშირს. წლების განმავლობაში, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის აღიარების კუთხით გადაიდგა ბევრი საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რის შედეგადაც გაიზარდა ქალების რაოდენობა პოლიტიკურ სფეროებში. თუმცა, ყოვლისმომცველი მიმოხილვა ავლენს ნიუანსირებულ რეალობას, სადაც კულტურული, ეკონომიკური და ინსტიტუციური ბარიერები კვლავ აფერხებენ ქალთა სრულ და თანაბარ მონაწილეობას პოლიტიკურ ასპარეზზე.

მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა იმ ქალების რიცხვი, რომლებიც პოლიტიკურ თანამდებობას იკავებს, უფრო დეტალური გამოკვლევა ცხადყოფს მუდმივი ძალისხმევის აუცილებლობას ღრმად ფესვგადგმული კულტურული ნორმებისა და გენდერული სტერეოტიპების გადასაჭრელად.

ტრადიციული მოლოდინები ქალების როლებთან დაკავშირებით შენარჩუნებულია, რაც აყალიბებს საზოგადოების აღქმას და გავლენას ახდენს საარჩევნო დინამიკაზე. შესაბამისად, ქალები ხშირად აწყდებიან დაბრკოლებებს პოლიტიკურ სფეროებში ჩართულობასა და მონაწილეობაში, რომელიც ისტორიულად ხელს უწყობს მამაკაცების მონაწილეობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პოზიტიური მოვლენები შეინიშნება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაში, არსებობს მდგრადი და კოორდინირებული ძალისხმევის აუცილებლობა. პოლიტიკური მიდგომა, რომელიც მოიცავს კულტურულ ძვრებს, ეკონომიკურ გაძლიერებას და ინსტიტუციურ რეფორმებს, აუცილებელია ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც ქალებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ და ჩამოაყალიბონ პოლიტიკური ლანდშაფტი. ამ გამოწვევების დაძლევის საქართველოს შეუძლია გადავიდეს უფრო ინკლუზიური და წარმომადგენლობითი დემოკრატიისკენ, რომელიც გამოიყენებს მისი მთელი მოსახლეობის მრავალფეროვან ნიჭს და პერსპექტივებს.

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხი არ არის — ეს არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხარისხის საზომი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა, ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანეს სივრცეებში. კულტურული სტერეოტიპები, ინსტიტუციური ბარიერები და პოლიტიკური გარემოსადმი ნაკლებად მხარდამჭერი სისტემა ქმნის პირობებს, სადაც ქალთა პოტენციალი სრულად ვერ რეალიზდება. ამ რეალობის დასაძლევად აუცილებელია მიზნობრივი და კოორდინირებული ნაბიჯები.

სახელმწიფომ და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გააძლიერონ:

- გენდერული კვთების ეფექტური მონიტორინგი და შევსების მკაცრი კონტროლი;
- ქალებისთვის პოლიტიკურ პარტიებში ზრდისა და წინსვლის რეალური შესაძლებლობები;
- მხარდამჭერი მექანიზმები — მენტორობა, ტრენინგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა;
- პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაცია, რომელიც ქალთა ლიდერობას აღიარებს და ასუფთავებს სტერეოტიპებს.

ეს ნაბიჯები არ არის მხოლოდ ფორმალური რეფორმები — ისინი ქვეყნის დემოკრატიული მდგრადობის წინაპირობაა. ქალების ხმა პოლიტიკაში ნიშნავს მრავალფეროვან გადაწყვეტილებებს, სამართლიან პოლიტიკას და საზოგადოებას, სადაც არცერთი ჯგუფი არ რჩება უხილავი.

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში — საქართველოს დემოკრატიული მომავლის ტესტია და სწორედ ამ ტესტის წარმატებით ჩაბარება განსაზღვრავს, შეძლებს თუ არა ქვეყანა შექმნას ინკლუზიური, სამართლიანი და სწრაფად განვითარებადი პოლიტიკური გარემო, სადაც თითოეული მოქალაქის ხმა თანაბრად მისწვდება ძალაუფლების ცენტრს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, „ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა გზამკვლევი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის საქართველოში“ EMC

აშვორდი. გ. (2024). გენდერული მიდგომის დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო (UNDP)

საქართველოს იურისტთა ასოციაცია. ქალები ქართულ პოლიტიკაში (2017).

(<https://gyla.ge/files/news/2008>)

ხომერიკი.ლ. „გენდერი და პოლიტიკა“ (2006). http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/gender_and_

politics. pdf

(სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFD) რატომ არის საჭირო გენდერული კვოტირება <https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/ratom-aris-sachiro-genderuli-kvotebi>)

United Nations Development Programme (UNDP) სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში. (<https://www.undp.org/ka/georgia/publications/electoral-gender-quotas>)

Norris, P. (2000). Women's representation and electoral systems. In *The International Encyclopedia of Elections*, ed. Richard Rose. Washington, DC: CQ Press, pp. 348–351)

Shvedova, N. (1998). Obstacles to Women's Participation in Parliament in *Women in Parliament: beyond numbers*, Ed. Karam, Azza Et Al. Handbook Series, International Idea Publication.

UNDP (2013). *Public Perceptions on Gender Equality in Politics and Businesses*

